განვსაზღვროთ განზოგადებული მარტივი და ორმაგი ფენის პოტენციალები შემდეგი ტოლობებით:

$$V(g)(x) = \int_S \Psi(x - y, \tau) g(y) dS_y, \quad x \in \mathbb{R}^3 \setminus S, \quad (6)$$

$$W(g)(x) = \int_S \{Q(D_y, n(y), \tau) [\Psi(x - y, \tau)]^\top\}^\top g(y) dS_y, \quad x \in \mathbb{R}^3 \setminus S, \quad (7)$$

სადაც $g = (\tilde{g}, g_4)^\top$, $\tilde{g} = (g_1, g_2, g_3)^\top$, $x \in \mathbb{R}^3 \setminus S$. აგ

$$Q(D_y, n(y), \tau) = \begin{bmatrix} [T(D_y, n)]_{3 \times 3} & [\tau T_0 \beta_{kj} n_j]_{3 \times 1} \\ [0]_{1 \times 3} & \lambda(D_y, n) \end{bmatrix}_{4 \times 4},$$

$n(x)$ გარე ნორმალია $x \in S$ წერტილში.

(6) და (7) ტოლობებით განსაზღვრულ პოტენციალებს გააჩნიათ შემდეგი თვისებები [9, 10]. ვთქვათ, $k \geq 0$ მთელი რიცხვია, $0 < \alpha < \alpha' < 1$, და $S \in C^{k+1+\alpha'}$, მაშინ ოპერატორები

$$V: C^{k+\alpha}(S) \rightarrow C^{k+1+\alpha}(\Omega^+), \quad (8)$$

$$W: C^{k+\alpha}(S) \rightarrow C^{k+\alpha}(\Omega^+), \quad (9)$$

შემოსაზღვრულია, სამართლიანია შემდეგი თანაფარდობები

$$[V(g)]^+ = [V(g)]^- \equiv \mathcal{H}g, g \in C^\alpha(S), \quad (10)$$

$$[W(g)]^\pm = [\pm 2^{-1}I_4 + \tilde{\mathcal{K}}]g, g \in C^\alpha(S), \quad (11)$$

$$[B(D, n)V(g)]^\pm = [\mp 2^{-1}I_4 + \mathcal{K}]g, g \in C^\alpha(S) \quad (12)$$

$$\mathcal{L}_+g = \mathcal{L}_-g \equiv \mathcal{L}g, g \in C^{1+\alpha}(S), \quad (13)$$

სადაც

$$\mathcal{H}g(z) \equiv \int_S \Psi(z - y, \tau)g(y)dS_y, z \in S,$$

$$\mathcal{K}g(z) \equiv \int_S B(D_z, n(z))\Psi(z - y, \tau)g(y)dS_y, z \in S,$$

$$\tilde{\mathcal{K}}g(z) \equiv \int_S \{\mathcal{Q}(D_y, n(z), \tau)[\Psi(z - y, \tau)]^\top\}^\top g(y)dS_y, z \in S,$$

$$\mathcal{L}_\pm g(z) \equiv \lim_{\Omega^t \ni x \rightarrow z \in S} B(D_x, n(z))W(g)(x).$$

შემოსაზღვრულია, ასევე, შემდეგი ოპერატორები:

$$\mathcal{H} : C^{k+\alpha}(S) \rightarrow C^{k+1+\alpha}(S), \quad (14)$$

$$[\pm 2^{-1}I_4 + \tilde{\mathcal{K}}], [\pm 2^{-1}I_4 + \mathcal{K}] : C^{k+\alpha}(S) \rightarrow C^{k+\alpha}(S), \quad (15)$$

$$\mathcal{L} : C^{k+1+\alpha}(S) \rightarrow C^{k+\alpha}(S) [S \in C^{k+2+\alpha'}(S)]. \quad (16)$$

(8)-(9) და (14)-(16) ოპერატორები შეიძლება გაფართოვდნენ შემდეგ შემოსაზღვრულ ოპერატორებამდე:

$$V: B_{p,p}^s(S) \rightarrow H_p^{s+1+1/p}(\Omega^+) \quad [B_{p,q}^s(S) \rightarrow B_p^{s+1+1/p}(\Omega^+)],$$

$$W: B_{p,p}^s(S) \rightarrow H_p^{s+1/p}(\Omega^+) \quad [B_{p,q}^s(S) \rightarrow B_{p,q}^{s+1/p}(\Omega^+)],$$

$$\mathcal{H}: B_{p,q}^s(S) \rightarrow B_{p,q}^{s+1}(S) \quad [H_p^s(S) \rightarrow H_p^{s+1}(S)], \quad (17)$$

$$[\pm 2^{-1}I_4 + \tilde{\mathcal{K}}], [\pm 2^{-1}I_4 + \mathcal{K}]: B_{p,q}^s(S) \rightarrow B_{p,q}^s(S) [H_p^s(S) \rightarrow H_p^s(S)], \quad (18)$$

$$\mathcal{L}: B_{p,q}^s(S) \rightarrow B_{p,q}^{s-1}(S) \quad [H_p^s(S) \rightarrow H_p^{s-1}(S)], \quad (19)$$

სადაც $S \in \mathbb{R}$, $1 < p < \infty$, $1 \leq q \leq \infty$. ამ გაფართოებული ოპერატორებისათვის სამართლიანია (10)-(13) ფორმულები შესაბამის ფუნქციურ კლასებში. გარდა ამისა, $\mathcal{H}, (\pm 2^{-1}I_4 + \tilde{\mathcal{K}}), (\pm 2^{-1}I_4 + \mathcal{K})$ და \mathcal{L} ოპერატორები არიან, შესაბამისად, $-1, 0, 0$ და 1 რიგის ფორმულები. \mathcal{H} და \mathcal{L} , ოპერატორების მთავარი სიმბოლური მატრიცები არის დადგებითად განსაზღვრული. (14)-(16) (17)-(19) ოპერატორები არიან იზომორფიზმები შესაბამის კლასებში. კერძოდ \mathcal{L} და \mathcal{H}^\dagger არიან ელიფსური სინგულარული ინტეგროდიფერენციალური ოპერატორები.

განვიხილოთ დირიბლეს დამხმარე ამოცანა: ვიპოვოთ (3) განტოლების ამონახსენი შემდეგი სასაზღვრო პირობებით:

$$[U]^\pm = h, h \in B_{p,p}^{1-1/p}(S), 1 < p < \infty. \quad (20)$$

ვეძიოთ (3), (20) ამოცანის ამონახსენი მარტივი ფენის პოტენციალის სახით; $U(x) = V(g)(x)$, სადაც $g \in B_{p,p}^{-1/p}(S)$. მივიღებთ $\mathcal{H}g = h$. თუ გავითვალისწინებთ \mathcal{H} ოპერატორის შებრუნვებადობას, მივიღებთ, რომ ამ განტოლებას გააჩნია ერთადერთი ამონახსენი $g = \mathcal{H}^{-1}h$. სამართლიანია შემდეგი

თეორემა 1. (3), (20) ამოცანას გააჩნია ერთადერთი ამონასენი $W_p^1(\Omega^\pm)$ კლასში, რომელიც მოიცემა ფორმულით. $U(x) = V[\mathcal{H}^{-1}]h(x)$

გვაცემა 1 და 2-ის მიხედვით $\int \Omega^\pm$ ფუნქცია $\int \Omega^\pm$ სიგლუვის შენარჩუნებით მთელ S -ზე. თუ ერთ-ერთ ფუნქცია f_0 გაგრძელებას აღვნიშნავთ $f_0 \in B_{p,p}^{1-1/p}(S)$ -ით, მაშინ ნებისმიერ სხვა გაგრძელებას ეწვება სახე: $\Phi = f_0 + \varphi \in B_{p,p}^{1-1/p}(S)$, სადაც $\varphi \in \widetilde{B}_{p,p}^{1-1/p}(S_2)$ და, $\Phi|_{S_1} = f_0$ ვეძიოთ ამონასენი

$$U = V(\mathcal{H}^{-1})(f_0 + \varphi). \quad (21)$$

სახით. მაშინ (4) პირობა დაქმაყოფილდება ავტომატურად, ხოლო (5) პირობა მოვცემს შემდეგ ფლგ-ის S_2 -ზე:

$$[B(D, n)V(\Phi)]^\pm = [\pm 2^{-1}I_4 + \mathcal{K}\mathcal{H}^{-1}(f_0 + \varphi)] = F, \quad S_2 - \text{ზე},$$

ანუ, თუ აღვნიშნავთ

$$N_1 \equiv [-2^{-1}I_4 + \mathcal{K}\mathcal{H}^{-1}], \quad N_2 \equiv [2^{-1}I_4 + \mathcal{K}\mathcal{H}^{-1}], \quad (22)$$

$$\text{მივიღებთ} \quad r_{S_2} N_j \varphi = q_j, \quad (23)$$

$$\text{სადაც} \quad q_j = F - r_{S_2} [((-1)^j 2^{-1}I_4 + \mathcal{K}\mathcal{H}^{-1})f_0] \in B_{p,p}^{-1/p}(S_2),$$

r_{S_2} შეზღუდვის ოპერატორია S_2 -ზე; $j=1$ შეესაბამება შიგა ამოცანას, ხოლო $j=2$ - გარე ამოცანას.

ლემა 2. [11]. ვთქვათ, $S \in C^{k+2+\alpha'}$, $k \geq 0$ მთელი რიცხვია და $0 < \alpha' \leq 1$. მაშინ

$$N_j: C^{k+1+\alpha}(S) \rightarrow C^{k+\alpha}(S), \quad 0 < \alpha < \alpha', \quad j = 1, 2, \quad (24)$$

არიან შემოსაზღვრული ოპერატორები და შესაბამისი ნულსივრცე ტრივიალურია. $N_j, j = 1, 2$ ოპერატორები იზომორფიზმებია.

ლემა 3 [11]. N_1 და N_2 ოპერატორების მთავარი სიმბოლური მატრიცები დადგებითად განსაზღვრულია.

ლემა 4 [11]. (22) ოპერატორები შეიძლება გაფართოვდნენ შემდეგ შემოსაზღვრულ, ელიფსურ (1 რიგის) ფლგ-ებამდე.

$$N_j: H_p^{s+1}(S) \rightarrow H_p^s(S), \quad [B_{p,q}^{s+1}(S) \rightarrow B_{p,q}^s(S)], \quad s \in \mathbb{R}, \quad 1 < p < \infty, \quad 1 \leq q \leq \infty.$$

დავუბრუნდეთ (23) განტოლებას. თუ გამოვიყენებთ ფლგ-ების თეორიას საზღვრიან მრავალსახეობებზე, შევვიძლია დავამტკიცოთ შემდეგი

ლემა 5. თუ სრულდება პირობა

$$\frac{1}{p} - \frac{3}{2} < s < \frac{1}{p} - \frac{1}{2},$$

მაშინ ოპერატორები

$$r_{S_2} N_j: \widetilde{B}_{p,q}^{s+1}(S_2) \rightarrow B_{p,q}^s(S_2), \quad ; \quad 1 \leq q \leq \infty,$$

$$1 < p < \infty, \quad s \in \mathbb{R}, \quad j=1, 2 \quad \text{იზომორფიზმებია.}$$

[10] ნაშრომში გამოყენებული მეთოდის საშუალებით მტკიცება შემდეგი არსებობისა და ერთადერთობის თეორემები.

თეორემა 6. ვთქვათ, $4/3 < p < 4$ მაშინ შერეულ ამოცანას გააჩნია ერთადერთი

ამონასენი $U \in W_p^1(\Omega^\pm)$ კლასში, რომელიც წარმოიდგინება (21) სახით, სადაც $\varphi \in \widetilde{B}_{p,p}^{1-1/p}(S_2)$ განისაზღვრება ცალსახად ამონსნადი (23) ფლგ-დან.

ახლა შეგვიძლია სასაზღვრო მონაცემების სიგლუვის შერჩევის გავზრდოთ ამონასენის სიგლუვე [10].

თეორემა 7. ვთქვათ,

$4/3 < p < 4$, $1 < t < \infty$, $1 \leq q \leq \infty$, $1/t - 3/2 < S < 1/t - 1/2$ და $U \in W_p^1(\Omega^+) [W_p^1(\Omega^-)]$ შერჩეული ამოცანის ამონასენია, მაშინ

I) თუ

$$f \in B_{t,t}^{s+1}(S_1), F \in B_{t,t}^s(S_2),$$

მაშინ

$$U \in H_t^{s+1+1/t}(\Omega^+) [U \in H_t^{s+1+1/t}(\Omega^-)];$$

II) თუ

$$f \in B_{t,q}^{s+1}(S_1), F \in B_{t,q}^s(S_2),$$

მაშინ

$$U \in B_{t,q}^{s+1+1/t}(\Omega^+) [U \in B_{t,q}^{s+1+1/t}(\Omega^-)];$$

III) თუ

$$f \in C^\alpha(S_1), F \in B_{\infty,\infty}^{\alpha-1}(S),$$

მაშინ

$$U \in C^\beta(\overline{\Omega^+}) [U \in C^\beta(\overline{\Omega^-})],$$

ყოველი $\beta \in (0, \alpha_0)$, $\alpha_0 = \min\{\alpha, 1/2\}$.

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი

ლიტერატურა

1. В.Купрадзе, Т.Гегелиა, М.Башелейшвили, Т.Бурчуладзе. Трехмерные задачи математической теории упругости и термоупругости. М., 1976.
2. L. Jentsch, Math.Nachr., 64, 1974, 171-231.
3. D.Natroshvili. Georgian Mathematical Journal, 2, 6, 1995, 631-652.
4. W.Nowacki. Dynamic Problems of Thermoelasticity, PWN-Polish Scientific Publishers, Warzawa, Poland, Nordhoff International Publishing. Leyden, The Nederlands, 1975.
5. H.Triebel. Interpolation Theory, Function Spaces, Differential Operators, Berlin: VEB Deutscher Verlag der Wissenschaften, 1978.
6. H.Triebel. Theory of Function Spaces, Basel-Boston-Stuttgart: Leipzig Birkhäuser Verlag, 1983.
7. L.Jentsch and D.Natroshvili. Math.Nachr., 179, 1996, 161-186.
8. C.Miranda, Partial Differential Equations of Elliptic Type, 2nd ed., Springer-Verlag. Berlin-Heidelberg-New York, 1970.
9. ა.ნატროშვილი. Дифференциальные уравнения, 20, 1, 1984, 87-98.
10. R.Duduchava, D.Natroshvili and E.Shargorodsky. Georgian Mathematical Journal, 2, 2, 123-140; 3, 259-279, 1995.
11. L. Jentsch, D.Natroshvili and I. Sigua. Mixed interface problems of thermoelastic pseudo-oscillations .

გ.გრებენიშვილი

ფურიე-ანალიზი და გაუსაზღვრელობების ახსნა წაგრძელებულ სფეროიდულ ტალღურ ფუნქციებად გაშლით

წარმოადგინა აკად. ვ. პავლიძე ქ. 1.10.1996

რადიოტექნიკის და ექსპერიმენტული ფიზიკის მთელი რიგი ამოცანების ამოხსნისათვის მნიშვნელოვანია გამზომ სისტემაზე ზემოქმედების განსაზღვრა რეაქციის მიხედვით იმ შემთხვევაში, როცა ზემოქმედების სპექტრი ბევრად ფართოა, ვიდრე გამზომი სისტემის სიხშირული მახსინათებელი. ამ შემთხვევაში აღდგენა ხდება რეაქციის სპექტრის მცირე მონაკვეთის მიხედვით, როდესაც სპექტრის მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის განსაზღვრული.

ამ ამოცანის ამოხსნის ერთ-ერთ მეთოდად შეიძლება იყოს მიჩნეული სპექტრის ანალიზური გაგრძელება, რომელიც სრულდება ორმაგი ორთოგონალური საბაზრო ფუნქციების მწყრივებად გაშლის გზით.

ცნობილია [1], რომ

$$\lambda_k \Psi_k(z, c) = \int_{-1}^1 \{ \operatorname{sinc}(x - z) / \pi(x - z) \} \Psi_k(x, c) dx, \quad (1)$$

განტოლებით განსაზღვრული $\Psi_k(z, c)$ ფუნქციების სისტემა, სადაც $\lambda_k = \lambda_k(c)$ -საკუთარი მნიშვნელობები, ხოლო c -პარამეტრი, წარმოადგენს ორმაგ ორთოგონალურ სისტემას, მაგრამ (1) იძლევა ამ ფუნქციების მხოლოდ $[-1, 1]$ მონაკვეთზე ტაბულირების საშუალებას. მოელ ღერძზე $\Psi_k(z, c)$ -ის ტაბულირებისათვის მოსაქვებნია ამ არეში განსაზღვრული ორთოგონალური ბაზისის მქონე ოპერატორი, რომლის საკუთარი ფუნქციების სისტემა ემთხვევა (1)-ით განსაზღვრულ სისტემას.

განვიხილოთ ფურიე-გარდაქმნა როგორც სპექტრულ ფუნქციაზე მოქმედი ოპერატორი Φ .

$$f(x) = \Phi \underline{g}(\omega) = \int_{-\alpha}^{\alpha} x(\omega) \exp(i\omega x) d\omega \quad (2)$$

შემოვილოთ x და ω მაგივრად ახალი ცვლადები $\xi = \omega/\alpha$ და $z = x/T$. ოპერატორ Φ -ის საკუთარი ფუნქციების განტოლება ამ შემთხვევაში იქნება

$$\mu \Psi(z) = \int_{-1}^1 \Psi(z) \exp(ic\xi z) d\xi, \quad (3)$$

სადაც $\Psi(z) = \underline{g}(Tz)$ და $c = \alpha T$.

გაშასადამე, ფურიე-ოპერატორის საკუთარი ფუნქციებისათვის მიღებულია სიმეტრიული კომპლექსური ბირთვის $\exp(ic\xi z)$ მქონე ინტეგრალური განტოლება (3), საიდანაც ჩანს, რომ საკუთარი ფუნქციები და საკუთარი მნიშვნელობები მხოლოდ



პარამეტრ $c = \alpha T - \frac{1}{2} \mu$ არიან დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუ ყურადღება მისაღებია (3)-ის მხოლოდ ნამდვილი ამოხსნები, ვღებულობთ

$$\Psi(\xi) = (1/\mu^*) \int_{-1}^1 \Psi(\eta) \exp(-ic\xi\eta) d\eta, \quad (4)$$

სადაც μ^* წარმოადგენს კომპლექსურად შეულლებულ მრიცხვს.

(3) სახის $\Psi(\xi)$ ჩასმა (4) გვაძლევს

$$\begin{aligned} \mu\mu^*\Psi(z) &= \int_{-1}^1 \exp(ic\xi z) d\xi \int_{-1}^1 \Psi(\eta) \exp(-ic\xi\eta) d\eta = \\ &= \int_{-1}^1 \{\Psi(\eta) 2 \operatorname{sinc}(z - \eta) / c(z - \eta)\} d\eta \end{aligned} \quad (5)$$

$\lambda = 1/\sqrt{2\pi} c \mu \mu^* = 1/\sqrt{2\pi} |\mu|^2$ აღნიშვნების შემოღება გვაძლევს განტოლებას

$$\lambda\Psi(z) = \int_{-1}^1 \{\operatorname{sinc}(z - \eta) / \pi(z - \eta)\} \Psi(\eta) d\eta, \quad (6)$$

რომელიც ემთხვევა (1)-ს.

მაშასადამე ნაჩვენებია, რომ განტოლება (1)-ის საკუთარი ფუნქციები ამავე დროს წარმოადგენს ფურიე-ოპერატორის ნამდვილ საკუთარ ფუნქციებს.

[1-1] მონაკვეთზე გამოთვლილი განტოლება (1)-ის საკუთარი ფუნქციების შეფარდება ფუნქციების ცნობილ სისტემებთან გვიჩვენებს, რომ ისინი ემთხვევიან [2-4] ნაშრომებში პირველად შესწავლილ წაგრძელებულ სფეროიდულ ტალღურ ფუნქციებს. ამასთან დაკავშირებით ვაჩვენოთ, რომ განტოლებით

$$\lambda\Psi(x) = \int_{-1}^1 \Psi(y) \exp(icxy) dy \quad (7)$$

განსაზღვრული ფურიე-ოპერატორის საკუთარი ფუნქციები და წაგრძელებული სფეროიდული ტალღური ფუნქციების განტოლებით

$$d/dx[(1 - x^2)d\phi/dx] - c^2 x^2 \phi(x) = \mu\phi(x), \quad (8)$$

განსაზღვრული საკუთარი ფუნქციები ემთხვევიან ერთშანების. ამისათვის საქმიანობისა იყოს ნაჩვენები, რომ სათანადო ოპერატორები არიან კომუტირებადი.

გრ ვაჩვენოთ, რომ (7) ოპერატორს გააჩნია კენტი ან ლუწი ნამდვილი საკუთარი ფუნქციები. აღვნიშვნოთ $\Psi(x)$ -ით (8) განტოლების საკუთარი ფუნქცია და განვიხილოთ ორი ფუნქცია $\xi(x) = \Psi(x) + \Psi(-x)$ და $\eta(x) = \Psi(x) - \Psi(-x)$. აშკარაა, რომ $\xi(x)$ ლუწია, $\eta(x)$ კენტია და, ამის გარდა,

$$\lambda\xi(x) = \int_{-1}^1 \xi(y) \exp(icxy) dy = \int_{-1}^1 \xi(y) \cos(cxy) dy + i \int_{-1}^1 \xi(y) \sin(cxy) dy \quad (9)$$

ბოლო ინტეგრალის მნიშვნელობა უდრის ნულს, რადგანაც $\xi(y)$ ლუწია და,

$$\lambda\xi(x) = 2 \int_0^1 \xi(y) \cos(cxy) dy. \quad (10)$$



ეს განტოლება არის ნამდვილი სიმეტრიული მეორე ხარისხში ინტეგრალური დადგებითად განსაზღვრული ბირთვის მქონე და იმიტომ ფლობს საკუთარი ფუნქციების $\xi_k(x)$, $k = 1, 2, 3 \dots$, სრულ სისტემას და დადგებით საკუთარ რიცხვებს. სრულიად ანალოგიურად, $\eta(x)$ -ის კენტობასთან დაკავშირებით

$$\lambda\eta(x) = 2 \int_0^1 \eta(y) \sin(cxy) dy \quad (11)$$

და ამავე მიზეზით არსებობს $\eta_k(x)$, $k = 1, 2, 3 \dots$, დადგებითი საკუთარი რიცხვების მქონე საკუთარი ფუნქციების სრული სისტემა.

მაშასადამე, (4) განტოლებას გააჩნია ყველა ლუწი $\{\xi_k(x)\}$ და ყველა კენტი $\{\xi_k(x)\}$ ფუნქციებისგან შემდგარი საკუთარი ფუნქციების სრული სისტემა.

გავაძერთიანოთ განტოლებები (10) და (11):

$$\lambda\varphi(x) = \int_0^1 k(cxy)\varphi(y) dy, \quad (12)$$

თუ კი $\varphi(x)$ ლუწია, $k(cxy) = \cos(cxy)$, ხოლო თუ $\varphi(x)$ კენტია, $k(cxy) = \sin(cxy)$ აქედან გამომდინარე $\varphi'(0) = 0$ და $k'(0) = 0$ როცა φ ლუწია, ხოლო $\varphi(0) = 0$ და $k(0) = 0$ როცა φ კენტია და ორივე შემთხვევაში

$$k(0)\varphi'(0) = k'(0)\varphi(0) = 0 \quad (13)$$

დავამტკიცოთ ოპერატორ

$$A\varphi = \int_0^1 k(cxy)\varphi(y) dy \quad (14)$$

და ოპერატორ

$$L\Psi = d/dx[(1-x^2)d\Psi/dx] - c^2x^2\Psi. \quad (15)$$

კომუტატურობა.

(13)-ის და $k''(u) = -k(u)$ გათვალისწინებით ნაწილებად ინტეგრირება გვაძლევს

$$\begin{aligned} A L\Psi &= \int_0^1 k(cxy) \{d/dy[(1-y^2)d\Psi/dy] - c^2y^2\Psi(y)\} dy = \\ &= \int_0^1 \Psi(y) \{-2cxy k'(cxy)c^2y^2 - [c^2x^2(1-y^2) + c^2y^2]k(cxy)\} dy, \end{aligned} \quad (16)$$

სადაც k' ნიშნავს y მიხედვით დიფერენცირებას.

მეორე მხრივ, სათანადო დიფერენცირების შემდეგ ვიღებთ

$$\begin{aligned} L A\Psi &= L_x \left\{ \int_0^1 k(cxy)\varphi(y) dy \right\} = \int_0^1 \Psi(y) \{d/dx[(1-x^2)dk/dx] - c^2x^2k\} dy = \\ &= \int_0^1 \Psi(y) \{d/dx[(1-x^2)cyk'(cxy)] - c^2x^2k(cxy)\} dy = \end{aligned}$$

$$= \int_0^1 \Psi(y) \{ -2cxy k'(cxy)] - c^2 x^2 (1 - y^2) k(cxy) \} dy. \quad (17)$$

(16)-ის და (17)-ის შედარება გვაძლევს $A L\Psi = L A\Psi$, რაც უზრუნველყოფს A და L ოპერატორების საკუთარი ვექტორების დამთხვევას.

მაშასადამე, დამტკიცებულია, რომ (1) ოპერატორის საკუთარი ფუნქციები, რომლებიც ამავე დროს ფურიე-ოპერატორის საკუთარი ფუნქციები არიან, აქმაყოფილებენ (8) დიფერენციალურ განტოლებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
 რადიობირლოგიისა და რადიაციული
 გეოლოგიის სამეცნიერო ცენტრი

ლიტერატურა

1. Я.И.Хургин, В.П.Яковлев. Финитные функции в физике и технике. М., 1971.
2. H.J.Landau, D.D.Slepian. Bell Syst. Tech.J., 40, 75, 1961, 17.
3. *Iidem. Ibidem*, 34. Bell Syst.Tech.
4. *Iidem. Bell Syst. Tech. J.*, 41, 4, 1962, 1295.

ქ. ფანწევიძე

გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემა
საქართველოს ენერგოსისტემის დიაგნოსტიკურების
ამოცანისათვის

წარმოდგინა აკადემიური სამართლებრივი კურსის 6.09.1996

1. შესავალი. ენერგოსისტემის ფუნქციონირება ხასიათდება ტელეგაზომვათა და ტელესიგნალიზაციის პარამეტრებით. ტელეგაზომვებში შედის მონაცემები დატვირთვების, სიმძლავრეების, სიხშირისა და ძაბვის შესახებ. ხოლო ტელესიგნალიზაცია ასახდება ჩამრთველების მუშაობას. ენერგოსისტემის ხორმალური ფუნქციონირების პირობებში ყველა პარამეტრი ღებულობს გარკვეულ ნორმალურ მნიშვნელობებს. სადისპეტჩერო მართვის პულტზე ამ პარამეტრთათვის ხორმალური მნიშვნელობიდან გადახრილი სიდიდის დაკვირვება და აგრეთვე ამ სიდიდის დროზე დამკიდებულება მიუთითებს ავარიულ შეტყობინებაზე. აღნიშნულ შეტყობინებათა მცირე რაოდენობის შემთხვევაში უწესიერობის დროული დადგენა დავილია, მაგრამ როდესაც ხდება დიდი ავარია, სადისპეტჩერო პულტზე ერთბაშად მოდის დიდმალი ინფორმაცია. ამ მონაცემებში გარკვევა რეალური დროის პირობებში ძალზე რთულია, მითუმეტეს რომ ასეთ დროს მატულობს დუბლირებული, მეორეხარისხოვანი და არაცალსახა შეტყობინებები.

ამ მიზეზებმა განაპირობა ენერგოსისტემის მდგომარეობის დიაგნოსტიკურების ამოცანისათვის ხელოვნური ინტელექტის მეთოდოლოგიისა და არამკაფიო სიმრავლეთა თეორიის აპარატის გამოყენება.

შემოვიტანოთ ძირითადი აღნიშვნები:

ცხრილი

აღნიშვნა	ექსპერტონთა თეორიაში	დისკრიმულ ანალიზში	ენერგოსისტემის დიაგ. ამოცანაში
S	ობიექტთა სიმრავლე	ნიშანთა სიმრავლე	ა. შეტყ. სიმრავლე
H	თვისებათა სიმრავლე	პიპოთებათა სიმრავლე	ავარიითა სიმრავლე
E	ექსპერტთა სიმრავლე	სიტუაციათა სიმრავლე	დისპეტჩერთა სიმრავლე

გარდა ამისა, (S), (H) და (E) სიმრავლეების კარდინალური რიცხვი აღნიშნოთ შესაბამისად: C_S, C_H, C_E.

ექსპერტონთა თეორია, რომელიც განკუთვნილია ცოდნის შეძენის, დამუშავებისა და წარმოდგნისათვის, იძლევა ექსპერტთა გრუფის გამოკითხვით მიღებულ ინტერვალურ მონაცემთა დამუშავების საშუალებას. ამასთან, ინფორმაცია წარმოიდგინება დამაგრებლობის დონეების შიხედვით ინტერვალურ მონაცემთა განაწილებით, რაც ცოდნის დამუშავების პროცესში თვისობრივიდ უფრო ახლოს



არის ადამიანის აზროვნებასთან. საბოლოოდ, ექსპერტონთა საუკუმელზე კონსტრუირდება ადვილად განახლებადი ცოდნის ბაზა. რაც შეეხება დასკვნების გამოტანის მექანიზმს, დისკრიმინაციული და ბმულობის ანალიზი, როგორც ბაიტის აღმატური მეთოდის ალტერნატივა ამოცანის არამქაფიო ასპექტში დასმის პირობებში, წარმოადგენს კლასიფიურად ეფექტურ მიღობას დიაგნოსტიკურ პრობლემატიკაში, ხოლო მისი მოდიფიკაცია იძლევა იმ პრობლემების გადაჭრის საშუალებას, რაც ვერ ხერხდება კლასიფიური მიღობას ფარგლებში.

2. ექსპერტონთა თეორიის მეთოდი და ცოდნის ბაზის აგება. ხელოვნური ინტელექტის მიღობაში ცოდნის ბაზის კონსტრუირებისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ექსპერტთა გამოყითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავების მეთოდოლოგიას, და განსაკუთრებით, ცოდნის ბაზის ადვილად განახლებადობის პრობლემას. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი ექსპერტის ან პროცესში მონაწილე ახალი ობიექტების დამატების შემთხვევაში, ადვილად უნდა შეიძლებოდეს მეთოდში სათანადო ცვლილებების შეტანა და მის საფუძველზე ცოდნის ბაზის მოდიფიკირება. ამ პრობლემების გათვალისწინებით შემუშავებულ მიღობაში საჭირის ცოდნის ბაზის მომზადება ხორციელდება ექსპერტონთა თეორიის აპარატის საფუძველზე.

ქვემოთ მოყვედ არის მოყვანილი ექსპერტონთა თეორიის ძირითადი დებულებები [1, 2].

ყოველი არამქაფიო სიმრავლე \tilde{L} , დეკომპოზიციის თეორემის თანახმად, წარმოიდგინება L_α α -დონის მკაფიო სიმრავლეთა გაერთიანებით:

$$\tilde{L} = \max_{\alpha_i} [\alpha_1 L_{\alpha_1}, \alpha_2 L_{\alpha_2}, \dots, \alpha_n L_{\alpha_n}], \quad 0 \leq \alpha_i \leq 1, \quad i=1, 2, \dots, C_L,$$

სადაც C_L არის \tilde{L} სიმრავლის კარდინალური რიცხვი. როდესაც α_i შემთხვევითი სიღილეებია, მიღება ე.წ. აღმატური, ანუ შემთხვევითი არამქაფიო სიმრავლე. ექსპერტონი წარმოადგენს აღმატური სიმრავლის განზოგადებულ ცნებას, როდესაც თითოეული α -კვეთის აღმატობა იცვლება ექსპერტების აზრთა სტატისტიკიდან მიღებული სუბიექტური აღმატობების ინტერვალებით.

ვთქვათ, ექსპერტთა ჯგუფი ($\text{სიმრავლე } \{S\}$) ყოველი $S_i \in \{S\}$ ელემენტის შესახებ (სადაც $\{S\}$ არის გარკვეული ტიპის აბიექტთა უნივერსალური სიმრავლე) იძლევა შეფასებას დამაჯერებლობის ინტერვალის სახით, თუ რამდენად არის იგი რომელიმე კონკრეტული მახასიათებელი თვისების მატარებელი, მაგალითად, $H_k \in \{H\}$, სადაც $\{H\}$ არის შესაძლო თვისებითა სიმრავლე:

$$\forall S_i \in \{S\}, \forall H_k \in \{H\}: [a_{ik}^j, a_{ik}^{**}] \subset [0, 1], \quad j = 1, \dots, C_E, \quad (1)$$

სადაც a_{ik}^j და a_{ik}^{**} არიან შესაბამისად ინტერვალთა ქვედა და ზედა საზღვრები.

აღვნიშნოთ $\alpha \in [0, 1]$ დამაჯერებლობის დონე. კერძოდ, შესაძლოა დავუშვათ, რომ ეს არის $\alpha \in \{0; 0,1; 0,2; \dots; 0,9; 1\} \subset [0, 1]$. თუ თითოეული α -თვის, დამაჯერებლობის დონეთა სიმრავლეზე, განვსაზღვრავთ სტატისტიკებს და (1) მონაცემებს დავამუშავებთ ე.წ. სტატისტიკურ-კუმულატური კანონის (სკკ) მიხედვით, რომელიც შეეხება ინტერვალთა ქვედა და ზედა საზღვრებს დამოუკიდებლად:

$$Z_{*ik}(\alpha) = \frac{1}{C_E} \sum_{j=1}^{C_E} U_{-}(a_{ik}^j - \alpha), \quad Z_{ik}^{*}(\alpha) = \frac{1}{C_E} \sum_{j=1}^{C_E} U_{-}(a_{ik}^{**j} - \alpha),$$

$$\text{საღაც } U_-(x) = \begin{cases} 1, & x \geq 0, \\ 0 & \text{სხვა შემთხვევაში.} \end{cases}$$

მივიღებთ ექსპერტობის \tilde{A} :

$$\forall S_i \in S, \forall H_k \in \{H\}: \forall \alpha \in [0, 1]: \tilde{A}(\alpha) = [Z_{*ik}(\alpha), Z_{ik}^*(\alpha)]. \quad (2)$$

ექსპერტონთათვის განმარტებულია იგვე ალგებრული თუ ლოგიკური ოპერაციები, რაც ალბათური და არამაფიო სიმრავლეებისათვის. აღსანიშნავია, რომ ექსპერტონის კონცეპტი არის ორმაგი ბუნების მატარებელი - არამაფიო და სტატისტიკური. არამაფიო ასპექტი განპირობებულია ექსპერტთა ცოდნაში, მათ მოსაზრებებში არსებული განუზღვრელობის ფაქტორით, ხოლო სტატისტიკურ ასპექტს განსაზღვრავს, ერთი მხრივ, ექსპერტთა ჯგუფის შემთხვევითი არჩევანი, შეორე მხრივ, ეს ფაქტორი არაცხადად ჩადებულია ექსპერტთა გამოყენებაში.

3. ენერგოსისტემის დიაგნოსტირების ამოცანაში ცოდნის ბაზის აგება. ენერგოსისტემის დიაგნოსტირების ამოცანაში $\{S\}$ შეესაბამება ავარიულ შეტყობინებათა სიმრავლეს, ხოლო $\{H\}$ - ავარიათა სიმრავლეს. ცოდნის ბაზის ასაგებად ექსპერტთა ჯგუფს უსვამენ შეკითხვას: “i-ური ავარიული შეტყობინების (S სიმრავლიდან) პირობებში რა დამაგრებლობით შეიძლება ითქვას, რომ ადგილი ჰქონდა k-ურ ავარიას (H სიმრავლიდან)?”.

კლასიფიკაციური ხასიათის ამ პროცესში, ექსპერტების თავისუფლება რომ არ შეიზღუდოს, მათ საშუალება ეძლევათ, თავისი შეფასება გამოხატონ ინტერვალური ფორმით 100%-იან სკალაზე, ხოლო შემდეგ ხდება ამ სიღილეთა ნორმირება ერთეულოვან ინტერვალზე (განაწილება (1)).

ექსპერტთა გამოკითხვით მიღებული ცხრილი სკალაზი მიხედვით დამუშავების შედეგად მიიღება დამაგრებებლობის დონეების ინტერვალთა განაწილება (2).

ცოდნის ბაზის აგების მოდევნო ეტაპზე ექსპერტონში ინტერვალური საზღვრების გასაშუალებით α დონეების მიხედვით, ვლებულობთ ალბათურ სიმრავლეს, რომელიც, თავისთავად, აწონილი მათემატიკური გოლოდინით დაიყვანება არამაფიო სიმრავლეზე:

$$F_{ik} = \frac{\sum_{\alpha} \frac{\alpha}{2} \cdot |Z_{*ik}(\alpha) + Z_{ik}^*(\alpha)|}{\sum_{\alpha} \alpha}. \quad (3)$$

ასეთი პროცედურა ტარდება თითოეული ავარიული შეტყობინებისათვის დამოუკიდებლად. საბოლოოდ მიიღება სუბიექტურ ალბათობათა ცხრილი, რომელიც შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს როგორც საწყისი ცოდნის ბაზა ენერგოსისტემის დიაგნოსტირების ამოცანაში დასკვნების შექანიშმისათვის. იგი ასახავს $\{S\}$ ავარიულ შეტყობინებათა და $\{H\}$ ავარიათა სიმრავლეებს შორის ურთიერთკავშირს და შეიცავს ინფორმაციას ენერგოსისტემის ფუნქციონირების შესახებ ავარიულ სიტუაციებში.

კლასიფიკაციური ხასიათის ამოცანებისათვის ექსპერტონმა თავისთავად შეიძლება მიიღოს მონაწილეობა ლოგიკური მსჯელობის ნებისმიერ პროცესში მისთვის განმარტებული ლოგიკური ოპერაციების თანაბად. გარდა ამისა, ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღება შესაძლოა განხორციელდეს



უშუალოდ კონსტრუირებული ოპერატორების შეშვეობით. პროცესებისათვის წმინდა ლოგიკური აპარატი სრულყოფილად ვერ ითვალისწინებს სხვადასხვა კონცეპტებს შორის არსებულ ურთიერთოვაშირს. მეორე მხრივ, სასურველია, რომ ეს ასევეტი აისახოს დასკვნების გამორინის მექანიზმშიც. ამან განაპირობა ცნობილი არამეტი დისკრიმინაციული ანალიზის არჩევანი, ხოლო საბოლოოდ - ამ ორი მიღებომის სინთეზური მეთოდის შემუშავება.

4. დასკვნების გამოტანა დისკრიმინაციული ანალიზის საფუძვლზე. დისკრიმინაციულ ანალიზში [3,4], სადაც საწყის საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს $\{S\}$ ნიშანთა და $\{H\}$ ჰიპოთეზათა სიმრავლებს შორის მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთოვაშირის სიხშირული განაწილების ცხრილი, პოსტულირებულია დადგებითი P და უარყოფითი N დისკრიმინაციული ზომები. ამ უკანასკნელთა გამოთვლის პროცესში ხორციელდება ჰიპოთეზების ფარდობითი ანალიზი ნიშნებთან მიმართებაში. ყველ კონკრეტულ სიტუაციაში დაკვირვებულ ნიშანთა $\{S\}$ სიმრავლით დამაჯერებლობის კოეფიციენტი თითოეული k -ური ჰიპოთეზის გამართლებისათვის D^k , $k = 1, \dots, C_H$, გამოითვლება დამხმარე $\{P\}$ და $\{N\}$ ცხრილების საშუალებით, რომელთა მისაღებად P და N ცხრილებში შენარჩუნებულია მხოლოდ დაკვირვებულ ნიშანთა შესაბამისი სტრიქონები.

ჰიპოთეზა D^k -ში მაქსიმალური მნიშვნელობით შეიძლება განვიხილოთ, როგორც ყველაზე მოსალოდნელი ცდომილება. შედეგის სიზუსტე შესაძლოა შეფასდეს არამეტი იმიტობის ნებისმიერი ზომით.

თავისთვალ, დისკრიმინაციული ანალიზის პირდაპირი გამოყენება ენერგოსისტების დიაგნოსტიკურების ამოცანისათვის შეუძლებელია ამოსავალ მონაცემთა სტატისტიკური ხასიათის გამო. კერძოდ, რეალური სურათის მისაღებად საჭიროა, რომ მკვლევარის განკარგულებაში იყოს ექსპერიმენტული შედეგების საგრძნობლად დიდი რაოდენობა, ხოლო ენერგოსისტებისათვის ასეთი სტატისტიკური აღრიცხვა არასრულყოფილია, და ამდენად სანდო არ არის. გარდა ამისა, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სტატისტიკური მიღებამა ვერ მოიცავს არასტანდარტულ სიტუაციებს, როგორიცაა, მაგალითად, იშვიათი მოვლენები, დიდი ავარიები და სხვა.

ამ სირთულეთა დაძლევა შესაძლებელი ხდება დისკრიმინაციული ანალიზის განზოგადებითა და გაფართოებით ექსპერტონთა თეორიის საფუძვლზე. ამ მზნით სიხშირული განაწილების ცხრილი (ანუ საწყისი ინფორმაცია) შევცვალოთ (3) ცხრილით, რომელიც მიიღება ექსპერტონთა თეორიის საშუალებით. ამ შემთხვევაში $\{S\}$ შეესაბამება ავარიულ შეტყობინებათა სიმრავლეს, $\{H\}$ - ავარიათა სიმრავლეს, ხოლო დისპეტჩერები შეადგენენ $\{E\}$ ექსპერტთა სიმრავლეს.

შესაბამისად, ექსპერტთა გამოითხოვს ცხრილის (1) მისაღებად თითოეულმა j -ურმა ექსპერტმა უნდა უპასუხოს შეკითხვას, რომელიც მოყვანილია მესამე პარაგრაფში. ამრიგად, სიხშირული განაწილების ცხრილის ნაცვლად მიიღება სუბიექტურ აღნათობათა ცხრილი, რომელიც იძლევა საწყისი ინფორმაციის სტატისტიკურ ხასიათთან დაკავშირებული სიძნელეების თავიდან აცილების საშუალებას.

ახალი სინთეზური მეთოდი არის ორივე მიღებომის პოზიტიური თვისებების მატარებელი, რამეთუ საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, ეფექტურად იქნეს დამუშავებული ექსპერტთა განუფისაგან მიღებული სუბიექტური ცოდნა, და მეორე

მხრივ, დასკვერების გამოტანის პროცესში დამატებით ასეული მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობა შეირჩევა.

5. არამკაფიო ბმულობის ანალიზის მოდიფიკაცია ენერგოსისტემის დიაგნოსტიკურების ამოცანისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილების მხარდამშერი სისტემის სრული ტესტირება შეუძლებელია ყველა შესაძლო სიტუაციისათვის, და აგრეთვე, ე.წ. „ხმაურიან“ შედეგის თავიდან აცილების მიზნით, დისკრიმინაციული ანალიზის პარალელურად განხილება ბმულობის ანალიზი. ეს უკანასკნელი ბოლდვინის ფორმულირებაში [1] ემყარება სტატისტიკური ხასიათის ინციდენტურობის მატრიცას R^k , რომელიც აიგება თითოეული k -ური, $k = 1, \dots, C_H$. ჰიბონეზისათვის დამოუკიდებლად და ასახვს კავშირს ნიშანთა $\{S\}$ და იმ სიტუაციათა, მოვლენათა $\{E\}$ სიმრავლეებს შორის, რომელთა ღროსაც ცნობილია, რომ უკვე გამართლდა k -ური ჰიბონეზი. მატრიცის თითოეული არამკაფიო ელემენტი (ერთეულოვანი ინტერვალიდან) ასახავს დაკვირვებული ნიშნის აქტიურობას შესაბამის სიტუაციაში. ბმები ნიშანთა წყვილებს შორის წარმოიდგინება $C_S \times C_S$. განზომილების C_s^k ბმულობის მატრიცის საშუალებით.

$$\{\{X_{\pi,b}^k\}: \pi=1, \dots, \Pi\}, k=1, \dots, C_H, \quad (4)$$

სადაც $X_{\pi,b}^k$ არის π -დონის b -ური გვუფი k -ური ჰიპოთეზისათვის.

ბმულობის ანალიზის შინანია თთოეული ჰიპოთეზისათვის გამოიკვეთოს და დაფიქსირდეს მისავის ყველაზე მეტად მახსიათებელ ნიშანთა ჯგუფები (მნე) ბმულობის ღონების მიხედვით. ბოლდვინის ფორმულირებაში ჯგუფის არჩევის კრიტერიუმი არის მისი კარგინალური რიცხვი. გარდა ამისა, ბმულობის ანალიზის პროცედურა სრულდება აგრეთვე ინციდენტურობის მატრიცის დამატებისათვის ($\bar{R}^K = I - R^K$) ისე, რომ “უარყოფითი” ბმულობის ანალიზი გამოავლენს “არა- K ” ჰიპოთეზის მახსიათებელ ნიშანთა ჯგუფებს.

მნე-თა სიმრავლეები როგორც დაფეხითი, ასევე უარყოფითი ბმულობის ანალიზის შედეგად მიღებული, ყველა ჰიპოთეზისათვის მოგვცემს შემდეგ განაწილება:

$$\{\{ G_\pi^k \}, \pi = 0; 0,1; \dots; 1; \{ G_v^{-k} \}, v = 0; 0,1; \dots; 1\}, k = 1, \dots, C_H, \quad (5)$$

სადაც π არიან \tilde{S} ესაბმისად დადგებითი და უარყოფითი ბმულობის დონეთა სიღილეები, ხოლო G_π^k , G_v^{-k} - და π -დონის მნჯ k-ური ჰიპოთეზისათვის. განაწილება (5) შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს როგორც ცოდნის ბაზა ლოგიკური დასკვნების მექანიზმისათვის.

საბოლოო შედეგი კონკრეტულ სიტუაციაში, $\{S\}$ დაკირვებულ ნიშანთა სიმრავლით, წარმოიდგინება ჰიპოთეზათა გამართლების კოეფიციენტთა D^k , $k = 1, \dots, C_H$, განაწილებით:

$$D^k = \frac{1}{2} \cdot \{\mu_{\text{Large}}(R^k) + \mu_{\text{Small}}(R^{-k})\},$$

$$M^k = \frac{1}{\sum_{\pi} \pi} \cdot \sum_{\pi} \left(\pi \cdot \frac{\text{Card}(G_{\pi}^k \cap S')}{\text{Card}(G_{\pi}^k \cup S')} \right), \quad M^{-k} = \frac{1}{\sum_{\nu} \nu} \cdot \sum_{\nu} \left(\nu \cdot \frac{\text{Card}(G_{\nu}^{-k} \cap S')}{\text{Card}(G_{\nu}^{-k} \cup S')} \right),$$

სადაც μ Large, μ Small: $[0,1] \rightarrow [0,1]$ არიან S-ფორმის ზრდადი და კლებადი მახასიათებელი ფუნქციები.

ფუნქცია Card იძლევა ორგუმენტი სიმრავლის კარდინალურ რიცხვს, ხოლო M^k და M^{-k} , სიდიდეები აანალიზებენ $\{S\}$ ნიშანთა ფარდობით წვლილს ბმულობის ღონის შესაბამის მნჯ-ში, და შესაძლოა ინტერპრეტირებულ იქნენ როგორც ორგუმენტული სიმრავლეთა თანხელირის ზომა.

6. ბმულობის ანალიზის მოდიფიკაცია ენერგოსისტემის დიაგნოსტირების ამოცანისათვის. ენერგოსისტემის დიაგნოსტირების ამოცანისათვის ბმულობის ანალიზში ისევ ვაწყდებით საწყისი ინფორმაციის სტატისტიკურ ხასიათთან დაკავშირებულ სინერგებს. ამდენად, ბოლდვინის ფორმულირებაში ბმულობის ანალიზის უშუალო გამოყენება ვერ მოხერხდება. ამ სირთულის დაძლევა შესაძლებელია ინციდენტურობის მატრიცის სტატისტიკური ხასიათის ინფორმაციის ექსპერტულით შეცვლით. ამრიგად, სიტუაციათა სიმრავლის ნაცვლად განვიხილავთ ექსპერტთა სიმრავლეს, ხოლო ახალი ინციდენტურობის მატრიცის შინაარსი იქნება სუბიექტური აღმაოობა. ახლა, ინციდენტურობის მატრიცის r_{ij}^k ელემენტის მისაღებად j -ურ ექსპერტს უსვამენ შეკითხვას: “ k - ური ავარიის პირობებში როგორი დამაგერებლობით იქნება დაკვირვებული i -ური ავარიული შეტყობინება?”

ამ ასპექტში იცვლება ამოცანის დასმა. ახლა ინციდენტურობის მატრიცის არამკაფიო ელემენტი მიუთითებს არა ნიშნის აქტივობას, არამედ სუბიექტურ აღმაობას. შესაძლოა ნიშვნებმა, რომელთაც ბმულობის მატრიცაში შეესაბამებათ გცირე სიღილეები, შექმნან საკმაოდ დიდი ბნები, და გულის შერჩევის ალგორითმშია სწორედ მას მისცეს პრიორიტეტი, მაგრამ ამოცანის ახალი დასმის პირობებში იგი არ იქნება მოცემული როგორც პიპონებშის მახასიათებელი გული.

ამდენად მწვევის არჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს არა მხოლოდ ჯგუფის კარიბიანლური რიცხვი ან ნიშანთა წყვილური თუ გაჭირებური ბმები, რომლებიც განისაზღვრებიან უშუალოდ ბმულობის მატრიციდან, არამედ სუბიექტურ ალბათობათა სიღილე, ანუ R² მატრიცის ელემენტების რიცხობრივი შენიშვნელობა. ამრიგად, უნდა შეიცვალოს მწვევის შერჩევის კრიტერიუმი.

ამ მიზნით შემოვიტანოთ რამდენიმე დამხმარე ცნება და აღნიშვნა.

y_i^k - i-ური ნიშნის დაკვირვების “მოლოდინი” Mk სიტუაციაში:

$y_i^k = \frac{1}{C_E} \sum_{j=1}^{C_E} r_{ij}^k$;
 $Y_{\pi,b}^k, X_{\pi,b}^k$ - ის დაკვირვების “საშუალო მოლოდინი” ,

და $q_{\pi,b}^k$, $X_{\pi,b}^k$ -ის ნორმირებული სიმძლავრე: $q_{\pi,b}^k = \frac{\text{Card}(X_{\pi,b}^k)}{C \cdot S}$.

შემდეგ თითოეული $X_{\pi,b}^k$ ჩგუფისათვის განისაზღვრება კომპლექსური სიდიდე „წონა“:

$$W_{\pi,b}^k = \pi \cdot (\lambda Y_{\pi,b}^k + (1 - \lambda) q_{\pi,b}^k).$$

სადაც $\lambda \in [0,1]$ არის თავისუფალი პარამეტრი, რომლის საშუალებით შესაძლებელია წონაზე მისი შემადგენელი კომპონენტების გავლენის რეგულირება.

მნჯ-ის შერჩევის პროცესში ბოლომდე ნაჩრენდება ბმულობის დონეების მიხედვით ბნე-თა განაწილების ხისმაგარი სტრუქტურა. ყოველ π -ურ დონეზე b -ური ბნე ქმნის წვეროს, რომელიც ხასიათდება $W_{\pi,b}^k$ წონის სიდიდით. გარდა ამისა, თითოეული წვერო ჩგუფთა განაწილების ცხრილში მოთავსებულია კონკრეტულ ტოტზე, რომელიც კრიცელდება ბმულობის დაბალიდან მაღალი დონისაკენ.

საბოლოოდ აირჩევა ტოტი ბმულობის დონეების მიხედვით წონათა საშუალო არითმეტიკულის მაქსიმალური მნიშვნელობით.

კრიძა შემთხვევებში, როდესაც $\lambda = 0$ ვლებულობთ ბოლდვინის კრიტერიუმს ჩგუფის კარდინალური რიცხვის მიხედვით, როდესაც $\lambda = 1$ მნჯ-ის შერჩევისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ ჩგუფში შემავალ ნიშანთა დაკვირვების საშუალო „მოლოდინი“. ხოლო როდესაც $\lambda = 0,5$ ჩგუფის შერჩევისას ორივე კომპონენტი თანასწორუფლებიანად იქნება გათვალისწინებული.

ამრიგად, λ თავისუფალი პარამეტრის ვარირება შესაძლებელს ხდის განსახილველი პროცესის თავისებურებების გათვალისწინებით ჩგუფის შერჩევის კრიტერიუმის რეგულირებას. საზოგადოდ, გამოყენებით ამოცანებში მისი მნიშვნელობა განისაზღვრება ექსპერტების მიერ.

ენერგოსისტემის დიაგნოსტიკების ამოცანაში თავისუფალი პარამეტრისათვის აიღება მნიშვნელობა $\lambda = 1$, ასე რომ, მნჯ-ის შერჩევის ალგორითმში მხედველობაში მიიღება მხოლოდ ექსპერტთა აზრი, ხოლო წონა დაიყვანება შემდეგ სიდიდეზე:

$$W_{\pi,b}^k = \pi Y_{\pi,b}^k.$$

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამები ფორმალური ცვლილებების შედეგად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვა ტიპის ამოცანებისათვის.

და ბოლოს, ავტორი მადლობას უცხადებს „სამშენებლოს“ დეპარტამენტის მატემატიკური მართვის ცენტრის დირექტორს ბ-ნ ბ. კოურიძეს მუშაობის პროცესში კონსულტაციების გაწევისათვის.

ლიტერატურა

1. A.Kaufmann. Fuzzy Sets and Systems, **28**, 3, 1988, 295-304.
2. T.G.გახეთაძე, K.M.პანტიძე. Автоматика и телемеханика 3, 1996, 128-134.
3. J.F.Baldwin, D. Norris, B.W.Pilsworth. Fuzzy Sets and Systems, **23**, 1987, 73-87.
4. K.M.პანტიძე. Вестник Академии наук Грузии, **150**, 2, 1994, 237-241.

რ.ნაცვლიშვილი

შავი ორმოები, კვაზიარები და გალაქტიკები მათი ევოლუციური
კავშირის თვალსაზრისით

წარმოადგინა აკადემიუმა ე ხარაჯე 27.02.1997

სამყაროს გაფართოება დამზერითი ასტრონომიის უდავო ფაქტია. ამ მოვლენის შესახებ წარმოდგენა სათავეს იღებს ფრიდმანის წინასწარმეტყველიდან და დასაბუთებულია ჰაბლის კანონის -V=HR- აღმოჩენით. ამ კანონის თანახმად, რაც უფრო შორსაა ობიექტი, მით მეტია მისი მოშორების სიჩქარე, რომელიც ცალსახად მიუთითებს სამყაროს გაფართოებაზე. მსხვილმას შტაბიან სამყაროში, დიდი ძრის მოშენტიდან დღემდე, როგორც ცნობილია, ხდება მატერიის თანდათანობითი გადასვლა უფრო მკვრივი მდგომარეობიდან ნაკლებად მკვრივში. თუ გაფართოებას დავახასიათებთ ჰაბლის მუდმივათი, როგორც მუდმივა, იგი ახასიათებს სამყაროს მხოლოდ მყისიერად, რაფან დიდი ძრის შემდეგ ხდება სამყაროს გაფართოების თანდათანობითი შენერლება. ასე რომ, ჰაბლის მუდმივა, ფართო გაგებით, მუდმივა კი არაა, არამედ იცვლება დროში- $H=H(t)$. თუ მთელ სამყაროს ერთდროულად დავაკვირდებით, შევამჩნევდით ჰაბლის მუდმივას ჭრევას, მაგრამ სინათლის სიჩქარის სასრულობის გამო ეს შეუძლებელია. ამიტომ რეალურად ვერასოდეს ვერ შევძლებთ ჩვენს ირგვლივ არსებული დაკვირვებადი სივრცის მყისიერად დამზერის. კოსმოლოგიისა და კოსმოგონიის თვალსაზრისით, არავითარი საფუძველი არა გააქვს, რომ ეს სივრცე ანიზოტროპიულად ჩავთვალოთ. მასასადამე, ჩვენს ირგვლივ გვაქვს სიმეტრიული სივრცე, რომელიც ერთგვაროვანია მსხვილმას შტაბში და მუდმივად გაფართოების მდგომარეობაში იმყოფება. რადგანაც ეს სივრცე მყისიერად არ განიჭრიტება, ამიტომ ჩვენ ვაკვირდებით იზოტროპიულ, მაგრამ არაერთგვაროვან სამყაროს. სამყაროს ცნების დროს ვგულისხმობთ ჩვენს ირგვლივ არსებულ სფერულ სივრცეს, ყველაზე შორეულ დამზერილ ობიექტამდე მანძილის რადიუსით. იმის გამო, რომ რაც უფრო შორსაა დამზერილი ობიექტები, მით უფრო აღრეულ სტრუქტი მოჩანს ისინი და ჰაბლის მუდმივა იცვლება დროში- იგი განსხვავებულია სამყაროს სხვადასხვა მანძილზე მყოფი წერტილისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ შესაძლებელი იქნებოდა ჰაბლის მუდმივას ცვლილებისადმი თვალის მიღევნება სივრცის რომელიმე მიმართულებით, მაშინ შევძლებდით სამყაროს გაფართოების შენერლების ხასიათის აღმოჩენას იმ მოშენტიდან, როდესაც ჩამოყალიბდება ის ობიექტები, რომლებსაც დღეს ვხედავთ დამზერილი სამყაროს საზღვარზე.

თუ მივიღებთ სამყაროს ასეთ კოსმოლოგიურ მოდელს, შევიძლია დავახასიათო იგივე სამყაროს კოსმოგონიური სტრუქტურა.

კვაზიარებსა და გალაქტიკებზე უფრო მასშტაბური სამყაროში არაფერი დაიმზირება. ესენია ჩვენგან ყველაზე შორეული და ყველაზე ახლობელი ობიექტები. შესაბამისად ყველაზე შორეულ ობიექტებს ვხედავთ უშორესი წარსულის მდგომარეობაში, ხოლო ყველაზე მახლობლებს ისეთებად, როგორებიც ისინი ახლა



არიან. შეიძლება აღნიშნოთ, რომ მილიონობით წლების რიგის დრო გალაქტიკების ევოლუციისათვის უზრიშვნელოა, რადგანაც მილიონობით სინათლის წლების მანძილზე ჩანს ისეთივე გიგანტური გალაქტიკები, როგორიცაა ჩვენი გალაქტიკა. მაგალითად, ევოლუციურ ასპექტში პრინციპული განსხვავება არ არის ჩვენს გალაქტიკასა და ანდრომედას გალაქტიკას შორის. ასე რომ, ახლანდელ სტატუსზე, მილიონობით წლების განმავლობაში მთელი გალაქტიკის შესამჩნევი ევოლუციური ცვლილება არ ხდება.

მაგრამ, როდესაც გალაქტიკებიდან გადავდივართ უფრო შორეულ ობიექტებზე-კვაზარებზე, აქ უკვე საქმე გვაძეს სამყაროს აღრეულ სტადიასთან. სწორედ ასეთი სტრუქტურა პქნნდათ სამყაროს ობიექტებს მილიარდობით წლების წინ. რაც უფრო დიდი Z-ის მქონე ობიექტებში გამოვლინდება, სამყაროს მით უფრო აღრეულ სტადიაზე ხილვას შევძლებთ და კვაზარების ევოლუციის მით უფრო აღრეულ სტადიაზე მოგვეცემა წარმოდგენა.

ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ კვაზარები წარმოადგენენ გალაქტიკების ევოლუციის აღრეულ სტადიას. შორეული კვაზარებიდან მოყოლებული, ნორმალურ გალაქტიკებამდე, როგორც ჩანს, არ არსებობს არავითარი ევოლუციური ვაკუუმი და მათ შორის ევოლუციური შუალედი შესებულია შუალედური ობიექტებით.

აქედან გმომდინარე, თუ გავანალიზებთ ობიექტებს კვაზარებიდან ჩვენს გალაქტიკამდე Z სიდიდის მიხედვით, კვაზარებსა და ჩვეულებრივ გალაქტიკებს შორის ევოლუციური მიმდევრობა თვალსაჩინოდ შეივსება, თანდათან შეიცვლება რა შესაბამისი მახასიათებლები კვაზარებიდან დაწყებული, ნორმალურ გალაქტიკამდე.

მაგალითად, კვაზარებსა და ნორმალურ გალაქტიკებს შორის საშუალედო ობიექტები იქნება: სეიფერტის გალაქტიკებში, გალაქტიკებში ულტრაიისფერი სიკარბით, კომპაქტური გალაქტიკები, გალაქტიკები მკვრივი ბირთვებით-კერნებით, საქრთოდ გალაქტიკები აქტიური ბირთვებით და სხვა ტიპის გალაქტიკები, რომელებიც სხვადასხვა ფიზიკური პარამეტრების მიხედვით ანორმალურია არიან.

ამ პიპორეზიდან გამომდინარეობს: კვაზარები, რადგანაც ისინი აღრეული სამყაროს ობიექტებია, ამიტომ წარმოვიდგენენ სივრცეს აღრეულ სტადიაზე, ე.ი. სივრცე დაიკვირვება სამყაროს დიდ ძრავასთან უფრო “ახლოს” დროში, რა თქმა უნდა, იმ აღრეულ სტადიაზე, როდესაც იგი იყო უფრო კომპაქტური, უფრო მკვრივი და უფრო სწრაფი. ამიტომ კვაზარებს ჩატარებულ გაკირდებით უფრო ახლო მანძილზე, ვიდრე შეიძლებოდა ჩაგვეთვალა დღევანდელი ჰაბლის მუდმივას მიხედვით.

გამოდის რომ, ერთის მხრივ, კვაზარები გალაქტიკების ევოლუციის აღრეული სტადია, როცა სამყარო უფრო მკვრივი იყო, ხოლო მეორეს მხრივ, ისინი აღმოჩნდა გაცილებით უფრო ახლოს ჩვენთან. კვაზარების გამოსხვება, რომელიც ახლა ჩეგისტრირდება, წარმოშობილია მაშინ, როდესაც სამყაროს ზომები უფრო მცირე იყო, და კიდევ, რადგანაც განსხვა ეხება ისეთ მკვრივ და მასიურ გამომსხვევებს, როგორიცაა კვაზარები, მათგან მომავალი გამოსხვება უნდა გრიციდიდეს გრავიტაციულ წითელ წანაცვლებას. ამგვარი მსჯელობიდან გამომდინარე, იოლდება კვაზარების გამოსხვების სიმეტრივის პრობლემა, მით უფრო, რომ თუ კვაზარები გალაქტიკების ევოლუციის აღრეული სტადია, მათ უნდა ჰქონდეთ გაცილებით დიდი მასები, ვიდრე ნებისმიერ გალაქტიკას. მატერია ისეთ მდგომარეობაში, როგორსაც კვაზარები წარმოადგენენ, შეიძლება არც ემორჩილებოდეს ფიზიკის იმ კანონებს,



რომლებიც ხსნიან
გალაქტიკისათვის

ამგარენად, კვაზიარები წარმოადგენენ, ჩვენი გაეგბით ვარსკვლავამდელი ნივთიერების ფრაგმენტებს. ვარსკვლავები-ესენია კვაზიარების ევოლუციის ყველაზე ბოლო სტადიის ობიექტები. როგორც ჩანს, კვაზიარების სტადიას შოსდევს მკვრივი ბირთვი შეონე სფერული გალაქტიკისმაგარი წარმოაქმნები, რომელიც ჭერ კიდევ არახელსაყრელია ვარსკვლავთმოსახლეობის ფორმირებისათვის. ასეთი მკვრივი ბირთვების ირგვლივ ჰალოს წარმოქმნა უკვე ვარსკვლავიერი სამყაროს ფორმირების დასაწყისია.

ამგვარ იერარქიაში აუცილებელი არაა განსაკუთრებული ფიზიკური თვისებების შენონე, სინგულარული და წოდებული, სამყაროს მატერიის ცნების შემოტანა დიდი ძვრის წინ. შავი ორმო თავისი სინგულარობით სრულიად საკმარისია, და რაღაც დიდი ძვრისწინა საწყისი შავი ორმოსათვის ნიშანდობლივია არასტაციონარულობა, აკრძალული არაა არასტაციონარულობა მისი ფრაგმენტებისთვისაც დანაწევრების მომდევნო სტადიაზე. აქედან გამომდინარე, შავი ორმოები გალავტიკაში შეიძლება ჩავთვალოთ კვაზირამდელი ნივთიერების ფრაგმენტებად, რომლებიც შემდგომში შემორჩინა კვაზირების შიგნით მათი ევოლუციის ყველა ეტაპზე.

კვაბარების კომიტენის თვალსაზრისით, როცა მ მიეკუთხდის აღრეული ევლუციური სტადიის ფორმა შავი ორმოა, აქედან გამომდინარე, გალაქტიკებისათვის დასაშვებია მკვრივი ბირთვები კვაბარის შემდგომ სტადიაზე, ხელის მიერთონ შავი ორმოების სახით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია

ვ. აბაშიძე

ენგურპესის რაიონში გეოლინამიკური პროცესების
დახრისმზომებით და ექსტენზომეტრებით ჩატარებული
გამოკვლევების ძირითადი შედეგები

წარმოადგინა აკადემიური ბ.ბალავაძე 9.09.1996


თანამედროვე დიდი წყალსაცავებიანი ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა და ექსპლუატაცია არსებით გავლენას ახდენს ირგვლივ გარემოზე, იწვევს რა ფიზიკური ველების მნიშვნელოვან ცვლილებებს ნაგებობების ფუძის ქანგიან და ატმოსფეროსთან ურთიერთობების ზონაში [1]. ამიტომ გეოეკოლოგიური კონტროლის გეოფიზიკური კრიტერიუმების შექმნა, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნება მსხვილი ჰიდროტექნიკური ობიექტების მშენებლობა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დონამიკური პროცესების დაკვირვება და პროგნოზირება, წარმოადგენს პირველხარისხოვან მნიშვნელობის მოცავას. სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ ენგურპესის მშენებლობის მიზანი წარმოადგენდა: ენგურპესში ჩაგვეტარებინა დახრისმზომითი და ექსტენზომეტრიული გამოკვლევები. ამ კვლევების მიზანს წარმოადგენდა: ენგურპესის სათავო ნაგებობის რაიონში დედამიწის ქერქის თანამედროვე ტექტონიკური მოძრაობების ფონური მნიშვნელობების შესწავლა; კაშხლის ფუძეში გეოლოგიურად დადგენილი სტრუქტურულ ბლოკების მოძრაობების დიფერენცირებულობის და აქტიურობის ხარისხის დადგენა; ადამიანის ტექნოგენური მოღვაწეობის შედეგად დედამიწის ქერქის მოსალოდნელი დეფორმაციების ხასიათის გამოკვლევა; ექსპლუატაციის პერიოდში წყალსაცავში წყლის დონის რეგულირების მატიძალური სიჩქარეების დადგენა, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰესის უსაფრთხო მუშაობას [2].

ამ ამოცანის შესასრულებლად მდ. ენგურის ორივე ნაპირზე შეირჩა გვირაბები, სადაც ორგანიზებულ იქნა პრეციზიული სტაციონალური დაკვირვებები დედამიწის ქერქის ზედაპირულ ნაწილში ტექტონიკური მოძრაობებისა და დეფორმაციების შესაწავლად. დაკვირვებათა კომპლექსი განხორციელდა ოსტროვსკის სისტემის ფორმელების დახრისმზომებით, ჰიდროსტატიკური დონის მშობებით და კარცის ექსტენზომეტრებით.

ენგურპესის რაიონში პირველი დაკვირვებები დაიწყო 1967 წელს გვარის ერთ-ერთ გვირაბში. ეს სადგური კაშხლიდან ენგურის დინების მიმართულებით ვე. მ. იყო დაცილებული. მივიღეთ რა მხედველობაში ენგურპესის სათავო ხაგებობის რთული გეოლოგიური აგებულება, უშუალოდ კაშხლის მახლობლობაში 1969-72 წლებში გახსნილ იქნა 7 დახრისმზომითი სადგური; მათ რიცხვში ორ-ორი NN 185, 183 და 3413 გვირაბებში, რომლებიც სხვადასხვა პორიზონტებზე გადაკვეთენ თაღოვანი კაშხლის ფუძეში გამავალ რღვევას. მეშვიდე სადგური განლაგებული იყო მდ. ენგურის მარცხნა ნაპირზე, გვ. N 160-ში. მოგვიანებით, 1974 წ. NN 3413 და 183 გვირაბებში რღვევაზე მისი გავრცობის



თოქმის გართებულად დაყენებულ იქნა აგრეთვე 22 და 35 მ სიგრძის საფურცელო საფურცელო ექსტრენზომეტრები და ჰიდროსტატიკური დონის მზომები. 1980 წლიდან წყალსაცავის აღმოსავლეთ ნაპირზე, ერთ-ერთი გვერდითი დისლოკაციის ფრაზე, ხუდონის გვირაბში სეისმურ სადგურთან ერთად დაიწყო დახრისმზომითმა და ექსტრენზომეტრიულმა სადგურებმა (სურ.1).



სურ.1. ენგურპესის რაიონში დახრისმზომითი და ექსტრენზომეტრული სადგურების განლაგების სქემა.

მიღებულია თანამედროვე ტექტონიკური მოძრაობების ფონური მნიშვნელობები და დაფარილია მათი დროში ცალებადობის ხასიათი. კაშლის მშენებლობის მთელ ტერიტორიაზე დედამიწის ზედაპირის დახრების მნიშვნელობები მცირეა და წელიწადში 5 კუთხურ წამს არ იღება ტება. ეს დახრები, რომელთა ღომინირებული მიმართულება სამხრეთ-აღმოსავლეთია, განპირობებულია იმ ტექტონიკური პროცესებით, რომლებიც კარგად არგუმენტირებული გეოლოგიური და გეოდეზიური გამოკლევებით არის დადგენილი.

მაჩვენა სანაპიროს რღვევის ზონაში წყალსაცავის ავსებამდე ჩატარებული დახრისმზომითი, დეფორმაციებული და ექსტრენზომეტრული დაკვირვებებით კაშლის ფუძეში არსებულ სტრუქტურულ ბლოკებს შორის მეტყვიდრეობითი დიფერენცირებული ტექტონიკური მოძრაობები არ გამოვლინდა. ამ მაღალი სიზუსტის იმსტრუმენტული დაკვირვებებით დადასტურდა ადრე გეოსტრუქტურული გამოკლევებით გაეკეთებული დასკვნა. რღვევაზე მეტყვიდრეობითი და ეტეური ტექტონიკური მოძრაობების არასრებობის თაობაზე. რღვევის ზონაში ბლოკებს შორის გამოვლენილ გადაადგილებებს და მიკროდეფორმაციებს დაახლოებისა და დაცილების მონაცვლეობის ხასიათი აქვს, დაცილების პროცესის სიპარბით. რღვევაზე ბორტებს შორის გადაადგილების ფონური მნიშვნელობები წელიწადში 60-80 მეტ არ იღება ტება.

წყალსაცავის ავსების დაწყებიდან შეინიშნა დეფორმაციული პროცესების გაძლიერება, რომელიც კაშხალის რაიონში დედამიწის ქრექის ანომალურ დახრებში

აღნიშნულ ექტენზომეტრი სადგურებში ისტროვსკის სისტემის დახრისმზომების მგრძნობიარობა ხელის შემშლელი ფონის მიხედვით ცალებადობდა 1000-300 მმ/კუთხ.წმ. ფარგლებში. კვარცის ექსტრენზომეტრების მგრძნობიარობა ფორმოცტიკური რეგისტრაციით გადაადგილებისადმი უდრიდა 0,15-0,18 მეტ/მმ-ზე, ხოლო დეფორმაციისადმი $(0,7-0,8) \cdot 10^{-3}$ 1/მმ. ჰიდროსტატიკურ დონის მზომზე ერთეულოვანი ანათვლის სიზუსტე შეადგენდა ± 10 მეტ.

25 წელზე მეტი ხანგრძლივობით ჩატარებული დახრისმზომით-ექსტრენზომეტრული და სხვა სახის დაკვირვებების განზოგადებული ანალიზი [3] საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: დახრისმზომითი დაკვირვებების საფუძველზე



და დეფორმაციებში გამოვლინდა. ეს ანომალიები ძირითადად ტექნიკური ხასიათისაა, რაც წყალსაცავში წყლის რეგულირებასთან კორელაციით მტკიცდება.

ჩატარებულია დახრისმზომითი და ექსტროზომეტრული დაკირვებათა შედეგების გეოდინამიკური ინტერპრეტაცია და გამოვლენილია კორელაციური კაშირი დედამიწის ქრექის თანამედროვე ტექტონიკურ მოძრაობასა და ენდოგენურ და ექზოგენურ პროცესებს შორის.

ნაჩვენებია, რომ წყალსაცავში წონით ბალანსის შედარებით სწრაფი და ხანგრძლივი დარღვევა იწვევს დედამიწის ზედაპირის ანომალურ დახრებს და დეფორმაციებს, ხოლო მშვიდი ტექნოგენური პროცესების დროს ეს ანომალიები მინიმალურია და გაბატონებულია მუდმივად მოქმედი სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების მჯონე ტექტონიკური ხასიათის დახრები.

დადგნონლია, რომ წყალსაცავში დაბალ ჰორიზონტებზე (450-460 მ-მდე) წყლის დონის რეგულირების დროს კაშხლის კლდოვანი ფუძე ისე მოქმედებს, როგორც კაზიდრეკადი სხეული: წყალსაცავში წყლის მოცულობის მომატების დროს მთელი ქვედა ბიეფის დედამიწის ზედაპირის დახრის ვექტორები წყალსაცავისკენაა მიმართული, ხოლო განტვირთვის დროს— მისგან სამხრეთისკენ.

წყალსაცავის დატვირთვა-განტვირთვის შედეგად რღვევის ბორტებს შორის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ გადაადგილებებს მართალია მონაცვლეობის ხასიათი აქვს, მაგრამ იმდენად მცირეა, რომ ბლოკების ფარდობითი მოძრაობა თითქმის არ შეიძლება.

წყალსაცავში მაღალ ჰორიზონტებზე, განსაკუთრებით წყლის დონის სწრაფი რეგულირების დროს, კაშხლის ფუძეში არსებულ სტრუქტურულ ბლოკებზე წყალსაცავისაგან სხვადასხვა დატვირთვის გამო შეიმჩნევა მათი ფარდობითი მოძრაობები: წყლის დონის აწევის შემთხვევაში შეიმჩნევა ბლოკების არათანაბარი დაწევა, ხოლო წყლის დონის დაწევისას - მათი არათანაბარი ამოწევა. მაღალი სიმაღლეებიდან წყლის დონის დაწევის დროს კაშხლის კლდოვანი ფუძე დაგვინდებით რეაგირებს დატვირთვის მოხსნას: კაშხლის ფუძეში წარმოიშობა არაღრეკადი ხასიათის დეფორმაციები; რაც მეტია წყლის დონის აწევის (1,5 მ/დღე-ლამებში და მეტი) და დაწევის (1 მ/დღე-ლამებში და მეტი) სიჩქარეები, მით მეტია ნარჩენი, არადრეკადი დეფორმაციები. ვინაიდან წყლის დონის დაწევის დროს რღვევაზე წარმოიშობა გაჭიმვითი დეფორმაციები, იგი რაც შეიძლება მინიმალური სიჩქარით უნდა წარმოებდეს. გარდა ამისა, ვინაიდან წყალსაცავის აგსება უფრო მცირე დროში ხდება ვიდრე მისი დამუშავება, ამიტომ რღვევაზე გაჭიმვითი დეფორმაციები კარბობს კუშშვით დეფორმაციებს. ამასთან დაკავშირებით ნაჩვენებია, რომ რღვევაზე გაჭიმვითი დეფორმაციების შემცირების მიზნით წყალსაცავში წყლის დონეთა სხვაობა 70-80 მ არ უნდა აღმატებოდეს.

ენგურის წყალსაცავის უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის აუცილებელია დაცულ იქნეს წყლის რეგულირების სიჩქარე-აწევა არაუმეტეს 1 მ/დღე-ლამებში, ხოლო დაწევა უფრო ნაკლები სიჩქარით. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვაძეს წყალსაცავში წონითი ბალანსის სწრაფ ცვლილებასთან, რაც თავის მხრივ კაშხლის ფუძეში არსებულ სტრუქტურულ ბლოკების დიფერენცირებულ მოძრაობას იწვევს.

აღსანიშნავია, რომ წყალსაცავში წყლის რეგულირების ეს ნორმა დამტკიცებულ იქნა ენგურქესის სამთავრობო მიმღები კომისიის მიერ, როგორც სავალდებულო მიღებული ექსპლუატაციის შუშაკებისათვის.



დახრისმზომითი დაკვირვებების მონაცემებით ჩატარდა მიმოქცევითი დაფინანსებული ანალიზი გერედიკოვის მეთოდით და მიღებულ იქნა ხუთი - M₂, S₂, N₂, O₁, და K₁ ძირითადი მიმოქცევითი ტალღებისათვის ამპლიტუდური ფაქტორი და ფაზათა სხვაობა. ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა 10 დახრისმზომზე ჩატარებული დაკვირვება 6866 დღე-ლამის ხანგრძლივობით და დამუშავდა 172 თვითინი, ორთვიანი და უფრო ხანგრძლივი დროის მქონე დამოუკიდებელი სერია.

მიმოქცევითი დახრების პარმონიულმა ანალიზმა არ გამოავლინა მთავარი მთვარისმიერ ნახევარდღებამურ M₂ ტალღის ამპლიტუდური ფაქტორის ანომალური მნიშვნელობა, რომელიც მიუთითებს რღვევის აქტიურობაზე.

აღმოჩნდა, რომ ამპლიტუდური ფაქტორის მნიშვნელობა წყალსაცავის ავსებამდე მეტია, ვიდრე ავსების შემდეგ. შესაძლებელია ეს მიუთითებდეს წყალსაცავის შექმნის გამო ქანების გეოლოგიურ თვისებების ცვლილებაზე.

ასევე ექსპერიმენტული დაკვირვებების მონაცემებით ჩატარდა მიმოქცევითი დაფინარმაციების პარმონიული ანალიზი პერცევის მეთოდით და მიღებულ იქნა ხუთი ძირითადი მიმოქცევითი ტალღისათვის ამპლიტუდებისა და ფაზათა სხვაობების მნიშვნელობები, როგორც კაშხლის რაიონში, ასევე წყალსაცავის მარჯვენა სანაპიროზე, სადგურ „ხუდონის“ ტერიტორიისათვის.

კაშხლის რაიონში დაკვირვებებით მიღებული მიმოქცევითი ტალღების ამპლიტუდები 1,5-2-ჯერ ნაკლებია თეორიულ მნიშვნელობებზე, რაც კაშხლის შემცველი მასივის კონსოლიდაციაზე მიუთითებს. ეს ვარაუდი დადასტურდა იმავე რღვევის ზონაში ჩატარებული ულტრაბგერითი ტალღების გავრცელების სიჩქარეთა გამოკვლევებით.

წყალსაცავის ავსებამდე და ავსების შემდეგ გამოთვლილმა მიმოქცევითი ტალღების პარამეტრების შედარებამ გვიჩვენა, რომ მათ ამპლიტუდებში მოხდა ცვლილებები, რაც ისევ და ისევ წყალსაცავის რაიონში ქანების რეოლოგიურ თვისებების ცვლილებაზე მიუთითებს.

კაშხლის რაიონში, რღვევაზე და წყალსაცავის რაიონში, მონოლიტურ ქანებში დაფინარმაციის სიჩქარეები წელიწადში შესაბამისად $3,0 \cdot 10^{-6}$ და $1,2 \cdot 10^{-6}$ ტოლია. ექსტენზომეტრიული დაკვირვებებით მიღებული დაფინარმაციის სიჩქარეთა ეს მნიშვნელობები კარგ თანხმდენაშია გეოდეზიურ მანძილმზომებით მიღებულ დაფინარმაციის სიჩქარეების მნიშვნელობებთან.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
გეოფიზიკის ინსტიტუტი

ლიტერატურა

1. А.И.Савич. В кн.: Сб.науч.трудов Гидропроекта, 142. М., 1972, 5-11.
2. Б.К.Балавадзе, В.Г.Абашидзе. Наклоны и деформации земной коры в районе Ингурской РЭС. Тбилиси, 1985, 116 .
3. В.Г.Абашидзе. Диссер.вестник на соискание ученой степени док.физ.-мат.наук. Тбилиси, 1995, 31.

თ.დავითაშვილი, ზ.ხვედელიძე

**კავკასიის ჩეგიონში რადიოაქტივურ ნივთიერებათა გადატანისა
და დალექვის ჩიცხვითი მოდელის შესახებ**

ჭარბობაზე აკადემიური ბ.ბალაგაძე 11.09.1996

საქართველოს რესპუბლიკის ოროგრაფიული თავისებურებებისა და მის ტერიტორიაზე მოქმედ ძირითად მეტეოროლოგიურ პროცესთა გათვალისწინებით, მივმართოთ Ox ღერძი პარალელის გასწვრივ (რომელიც კავკასიის დიდი ქედის თოთქმის პარალელურია), Oy ღერძი მერიდიანის გასწვრივ, ხოლო Oz ვერტიკალურად ზევით.

ჩვენს შემთხვევაში (მივიჩნევთ, რომ Oy ღერძის მიმართ პროცესები ერთგვაროვანია) ატმოსფერული მინარევების გადატანა აღიწერება შემდეგი განტოლებით [1]:

$$\frac{\partial s}{\partial t} + u \frac{\partial s}{\partial x} + w \frac{\partial s}{\partial z} = k_x \frac{\partial^2 s}{\partial x^2} + \frac{\partial}{\partial z} k_z \frac{\partial s}{\partial z} - \alpha s, \quad (1)$$

სადაც S ატმოსფეროში მინარევის კონცენტრაციაა, U, W -შესაბამისად, ქარის სიჩქარის პორიზონტალური ვერტიკალური მდგრელები, K_x -ტურბულენტობის პორიზონტალური და ვერტიკალური კოეფიციენტები, α -კოეფიციენტი, განსაზღვრავს კონცენტრაციის ცვლილებას მინარევის გარდაქმნის საფუძველზე.

განტოლება (1)-ში ქარის სიჩქარის მდგრელები განისაზღვრებან მოძრაობის, უწყვეტობის, და სითბოს მოდენის განტოლებათა საფუძველზე, რომლებიც კვაზისტატიკურ მიახლოებაში და პროცესის მასშტაბის გათვალისწინებით (ინტეგრირების არე მოიცავს შავი ზღვიდან კასპიის ზღამდე ჩეგიონს), შემდეგი განტოლებებით აღიწერებიან [2]:

$$\frac{\partial u}{\partial t} + u \frac{\partial u}{\partial x} + w \frac{\partial u}{\partial z} = - \frac{1}{\rho} \frac{\partial P}{\partial x} + k_x \frac{\partial^2 u}{\partial x^2} + \frac{\partial}{\partial z} k_z \frac{\partial u}{\partial z}, \quad (2)$$

$$\frac{\partial P}{\partial z} = -\rho g, \quad (3)$$

$$\frac{\partial \rho}{\partial t} + \frac{\partial(\rho u)}{\partial x} + \frac{\partial(\rho w)}{\partial z} = 0, \quad (4)$$

$$\frac{\partial \theta}{\partial t} + u \frac{\partial \theta}{\partial x} + w \frac{\partial \theta}{\partial z} = k_x \frac{\partial^2 \theta}{\partial x^2} + \frac{\partial}{\partial z} k_z \frac{\partial \theta}{\partial z}. \quad (5)$$

სადაც ρ, p, θ შესაბამისად, სიმკვრივე, წნევა, და პოტენციალური ტემპერატურაა, გ სიძძიმის ძალის აჩქარებაა.

(1)-(5)-ში ოროგრაფიული ეფექტების გათვალისწინების მიზნით ჭერ გადავწეროთ განტოლებათა სისტემა ახალ $z' = z - r(x, y)$, $x' = x$, $t' = t$, სისტემაში, სადაც ვერტიკალურ



კონტრლინატს ფარდობითი სიმაღლე წარმოადგენს ($r(x,y)$ -დედამიწის აღმწერი ფუნქცია). შემდგომ, თუ მიღებულ განტოლებათა სისტემას გადავწერთ იზობარულ საკონტრლინატო სისტემაში (სადაც ვერტიკალური კონტრლინატა არის $\zeta = p/p_0$, ხოლო $P_0=1000$ მმ ზედაპირზე წნევის მნიშვნელობაა), მაშინ მივიღებთ [2,3]:

$$\frac{\partial u}{\partial t} + u \frac{\partial u}{\partial x} + \tau \frac{\partial u}{\partial \zeta} = - \frac{\partial(\Phi + gr)}{\partial x} + k_x \frac{\partial^2 u}{\partial x^2} + \frac{\partial}{\partial \zeta} k_\zeta \frac{\partial u}{\partial \zeta}, \quad (6)$$

$$\frac{\partial \Phi}{\partial \zeta} = - \frac{R \theta P^{\frac{1}{x}}}{P_0^{\frac{x}{x-1}}}, \quad (7)$$

$$\frac{\partial u}{\partial x} + \frac{\partial \tau}{\partial \zeta} = 0, \quad (8)$$

$$\frac{\partial \theta}{\partial t} + u \frac{\partial \theta}{\partial x} + \tau \frac{\partial \theta}{\partial \zeta} = k_x \frac{\partial^2 \theta}{\partial x^2} + \frac{\partial}{\partial \zeta} k_\zeta \frac{\partial \theta}{\partial \zeta}, \quad (9)$$

$$\frac{\partial s}{\partial t} + u \frac{\partial s}{\partial x} + \tau \frac{\partial s}{\partial \zeta} = k_x \frac{\partial^2 s}{\partial x^2} + \frac{\partial}{\partial \zeta} k_\zeta \frac{\partial s}{\partial \zeta} - \alpha s. \quad (10)$$

რიცხვით მოდელში ტენის, წყლიანობისა და ნალექების გამოთვლა ხორციელდება სრული ტენშემცველობის გადატანის განტოლების საშუალებით.

$$\frac{\partial Q}{\partial t} + u \frac{\partial Q}{\partial x} + \tau \frac{\partial Q}{\partial \zeta} = k_x \frac{\partial^2 Q}{\partial x^2} + \frac{\partial}{\partial \zeta} k_\zeta \frac{\partial Q}{\partial \zeta}, \quad (11)$$

სადაც $Q = q + m$ სრული ტენშემცველობაა, q -წყლის ორთქლის ხედრითი მნიშვნელობა, m -ხვედრითი წყლიანობის მნიშვნელობა.

ნალექების საპროგნოზო სქემა ორი ეტაპისაგან შედგება. დროის ყოველ ბიჭზე, მას შემდეგ რაც დამთავრდება პირველი ეტაპი, რომელიც ჩვეულებრივად სასრულ-სხვაობიანი მეთოდებით განტოლებათა სისტემის ინტეგრირების პროცესს წარმოადგენს, მეორე ეტაპზე წარმოებს წყლის ორთქლის, წყლიანობის და ტემპერატურის მახასიათებელი სიდიდეების ურთიერთშეთანხმება. ჩვენ მიერ შემოთავაზებული ნალექების საპროგრამო სქემა მეთოდოლოგიის თვალსაზრისით ემთხვევა [3,4], მაგრამ შეიცავს მთელ რიგ თავისებურებებს, რომლებიც გადმოცემულია [5]-ში.

(6)-(11) განტოლებათა სისტემა იხსნება მართულობის არეში $\Omega_1 = \{0 \leq x \leq L, 0 \leq \zeta \leq 1\}$ საზღვრით Γ_1 , შემდეგი საწყისი და სასაზღვრო პირობებით:

$$\text{როცა } t = 0, \text{ მაშინ } u = u_0, \theta = \theta_0, s = s_0, Q = Q_0. \quad (12)$$

საწყისი ველები u_0, Q_0 და θ_0 , რიცხვითი გათვლების დროს აიღებიან [1,5]-ის მსგავსად, ხოლო s_0 -ის სივრცულ განაწილებას ჩვენ ვაძლევთ შემდეგნაირად: მივიჩნიოთ, რომ პორიზონტულური მიმართულებით როცა $t=0$ ერთგვაროვანია (ამ შემთხვევაში ტურბულენტობის გავლენა პორიზონტულური მიმართულებით უმნიშვნელოა) და ვერტიკალური სიჩქარის მნიშვნელობა წარმოდგენილია მინარევის დალექვის საშუალებით. ასეთ პირობებში (10) ასე გადაიწერება:

$$u(\zeta) \frac{\partial s_0}{\partial x} - \tau \frac{\partial s_0}{\partial \zeta} = \frac{\partial}{\partial \zeta} k_\zeta \frac{\partial s_0}{\partial \zeta} - \alpha s_0. \quad (13)$$

(13)-ში $k(\zeta)$ წარმოვადგენთ იუდინ-შვეცის მოდელის საშუალებით. (13)-ის არეში ამოხსნა ζ_h სიმაღლეზე მოთავსებული წყაროსათვის ვეძებოთ შემდეგი სასაზღვრო პირობებით

$$s_0(x, s_{\max}) = 0, \quad (14)$$

$$\left. \frac{\partial s_0}{\partial \zeta} \right|_{\zeta=1} = 0, \quad (15)$$

$$s_0(x, \zeta_{X=X_0}) = s_1(x, \zeta), \quad (16)$$

სადაც $s_1(x, \zeta)$ წარმოადგენს შემდეგი განტოლების ამონახსნს

$$\frac{\partial s_1}{\partial x} = A \frac{\partial^2 s_1}{\partial \zeta^2} + B,$$

($A = \frac{k}{u}$, $B = \frac{\tau}{u}$), რომელიც აქმაყოფილებს (14) და (15) სასაზღვრო პირობებს და პირობას

$$s_1(0, \zeta) = \frac{F}{u_h} \delta(\zeta - \zeta_h), \quad (17)$$

სადაც F-მინარევის ატმოსფეროში გამოტყორცის სიმძლავეა, $\delta(\zeta - \zeta_h)$ ფუნქციაა.

განტოლება (13) იხსნება სასაზღვრო პირობებით (14) - (16) და ინტეგრირდება რიცხვითად გადადენის მეთოდით.

(6)-(11) განტოლებათა სისტემა ინტეგრირდება შემდეგი სასაზღვრო პირობებით:

$$\text{როცა } x = 0, u = u_0, Q = Q_0, \theta = -\frac{1}{k} \frac{\partial \Phi}{\partial \zeta}, \frac{\partial \Phi}{\partial x} = \frac{\partial u}{\partial t} + u \frac{\partial u}{\partial x} + \tau \frac{\partial u}{\partial \zeta}, \quad (18)$$

$$\text{როცა } x = L, \frac{\partial u}{\partial x} = 0, \frac{\partial \theta}{\partial x} = 0, \frac{\partial \Phi}{\partial x} = 0, \frac{\partial Q}{\partial x} = 0, \quad (19)$$

$$\text{როცა } \zeta = 1, \theta = \theta(x), \tau = 0, \quad (20)$$

$$\text{როცა } \zeta = 0,5, \frac{\partial u}{\partial \zeta} = 0, \frac{\partial \Phi}{\partial \zeta} = 0, \frac{\partial \theta}{\partial \zeta} = 0, \frac{\partial Q}{\partial \zeta} = 0. \quad (21)$$

რიცხვითი მოდელი ითვალისწინებს ატმოსფეროში მყოფ მინარევთა როგორც მშრალ, ასევე სველ დალექებას. ატმოსფეროდან რადიოაქტიურ ნივთიერებათა მშრალი დალექება წარმოებს გრავიტაციული ძალებისა (დალექების სიჩქარე $W_g = 0,01$ მტ/წ) და კონვექციური დინებებისა საშუალებით (რიცხვით მოდელში განისაზღვრება დალმავალი დინებების სტრენგი). საზოგადოდ რიცხვით მოდელში რადიონუკლიდების ჩამორჩევა ძირითადად წარმოებს ნალექების საშუალებით. მიყიდნენ რომ ღრუბლები სრულად ჩაიპორენ ატმოსფეროში მყოფ მინარევებს და ღრუბლის ქვედა ფენები აბსოლუტურად ჩამორჩეცებიან ნალექებით. რიცხვით მოდელში დროით ყოველ ბიჯზე დგინდება ნალექების არსებობის არები, განისაზღვრება მათში



არსებული რადიონუკლიდების რაოდენობა და გამოითვლება დედამიწის ზედაპირზე ჩამოტანილ რადიოაქტიურ ნივთიერებათა ფაქტური რაოდენობა.

წარმოდგენილი რიცხვითი მოდელის საფუძველზე ჩატარდა რიცხვითი ექსპერიმენტები, რომელიც ძირითადად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ გ. ზე და მიწის ზედაპირზე მეტეოროლოგიური ველების მნიშვნელობებით [6]. როგორც მოდელურმა რიცხვითმა გათვლებმა გიჩვენა დედამიწის ზედაპირზე რადიოაქტიურ ნივთიერებათა ძირითადი მასა დაილექტოდა ატმოსფერული ნალექების საშუალებით. საშუალოდ ყველა ტესტირებული შემთხვევისათვის დასავლეთ საქართველოში დაილექტოდა რადიოაქტიურ ნივთიერებათა საწყისი მასის 70%. ამავდროულად აღინიშნებოდა ქარის სიჩქარის სიდიდის მატება აღმოსავლეთ საქართველოში (საშუალოდ 1,7 მ/წ). აღმოსავლეთ საქართველოში რადიოაქტიურ ნივთიერებათა საერთო მასის ძილიან მცირე რაოდენობა გადმოდიოდა, მიწის ზედაპირზე საწყისი მასის დაახლოებით 3,5% ილექტოდა.

ი.ვეკუას სახ.გამოცემებით მათემატიკუს
ინსტიტუტი

ლიტერატურა

1. თ.დავითაშვილი, ი.ვეკუას გამოყ.მათემ.ინსტ.გაფართოებული სხდომების შრომები, 8. 3, 1993, 38-41.
2. ლ.დავითაშვილი. ი.ვეკუას გამოყ.მათემ. ინსტ. შრომები. 40, 1990, 50-64.
3. Л.Матвеев. Динамика облаков. Л., 1981, 311.
4. В.Кадышников, Л.Лосев. Метеорол.и гидрология, 6, 1985, 49-54.
5. თ.დავითაშვილი, ი.ვეკუას გამოყ. მათემ.ინსტ.გაფართოებული სხდომების შრომები, 6, 3, 1991, 53-56.

ზ.ხვედელიძე

**ატმოსფეროს ზონალური მოდელის ჰიდროდინამიკის
განტოლებათა გამოკვლევა კავკასიის ტერიტორიაზე**

წარმოადგინა აკადემიუმა ბ. ბალვაძემ 20.12. 1996

კავკასიის ტერიტორია მოთავსებულია სუბტროპიკული სარტყელის ჩრდილოეთ საზღვარზე და მოიცავს ზომიერი განედის სამხრეთ ნაწილს. ამიტომ აღნიშნული ტერიტორია განიცდის ეკვატორული და პოლარული მასების ურთიერთშერევის მძლავრ ცირკულაციურ გავლენას. ამასთანავე, β - ეფექტის მოქმედებით, ე. ი. კორიოლისის ძალის განედების მიხედვით ცვლილებებით, ზომიერ სარტყელებში ატმოსფერული დინებები ღებულობენ დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებას და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ვრცელდებიან პარალელის გასწვრივ. ეს კარგად შეიმჩნევა $3 \div 5$ კმ-ის სიმაღლეზე იზობარული სინოპტიკური რუკების ანალიზითან. ტროპიკული ჰაერი ნაწილში კი ტერიტორიის ჩრდილოეთი თავისებურებების გამო ატმოსფერული მასების დინებები ღებულობენ მთავარი კავკასიონის მთაგრეხილის გასწვრივ წაგრძელებულ ფორმას [1]. იმ ჩეგიონალურ და ლოკალურ პროცესებზე, რომლებიც დაიკვირვება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადამწყვეტი გავლენა აქვს დიდი და მცირე კავკასიონის მთებს. ამიტომ მათი დაბასიათება - შესწავლისათვის ერთ-ერთ აუცილებლობას წარმოადგენს ზონალური მოდელის გამოყენება. ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ზონალური მოდელის გამოყენების შესაძლებლობას ადასტურებს ატმოსფეროში მიმდინარე პროცესების მთელი რიგი თავისებურებანი; მათ შორის აღსანიშნავია:

1. სინოპტიკური პროცესები, ჰაერის მასათა შემოჭრის უმცესი შემთხვევები არის დასავლეთის, სამხრეთ- დასავლეთის და აღმოსავლეთის ტიპისა (67%) [2].
2. დასავლეთის ნოტიონ ჰაერის მასას ხვდება რა სურამის ქედი, გარსდენისას წარმოიქმნება ჰაერის ბრუნვითი გრიგალური მოძრაობა, რომელიც ზრდის ტენშემცველობას საქართველოს დასავლეთ ნაწილში, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში ხელს უწყობს მშრალი კონტინენტური კლიმატის შენარჩუნებას.
3. მეტეოროლოგიურ ელემენტთა ველს კავკასიის ქედის გასწვრივ აქვს წაგრძელებული ტენდენცია [2,3,4]. 4. ტროპიკული ტენციერატურა სიმაღლის მიხედვით თოთქმის ყოველთვის ვრცელდება წრფივად. აქეცან გამომდინარე შეიძლება ტროპიკულ განხილულ იქნეს, როგორც პოლიტროპიული გარემო;
5. ცნობილი და მეტად მნიშვნელოვანია ის თავისებურება, რომ მთა-გორიანი ჩელიეფის გამო პროცესები აგრძელდები ბუნებისაა, აქ მნიშვნელოვანია ვერტიკალური სიჩქარე და აჩქარება.

აღნიშნული თავისებურებანი საქართველოს დიდი აღმათობით უზრუნველყოფენ $\Delta/\Delta \ll \Delta/\Delta y$ - პირობის შესრულებას. აქ f - ნებისმიერი მეტეოროლოგიური სიდიდეა, x - ღერძი მიმართულია პარალელის გასწვრივ დასავლეთიდან ატმოსავლეთისაკენ; y - ღერძი კი - შერიდიანის გასწვრივ სამხრეთიდან

ჩრდილოეთისაკენ; z - ღერძი მიმართულია ვერტიკალურად ზემოთ. სითბოს მოდელის განტოლება, შეიძლება ავილოთ აღიაბატურ მიახლოებაში შემდეგი სახით [5].

$$\frac{d}{dt} \ln T = \frac{\gamma - 1}{\gamma} \frac{d}{dt} \ln p, \quad (1)$$

სადაც T აბსოლუტური ტემპერატურა; p - წნევა; $\gamma = c_p/c_v$; c_p - კუთხი სითბოტევადობა მუდმივი წნევის დროს. მოძრაობის განტოლება u -თვის ასე ჩაიწერება:

$$\frac{\partial u}{\partial t} + v \frac{\partial u}{\partial y} + w \frac{\partial u}{\partial z} - lv + l'w = 0 \quad (2)$$

სადაც u, v, w - ქარის სიჩქარის მდგრენელებია შესაბამისად; x, y, z - ღერძები, $l=2w \sin \varphi$ - კორიოლისის ძირითადი პარამეტრია, ხოლო $l'=2w \cos \varphi$ - კორიოლისის მეორე პარამეტრია, w - დედამიწის ბრუნვის კუთხური სიჩქარეა, φ - გეოგრაფიული განედი. განტოლება (2) შეიძლება ასე გადაიწეროს:

$$\frac{d M}{d t} = 0, \text{ გ.ი. } M = \text{const}, \quad (3)$$

სადაც

$$M = u - ly + l'z \quad (4)$$

(4) წარმოადგენს ზონალური მოძრაობის დროს კუთხური მომენტის შენახვის თეორემას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ რეგიონის რელიეფური თავისებურებების გამო $v \neq 0$. ეს მნიშვნელოვანი თავისებურებაა, ვინაიდნ ლოკალური პროცესების შესწავლით დადასტურდა, რომ ხშირად ქარის სიჩქარის სამივე მდგრენელი განსხვავდება ნულისაგან და ამიტომ (4) გამოსახულება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მოძრაობის ინტეგრალი [6]. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით პილროლინამიერი განტოლებათა სისტემა წარმოდგება შემდეგი სახით:

$$\frac{\partial u}{\partial t} + v \frac{\partial u}{\partial y} + w \frac{\partial u}{\partial z} = lv - l'w \quad (5)$$

$$\frac{\partial v}{\partial t} + v \frac{\partial v}{\partial y} + w \frac{\partial v}{\partial z} = -lu - \frac{\partial \Phi}{\partial y} \quad (6)$$

$$\frac{\partial v}{\partial y} + \frac{\partial w}{\partial z} = 0 \quad (7)$$

$$\frac{\partial T}{\partial t} + \frac{1}{\eta} (\Psi, T) = -\frac{1}{\eta} (\gamma_a - \gamma) \frac{\partial \Psi}{\partial y} + \varepsilon, \quad (8)$$

სადაც Φ გეოპოტენციალია; Ψ ქარის ველის დენის ფუნქციაა; $v=(1/\eta)\Psi z$, $w=(1/\eta) \Psi y$; γ_a - ტემპერატურის აღიაბატური გრადიენტი; γ -ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტი; ε -სითბოს ნაკადი; (A,B) - იაკობიანი, $\eta = P_x/P_0$, $P_0 = 1000\theta\delta$; $P_s = P_s(y, z, t)$.

ვისარგებლოთ სიჩქარის გრიგალის გამოსახულებით x ღერძის მიმართ (არა z ღერძის მიმართ, როგორც ეს მიღებულია კვაზიგეოსტრიფიულ მიახლოებაში)

$$\Omega_x = \frac{\partial w}{\partial y} - \frac{\partial v}{\partial z} = \frac{1}{\eta} \Delta \Psi - \frac{1}{\eta^2} \left(\frac{\partial \Psi}{\partial y} \frac{\partial \eta}{\partial y} + \frac{\partial \Psi}{\partial z} \frac{\partial \eta}{\partial z} \right) \quad (9)$$

ატმოსფეროს პოლიტროპიულობის შესაბამისი მიახლოებებით (ე.შ. ბაროელინური წევრების გაწრფივება), გარკვეული გარდაქმნების შემდეგ, მსგავსად [6] მივიღებთ სისტემას:

$$\begin{aligned} \frac{\partial \Delta \Psi}{\partial t} + b \frac{\partial^2 \Psi}{\partial t \partial y} + c \frac{\partial^2 \Psi}{\partial t \partial z} + \frac{1}{\eta} (\Psi, \Delta \Psi) &= l \frac{\partial u}{\partial z} + \ell' \frac{\partial u}{\partial y} - \lambda' \frac{\partial p}{\partial y} + a \frac{\partial T}{\partial y} \\ \frac{\partial T}{\partial t} + \frac{1}{\eta} (\Psi, T) &= - \frac{1}{\eta} (\gamma_a - \gamma) \frac{\partial \Psi}{\partial y} + \varepsilon \quad (10) \\ \frac{\partial M}{\partial t} + \frac{1}{\eta} (\Psi_1, M) &= 0, \end{aligned}$$

სადაც Δ ბრტყელი ლაპლასიანია, $\alpha = g/T$ - შეტივტივების პარამეტრი, g - სიმძიმის ძალის აჩქარება; $\lambda = \alpha/g$, ρ - ჰაერის სიმკვრივე, $b = -(\partial_n \eta / \partial y)$, $c = -(\partial_n \eta / \partial z)$, - დედამიწის რელიეფი - მახასიათებელი პარამეტრებია.

მივიღებთ რა, კავკასიონის ქედის საშუალო სიმაღლედ 4 კმ-ს და წარმოვადგენთ მას სამკუთხა პირამიდის სახით (სიგრძით პარალელის გასწვრივ 1500 კმ, ხოლო მერიდიანის გასწვრივ 169 კმ), განვსაზღვრავთ b და c პარამეტრების საშუალო მნიშვნელობებს და ჩავთვლით მათ მუდმივებად. ასევე მუდმივებად ჩაითვლება პარამეტრები γ და α , მაშინ ადგიბატურ მიახლოებაში პრინციპში შეიძლება (10) არაწრფივ განტოლებათა სისტემის ტალღური ამოხსნა. იგულისხმება, რომ მოძრაობას მთლიანად განსაზღვრავს ბარიული გრადიენტი, რომლის არსებობაც მთლიანად განპირობებულია სითბოს წყაროთი - ტემპერატურით (ითვლება მოცემულიად), როგორც კონვექტური მოძრაობის დროს. (10) სისტემა ოდწერს მცირე მასშტაბის ფაქტორებს (როგორიცაა ღრუბლები, ან ღრუბელთა ანსამბლი) ტემპერატურული ველისა და დედამიწის რელიეფის გავლენის გათვალისწინებით. ეს გარემოება კი მეტად მნიშვნელოვანია სეტყვისა და თავსხმა წევიშების შესწავლისას, რაც ჩშირი მოვლენაა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

(10) ამოხსნისათვის მოითხოვება შემდეგი საჭირო და სასაზღვრო პირობები:

როცა $t = 0$ მოიცემა $T = T_0(y, z, t)$ და $M = \text{const}$

ან $t = 0$ $T = T_1$. (11)

სასაზღვრო პირობა მოიცემა პიდროლინამიკაში ცნობილი „განსაზღვრული სიგანის არხში“ მოძრაობის პირობის მსგავსად:

როცა $y = 0.1$ $\partial T / \partial y = \partial \Psi / \partial y = 0$ ან $T = \Psi = 0$ (12)

შევნიშნოთ, რომ (10) სისტემა შეიცავს სამ განტოლებას ოთხი Ψ , T , U , P უცნობით. ამოხსნის მონაცემისათვის უნდა ვიცოდეთ ან ორი ფუნქცია - ტემპერატურა და წნევა, ან ვისარგებლოთ იმით, რომ წევრი $\lambda(\partial \rho / \partial y)$ მცირეა $\alpha(\partial T / \partial y)$ -თან შედარებით და უგულებელყოთ იგი. მაშინ ამოხსნის განსაზღვრის არქში ინვარიანტი არის შექანიური (კინეტიკური და პოტენციური ენერგიებისა) და შინაგანი ენერგიების გამით.

განვიხილოთ (10) სისტემის ამოხსნის რამდენიმე მარტივი ვარიანტი მსგავსად [6]-ში ჩატარებული მსჯელობისა.



ა) დავუშვათ, რომ ფიზიკური აზრი აქვს ამოხსნას, რომლის ყველა ზეპირული არის დამოკიდებული ვერტიკალურ კოორდინატზე (გვაქვს უძრავი ბურუსით, ნისლით, ქვედა იარუსის სათოვლო ღრუბლით დაფარული მთელი საკვლევი არე). ამ შემთხვევაში ყველა არაწრფივი წევრები ნულის ორლი იქნება საძიებელი სიდიდის სიმცირის ყოველგვარი მოთხოვნის გარეშე. ასეთი დასმა ამოცანისა მცირედ საინტერესოა, მაგრამ მოდელი მაინც განსაზღვრავს, რომ პროცესი არის ჩევითი, რომლის სიხშირეა $\sqrt{a\Gamma}$, სადაც $\Gamma = \frac{\gamma_a - \gamma}{1 + by}$, ამრიგად ასეთი პროცესის

მდგრადობა დამოკიდებულია შიგა მასიურ თვისებებზე - ტემპერატურის გრადიენტის სხვაობაზე და მერიდიანის გასწვრივ რელიეფის გავლენაზე. ამ უკანასკნელის გაზრდით Γ მცირდება და ტალღა სუსტდება.

ბ) დავუშვათ, რომ (10) სისტემაში ე არის მუდმივი, ხოლო დენის ფუნქციას აქვს სახე: $\Psi = \Psi_0 + \Psi_1(\gamma, z, t)$,

მაშინ მიიღება რომ Ψ_0 პარამეტრი, როგორც ვერტიკალური მოძრაობის სიჩქარე, განისაზღვრება ფორმულით [6].

$$\Psi_0 = \frac{\varepsilon_0}{\gamma_a - \gamma} \quad (13)$$

ამ დამოკიდებულებას აქვს ფიზიკური აზრი: სითბოს მუდმივი მოდენა ზრდის ჰარის აღმასვლას; ამასთანვე, რაც დიდია ატმოსფეროს არამდგრადობა, მით მეტია ვერტიკალური მოძრაობა. ასეთი პროცესები დაიკირვება, სწორედ დიდი სამრეწველო ობიექტებისა და ქალაქებისა თავზე აეროზოლური მინარევების მოძრაობისას [7].

გ) როცა სითბოს ნაკადი მოცემულია $\varepsilon = \varepsilon_0 + \varepsilon(y, z)$ სახით, სრულდება პირობა $M = \text{const}$ და $T = 0$. მაშინ (10) სისტემის პირველი განტოლების სტაციონარული ამოხსნა უკვე მითითებულ მიახლოებაში გვაძლევს:

$$\Psi_1 = d\Delta\Psi + \ell \ln \eta = 0, \quad (14)$$

სადაც $d\Delta\Psi + \ell \ln \eta = \Phi(\Psi)$. აქ $\Phi(\Psi)$ - ნებისმიერი ფუნქციაა და განისაზღვრება დამატებითი პირობებით $d = \ell/\eta_{cp} = \text{const}$.

თუ ენერგიის წყაროს წარმოვადგენთ ბრტყელი ტალღის სახით

$$\varepsilon = \varepsilon_0 + \varepsilon_1 e^{i(my + nz)}, \quad (15)$$

ხოლო $\Phi(\Psi) = -(m^2 + n^2)\Psi$, სადაც m და n ტალღური რიცხვებია შესაბამის ღრძებზე, მაშინ დენის ფუნქცია შეიძლება დაიწეროს ასე[6]:

$$\Psi = \Psi_0 + wy - vz + \Psi_1 e^{i(my + nz)} \quad (16)$$

ამასთანვე რეალური ამონასენის არსებობისათვის უნდა შესრულდეს პირობა:

$$v_m - nw = 0 \quad (17)$$

$$\text{და} \quad \Psi_1 = \frac{\varepsilon_1}{m\Gamma} \quad (18)$$

შილებული შედეგების ანალიზიან ჩანს, როცა ენერგიის წყარო ექსპონენციალურად იზრდება, მაშინ ჰარის მასების ვერტიკალური სიჩქარე აღემატება სიჩქარეს მთაგრეხილის პერპენდიკულარული მიმართულებით. ვინაიდნ კაცისიონისათვის $L_y = 160\text{cm}$, ხოლო $L_z = 4\text{cm}$ -ს, გამოდის, რომ $m = 40n$, $w = 40v$. აქედან დასკვნა: მასების შემოჭრა ამიერკავებისის ტერიტორიაზე უშუალოდ ჩრდილოეთიდან არ წარმოებს, ხდება მთაგრეხილის მიმართ გარსდენა



დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხარეს [2,3]. ასეთი მოვლენები დაიკვირვება სინოპტიკურ პრაქტიკაში.

დ) თუ ფიზიკურ რელიეფს წარმოვადგენთ კონკრეტული ფიგურის (სამჟუთა პირამიდის $I_{\eta\eta} = -(bx + iz)$, ან პარაბოლის $I_{\eta\eta} = -(by^2 + iz^2)$ და სხვა) და შესრულდება (17) პირობა, მაშინ კავკასიონზე დაიკვირვება ეჭ. ნეიტრალური ტიპის სტაციონალური ტალღები, პერიოდით ჩამდენიმე დღე-ღამე, სადაც გრეხილი მიღის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ღრუბლების თანაბეჭვრული სურათების ანალიზიდან ჩანს, რომ მართლაც დაიკვირვება ასეთი ტალღები [3].

ე) განვიხილოთ (10) სისტემის არაწრფივი წევრებით ბაროტროპიული

სურ. 1

ატმოსფეროსათვის, მაშინ გვეძნება:

$$\frac{\partial \Delta \Psi}{\partial t} + b \frac{\partial^2 \Psi}{\partial t \partial y} + c \frac{\partial^2 \Psi}{\partial t \partial z} = -l(\ln \eta, \Psi) + d(\Psi, \Delta \Psi) \quad (19)$$


და საწყისი პირობა იქნება $t = 0$, $\Psi = \Psi_1(y, z, o)$

სასაზღვრო პირობები: $z = \infty$, ფუნქცია შემოსაზღვრულია


$$z = Z(x, y), \text{ მაშინ } w = u \frac{\partial Z(x, y)}{\partial x} + v \frac{\partial Z(x, y)}{\partial y}$$

ამ შემთხვევაში ამოხსნა მიიღება ბესელის ფუნქციების შემცველი გრინის ინტეგრალით [8], რომლებიც დამოკიდებულია რელიეფის მახასიათებელ პარამეტრებზე, ანალიზი აჩვენებს, რომ გრინის ფუნქციების ასიმეტრიულობა ცენტრალური წერტილების მიმართ დამოკიდებულია b და c პარამეტრებსა და ღროვაზე. რაც დიდია ღროვა, მით მკვეთრია სიმეტრიულობის დარღვევა. ეს კარგად ჩანს სურ. 2 და სურ. 3-ზე. პირველი შეესაბამება $t = 3$ საათს და იზოხაზები თითქმის წრეხაზებს წარმოადგენს, ხოლო უკვე [2] საათის შემდეგ ისინი მკვეთრად განსხვავდებიან წრეხაზისაგან თუ $b = c = 0$, მაშინ მიიღება ბულვე - მარჩუკის კლასიკური შედეგი [9].

ამრიგად, პირდოთორმოდინამიკის განტოლებათა სისტემის ამოხსნის ანალიზი ზონალური მოდელით ამიერკავკასიის ტერიტორიისათვის იძლევა სინოპტიკურ პრაქტიკაში დაკვირვებულ მოელი რიგი პროცესების თეორიულ დასაბუთებას. ამასთანვე მტკიცდება, რომ გარეულ მიახლოებაში დედამიწის კვაზიონული სარტყელის ზოლში მიმდინარე ატმოსფერული პროცესების შესწავლისათვის



სურ. 2



სურ. 3

გამოყენებული ზონალური მოდელი კარგ შედეგს გვაძლევს, კერძოდ რთული ფიზიკური - გეოგრაფიული მდგრადების მქონე ამიერკავკასიის რეგიონისთვისაც. მოდელის უფრო დეტალური გამოკვლევის (არაწრფივობის გათვალისწინებით) შედეგად შეიძლება მეტეოროლოგიური ელემენტებისა და რეგიონალური მოვლენების მრავალი კლიმატური თავისებურებების ასნა - დასაბუთება

ი. გავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიტერატურა

1. З.В.Хведелидзе. Известия АН СССР, Физика А.и О., 18, 3, 1982, 227-235.
2. "Климат и климатические ресурсы Грузии", А., 1971, 381.
3. З.В.Хведелидзе. Метеорология и гидрология, 10, 1982, си. 110-115.
4. З.В.Хведелидзе, И.Г. Павленишвили. Метеорология и гидрология, 2, 1996, а. 48-55.
5. Дж.Педлоски. Геофизическая гидродинамика. Часть I. М. 1984, 400.
6. Е.М.Добрышман. Динамика экваториальной атмосферы А., 1980, 285.
7. Г.С.Гуния. Вопросы мониторинга загрязнения атмосферного воздуха на территории Грузинской ССР А., 1985, 84.
8. ჭ.ხვედელიძე. „ამინდის მოქლევადიანი პროცენტის რიცხვითი მეთოდები“ ნაწ. 1 თბილისი, 1978, 115
9. Н.И.Булеев, Г.И. Марчук. В кн.: Труды Ин-та Физики атмосферы АН СССР, 1958, 66-104

გ. სუპატაშვილი, ნ. თაყაიშვილი, გ. მახარაძე

თაბაშირის და ანჭიდრიტის ხსნადობა წყალსა და
 ელექტროლიტების წყალხსნარებში

წარმოადგინა აქადემიკოსმა გ. ცინცაძემ 7.11.1996

ქანწარმომქნელი მინერალები თაბაშირი ($\text{CaSO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$) და ანჭიდრიტი (CaSO_4) ნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბუნებრივი წყლების ფორმირებასა და კარსტულმოქმნის პროცესებში. ლიტერატურაში არსებული მონაცემები თაბაშირის ხსნადობაზე შესამჩნევად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხოლო ფაქტორები, რომლებიც მის ხსნადობას განსაზღვრავენ, არასრულადაა შესწავლილი.

თაბაშირისა და ანჭიდრიტის ხსნადობის შესასწავლად გამოიყენეთ ნიმუშები ახალციხის საბადოდან და თბილისის შემოგარენიდან (სინგები მოგვაწოდა აკადემიის წევრ-კორ. ნ. სირტლაძემ და პროფ. ვ. ალფაიძემ). მათში $\text{CaSO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$ და CaSO_4 შემცველობა 82-89% და 94-97% შეადგენდა. $\text{CaSO}_4 \cdot 0,5\text{H}_2\text{O}$, γ -, β - და α - CaSO_4 მიღებულია $\text{CaSO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$ (ქიმიურად სუჟთა რეაგენტი) თერმული დამუშავებით შესაბამისად 140, 220, 500 და 800°C ტემპერატურაზე [1].

ცხრილი 1

სხვადასხვა ფორმის CaSO_4 - წყალი სისტემის ხელორითი ელექტროგამტურობის
 ცვალებადობა დროში (18°C , $\chi \cdot 10^{-4}$)

კინტაქტის ხანგრძლივობა	$\text{CaSO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}^*$	$\text{CaSO}_4 \cdot 0,5\text{H}_2\text{O}$	γCaSO_4	βCaSO_4	αCaSO_4	CaSO_4^{**}
5 წუთი	16	56	56	24	22	11
10	17	56	51	25	23	16
30	17	51	44	25	23	20
50	17	31	41	25	25	21
90	17	22	30	26	24	22
3 საათი	17	21	27	25	24	22
7	18	20	23	26	25	22
24	17	21	24	24	24	22
2 დღე-დამე	17	20	21	24	23	22
5	17	18	20	23	25	-
8	17	18	18	25	24	-
10	17	18	18	25	24	-

* - სუჟთა ანალიზისათვის, ** - ანჭიდრიტი

თაბაშირის, ანჭიდრიტის და სხვა ფორმების ხსნადობის კინეტიკას ვსწავლობდით კონდუქტორმეტრული მეთოდით. შესაბამისი სუსპენზიების მოსამაშადებლად ვიღებდით 0,3-0,4 გ ნივთიერებას, ვუმატებდით 100 მლ ორგერ გამოხდილ წყალს, ენერგიულად ვარგრძევდით და ცენტრიულურებისა და თერმოსტატირების შემდეგ KCL-1M მარქის კონდუქტორმეტრზე ვზომავდით ხელორით ელექტროგამტარობას. ხსნარებში Ca^{2+} და SO_4^{2-} კონცენტრაციებს ვსაზღვრავდით კომპლექსონმეტრული და გრავიმეტრული მეთოდებით.



მიღებული შედეგებიდან (ცხრილი 1) ჩანს, რომ CaSO_4 ფორმები განსხვავდება როგორც სსნადობით, ისე სსნადობის კინეტიკით. ამ თვალთახედვით გამოირჩევიან $\text{CaSO}_4 \cdot 0,5\text{H}_2\text{O}$ და $\gamma\text{-CaSO}_4$. თვალდაპირველად ისინი წარმოქმნიან ზენაჭერ სსნარებს, რომლებიც CaSO_4 კონცენტრაცია 6,4 გ/ლ აღწევს. 1-1,5 საათის შემდეგ $\text{CaSO}_4 \cdot 0,5\text{H}_2\text{O}$, $\gamma\text{-CaSO}_4$ და სხვა ფორმებიდან მიღებული სსნარების ელექტროგამტარობა მეტნაკლებად თანაბრლება.

ბუნებრივია, რომ თაბაშირის სსნარის ხვედრითი ელექტროგამტარობა დამკიდებულია ტემპერატურაზე. ამ პარამეტრებს შორის კავშირის ხასიათი იცვლება 66°C და აღიწევება რეგრესიის ფორმულებით:

$$\chi = (13,8 + 0,42t) \cdot 10^{-4} \quad (t < 66^\circ\text{C}) \quad \text{და} \quad \chi = (26,7 + 0,23t) \cdot 10^{-4} \quad (t > 66^\circ\text{C})$$

შესაბამისი წირის გარდატეხის წერტილი ემთხვევა დიპილრატის ნახევარპილრატში გადასვლის ტემპერატურას (66°C) [2].

თაბაშირის სსნადობა 25°C 2,01 გ/ლ შეადგენს, საიდანაც $L_s = 2,2 \cdot 10^{-4}$. სსნარის იონური ძალის ($\mu = 0,059$) მიხედვით Ca^{2+} და SO_4^{2-} აქტივობის კოეფიციენტები შესაბამისად 0,46 და 0,42 ტოლია [3,4]. ამ მონაცემებით შეიძლება გავთვალოთ L_a :

$$L_a = L_s \cdot f_{\text{Ca}^{2+}} \cdot f_{\text{SO}_4^{2-}} = 2,2 \cdot 10^{-4} \cdot 0,19 = 4,2 \cdot 10^{-5}$$

L_s და L_a გამოთვლილია შესაბამისად სსნადობისა და აქტივობების მნიშვნელობებიდან. ანალოგიურადაა გამოთვლილი CaSO_4 -ის სხვა ფორმების სსნადობის ნამრავლები (ცხრილი 2).

ცხრილი 2


Ca^{2+} წონასწორული კონცენტრაციები და CaSO_4 სსნადობის ნამრავლი (18°C)

ნივთიერება	მგ/ლ		$L_s \cdot 10^4$	$L_a \cdot 10^5$
	Ca^{2+}	CaSO_4		
$\text{CaSO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$	572	1945	2,05	4,06
$\text{CaSO}_4 \cdot 0,5\text{H}_2\text{O}$	580	1972	2,10	4,17
$\alpha\text{-CaSO}_4$	864	2932	4,65	7,34
$\beta\text{-CaSO}_4$	896	3046	5,02	7,69
$\gamma\text{-CaSO}_4$	6,04	2054	2,28	4,43

ჰიდროქიმიური თვალთახედვით განსაკუთრებით საინტერესოა სხვადასხვა ფაქტორის გავლენა თაბაშირის და ანტილიტის სსნადობაზე. მცირებლებადი ელექტროლიტის ფაზურ წონასწორობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სსნარის იონური ძალა, რომლის გაზრდით, როგორც მოსალოდნელი იყო, CaSO_4 -ის სსნადობა იზრდება [5]. NaCl , MgCl_2 და სხვა ელექტროლიტებისაგან განსხვავდით, NaHCO_3 -ის თანაბობისას Ca^{2+} კონცენტრაცია მკვეთრად მცირდება, რაც $\text{Ca}(\text{HCO}_3)_2$ შეზღუდული სსნადობით (78 მგ/ლ [6]), ითხოვთ.

თანამოსახელე იონის გავლენა ნალექის სსნადობაზე ცნობილია. ამ თვალსაზრისით საინტერესო იყო სისტემის $\text{CaSO}_4 \cdot \text{Na}_2\text{SO}_4 \cdot \text{H}_2\text{O}$ გამოკლევა, რადგან თაბაშირის წყლები ხშირად შეიცავს საქმიან რაოდენობით Na_2SO_4 . აღნიშნულ სისტემაში L_a და აქტივობის კოეფიციენტების გათვალისწინებით გათვლილი და ექსპერიმენტული განსაზღვრული Ca^{2+} -ის კონცენტრაციები თანმთხვევადია (ცხრილი 3).

CaSO_4 -ის ნაჭერ სსნარში დამყარებულია ფაზური და იონურ-მოლეკულური წონასწორობა:



ბუნებრივი თაბაშირის ხსნადობა Na_2SO_4 თანაობისას

$\text{მოლიკ} \cdot 10^3$	Na_2SO_4	SO_4^{2-}	$\mu \cdot 10^3$	f	$\text{Ca}^{2+}, \text{მგ/ლ}$		
					ექსპერიმენტული	გათვლილი L_s -დან	გათვლილი f და L_a -დან
0,00	14,67	58,68	0,454		588	601	589
0,31	14,98	59,41	0,452		586	589	585
0,94	15,61	59,71	0,451		570	565	576
1,57	16,24	59,80	0,451		552	543	567
3,11	17,78	62,22	0,446		530	496	549
9,33	24,00	77,89	0,414		500	367	506
15,54	30,21	92,53	0,395		460	282	478
31,09	45,76	133,19	0,330		400	193	448

 $L_s = 2,2 \cdot 10^{-4}$ ლიტერატურის მონაცემებიდან [3,7] CaSO_4 მდგრადობის მუდმივა

$$\beta = \frac{[\text{CaSO}_4^0]}{[\text{Ca}^{2+}] [\text{SO}_4^{2-}]} = 2 \cdot 10^2,$$

$$\text{საიდანაც } [\text{CaSO}_4^0] = \beta [\text{Ca}^{2+}] [\text{SO}_4^{2-}] = \beta L_a$$

სუფთა წყალში CaSO_4 მოლური ხსნადობა (S)

$$S = [\text{Ca}^{2+}] + [\text{CaSO}_4^0] = \sqrt{L} + \beta L_a$$

შესაბამისი მონაცემების ($L_a = 4,2 \cdot 10^{-5}$, $\beta = 2 \cdot 10^2$) მხედველობაში მიღებით $S = 14,88 \cdot 10^{-3}$ მოლიკ, ანუ 2024 მგ/ლ.თაბაშირის ნახერ ხსნარში CaSO_4^0 დაკომპლექსებული წილი (βL_a) შეადგენს $8,4 \cdot 10^{-3}$ მოლიკ, ანუ მოლური ხსნადობის 56,5%.თანამოსახელე იონების (Ca^{2+} და SO_4^{2-} თანაობისას CaSO_4 მოლური ხსნადობა შეიძლება გავთვალოთ ფორმულებით:

$$S = \frac{L_a}{f_{\text{Ca}^{2+}} [\text{Ca}^{2+}]} + \beta L_a \quad \text{და} \quad S = \frac{L_a}{f_{\text{SO}_4^{2-}} [\text{SO}_4^{2-}]} + \beta L_a$$

$\text{CaSO}_4 + \text{SO}_4^{2-} + \text{H}_2\text{O}$ სისტემის თვეისებურება ისაა, რომ CaSO_4 მოლეკულური ფორმის აბსოლუტური რაოდნობა არაა დამოკიდებული ლიგანდის (ჩვენ შემთხვევაში SO_4^{2-}) კონცენტრაციაზე. ცხადია, რომ თანამოსახელე იონების კონცენტრაციის გაზრდით CaSO_4 ხსნადობა მცირდება, ხოლო CaSO_4^0 ფარდობითი წილი იზრდება.

ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიტერატურა

1. А.Г.Бетехтин. Минералогия. М., 1950.
2. Г.Реми. Курс неорганической химии. М., 1972.
3. Ю.Ю.Лурье. Справочник по аналитической химии. М., 1989.
4. Д.Скуг, Д.Уэст. Основы аналитической химии, т.1, М., 1979.
5. В.М.Левченко. Гидрохим. материалы, т.17, 1950, 69-73.
6. О.А.Алекин. Основы гидрохимии. Л., 1970.
7. А.Т.Пилипенко, И.В.Пятницкий. Аналитическая химия, кн.1, М., 1990.



მ.გვერდწითელი, ა.გახოვიძე


**აზო-ჰიდრაზო და ალენ-აცეტილენური ტაუტომერიის
 ალგებრული დახასიათება**

წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. ხანიაშვილმა 3.06.1996


მოლეკულური გრაფების თანაზიარობის მატრიცები და მათი მრავალრიცხოვანი მოდიფიკაციები [1,2] ეფექტურად გამოიყენება მათემატიკურ ქიმიაში მოლეკულებისა და მათი გარდაქმნების ალგებრულად დასახასიათებლად. მათ კლასს მიეკუთვნება რნბ-მატრიცები [3], რომელთა დიაგონალური ელემენტებია მოლეკულაში შემავალი ატომების რიგობრივი ნომრები, ხოლო არადიაგონალური ელემენტებია ქიმიური ბმების ფრაძლება. ასე მაგალითად $X - Y = V$ მოლეკულისათვის, რნბ-მატრიცას გააჩნია სახე:

$$X - Y = V \quad \begin{vmatrix} Z_X & 1 & 0 \\ 1 & Z_Y & 2 \\ 0 & 2 & Z_V \end{vmatrix}. \quad (1)$$

სადაც Z_X , Z_Y და Z_V X, Y და V ელემენტების რიგობრივი ნომრებია, ხოლო რიცხვები “2”, “1” და “0” შესაბამისად გამოხატავენ ორმაგ ბმას, ერთმაგ ბმას და ფაქტს, რომ X და V ატომები ერთმანეთთან ქიმიურად არ არიან შეკავშირებული. ტრიადული პროტოტოპული ტაუტომერიის [4] საინტერესო ტიპს მიეკუთვნებიან აზო-ჰიდრაზო და ალენ-აცეტილენური [5] გარდაქმნები. მათ წონასწორულ სქემებს შესაბამისად გააჩნიათ სახე:



რნბ - მატრიცების გამოყენებით გავაანალიზოთ აღნიშნული ტაუტომერული პროცესები. ქვემოთ მოყვანილია აზო-ჰიდრაზო ტაუტომერიის მოდელური რეაქცია და მისი შესაბამისი მატრიცული ჩანაწერი:



$\begin{vmatrix} 1 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 7 & 2 & 0 & 0 & 0 & 0 \end{vmatrix}$	\longrightarrow	$\begin{vmatrix} 1 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 7 & 1 & 0 & 0 & 0 & 1 \end{vmatrix}$
$\begin{vmatrix} 0 & 2 & 7 & 1 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 1 & 6 & 1 & 1 & 1 \end{vmatrix}$		$\begin{vmatrix} 0 & 1 & 7 & 2 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 2 & 6 & 1 & 1 & 0 \end{vmatrix}$
$\begin{vmatrix} 0 & 0 & 0 & 1 & 1 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 1 & 0 \end{vmatrix}$		$\begin{vmatrix} 0 & 0 & 0 & 1 & 1 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 1 & 0 \end{vmatrix}$
$\begin{vmatrix} 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 & 1 \\ 0 & 0 & 0 & 1 & 0 & 0 & 1 \end{vmatrix}$		$\begin{vmatrix} 0 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 \\ 0 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 & 1 \end{vmatrix}$


განვიხილოთ გამოსახულება:

$$\Delta r = \Delta f - \Delta i .$$

სადაც: Δi - საწყისი ტაუტომერული ფორმის შესაბამისი რნბ - მატრიცის დეტერმინანტის მნიშვნელობაა; Δf - საბოლოო ტაუტომერული ფორმის შესაბამისი რნბ - მატრიცის დეტერმინანტის მნიშვნელობა; Δr - დეტერმინანტის მნიშვნელობის ცვლილება ტაუტომერული გარდაქმნის შედეგად.

აღმოჩნდა, რომ აზო-პიდრაზო ტაუტომერიისათვის $\Delta r = 8$. ამგვარად, აზო-პიდრაზო ტაუტომერული გარდაქმნის ალგებრულ კრიტერიუმს (მოცემული მიღვომის ფარგლებში) წარმოადგენს რნბ - მატრიცის დეტერმინანტების მნიშვნელობის ზრდა.

ქვემოთ მოყვანილი ალენ-აცეტილენური ტაუტომერიის მოდელური რეაქცია და მისი შესაბამისი მატრიცული ჩანაწერი:



აღმოჩნდა, რომ ალენ-აცეტილენური ტაუტომერიისათვის $\Delta r = -60$. ამგვარად, ალენ-აცეტილენური ტაუტომერული გარდაქმნის ალგებრულ კრიტერიუმს (მოცემული მიღვომის ფარგლებში) წარმოადგენს რნბ - მატრიცის დეტერმინანტის მნიშვნელობის შემცირება.

ივ.ჭიათებიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიტერატურა

1. გ.გამზიანი, მ.გვერდწითელი, იზომერიის მოვლენა მათემატიკური ქიმიის თვალთახედვით. თბილისი, 1992.
2. გ.გამზიანი. მათემატიკური ქიმიის ჩემული თავები. თბილისი, 1990.
3. მ.გვერდწითელი. ორგანულ ნაერთთა ნომენკლატურის პრინციპები. თბილისი, 1983.
4. მ.გვერდწითელი. ორგანული ქიმიის თეორიული საფუძვლები. თბილისი, 1989.
5. З.Сланина. Теоретические аспекты явления изомерии в химии. М., 1984.


გ.ჩახტაური, მ.გვერშიოთელი; ნ.ცეცაძე

AB_n ტიპის მოლეკულები და გრაფი “ვარსკვლავი” -ს ერთი თვისება

წარმოადგინა აკადემიური კ.ჭაფარიძემ 3.10.1996

მოლეკულური გრაფების თანაზიარობის მატრიცები ფართოდ გამოიყენება თანამედროვე თეორიულ ორგანულ ქიმიაში [1,2]. განსაკუთრებით ეფექტური არიან ალნიშნული ალგებრული კონსტრუქციები მოლეკულების ფორმალურ-მათემატიკურად აღსაწერად [3,4]. ამ მატრიცების ზოგიერთი კლასის გამოყენება (მაგ. რნბ, მგ, ეპ - მატრიცები) საშუალებას იძლევა ინდივიდუალური მოლეკულის სტრუქტურის ალგებრული ჩანაწერისა და პომოლოგიურ რიგებში “აღნავობა - თვისება” კორელაციის გამოკვლევისა [5-7]. საინტერესოა, თანაზიარობის მატრიცების იმ მიმართულებით მოდერნიზაციის საკითხი, რომ მათ შესძლონ “დამტუშავონ” - გარკვეული ნიშნით ერთი სიმრავლის ქვეშ გააერთიანონ-სხვადასხვა სტრუქტურის მოლეკულები. ამ ამოცანის გადასაჭრელად AB_n ტიპის მოლეკულებისათვის (სადაც A და B ნებისმიერი ქიმიური ელემენტია (B - ერთვალენტოვანია), ხოლო n≥1) შემოვიტანეთ ე.წ. გრაფი ვარსკვლავის ცნება და თეორების სახით დავამტკიცეთ მისი ის თვისება, რომელიც ჩვენთვის აუცილებელია ზემოაღნიშნული ამოცანის გადასაჭრელად.

გრაფს, რომლის ყველა წვეროს ხარისხი ერთის ტოლია, გარდა ერთისა - რომლის ხარისხიც შეტანა ერთხე (გამონაკლისია ორწვეროიანი გრაფი) ვარსკვლავი ეწოდება. გრაფის ფსევდოთანაზიარობის მატრიცა ეწოდება მატრიცას, რომლის დიაგნონალური ელემენტებია გრაფების წვეროების ხარისხი, ხოლო არადიაგნონალური ელემენტებია გრაფების წიბოების ჯერადობა [8]. ქვემოთ მოყვანილია “ხუთემიანი ვარსკვლავი” და მისი ფსევდოთანაზიარობის მატრიცა (ეს “ვარსკვლავი” წარმოადგენს, მაგ.: PCl₅-ის მოლეკულურ გრაფს):



5	1	1	1	1	1
1	1	0	0	0	0
1	0	1	0	0	0
1	0	0	1	0	0
1	0	0	0	1	0
1	0	0	0	0	1

თეორემა. ე.წ. ნიმუში (ე - ნატურალური რიცხვია) “ვარსკვლავის” ფსევდოთანაზიარობის მატრიცის დეტერმინანტი ნულის ტოლია.

დამტკიცება. დავწეროთ სამ - და ოთხიმიანი “ვარსკვლავის” ფსევდოთანაზიარობის მატრიცის დეტერმინანტები და მათი გაშლილი გამოსახულება:

$$\begin{vmatrix} 3 & 1 & 1 & 1 \\ 1 & 1 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 1 \end{vmatrix} = 3 \begin{vmatrix} 1 & 0 & 0 \\ 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 1 \end{vmatrix} - \begin{vmatrix} 1 & 0 & 0 \\ 1 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 1 \end{vmatrix} + \begin{vmatrix} 1 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 1 \end{vmatrix} - \begin{vmatrix} 1 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 1 \\ 1 & 0 & 0 \end{vmatrix} = 3 - 1 - 1 - 1 = 0$$

(1) (2) (3) (4)

$$\begin{vmatrix} 4 & 1 & 1 & 1 & 1 \\ 1 & 1 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 1 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 0 & 1 \end{vmatrix} = 4 \begin{vmatrix} 1 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 1 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 0 & 1 \end{vmatrix} - \begin{vmatrix} 1 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 1 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 1 \end{vmatrix} + \begin{vmatrix} 1 & 1 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 1 \end{vmatrix} -$$

$$-\begin{vmatrix} 1 & 1 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 1 \end{vmatrix}_{(4')} + \begin{vmatrix} 1 & 1 & 0 & 0 \\ 1 & 0 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 0 & 1 \\ 1 & 0 & 0 & 0 \end{vmatrix}_{(5')} = 4 - 1 - 1 - 1 = 0.$$

დავკირდეთ ზემოთ მდგომი (მეოთხე რიგის) დეტერმინანტის ტრანსფორმაციას ქვემოთ მდგომ (მეხუთე რიგის) დეტერმინანტში. (1) და (1') დეტერმინანტები ერთეულოვანია და ცხადია, ერთის ტოლია; (2)-ის (2')-ად გარდაქმნისას, პირველ სვეტში ემატება ერთიანი, შემდეგ ორი ნოლი და ბოლო სვეტში (დიაგონალური) ერთიანი; ამგვარად, თუ იყო

$$\begin{vmatrix} a_{11} & a_{12} & a_{13} \\ a_{21} & a_{22} & a_{23} \\ a_{31} & a_{32} & a_{33} \end{vmatrix}$$

განვიტა

$$\begin{vmatrix} a_{11} & a_{12} & a_{13} & 0 \\ a_{21} & a_{22} & a_{23} & 0 \\ a_{31} & a_{32} & a_{33} & 0 \\ 1 & 0 & 0 & 1 \end{vmatrix}$$

ასეთივე პრინციპით ფართოვდება (3)→(3')-ში წინამორბედი დეტექტორინანტის სტრუქტურის გათვალისწინებით, ასეთი გაფართოება მათ რიცხობრივ მნიშვნელობა არ ცვლის და ყოველთვის ერთის ან მინუს ერთის ტოლი რჩება.

ყოველი წინამორბედი ბოლო დეტერმინანტი გაფართოებისას იძლევა ორ დეტერმინანტს (მაგ.: (4) იძლევა (4) და (5'-ს). ე.ი. ყოველ შემდგომ შემთხვევაში, დეტერმინანტების რაოდენობა ერთით იზრდება. ეს ბოლო დეტერმინანტები შემდეგი კანონით “ფართოვდება”.



$$\begin{array}{c} \left| \begin{array}{ccc} 1 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 1 \\ 1 & 0 & 0 \end{array} \right| \xrightarrow{(4)} \left| \begin{array}{ccc} 1 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 1 \\ 1 & 0 & 0 \end{array} \right| \\ \left(4' \right) \end{array}$$

(4)→(4') გაფართოება ხდება ზემოთ განხილული კანონზომიერებით, ხოლო (4)→(5') გაფართოებისას დეტერმინანტის ნიშანი იცვლება “პლუსიდან” “მინუსზე” (მოდული კვლავ ერთის ტოლი რჩება).

ამგვარად, „ქიშიანი ვარსკვლავის“ დეტერმინანტი გამოითვლება შემდეგი წესით:

$$\begin{array}{ccccc|c} n & 1 & 1 & \cdots & 1 \\ 1 & 1 & 0 & \cdots & 0 \\ 1 & 0 & 1 & \cdots & 0 \\ \vdots & \vdots & \vdots & \ddots & \vdots \\ 1 & 0 & 0 & \cdots & 1 \end{array} = n - \overbrace{1 - 1 - \cdots - 1}^{\text{n-1 terms}} = n - n = 0.$$

ამგვარად, გრაფი “ვარსკვლავი” წარმოადგენს იმ ალგებრულ კონსტრუქციას, რომელიც ზემოთ განხილული კრიტერიუმით აერთიანებს ისეთ განსხვავებულ მოლეკულებს, როგორიცაა HCl , $BeBr_2$, BCl_3 , CH_4 , PCl_5 , SCl_4 და ა.შ. ააც, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა ამ ტიპის ნაერთებში “აღნაგობა-თვისება” კორელაციის გამოსავლენად გამოვიყენოთ ალევარტური მათემატიკური პარატი.

ივ.ჭავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ମେଲିର ପାତାଳ

1. გვერდწითელი. ორგანული ქმითის თეორიული საუძღვლები, თბ., 1989.
 2. გამშვიანი, გვერდწითელი. იზომერის მოვლენა მათემატიკური ქმითის თვალთახედით. თბ., 1992.
 3. P.R.Rouvray. Chemical Application of Topology and Graph theory /Ed. by A.T.Boclalan. Amsterdam, 1983.
 4. გამშვიანი. მათემატიკური ქმითის რჩეული თავები. თბ., 1990.
 5. გვერდწითელი. ორგანულ ნაერთთა ნომენკლატურის პრინციპები. თბ., 1983.
 6. გამშვიანი, ნ.ემათიძე, გვერდწითელი. ზოგი რამ ტოპოლოგიური ინდექსების შესახებ. თბ., 1995.
 7. გამშვიანი, გ.გამშვიანი, გვერდწითელი. საქ.მეცნ.აკად.მოამბე, 151, 3, 1995. 418–420.
 8. O.Ore. Теория графов. М., 1980.

გ.ლექიშვილი

ინფორმაციული ტიპის ტოპოლოგიური ინდექსების აგების პარამეტრული მოდელი

წარმოადგინა აკადემიკოსმა თ. ანდრონიკაშვილმა 9.10.1996.



თანამედროვე თეორიულ ორგანულ ქიმიაში ფართოდ გამოიყენება ტოპოლოგიური ინდექსების მეთოდი. იგი მოწოდებულია მოლეკულათა სხვადასხვა თვისებების, შათივე აღნაგობაზე დამოკიდებულების კანონზომიერებათა დასაღენაბდ. “აღნაგობა-თვისება” კორელაციის გამოვლენის პრობლემა დიდი ხანია, იპყრობს ზევლევართა ყურადღებას, რადგანაც ამ ამოცანის თუნდაც ნაერთთა ვიწრო კლასის ფარგლებში გადაჭრა მნიშვნელოვანია მოლეკულათა სისტემატიზაციის, ჰიპოთეტური მოლეკულების თვისებათა პროგნოზირების, მოცემული თვისებების ნაერთთა მიზანმიმართული სინთეზისა და ამ კლასის ნივთიერებათა გარდაქმნების კლევებისთვის [1]. ტოპოლოგიური ინდექსების მეთოდი არ საჭიროებს რთულ გათვალისწინებულ აპარატს და ადვილად ექვემდებარება კომპიუტერიზებას - მის საფუძველზე სულ უფრო ხშირად იქმნება გამოყენებითი პროგრამები. კომპიუტერული ტექნიკის განვითარება და დღეისათვის დაგროვილი ინფორმაციების სისტემატიზირების აუცილებლობა ამ მეთოდს კიდევ მეტაც პოპულარულს ხდის. დღეისათვის 100-ზე მეტი ინდექსია შემოტანილი, ამიტომ ექტუალურია არა ახალი ინდექსების შემოღება, არამედ ძველი მოდელების ნაკლოვანებათა აღმოჩევრა. მარტივი ინდექსები ვერ ასახავენ ინფორმაციას ჰეტეროტომებისა და სტერეოსტრუქტურული თვისებების შესახებ, რაც ბუნებრივია, მათი ეფექტურობის შეზღუდვას იწვევს.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ზემოთმოყვანილი ნაკლოვანებების აღმოჩევრას ინდექსთა მნიშვნელოვანი და საინტერესო ტიპის ინფორმაციულ ინდექსების ფარგლებში, რომლებიც მოხერხებულ მოდელს წარმოადგენს და განსაკუთრებით ეფექტურია ბიოქიმიურ და ბიოორგანულ გარდაქმნების დროს ინფორმაციათა გადატანის კვლევისას [2]. დავუშვათ, რომ შერჩეულ ფრაგმენტთა X სიმრავლეს, რომელიც n ელემენტისგან შედგება, გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით ყოფით K ეკვივალენტობის X_i , კლასებად, რომლებშიც n , ელემენტია; ამასთან $n = \sum_i n_i$ ფორმალურად n_i / n სიდიდე შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მოლეკულურ სტრუქტურაში X_i , კლასის ფრაგმენტის აღმოჩენის აღმათობა. შენონის განტოლების მიხედვით ასეთი ინდექსები გამოითვლება შემდეგი ფორმულებით [1,3]:

$$I = 2n \log_2 n - \sum_i n_i \log_2 n_i \quad \bar{I} = \frac{1}{n} I = -\sum_i \frac{n_i}{n} \log_2 \frac{n_i}{n} \quad (1)$$

ამრიგად მოლეკულათა სტრუქტურების შესახებ ინფორმაცია მკვლევარისთვის საინტერესო კუთხით აისახება, რადგანაც კრიტერიუმები, რომელთა შესაბამისად ხდება ფრაგმენტებად დაყოფა, მრავალგვარია [1], ცხადია, რომ რაც უფრო მარტივია კრიტერიუმთა სისტემა, მით მოხერხებულია ინდექსი, ამიტომ ატომთა შორის მანძილების ერთგვაროვნების შეფასებაზე დაფუძნებული ინდექსები ყველაზე პოპულარულია [1, 3, 5, 6]. ისინი დამყარებულია მოლეკულურ გრაფთა თეორიაზე.

მოლეკულურ გრაფთა თეორიის მიხედვით თითოეულ მოლეკულას შეიძლება, შეეფარდოს გრაფი - დისკრეტულ-ალგებრული ობიექტი $G(E, V)$, რომელიც შედგება $1, \dots, n$ ელემენტებისაგან შემდგარი (ელემენტების დანომვრა არ არის აუცილებელი) E სიმრავლისა და ამ სიმრავლის ელემენტების ზოგადად მოუწესრიგებელ წყვილებისგან (i, j) შემდგარი V სიმრავლისგან. E სიმრავლის ელემენტებს წვეროები, ხოლო V სიმრავლის ელემენტებს კი წიბოები (წიბოები შეიძლება ჭერადიც იყოს), ეწოდება. i წვეროდან j წვეროსკენ გზას მარშრუტი ეწოდება, ხოლო მარშრუტში წიბოების რაოდენობას კი - მარშრუტის სიგრძე (1 სურათზე) გამოსახულია 2-მეთილბუტანის შესაბამისი მოლეკულური გრაფი (წყალბაღის ატომები გამოტოვებულია) [3, 4].



სურ.1.

v_1 დან v_5 წვერომდე მარშრუტს შემდეგი სახე აქვს $v_1v_2v_5$, ხოლო მისი სიგრძეა $j_{1,5}=2$. თუ მოლეკულური გრაფის შედგენილობა არაერთგვაროვანია, მაშინ წვეროების გასარჩევად გამოყენებულია ე.წ. წონები; ატომური რიგობრივი ნორმები, ელემენტოურყოფითობები და ა.შ., თუ შევადგენთ მატრიცას $D(\alpha, \beta)$, რომლის დიაგონალური ელემენტები $d_{\alpha\alpha}=0$, ხოლო არადიაგონალური $d_{\alpha\beta}=j_{\alpha\beta}$ მაშინ მის საფუძველზე ავაგებთ ე.წ. W ვინერის ინდექსს:

$$W = \frac{1}{2} \sum_{\alpha} \sum_{\beta} d_{\alpha\beta} = \sum_j g_j \cdot J_{\alpha\beta}, \quad (2)$$

სადაც g_j j სიგრძის მარშრუტით დაკავშირებული წვეროების რაოდენობაა. სურ.1 გამოსახული გრაფისთვის $D(\alpha, \beta)$ მატრიცას ასეთი სახე ექნება [6]:

$$\begin{pmatrix} 0 & 1 & 2 & 2 & 3 \\ 0 & 1 & 1 & 2 & \\ & 0 & 2 & 3 & \\ & & 0 & 1 & \\ & & & & 0 \end{pmatrix}$$

ხოლო $W = 18$ (რაც განშტოებულია გრაფი, მით მცირეა W ინდექსი). ამ მატრიცის საფუძველზევე შეიძლება აიგოს ბონჩევ-ტრინაიტის ინდექსები [1, 5, 6]:

$$I^{(W)} = 2W \log_2 W - \sum_j j g_j \log_2 j g_j \text{ და } I_D^{(W)} = 4W \log_2 2W - \sum_{\alpha} d_{\alpha} \log_2 d_{\alpha}, \quad (2)$$

სადაც

$$d_{\alpha} = \sum_{\beta} d_{\alpha\beta}.$$

მიუხედავად ხაზოვანი ნახშირწყალბადების კვლევაში დიდი ეფექტურობისა ეს ინდექსი ცუდად კორელირებს ჰეტეროატომების და ციკლების შემცველ სტრუქტურებთან.

წინამდებარე ნაშრომში ჩატარებულია $D(\alpha, \beta)$ მატრიცის მოდიფიკაცია. ამისათვის წიბოებსაც მინიჭებული აქვთ წონები, რომელთა ფუნქციასაც ასრულებს $K_{\alpha\beta}$ - ჰიუკლის მოლეკულური ორბიტალების თეორიაში ჰეტეროატომების კვლევისას გამოყენებული ბმის პარამეტრი. ამის გამო მარშრუტის სიგრძე განისაზღვრება, როგორც

$$j_{\alpha\beta}^{(K)} = \sum_{l=\alpha}^{\beta} K_{\alpha\beta l}. \quad (3)$$

მაგალითად C-C ბმისათვის $K_{C-C}=1$; C-O ბმისთვის $K_{C-O}=0,8$; C-S ბმისთვის $K_{C-S}=0,6$; C-F ბმისთვის $K_{C-F}=0,7$ [7] და ა.შ. შესაბამისად W -ინდექსი მოდიფიკირდება $W^{(K)}$ ინდექსად.

გარდა ამისა, შემოტანილია საშუალო მანძილის ცნება. ამ შემოხვევაში, თუ α -დან β -წიბომდე ორი და მეტი მარშრუტია (როგორც ციკლებში) მისი სიგრძე გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$J_{\alpha\beta} = \frac{1}{m} \sum_{l=1}^m j_{\alpha\beta l}^{(K)}, \quad (4)$$


მაშასადამე, $J_{\alpha\beta}$ წარმოადგენს მარშრუტის სიგრძეთა საშუალო არითმეტიკულს. ნათელია, რომ როცა $m=1$, მაშინ $J_{\alpha\beta}=j_{\alpha\beta}^{(K)}$, ამდენად, ახალი მოდელი მთლიანად მოიცავს ძველს, მაგრამ მისი მოქმედების არეალი გაფართოებულია ყველა იმ ნაერთისათვის, რომელიც ექვემდებარება მოლეკულური გრაფების თეორიას. ზემოთქმულის გათვალისწინებით, მოდიფიკირებულ ინდექსებს ასეთი სახე აქვთ:

ზემოთქმულის გათვალისწინებით, მოღიფიცირებულ ინდექსებს ასეთი სახე აქვთ:

$${}^{(K)}\mathbf{I}^{(W)} = 2W^{(K)} \log_2 W^{(K)} - \sum_l J_{g_l} \log_2 J_{g_l}, \quad (5)$$


მისისთვის, რომ განვსაზღვროთ ახალი შოდელის ეფექტურობა, განვიხილოთ ზოგიერთი ალიფატური სპირტი და ციკლოური ნაერთი.

შევერონ მოყვანილია ამ ნატროთა სტრუქტურული ფორმულები, შესაბამისი მოლეკულური გრაფები და მოლიქიცირებული მატრიცები.




0	1	3,5	3,5	3,5	3,5
	0	2,5	2,5	2,5	2,5
.		0	2,5	2,5	2,5
.			0	2,5	2,5
.				0	2,5
.					0

1.




0	3	3	3	3	3
0	3	3	3	3	3
	0	3	3	3	3
	0	3	3	3	3
	0	3	3	0	0

2.




0	1	4	4	4	4	4
	0	3	3	3	3	3
		0	3	3	3	3
			0	3	3	3
				0	3	3
					0	3
						0

3




4.

0	2	1	3,5	3,5	3,5	3,5
0	1	3,5	3,5	3,5	3,5	3,5
0	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	2,5
0	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	2,5
0	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	2,5
0	2,5					0




5.

0	1	2	4,5	4,5	4,5	4,5
0	2	3,5	3,5	3,5	3,5	3,5
0	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	2,5
0	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	2,5
0	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	2,5
0	2,5					0





1.

0	1	2	3	4	4,8
0	1	2	3	3,8	
0	1	2	2,8		
0	1	1,8			
0	0,8				
					0



2.

0	1	2	3	4	3,8
0	1	2	3	2,8	
0	1	2	1,8		
0	1	0,8			
0	1,8				
0					0



3.

0	1	2	3	3,8	2
0	1	2	2,8	1	
0	1	1,8	2		
0	0,8	3			
0	3,8				
0					0

მიღებული შედეგები სტანდარტული ენტროპიებითურთ მოცემულია ცხრილში.
 ცხრილი ინდექსები და შესაბამისი ენტროპიები
 ა) ციკლოალკინებისთვის ბ) სპირტებისთვის

No	$(K)I^{(W)}$	S_{298}°
1	256.34	81.24
2	247.13	71.28
3	398.93	82.06
4	412.25	85.87
5	477.10	90.42

ა)

No	$(K)I^{(W)}$	S_{298}°
1	284.85	86.90
2	250.27	85.81
3	239.73	77.98

ბ)

ამდენად კლასთა ფარგლებში, მიღწეულია კარგი ურთიერთდამკიდება “აღნაგობა-თვისება” კავშირში. უნდა აღინიშნოს, რომ ჰეტეროცილური შემთხვევაში კორელაცია გაცილებით ცუდია, ამდენად, მოცემული მოდელი მოიცავს ნაერთთა დიდ უმრავლესობას, მაგრამ ისეთი საინტერესო კლასის აღსაწერად, როგორიცაა ჰეტეროცილური ნაერთები, მოდელი შემდგომ დამუშავებას საჭიროებს.

ჩაც შეეხდა ჯერადბმიან ნაერთებს, მათი აღწერა გაძნელებულია მოლეკულურ გრაფთა თეორიის ნაკლოვანებების (სტერეოგრაფების [2] ერთიანი თეორიის არარსებობა) გამო.

ამრიგად, წიბოთათვის წონების მინიჭებას, როგორც ჩანს, ახალ სიმაღლეზე აჰყავს მათ ქიმიური მეთოდები [8], ჩაც დამატებით იმპულსს ანიჭებს ახალი მოდელების შემუშავების მიზნით ჩატარებულ კვლევებს.

ი.გვაძიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი

ლიტერატურა

1. М.И.Станкевич, И.В.Станкевич, Н.С.Зефиров. Усп.хим. **LVII**, 3, 1988, 337-366.
2. А.Кофман. Введение в прикладную комбинаторику. М., Наука 1975, 442.
3. Ф.Харари. Теория графов. М., 1973, 300.
4. D.Bonchev. Information Theoretic Indices for Characterization of Chemical Structures. Chich.: Res.Stu. Press, 1983.
5. A.Sablic, N.Trinajstic. Acta-Pharm. Jugos., **31**, 1981, 189.
6. В.И.Минкин, Б.Я.Симкин, З.М.Миняев. Теория строения молекул. М., 1979, 233.
7. E.Estrada. J. Chem. Inf. Comp. Sci. Amer. Chem.Soc., **35**, 4, 1995, 708




ნ.წიბახაშვილი, ვ.ბარნოვი, ლ.მოსულიშვილი

წყლის შემცველობის განსაზღვრის ექსპრესიული მეთოდი ეთერზეთებში

ჭარმადგინა აკად. ლ.ანდრიაშვილმა 15.11.1996

წყალი წარმოადგენს ყველაზე უფრო ალბათურ მინარევულ კომპონენტს სხვადასხვა მცენარეული წყაროდან ნაწარმოებ ეთერზეთებში. სასაქონლო პროცესების ხარისხი მნიშვნელოვნად განისაზრება ეთერზეთებში წყლის შემცველობის დონით. ამდენად, ექსპრესიული მეთოდების შექმნას წყლის რაოდენობის კონტროლისათვის, ამა თუ იმ ეთერზეთის შემადგენლობაში, გააჩნია დიდი მნიშვნელობა როგორც ეთერზეთების წარმოების ტექნოლოგიის გამართვისას, ასევე უკვე სასაქონლო პროცესების ექსპერტის დროის.



სურ. I-a



ექსპერიმენტულ მეთოდთ არჩეული იყო გაზურ-სითხური ქრომატოგრაფია, რომელიც საშუალებას იძლევა სწრაფად შეფასდეს პროცესების სისუფთავე, მასში არსებული მინარევების ბუნება და რაოდენობა. ამავე დროს, ლიტერატურული მონაცემების თანახმად [1,2], ნივთიერებებში წყლის რაოდენობის კონტროლისათვის, დასახელებული მეთოდი, პოლარული უძრავი სითხეებისათვის და საქმარისი მგრძნობიარობის მქონე კათარომეტრის გამოყენების დროს, გაცილებით საიმედოა, ვიდრე რეაქციულ - ქრომატოგრაფიული მეთოდები. პოლარულ ფაზებში აქცეპტორების და დონორების ატომების არსებობა განაპირობებს იმას, რომ საანალიზო ცნიმოვანი მუსვები ქრომატოგრაფიულ სვეტზე შეკავდებიან მათი დუღილის ტემპერატურის შესაბამისად.

ანალიზები ჩატარდა გაზური ქრომატოგრაფ „ცვეტ-104“-ის გამოყენებით. ეს ქრომატოგრაფი აღჭურუვილია სითბოგამტარებლობის პრინციპზე დაფუძნებული დეტექტორით (კათარომეტრი) და უქანგავი ფოლადის სვეტით, რომლის ზომებია - 1,58 x 388. უძრავ ფაზად არჩეული იყო ინერტონ სუპერზე დაფუძნილი, 0,16-0,25 მმ ზომების მქონე 15% კარბოვაქსი 20M. ექსპერიმენტში გაზ-მატარებლად გამოიყენებოდა ჰელიუმი. ანალიზი დროს ხდებოდა 10 მეტ ნიმუშის პირდაპირი შეკვეთის ქრომატოგრაფიულ სვეტზე. გამოკვლეულ იქნა საქართველოში სხვადასხვა პირობებში დამზადებული რამდენიმე სახეობის ეთერზეთის 11 ნიმუში.

ქვემოთ წარმოდგენილია იმ ნიმუშების ქრომატოგრამები, რომლებშიც აღმოჩენილია წყლის დიდი რაოდენობა.

ცნობილია, რომ წყლის პიკის გაზრდა-გაგანიერება, გამოწვეული მისი მოლეკულების მაღალი პოლარობით, იწვევს ამ პიკის ზედდებას საანალიზო ნარევის სხვა კომპონენტების პიკებზე, რაც აძნელებს რაოდენობრივ შეფასებებს. ამიტომ

აუცილებელია გაყოფის ოპტიმალური ქრომატოგრაფიული პარამეტრების დადგენილების თითოეული ეთერზეთისათვის ცალ-ცალკე.





у-ღერძშე ა-დეტექტორის სიგნალით ფარდობით ერთეულებში. ა-ღერძშე ს-დროა წმ-ზი, ა-წყლის პიკი.

სურ.1 ლაუნის ეთერზეთის (Laurel oil) ქრომატოგრაფი

ქრომატოგრაფი მიღებულია 10 ქელ ნიმუშის შეკვანით გასურ-სისტემი ქრომატოგრაფის სკერპი. სვეტს გამარტინა შემდეგი ტემპერატურები: а) 100°C ; б) საწყის მიმენტში ტემპერატურა იყო 55°C . ნალი შემდეგ ხდებოდა მისი დაპროგრამებული გაზრდა 165°C -დე $11^{\circ}\text{C}/\text{წ}$ სიჩქარით; გ) საწყის მიმენტში ტემპერატურა იყო 75°C . ნალი შედეგ ხდებოდა მისი დაპროგრამებული გაზრდა 170°C -დე $15^{\circ}\text{C}/\text{წ}$ სიჩქარით. ჰელიუმის ხარჯი იყო 24 მლ/წთ, ხოლო სვეტის ზომები - 1,5 მმx3მმ.

1 სურათზე მოყვანილია დაფნის ეთერზეთის (Laurel oil) კომპონენტებიდან დაყოფის შედეგები 15% კარბოვაჭავს 20M სვეტზე. ჰელიუმის ხარჯი შეადგენდა $24\text{მლ}/\text{წთ}$. როგორც 1a სურათიდან ჩანს. იზოთერმულ რეჟიმში (სვეტების თერმოსტატის ტემპერატურა 100°C). ეთერზეთი დეტექტირდება ცუდად განცალკევებული პიკების სახით. ტემპერატურის დაპროგრამებული გაზრდისას 55°C -დან 165°C -დე $11^{\circ}\text{C}/\text{წ}$ სიჩქარით. დამზიდირება ექვსი კარგად განცალკევებული პიკი, მაგრამ საწყისი პიკები გაგანიერებულია (სურ.1b). დაფნის ეთერზეთი დეტექტირდება ექვსი კარგად განცალკევებული პიკის სახით, და გარდა ამისა, დამზიდირება ორი ახალი პიკი, როდესაც სვეტის ტემპერატურა სინჯის შეყვანის მომენტში 75°C -ია. ხოლო შემდეგ ხდება ტემპერატურის დაპროგრამებული გაზრდა 170°C -დე $15^{\circ}\text{C}/\text{წ}$ სიჩქარით (სურ.1c). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი რეჟიმი საუკეთესოა წყლის კონტროლისთვის დაფნის ეთერზეთში.



у-ღერძშე ა-დეტექტორის სიგნალით ფარდობით ერთეულებში. ა-ღერძშე ს-დროა წმ-ზი, ა-წყლის პიკი.

სურ.2 კაშის (Dill oil, a) და პიტნის (Mint oil, b) ეთერზეთების ქრომატოგრაფი.

ქრომატოგრაფი მიღებულია 10 ქელ ნიმუშის შეკვანით გასურ-სისტემი ქრომატოგრაფის სვეტში. სვეტის ტემპერატურა იყო 100°C . ჰელიუმის ხარჯი - 24 მლ/წთ ხოლო სვეტის ზომები - 1,5 მ \times 3 მ.



ცხრილი

ქრომატოგრაფიული ანალიზის ძირითადი მეტროლოგიური შახასიათებლები

N	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
ପ୍ରିୟସ ଭୂରତୀବ୍ଦୀ ଭୂରତ. ଏତ., S	186	181	184	180	174	186	182	179	175	174	181
-											
S								180			
-											
ΔS								1,32			
ସାମ୍ବ-କ୍ଷ-											
ପ୍ରଦେଶିଲ୍ଲେବ୍ଡ, ଏ								4,38			

მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ საშუალოს განსაზღვრის სიზუსტე 0.7%-ის ფარგლებშია, რაც სავსებით შეიძლება ჩაითვალოს მისაღებ მნიშვნელობად. წყლის შემცველობის რაოდენობრივი ანალიზისთვის საკვლევ ეთერზეთებში გამოყენებული იყო აბსოლუტური კალიბრების შეთვალი [2]. წყლის ფარგლებითი შემცველობის გამოთვლა ხდებოდა ფორმულით: $Q=S_1/S$, სადაც S_1 არის წყლის პიკის ფართობი ქრომატოგრამაზე, ხოლო S -ყველა დანარჩენი პიკების ფართობების ჯამი. Q -თვის მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები 16%, 10% და 11% შესაბამისად დაფნის, კამის და პიტნის ეთერზეთებისთვის. Q -ს ეს სიდიდეები გვიჩვენებს, რომ წარმოდგენილ ნიმუშებში წყალი წარმოადგენს უკვე არა მინარევს, არამედ ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს, რაც მკვეთრად აუარესებს ამ ეთერზეთების ხარისხს. მასთან დაუშვებელია ასეთი სინჯების შემდგომი გამოკლევები, რადგან ეს იწვევს ქრომატოგრაფიული სკეტის მწარმოებლობის დაჭვითებას.

ამრიგად, ჩენ მიერ დადგენილია საქართველოში წარმოებულ რიგ ეთერზეთებში წყლის შემცველობის განსაზღვრის კველაზე უფრო ოპტიმალური ქრომოტოგრაფიული პარამეტრები 15% კარბოვაკსი 20M სვეტზე. ზოგიერთ ნიმუშში აღმოჩენილია არასასურველი ნივთიერების - წყლის მაღალი კონცენტრაცია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია,
ფიზიკის ინსტიტუტი

ଲୋକପାତ୍ରିକା

1. М.С.Горяев, И.Плива. Методы исследования эфирных масел. Алма-Ата, 1962.
 2. К.А.Гольберт, М.С.Вигдергауз. Введение в газовую хроматографию. М., 1990.

რ. კვარაცხელია, ე. კვარაცხელია




Cr(6+)-ის ვოლტამპერომეტრია შერეულ წყალ-ორგანულ გარემოში

წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. ჭაფარიძემ 6.09.1996

მოცემულ სამუშაოში აღწერილია ბიტრომატულ ხსნარებში Cr(6+)-ის ელექტროალდგენის შესწავლის შედეგები შერეულ წყალ-ორგანულ გარემოში მყარ ელექტროდებზე.


Cr(6+)-ის ელექტროჯიმიური ქცევის შესწავლა H_2CrO_7 -ის ხსნარებში წყლის ბინარულ ნარევებში აცეტონთან, აცეტონიტრილთან, დიმეთილფორმამილთან და პირიდინთან ხორციელდებოდა მბრუნვავი დისკების ელექტროდებზე ვოლტამპერომეტრიისა და სტაციონარულ ელექტროდებზე ქრონოვოლტამპერომეტრიის მეთოდებით მაღალი სისუფთავის მქონე Sn, Cu და Cu-Hg-ის გამოყენებით დაბურულ ურჩევის სუფთა ჰელიუმის ატმოსფეროში (ალნიშნულ მეტალთა შემთხვევაში პროცესის ყველაზე მკვეთრი სურათი შემჩნევა). გაზომვებისადმი ელექტროდების მოშზადების მეთოდიკა აღწერილია [1]-ში, ხოლო გამოყენებული ორგანული გამხსნელების გაწმენდისა და გაუწყლოების მეთოდიკა - [2,3]-ში. სამუშაოში გამოყენებული ფონის ელექტროლიტი - $NaCl_4$ ორგერ იყო გადმოკრისტალიზებული ბიდესტილატიდან, რის შემდეგ ხურდებოდა $190-200^{\circ}C$ -ზე რამდენიმე დღის განმავლობაში. სამუშაოში გამოყენებული იყო ავტოთვე ორგერ გამოხდილი H_2SO_4 . Cr(6+)-ის შემცველი ნაერთის სახით გამოყენებოდა ბიდესტილატიდან ორგერ გადმოკრისტალიზებული $K_2Cr_2O_7$. $H_2Cr_2O_7$ -ის საბაზო 0,1 M ხსნარის მისაღებად კემარობდით 0,1 M $K_2Cr_2O_7$ -სა და 0,1 M H_2SO_4 -ს. შედარებით ელექტროდად ვიყენებდით კალომელის ნაფერ ელექტროდს. ყველა გაზომვები შესრულებულია $20^{\circ}C$ -ზე.

Cr(6+)-ის სხვადასხვა მდგომარეობებს შორის არსებულ წონასწორობების:




შესახებ არსებული რაოდენობრივი მონაცემების (პურბეს დიაგრამები მათი დანართით [4] ანალიზი მოწმობს იმაზე, რომ Cr(6+)-ის არსებობის ძირითად ფორმას სამუშაოში გამოყენებულ $H_2Cr_2O_7$ -ის ხსნარებში ($C=0,001-0,005$ M) ნეიტრალურ ($0,1M NaClO_4$) და მუვა (0,1N H_2SO_4) ფონებში წარმოადგენს $HCrO_4^-$ -იონი.


წყალხსნარებში ყველა გამოყენებული ფონებისა და ელექტროდების შემთხვევაში შეიმჩნევა $\text{Cr}(6+)$ -ის აღდგენის მკვეთრი ვოლტამპერომეტრული სურათი: ნეიტრალურ ფონებში იგი წარმოქმნის $\text{Sn}-\text{სა}$ და $\text{Cu}-\text{Hg}$ -ის ელექტროდებზე და ერთ ტალღას სპილენძის ელექტროდზე, ხოლო მეტა ფონებში - თითო ტალღას $\text{Cu}-\text{სა}$ და $\text{Cu}-\text{Hg}$ -ის ელექტროდებზე ნაჩვენებია, რომ $\text{Cr}(6+)$ -ის ტალღა $0.1\text{M} \text{ H}_2\text{SO}_4$ -ში და პირველი ტალღა $0.1\text{M} \text{ NaClO}_4$ -ში შეესაბამებიან რეაქციას:



ხოლო მეორე ტალღა $0.1\text{M} \text{ NaClO}_4$ -ში (და აგრეთვე Cu -ის ელექტროდის შემთხვევაში ამავე ფონში არსებული ტალღა) - რეაქციას:




(დეპოლარიზაციის ბუნების შეცვლა განპირობებულია ელექტროდის მიმდებარე შრეში pH -ის ზრდით).




სურ. I. $\text{Cr}(6+)$ -ის ელექტროდაღდგენის კინეტიკური პარამეტრების დამოიცემულება ორგანული კომპონენტის კონცენტრაციის განვილის ნაჩვენებში აცეტონთან (I, ერა 1') და აცეტონიტრილთან (2, 2' და 2''). ელექტროდი Sn ; $0.1\text{M} \text{ NaClO}_4$; $10^{-3}\text{ M} \text{ H}_2\text{Cr}_2\text{O}_7$; 980 ბრწ. 1 და 2 - იაჟ; 1' და 2' $E_{1/2}$; 1'' და 2'' - k_o .

წყლის გარემოს შეცვლა წყალ-ორგანული გარემოთი, რომელმაც საგრძნობი გავლენა უნდა მოახდინოს წონასწორობათა (I) - (5) მდგომარეობაზე, იწვევს $\text{Cr}(6+)$ -ის ვოლტამპერომეტრიის სურათის მკვეთრ შეცვლას. ორგანული კომპონენტის შემცველობის ზრდა წყლის ნარევებში აცეტონთან, აცეტონიტრილთან და დიმეთილფორმამილთან $0.1\text{M} \text{ NaClO}_4$ -ში იწვევს $\text{Cr}(6+)$ -ის I და II ტალღების ზღვრული დენების მკვეთრ შემცირებას (მაგრამ ამავე დროს ნახვარტალღის პოტენციალი $E_{1/2}$ და სიჩქარის კონსტანტის K_0 სიდიდეები პირველი ტალღების უბანში მცირედ იცვლება, რაც მეტველებს დეპოლარიზაცირისა და პროტონის დონორის ბუნების უცვლელობაზე). I სურათზე ნაჩვენებია ალნიშნული სურათი Sn -ის ელექტროდის შემთხვევაში აცეტონისა და აცეტონიტრილის წყალხსნარებში (კო-ის სიდიდეები გათვლილია სტაციონარულ ელექტროდზე გადაღებული ქრონოგოლტამპეროგრამების პარამეტრების ანალიზის შედეგად, პოლარიზაციის სიჩქარე - 0.5 ვ/წმ). რეაქციების (6) და (7) სიჩქარის ეს შემცირება დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორების მოქმედებასთან: ნარევების სიბლანტის ზრდასთან (რაზედაც მეტველებს $\text{Cr}(6+)$ -ის ზღვრული დენების სიდიდეების უფრო შესამჩნევი შემცირება სისტემებში წყალი-დიმეთილფორმამილი და წყალი-აცეტონი, ვიდრე წყლისა და აცეტონიტრილის ნაჩვენებში), წონასწორობათა (3) და (5) გადახრასთან $\text{Cr}_2\text{O}_7^{2-}$ იონთა მხარეს ელექტროდის მიმდებარე შრეში წყლის შემცველობის შემცირებისას,



სურ. 2. - Cr(6+) ის ზღვრული დენების სიდიდეთა დამკიდებულება რაგანული კომპონენტის კონცენტრაციისაგან 0,1 N H₂SO₄-ში. ელექტროდი - Cu; 10⁻³ M H₂Cr₂O₇; 980 ბრწ. I - აცეტონიტროლი; 2 - აცეტონი; 3 - დიმეთილურმაზიდი.

Cr(6+)-ის ზღვრული დენების სიდიდეები ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე წყალსნარებში) ძირითად Cr(6+)-ის შემცველ ადგენს, ხოლო პროტონის დონორს - ლიონიუმის იონი, რაც იწვევს Cr(6+)-ის აღდენის სიჩქარის მკვეთრ შემცირებას. მეტა სნარებში (0,1N H₂SO₄) ორგანული კომპონენტის შემცველობის ზრდა არ იწვევს პროცესის სიჩქარის ისეთ შესამჩნევ შემცირებას, როგორც 0,1 M NaClO₄-ში: აქ ეს შემცირება უფრო შესამჩნევია სისტემაში. წყალი-დიმეთილურმაზიდი (ნარევების სიბლანტის ძლიერი ზრდა), მაშინ როცა სისტემაში წყალი-აცეტონი მას აღგილი იქნება აცეტონის მხროდ 30%-იან შემცველობადე, ხოლო წყლისა და აცეტონიტრილის ნარევებში ტალის სიმაღლის შემცირება ნაკლებად შესამჩნევია (მე-2-ე სურათზე ნაჩვენებია აღნიშნული მოვლენები სპილენძის ელექტროდის შემთხვევაში). ეს დაკავშირებულია ორგანული კომპონენტის შემცველობის ზრდის ნაკლებად გამოხატულ გვლენასთან, როგორც Cr(6+)-



სურ. 3. Cr(6+) ის ელექტროდადგენის კინეტიკური პარამეტრების დამკიდებულება პირიდინის კონცენტრაციისაგან 0,1 N H₂SO₄-ში (1 და 2) და 0,1 M NaClO₄-ში (3 და 4).

10⁻³ M H₂Cr₂O₇; 980 ბრწ. ელექტროდები - Cu(1 და 2) და Sn(3 და 4). 1 - i_{lim}; 2 - E_{1/2}; 3*i_{lim}*; 4 - i_{lim}.

ის სხვადასხვა ფორმებს შორის არსებულ წონასწორობათა მდგომარეობაზე, ასევე ნარევების პროტონდონორულ თვისებებზე წყალბაზის იონების მაღალი

კონცენტრაციის პირობებში (წონასტორობების (3) და (5) გადახრა $\text{Cr}_2\text{O}_7^{2-}$ -ითნა მხარეს შესამჩნევია მხოლოდ ორგანული კომპონენტის კონცენტრატირებულ სსნარებში, თანაც წყლის ნარევებში აცეტონთან და განსაკუთრებით აცეტონიტრილთან მისი გავლენა $\text{Cr}(6+)$ -ის ზღვრული დენების სიდიდეებზე კომპენსირებულია გარემოს დაბალი სიბლანტით).

მაღალფუძიანი პირიდინის დამატება $\text{H}_2\text{Cr}_2\text{O}_7$ -ის წყალსარებში, რომელიც პროტონის რაოდენობრივ გადასოლვატაციის იწვევს [3], განაპირობებს პროცესის სურათის მკვეთრ ცვლილებას უკვე პირიდინის მცირე შემცველობისას ($(2 \cdot 10^{-3} \text{ M Py} 0.1\text{M NaClO}_4$ -ში, სადაც არის $10^{-3} \text{ M H}_2\text{Cr}_2\text{O}_7$ და $0.1\text{M Py} 0.1\text{N H}_2\text{SO}_4$ -ში): I და II ტალღების სიმაღლეები 0.1M NaClO_4 -სა და $0.1\text{N H}_2\text{SO}_4$ -ში არსებული ტალღის სიმაღლე მკვეთრად ეცემა, ხოლო $E_{1/2}$ -ის სიდიდეები გადახრება უფრო უარყოფით მხარეს (სურ.3). პირიდინის მცირე დანამატების ეფექტის არსებობა $\text{Cr}(6+)$ -ის არა მარტო პირველი, არამედ მეორე ტალღების უბანშიც (და აგრეთვე Cu -ის ელექტროდის შემთხვევაში არსებული ტალღის უბანში) მოწმობს H_3O^+ იონთა ნაწილობრივ პროტონდონორულ მოქმედებაზე $\text{Cr}_2\text{O}_7^{2-}$ -იონების აღდგენის პროცესშიც (რეაქცია (7)); პროტონის გადასოლვატაციის შემდეგ აღნიშნული პროცესი წყლის მოლეკულების პროტონდონორული მოქმედების რეაქტზე “გადაირთვება”.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის
ინსტიტუტი

ლიტერატურა

1. *P.K.Кварацхелия, Т.Ш.Мачаварини.* Электрохимия, **20**, 3, 1984, 303.
2. *P.K.Кварацхелия, Г.Р.Кварацхелия, М.Г.Жамиерашвили,* Электрохимия, **27**, 8, 1991, 1065.
3. *З.Р.К.Кварацхелия, М.Г.Жамиерашвили, Е.Р.Кварацхелия.* Электрохимия, **28**, 12, 1992, 1869.
4. Справочник химика. Т. III. М.-Л., 1964.

ავტომატური მართვა და გამოტვლითი ტექნიკა

ა. შიქაძე, მ. ქარქაშაძე

მრავალპროცესორიანი და მრავალმანქანიანი გს-ის
საიმედოობისა და ეფექტურიანობის პროგნოზირება

წარმოადგინა აკადემიური კვიტი 2.09.1996

გამოთვლითი სისტემების (გს) ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებას, რომელიც არსებითად მოქმედებს მათი ფუნქციონირების პროცესებზე, წარმოადგენს მათი მოწყობილობებისა და პროგრამული უზრუნველყოფის საიმედოობა. მაღალი საიმედოობისა და მაღალმწარმოებლურობის უზრუნველსაყოფად იქმნება ტოპოლოგიური ჩეკინფიგურაციის შესაძლებლობის მქონე მრავალპროცესორიანი (მპგს) და მრავალმანქანიანი გს (მმგს). ასეთი სისტემების ტექნიკური ჩეკინზარი ითვალისწინებს რამდენიმე იდენტური გამოთვლითი საშუალებების გამოყენებას, რომლებიც ფუნქციონირებენ ერთიანი მართვის ქვეშ და ყოველ მათგანს შეუძლია სხვადასხვა პროგრამების ჩეკინზარი.

ერთი ფუნქციონალური ბლოკის მტყუნების შემთხვევაში ხდება დატვირთვის გადანაწილება ისეთნაირად, რომ გს ინარჩუნებს ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულების შესაძლებლობას. იმ დროს, როდესაც აუცილებელია ცალკეული მოწყობილობების მტყუნებისას შევინარჩუნოთ საწყისი მწარმოებლურობა, სისტე-მაში გათვალისწინებულია აპარატული და დროითი სიქარბე. ყოველ მოწყობილობაში (ან ბლოკში) შეუერჩებების და მტყუნებების აღმოსაჩენად გათვალისწინებულია კონტროლის სისტემის არსებობა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია აპარატული და დროითი ჩეხერვების მქონე მრავალპროცესორიანი და მრავალმანქანიანი გს ანალიზი. გს განიხილება, როგორც მასობრივი მომსახურეობის სისტემა (მმს) გაერთიანებული რიგით და საერთო რესურსებით, ერთი ან რამდენიმე შესასვლელი ნაკადებით მოთხოვნათა (დავალებათა) ჯგუფური მომსახურეობით.

დაუშვათ მპგს (მმგს), რომელიც შესდგება m მუშა მომსახურე მოწყობილობისაგან და $n-m$ ანალოგიური სათადარიგო მოწყობილობებისაგან, იტვირთება სეროთ დავალებით (მოთხოვნებით, განაცხადებით) რომელთა ნაკადის ინტენსივობა ტოლია λ ; თითოეული განაცხადის დამუშავების დრო წარმოადგენს შემთხვევით სიდიდეს, რომლის განაწილების ფუნქციაა $F(u)$. სისტემა ერთდროულად ემსახურება იმდენ განაცხადს, რამდენიც მუშაობის უნარიანი მოწყობილობაა სისტემაში მოცემულ მომენტში, მაგრამ არაუმტეტს $m-s$. მუშა მოწყობილობების მტყუნება ხდება α , ინტენსივობით, ხოლო სათადარიგო მოწყობილობების მტყუნება α , ინტენსივობით. მუშა მოწყობილობის მტყუნების მომენტში მს აღვილზე გადაირთვება სათადარიგო მოწყობილობა, თუ ამ მომენტში მუშაობისუნარიანია $n-m$ სათადარიგო მოწყობილობებიდან ერთ-ერთი მაინც. სისტემაში არის ერთი შექეთვებელი ბრიგადა, რომელიც იმშვიცევი იწყებს წყობიდან გამოსული მოწყობილობის აღდგენას, თუ ის ამ დროს თავისუფალია. აღდგენის დრო შემთხვევითი სიდიდეა μ ინტენსივობით. გადამრთველი მოწყობილობა იგულისხმება,



მათემატიკური მოდელის ასაგებად შემოვილოთ შემდეგი შემთხვევითი პროცესები [2]:

$\eta(t)$ -სისტემაში დროის t მომენტისათვის არსებული დავალებების რაოდენობა.

$\mu(t)$ -მუშაობის უნარიანი მოწყობილობების რაოდენობა / მომენტში.

$\sigma(t) - t$ მომენტში მომსახურების პროცესში მყოფი განაცხადთა რაოდენობა.

$\xi(t)$ - დროის t ინტერვალში მოგროვებულ განაცხადთა ჩაოდენობა.

Х(1) - Ծրանու ո՞ւղարկած ծովո 0-մաքենակույզ (0-մաքենա ց ցուցաբա մոմածաշահույցների ու ցույլու դասարաւույցների մոմենտը).

მომსახურე სისტემის მდგომარეობა შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი ოლბათობით

$$R_i(t) = \#\{u(t) = i; \, v(t) = 0\}, \, i = \overline{1, n}; \, R^{(k)}(t) = \#\{u(t) = 0; \, v(u(t)) = k\}, \, k = \overline{1, c}.$$

$$P_{il}^{(k)}(t, u)du = P\{\eta(t) = k; \sigma(t) = l; u < \chi(t) < u + du | \mu(t - \chi(t)) = i\};$$

$$l \leq \min(i, k, m), i = \overline{1, n}, k = \overline{1, c + \eta_{ik}};$$

$h_{ij}^{(k)}(v)dv$ არის იმის ალბათობა, რომ მომსახურე სისტემაში, რომელიც j მდგომარეობაში იმყოფება k ჩაოდენობის განაცხადების მომსახურება დასრულდება ლროის $(v, v + dv)$ ინტერვალში, იმ პირობით, რომ საწყის მომენტში მომსახურე სისტემა იყო i -ურ მუშაობისუნარიან მდგომარეობაში [2].

$P_{il}^{(k)}(t, u)$ -ს შესახებ გავაკეთოთ რამდენიმე შენიშვნა.

განსახილველი სისტემების ფუნქციონირების პროცესის აღწერიდან გამომდინარეობს, რომ $P_{il}^{(k)}(u) = 0$, $k < l$. ან $k > c+l$ ნათელია აგრეთვე ისიც, რომ ნებისმიერი შეთავსებისათვის $l > i$ ან $l > m$ $P_{il}^{(k)}(t, u) = 0$. თუ მომდევნო მომსახურეობის ციკლის დასაწყისში მომსახურე სისტემის მდგომარეობა $i < m$, ხოლო სისტემაში განაცხადთა რაოდენობა შეტია $i-ზე$, მაგრამ $i \leq c+l$, მაშინ აღწერილი წესის მიხედვით ჭგუფი ფორმირდება i დავალებებისაგან. იმ შემთხვევაში, როცა $i \geq m$ სხვა პირობების ერთგვაროვნებისას ჭგუფი შესძლება m განაცხადისაგან. შეიძლება ჩამოვთვალოთ $P_{il}^{(k)}(t, u)$ ფუნქციის ყველა შესაძლო შეთავსება, როცა მისი მნიშვნელობა ნულისაგან განსხვავდებულია, ეს მდგომარეობა აისახება η_{ik} -ში:

$$\eta_{i,k} = [k\delta(k < i) + i\delta(k \geq i)]\delta(i \leq m) + [k\delta(k < m) + m\delta(k \geq m)]\delta(i > m);$$

$$\delta(\bullet) = \begin{cases} 1, & \text{if } (\bullet) \text{ is a root of } g_m \\ 0, & \text{if } (\bullet) \text{ is not a root of } g_m \end{cases}$$

ଓଲ୍ଡିନ୍ ମନୋତ



$$H_{ij}^{(k)}(u) = \int_0^u h_{ij}^{(k)}(v) dv, \quad r_{ij}^{(k)}(u) = \frac{h_{ij}^{(k)}(u)}{\bar{H}_i^{(k)}(u)}, \quad r_i^{(k)}(u) = \frac{h_i^{(k)}(u)}{\bar{H}_i^{(k)}(u)},$$

$$\overline{H}_i^{(k)}(u) = 1 - H_i^{(k)}(u) .$$

ნათელია, რომ

$$H_i^{(k)}(u) = \sum_{j=1}^n H_{ij}^{(k)}(u), \quad h_i^{(k)}(u) = \left(H_i^{(k)}(u)\right)', \quad h_i^{(k)}(u) = \sum_{j=1}^n h_{ij}^{(k)}(u),$$

$$r_i^{(k)}(u) = \sum_{j=1}^n r_{ij}^{(k)}(u), \quad H_i^{(k)}(\infty) = 1$$

აქ ყველაზონ ზემოთა k ინდექსი აღნიშნავს, რომ ერთდროულად მომსახურების პროცესშია კ ჩაონდენობის განაცხადი.

ნორმირების პირობას აჭივს სახე.

$$\sum_{i=1}^n R_i(t) + \sum_{k=0}^c R_0^{(k)}(t) + \sum_{i=1}^n \sum_{l=1}^{\eta_k} \sum_{k=1}^{c+l} P_{il}^{(k)}(t) = 1.$$

$\int_0^t P_{il}^{(k)}(t-u)du$ წარმოადგენს იმის ალბათობას, რომ t დროის

მომენტისათვის სისტემაში იმყოფება k განაცხადი ($k \leq c+1$), მათგან I -ის მომსახურება ხდება ჯგუფის შემადგენლობაში, იმ პირობით, რომ მომსახურების დაწყების მომენტში მომსახურე სისტემა იყო i -ურ მდგომარეობაში.

რეკურსოლური დიფერენციალური დამოკიდებულება $R_i(t)$, $R_0^k(t)$ და $P_{il}^{(k)}(t, u)$ -თვის შეიძლება ვიპოვოთ სისტემის შესაძლო მდგომარეობების შეცვლის განხილვის გზით, დროის უსაზღვრო მცირე ინტერვალში t -დან $t+h$ -მდე. შემდგომში $h \rightarrow 0$ ზღვარზე გადასვლით ამ დამოკიდებულებას აქვთ სახე.

$$R'_0(t) = -[\mu + (1 - \delta_{0c})\lambda]R_0(t) + \alpha_1 R_1(t) + (1 - \delta_{0c})\tau R_0^{(1)}(t); \quad (1)$$

$$\left(R_0^{(k)}(t) \right)' = \lambda R_0^{(k-1)}(t) - [\mu + (1 - \delta_{kc})\lambda + k\tau] R_0^{(k)}(t) +$$

$$+ (1 - \delta_{kc})(k+1)\tau R_0^{(k+1)}(t), k = \overline{1, c}, R_0^{(k)}(t) = 0 \text{ whenever } k > l;$$

$$R_i^l(t) = -[\lambda + (1 - \delta_{in})\mu + a_i]R_i(t) + \mu R_{i-1}(t) + (1 - \delta_{in})a_{i+1}R_{i+1}(t) + \dots \quad (2)$$

$$+ \sum_{v=1}^n \sum_{\varepsilon=1}^{\eta_v} \int_0^t P_{v\varepsilon}^{(\varepsilon)}(t,u) r_{vi}^{(\varepsilon)}(u) du, i = \overline{1,n}; \quad (3)$$

$$\begin{aligned} \frac{\partial P_{il}^{(k)}(t,u)}{\partial t} + \frac{\partial P_{il}^{(k)}(t,u)}{\partial u} = & - [(1 - \delta_{k,c+l})\lambda + r_i^{(l)}(u) + (k-l)\tau] P_{il}^{(k)}(t,u) + \\ & + (1 - \delta_{k,c+l})(k+1-l)\tau P_{il}^{(k+1)}(t,u) + (1 - \delta_{kl})\lambda P_{il}^{(k-1)}(t,u), \end{aligned} \quad (4)$$

$$k = \overline{1, c+l}, i = \overline{1, n}, l = \overline{1, \eta_i}, P_{il}^{(k)}(t, u) = 0 \text{ for } k > c+l, c = 0, 1, 2, \dots, N.$$

$$\eta_v = v\delta(v \leq m) + m\delta(v > m); a_i = \delta_0(i < m)i\alpha_1 + \delta_1(i \geq m)[m\alpha_1 + (i - m)\alpha_2];$$

$$\delta_{mn} = \begin{cases} 1, & m = n \\ 0, & m \neq n \end{cases} \quad \delta_1(i \geq m) = \begin{cases} 1, & i \geq m; \\ 0, & i \leq m; \end{cases}$$

სასაზღვრო პირობებისათვის გამოიყვანება შემდეგი დამოკიდებულებები:

$$P_{i\eta_{ik}}^{(k)}(t,0) = \sum_{v=1}^n \sum_{\varepsilon=1}^{\eta_v} \int_0^t P_{v\varepsilon}^{(k+\varepsilon)}(t,u) r_{vi}^{(\varepsilon)}(u) du + \delta_{kl} \lambda R_i(t) + \\ + \delta_{il} \mu R_0^{(k)}(t), \quad i = \overline{1, n}, \quad k = \overline{1, c + \eta_i}, \quad P_{i\eta_{ik}}^{(k)}(t,0) = 0, \text{ თუ } k \geq c + \eta_{ik}. \quad (5)$$

ვთქვათ, ($t=0$) საწყის მომენტში მომსახურე სისტემის ყველა მოწყობილობა გამართულია და განცხადებებს ადგილი არა აქვს, ე.ო. $R_n(0) = 1, R_i(0) = 0 (i \neq n)$. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ $P_{il}^{(k)}(t, 0) = 0$ თუ $l \neq \min(i, k, m)$, (4) განტოლების მოხსნა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

$$P_{il}^{(k)}(t,u) = \sum_{\gamma=l}^{c+1} P_{i\eta_{i\gamma}}^{(\gamma)}(t-u,0) \bar{H}_i^{(l)}(u) \theta_{\gamma-l,k-l}^{(c)}(u) \delta(\eta_{i\gamma}=l), \quad (6)$$

$$l = \overline{1, \eta_{ik}}, \quad i = \overline{1, n}, \quad k = \overline{1, c+l}$$

აქ $\theta_{\gamma-l,k-l}^{(c)}(u)$ -იმის ალბათობაა, რომ u დროის მომენტისათვის (სანამ l განცხადების მომსახურეობა, რომელიც დაიწყო $u=0$ მომენტში, არ დასრულდება). განცხადების რაოდენობა რიგში გახდება $k-l$, იმ პირობით, რომ u მომენტში რიგში იყო $\gamma-l$ გრძაცხადი, სისტემაში c რაოდენობის მოსაცდელი ადგილების არსებობისას.

$\theta_{kl}^{(c)}(u)$ შემთხვევითი პროცესი აღიწერება დანაკარგებიანი მმს-ის გამრავლებისა და დაღუპვის დიფერენციალური განტოლებების სისტემით, რომელშიც მომსახურე მოწყობილობების რაოდენობა ტოლია c მომსახურეობის ინტენსივობა τ განაცხადთა ნაკადის ინტენსივობა λ .

თუ აღნიშნეთ $\theta_{kl}^{(c)}(u) \equiv P_{\eta l}(u)$ და დავეყრდენით [3] შეგვიძლია ჩავწეროთ შემდეგი დიფერენციალური განტოლებები:

$$P'_{\eta 0}(u) = -\lambda P_{\eta 0}(u) + \tau P_{\eta 1}(u); \\ P'_{\eta j}(u) = \lambda P_{\eta,j-1}(u) - (\lambda + j\tau) P_{\eta j}(u) + (j+1)\tau P_{\eta,j+1}(u); \\ P'_{\eta c}(u) = \lambda P_{\eta,c-1}(u) - \tau c P_{\eta c}(u); \quad \eta = \overline{0, c}; \quad j = \overline{0, c-1}; \quad P_{\eta,c+n}(u) = 0, \text{ თუ } n > 0. \quad (7)$$

$$\text{თუ } \text{აღნიშნავთ } t = u\tau, \rho = \frac{\lambda}{\tau}, \quad \bar{\pi}_{\eta j}(s) = \int_0^\infty \bar{e}^{st} P_{\eta j}(t) dt, \quad s \bar{\pi}_{\eta j}(s) - \delta \eta j = \\ = \int_0^\infty \bar{e}^{st} P'_{\eta j}(t) dt,$$

გამოვიყენებთ ლაპლასის გარდასახვას და მიღებული სისტემის $\bar{\pi}_{\eta j}(s)$ -ის მიმართ მოხსნის შემთხვევაში, მივიღებთ:



$$\bar{\pi}_{\eta\eta}(s) = \frac{\binom{\rho^j}{j!}}{s \sum_{j=0}^c \frac{\rho^j}{j!}} + \sum_{r=1}^c \frac{D_\eta(s_r) D_j(s_r) c! \rho^{c-\eta}}{s_r D_c(s_r) D'_c(1+s_r) j! (s - s_r)} \quad (8)$$

აქ $D_k(s)$ ($k = \overline{0, c}$) $c+1$ რიგის კვადრატული D მატრიცის ქვემატრიცის დეტერმინატია.

$$D = \begin{vmatrix} \rho+s & -1 & 0 & 0 & \dots & 0 & 0 \\ -\rho & \rho+1+s & -2 & 0 & \dots & 0 & 0 \\ 0 & -\rho & \rho+2+s & -3 & \dots & 0 & 0 \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ 0 & 0 & 0 & 0 & \dots & -\rho & c+s \end{vmatrix}$$

$$D_0(s) = 1; D_1(s) = \rho + s; D_{n+1}(s) = (\rho + n + s)D_n(s) - \rho n D_{n-1}(s);$$

$$D_c(s) = (\rho + c - 1 + s)D_{c-1}(s) - \rho(c-1)D_{c-2}(s).$$

(8)-ში აჭამვა ხდება განტოლების

$$(\rho + c + s)D_{c-1}(s+1) - \rho(c-1)D_{c-2}(s+1) = 0.$$

$\bar{c} = (s_r, r = \overline{1, c})$ ფინანსურირების მიხედვით.

(8)-ის უკუკი გადასახვას ეჭნება სახე:

$$P_{\eta,j}(u) = A_j^{(c)} + \sum_{r=1}^c B_{\eta j}^{(c)}(s_r) e^{s_r u}, \quad (9)$$

5

$$A_j^{(c)} = \frac{\binom{\rho^j}{j!}}{\sum_{j=0}^c \frac{\rho^j}{j!}}; B_{\eta\eta}^{(c)}(s_r) = \frac{c!}{j!} \rho^{c-\eta} \frac{D_\eta(s_r) D_j(s_r)}{s_r D_c(s_r) D'_c(1+s_r)};$$

ଓଲ୍ଡନିଶବ୍ଦ:

$$\bar{R}_0^{(k)}(s) = \int_0^{\infty} e^{-st} R_0^{(k)}(t) dt, \quad k = \overline{0, c}; \quad \bar{R}_i(s) = \int_0^{\infty} e^{-st} R_i(t) dt; \quad \bar{h}_{ji}^{(e)}(s) = \int_0^{\infty} e^{-st} h_{ji}^{(e)}(t) dt;$$

$$\overline{P}_{i\eta_{ik}}^{(k)}(s, 0) = \int_0^{\infty} e^{-st} P_{i\eta_{ik}}^{(k)}(t, 0) dt, k = \overline{1, c + \eta_{ik}}, i = \overline{1, n}.$$

თუ გამოვიყენებოთ (1), (2), (3) და (5)-ის მიმართ ლაპლასის გარდასახვებს, (9) და (6) გათვალისწინებით, მივიღებთ ალგებრულ განტოლებათა სისტემას, არასტაციონალურ რეკიმში საიმედოობისა და ეფექტურობის მაჩვენებლების მიმართებით, ლაპლასის გარდასახვის სახით:

$$s \bar{R}_0(s) = -[\mu + (1 - \delta_{0c})\lambda] \bar{R}_0(s) + a_1 \bar{R}_1(s) + (1 - \delta_{0c})\tau \bar{R}_0^{(1)}(s); \quad (10)$$

$$s \bar{R}_0^{(k)}(s) = \lambda \bar{R}_0^{(k-1)}(s) - [\mu + (1 - \delta_{kc})\lambda + k\tau] \bar{R}_0^{(k)}(s) + \quad (11)$$

$$+ (1 - \delta_{kc})(k+1)\tau \bar{R}_0^{(k+1)}(s), k = \overline{1, c}, \bar{R}_0^{(c+n)}(s) = 0, \text{ ხოლო } n > 0;$$

$$s \bar{R}_i(s) - \delta_{in} = -[\lambda + (1 - \delta_{in})\mu + a_i] \bar{R}_i(s) + \mu \bar{R}_{i-1}(s)(1 - \delta_{in})\alpha_{i+1} \bar{R}_{i+1}(s) + \quad (12)$$

$$+ \sum_{v=1}^n \sum_{\varepsilon=1}^{\eta_v} \sum_{\gamma=\varepsilon}^{c+\varepsilon} \bar{P}_{v\eta_{v\gamma}}^{(\gamma)}(s, 0) \left[A_0^{(c)} \bar{h}_{vi}^{(\varepsilon)}(s) + \sum_{r=1}^c B_{\gamma-\varepsilon, 0}^{(c)}(s_r) \bar{h}_{vi}^{(\varepsilon)}(s - s_r \tau) \right] \delta(\eta_{v\gamma} = \varepsilon);$$

$$\bar{P}_{i\eta_{ik}}^{(k)}(s, 0) = F_i^{(k)}(s) + \delta_{ki} \bar{R}_i(s) + \delta_{il} \mu \bar{R}_0^{(k)}(s); i = \overline{1, n}, k = \overline{1, c + \eta_i}, \quad (13)$$

$$\bar{P}_{v\varepsilon}^{(k)}(s, 0) = 0 \quad (k \geq v + \varepsilon, \varepsilon = \eta_{vk}),$$

სადაც

$$\bar{F}_i^{(k)}(s) = \sum_{v=1}^n \sum_{\varepsilon=1}^{\eta_v} \sum_{\gamma=\varepsilon}^{c+\varepsilon} \bar{P}_{v\eta_{v\gamma}}^{(\gamma)}(s, 0) \left[A_k^{(c)} \bar{h}_{vi}^{(\varepsilon)}(s) + \sum_{r=1}^c B_{\gamma-\varepsilon, k}^{(c)}(s_r) \bar{h}_{vi}^{(\varepsilon)}(s - s_r \tau) \right] \delta(\eta_{v\gamma} = \varepsilon);$$

აქვთ მოვიყვანოთ $\bar{P}_{il}^{(k)}(t)$ ლაპლასის გარდასახვა

$$\bar{P}_{il}^{(k)}(s) = \int_0^\infty e^{-st} P_{il}^{(k)}(t) dt = \sum_{\gamma=l}^{c+l} \bar{P}_{i\eta_{i\gamma}}^{(\gamma)}(s, 0) q_{\gamma-l, k-l}^{(i)}(s) \delta(\eta_{i\gamma} = l),$$

სადაც

$$q_{\gamma-l, k-l}^{(i)}(s) = \frac{(1 - \bar{h}_i^{(l)}(s))}{s} A_{k-l}^{(c)} + \sum_{r=1}^c B_{\gamma-l, k-l}^{(c)}(s_r) \frac{(1 - \bar{h}_i^{(l)}(s - s_r \tau))}{s - s_r \tau}.$$

(10), (11), (12) და (13) განტოლებების სისტემის ამოხსნის შედეგად ვპოულობთ მშს საძებნი მდგომარეობების ალბათობებს.

თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი

ლიტერატურა

1. И.С.Микаძе, Р.В.Какубава, Н.Чамчев. Сообщ.АН Груз. ССР, 152, 2, 1975.
2. Р.В.Какубава. Автор.дисс...д-ра тех.наук. Тбилиси, 1994.
3. Dzh. Riordan. Verojatnostnye sistemy obsluvivanija. M., 1996.

მ.მახარაძე

τ - ლოგიკის ფორმულების სტანდარტული ფორმები

წარმოადგინა აკადემიუმ ვ. ჭავჭავაძე 27 01 1997

ბოლო წლებში დიდი ყურადღება ეთმობა პროგრამის სამართლიანობის დამტკიცების მათემატიკური მეთოდების შესწავლას. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი აღწერილია [1]. ამ მეთოდით ანალიზი უკეთდება პროგრამებს, რომლის წიბოს აღწერი მაკონტროლებელი პრედიკატისაგან მოითხოვება, რომ ის იყოს უკვანტორო ფორმულა. ეს საქმარისად დიდ შეზღუდვას წარმოადგენს და განპირობებულია იმით, რომ [1] განხილული მეთოდის გამოყენება მოითხოვს პროგრამის აღმწერ ა ფორმულის მიყვანას სკოლების სტანდარტულ ბ ფორმაზე. ცხადია, როცა ა ფორმულა შეიცავს კვანტორებს, საზოგადოდ ბ არ არის ეკვივალენტური ა -სი, ე.ი. ბ ფორმულა ამ პირობებში არ იქნება მოცემული პროგრამის აღმწერი ფორმულა. გარდა ამისა, უნდა აღნიშნოთ, რომ სასურველია ლოგიკური თეორიის ენა, რომელშიც აღიწერება ესა თუ ის პროგრამა იყოს პრედიკატების ლოგიკის ენაზე უფრო ძლიერი გამომსახველობითი უნარის მქონე ენა [2], [3,4]. ნაშრომებში მოცემული პრინციპების საფუძველზე აგებულია პრედიკატების ლოგიკაზე უფრო მეტი გამომსახველობის მქონე განვითარებადი ლოგიკა. იგი გამიზნულია მათემატიკური გამოკვლევების ელექტრონულ - გამოცვლით მანქანებზე სარეალიზაციოდ.

ნაშრომის მიზანია შესწავლილ იქნეს ხსნებული ლოგიკის ფორმულების τ - სტანდარტული ფორმები, რომელთა საშუალებითაც მოიხსნება პროგრამაზე ზემოთ ხსნებული შეზღუდვები.

ვთქვათ, ა ფორმულა არ შეიცავს კვანტორებს, მაშინ ა ფორმულის მარტივი τ - კონიუნქციური ნორმალური ფორმა ემთხვევა შესაბამისად ა ფორმულის კონიუნქციურ ნორმალურ ფორმას.

ვთქვათ, ა არის რაღაც ფორმულა. ა ფორმულის τ - კონიუნქციური ნორმალური ფორმა განისაზღვრება შემდეგი აღვრციომით:

ბიგი1: ა ფორმულაზე შემდეგი ორი განსაზღვრება: 1) $\exists xA$ - $(\forall xA/x)A$ და 2) $\forall xA$ - $\sim \exists x \sim A$ გამოვიყენოთ იმდენჯერ, სანამ ა ფორმულაში შემავალი ყველა არსებობის და ზოგადობის კვანტორი არ გაქრება. მიღებული ფორმულა აღნიშნოთ B -თი.

ბიგი2: ვთქვათ, B_1, B_2, \dots, B_n , არიან ბ ფორმულის ყველა ის მაქსიმალური ნაწილები, რომლებიც არ შეიცავენ τ - ოპერატორებს, ხოლო თვით იმყოფებიან τ ოპერატორის მოქმედების არეში. B'_1, B'_2, \dots, B'_n - ით აღნიშნოთ შესაბამისად B_1, B_2, \dots, B_n ფორმულების τ - კონიუნქციური ნორმალური ფორმები, მაშინ C ფორმულას, რომელიც მიიღება B ფორმულიდან B_1, B_2, \dots, B_n . ის შეცვლით B'_1, B'_2, \dots, B'_n ნაწილებით, ვუწოდოთ A ფორმულის პირველი საფეხურის τ - კონიუნქციური ნორმალური ფორმა.

ბიჭი3: ვიგულისხმოთ, რომ $\alpha_1 B_1, \alpha_2 B_2, \dots, \alpha_n B_n$ ნაწილები C ფორმულის მონიშნული ნაწილებია. მონიშნულ ნაწილებში შემავალი ოპერატორები უგულებელყოთ. ასეთი C ფორმულისათვის გამოვიყენოთ ბიჭი2. მიღებული ფორმულა იქნება მეორე საფეხურის τ -კონიუნქციური ნორმალური ფორმა.

ცხადია, ეს პროცესი დამთავრებადია, ბიჭი2-ის რაღაც გარკვეული K რაოდენობით გამოყენების შემდეგ და მაშინ მიღებულ M ფორმულას ვუწოდოთ K საფეხურის τ -კონიუნქციური ნორმალური ფორმა.

ბიჭი4: K საფეხურის τ -კონიუნქციურ ნორმალურ ფორმას შევხდოთ, როგორც წინადადებათა ალგებრის ფორმულას და მივიყვანოთ $C_1 \wedge C_2 \wedge \dots \wedge C_m$ კონიუნქციურ ნორმალურ სახემდე ბუნებრივი წესით. C_1, C_2, \dots, C_m ნაწილებს A ფორმულის დიზიუნქტები ეწოდებათ, ხოლო $S = \{C_1, C_2, \dots, C_m\}$ სიმრავლეს - A ფორმულის დიზიუნქტო სიმრავლე.

τ -დიზიუნქციური ნორმალური ფორმა განისაზღვრება ანალოგიურად.

ზემოთ აღწერილ ალგორითმთა უშუალო შედეგს წარმოადგენს შემდეგი ორი თეორემა:

თეორემა 1: თუ B არის A ფორმულის სტანდარტული τ -კონიუნქციური ნორმალური ფორმა, მაშინ A ტოლძალოვანია B -სი.

თეორემა 2: თუ B არის A ფორმულის სტანდარტული τ -დიზიუნქციური ნორმალური ფორმა, მაშინ A ტოლძალოვანია B -სი.

ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ნ.ვეკუას სახელობის

გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

ლიტერატურა

1. Ч.Чень Р. Ли. Математическая логика и автоматическое доказательство теорем, 1983, 360с.
2. Р.Б.Андерсон. Доказательство правильности программ, 1982, 168с
3. Х.Рухая. В кн. Сб. исследований по математической логике и теории алгоритмов Тбилиси, 1985, 58-74.
4. Ш.С.Пхакадзе. Некоторые вопросы теории обозначений, 1977, 195с.



აკადემიუსი ნ.სხირტლაძე, ი.აზვლედიანი, ი.ბაკაშვილი

თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთის ცეოლითშემცველი ქანები
მდინარე თეძამის აუზის შუა და ზედა ნაწილების ფარგლებში

წარმოდგენილია 18.12. 1996

მდინარე თეძამის აუზი ზოგიერთი წილისეულის, განსაკუთრებით კი სამშენებლო და მოსაპირეთებელი ქვების სიუხვით, მთავითვე იქცევდა ყურადღებას. სულ ბოლო დროს კი, ხეობის ქვემო ნაწილში, ცეოლითური ნედლეულის მძლავრი საბადო იქნა აღმოჩენილი, რომელიც სათანადო არის შესწავლილი, გამოივლილია ცეოლითური ნედლეულის მარაგები და, ბოლო მომდევ, ექსპლუატაციაშიც კი იყო. საერთოდ ცეოლითური ნედლეულის პრაქტიკული დამოყენებას ფართო დიაბაზონი აქვს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დარგებში [1, 2], ამიტომ გასავებია, რომ აეგო ნედლეულის მოძებნა და ახალ საბადოთა აღმოჩენა, რასაკირველია, ინტერესმოკლებული არ იქნება. აი ამ მიზნით დაიწერა წინამდებარე სტატია, რომელშიც ნაწილებია ამ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი მასალის ანალიზი და ისიც მინიშნებულია, თუ სად არის მოსალოდნელი თეძამის აუზის ფარგლებში ცეოლითური ნედლეულის აღმოჩენა. ამ მხრივ, თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთის სხვა რეგიონებთან ერთად, ინტერესს იმსახურებს მთლიანად თეძამის ანტიკლინური სტრუქტურა და მის სამხრეთი მომდევნო სხვა ტექტონიკური სტრუქტურებიც, რომელთა გეოლოგიური დახასიათება ცელებურ ლიტერატურაში საკმარის სრულად არის გაშუქებული [3, 4].

საკუთრივ თეძამის ანტიკლინის გული, ალპური დროის, ძირითადად, ფურცელური ტექტურებით არის აგებული, რომელსაც სამხრეთ და ჩრდილო მხრიდან წამოფარებული აქვს ჯერ ზედა ცარცული (სენომანტურონული) ასაკის ვულკანოგენ-დანალექი წყება, შემდეგ კი პალეოგენური ნალექები. ზედა ცარცული წარმოდგენილია შეებრივი, ლია-მომწვანო ფერის ფერფლის ტუფებით, ტუფიტებით და კარბონატული ქანების, უმთავრესად, მერგელების მორიგეობით. სამხრეთ ფრთის რკინის უბანზე წყების აგებულებაში რიოლითური და რიოლით-დაციტური ლავებიც მონაწილეობს. რაც შეეხება ჩრდილო ფრთას, აქ ეს წარმონაქმნები მეტწილად დაფარულია და ფრაგმენტულად ჩანს.

ზედა ცარცულის ამ წარმონაქმნებს ანტიკლინის სამხრეთ ფრთის აღმავალ ჭრილში სტრატიგრაფიული უთანხმებით მოუყვება ჯერ შედარებით მცირე სიმძლავრის პალეოცენ-გეოდა ეოცენი, წარმოდგენილი ფერადი თიხებით და მერგელებით, შემდეგ კი შუა ეოცენის მძლავრი ვულკანოგენ-დანალექი წყება, რომელიც ლიოთოლოგიური ნიშნებით რეგიონი ორ ნაწილად არის გაყოფილი: ქვედა-შრეებრივი ტუფებისა და არგილიტების წყებად და ზედა - სქელმრეებრივი ტუფობრექჩიების წყებად [4]. პირველი წარმოდგენილია შედარებით თხელ ჭრებრივი ტუფოგრაუვაკების, ტუფოარგილიტებისა და ტუფომერგელების მორიგეობით, მეორე კი სქელმრეებრივი ტუფოგრაუვაკების, ფერფლის ტუფების, ტუფოარგილიტებისა და ტუფომერგელების მორიგეობით. მკითხველს უნდა

შევახსენოთ, რომ შუა ეოცენის ამ წარმონაქმნებთანაა დაკავშირებული თეთრიშიც ცნობილი საბადო, რომელიც ანტიკლინის ჩრდილო ფრთაშია გამოვლენილი. ზედა ცარცულის წარმონაქმნები სოფ. ჰუკინისა და ჩაჩუბეთს შორის, ცეოლითშემცველობის თვალსაზრისით, შესწავლილი აქვთ რ. შუბლაძეს [5], რომლის მონაცემებით მწვანე რომლითური ტუფების სიმძლავრე 80 მეტრამდეა. თავად ცეოლითი მაღალკარბონიტიანი სახესხვაობით - მორფენიტით არის წარმოდგენილი, რომლის რაოდენობა ქანში 80% -მდეა განსაზღვრული.

ცხრილი

თემაშის აუზის ზედაცარცული და შუა ეოცენის ზოგიერთი ცეოლითშემცველი ქანის ქიმიური შედეგნილობა

	1	2	3	4	ცეოლითის რაოდენობა
SiO ₂	74,033	74,096	74,853	62,89	
TiO ₂	0,224	0,171	0,185	0,33	
Al ₂ O ₃	10,465	11,180	11,626	10,26	№ 1 - 76%
Fe ₂ O ₃	0,886	1,232	1,237	1,20	№ 2 - 45%
FeO	0,360	0,450	0,270	0,83	№ 3 - 41%
MnO	0,038	0,033	0,040	0,07	№ 4 - 85-90%
MgO	0,898	0,943	1,095	1,04	
CaO	1,517	1,644	1,501	5,88	
Na ₂ O	2,731	1,136	2,407	0,73	
K ₂ O	1,197	3,009	3,005	0,59	
SO ₃	0,021	0,143	0,011	0,03	
P ₂ O ₅	0,027	0,280	0,029	0,08	
H ₂ O ⁺	3,600	2,360	2,340	3,78	
H ₂ O ⁻	7,603	5,683	3,741	12,29	
გამტ	100,00	100,00	100,00	100,00	
Si/Al	5,98	5,61	5,47	5,18	

1 - რომელიც შემცველი ტუფი სოფ. კაპრაშიანის მიდამოებიდან (ზ. ცარცი), 2 - 3 - რომლითური ლავები სოფ. ჩურინის მიდამოებიდან (ზ. ცარცი), 4 - კინინპტილოლოიტშემცველი ტუფი მდ. თემაშის მარჯვენა ნაბირიდან, სოფ. ჩურინის მახლობლად (ზ. ერცენი).

6. შუბლაძის შემდეგ ამ რაონცში ჩვენც მოვაკედა მუშაობა. შევროვილი მასალის საფუძველზე დადგინდა, რომ იქ, სადაც კი სოფ. ჩაჩუბეთის სამხრეთით - რკონსა და ამ უკანასკნელის სამხრეთ-დასავლეთით გავრცელებულ ზედაცარცულ წარმონაქმნებში გაბატონებული აღგილი უჭირავთ შრეებრივ ფერფლისა და პემზის ტუფებს, ტუფობრექჩიებს, იგნიმბრიტებს, რიოლითებს, რიოლით-დაციტებს, რომლებიც დაკავშირებული არიან თიხა-კარბონატულ და კაუიან ნალექებთან [6], პიროკლასტურ მასალაში - შრეებრივ ფერფლის ტუფებსა და ტუფობრექჩიებში - დიაგნესტური ცეოლითებია წარმოდგენილი ჰეილანდიტ-კლინოსტილოლიტისა და მორდენიტის სახით. ამგვარი ქანების სიუხვით ყურადღებას იმსახურებს რაონის ჩრდილო-დასავლური და სამხრეთ-აღმოსავლური ნაწილი, სადაც საგრძნობლად მატულობს ცეოლითების მინერალიზაცია [7]. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ჩურინის აღმოსავლეთ და სამხრეთულ ზოლში გამავალი ტექტონიკური აშლილობის გასწვრივ გავრცელებული მევავე ლავების - რიოლითების და რიოლითური დაციტების - კომპლექსში ზედნადები ჰიდროთერმული პროცესების აქტივიზაცია აღინიშნება. გამოხატული აღნიშნული ვულკანიტების ფელზიტური ძირითადი მასის გაცემლიტებაში, რის შედეგადაც წარმოქმნილია ქიმიურად Na და K შემცველი ჰეილანდიტი, აგრეთვე ანალუმი, ზოგან კი ალბიტი, კარცი [7] და



ლომონოტიტი [6]. ამავე პროცესით უნდა აიხსნას, აგრეთვე, რკონის აუტომატური უშუალოდ ხეობაში გამოჩენილი მუქი მწვანე ტუფების მთლიანად გათიხება და ნაწილობრივ გაკვარცება. ისე, რომ თეძამის ხეობის კუთხიან-რკონის უბანზე ცეოლითების ორი გენერაცია ისახება: დიაგნოსტური (ჰეილანდიტ-კლინოპტილოლიტი და მორდენიტი) და ჰიდროთერმალურ-მეტასომატური, წარმოდგენილი ძირითადად ჰეილანდიტ-მორდენიტ-ანალციმით, ლომონტიტთან, მონტმორილონიტთან, ალბიტთან და კვარცთან ერთად. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ მოტანილ ტაბულაში ნაჩვენებია დიაგნოსტური და ჰიდროთერმალურ-მეტასომატური პროცესებით გარდაქმნილი ფერფლის ტუფების (№ 1, 4) და ვულკანიტების (№ 2, 3) ქიმიური შედგენილობის თავისებურებანი და მათში წარმოქმნილი ცეოლითების რაოდენობა.

მოტანილი ტაბულიდან ჩანს, რომ დიაგნოსტურად გარდაქმნილ ტუფებში ცეოლითის რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ჰიდროთერმალურად შეცვლილ ქანებში.

ის ეს მონაცემები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თეძამის ანტიკლინურ სტრუქტურაში განვითარებული ზედა ცარცული ტუფოგენური ქანები და მათთან დაკავშირებული მოსაპირკეთებლად ვარგისი მწვანე ტუფები, ლავები და მსხვილნატებიანი ბრექჩიები, თავისი სიმძლავრით, მნიშვნელოვანი გავრცელებით და, თანაც, აღვილად მოსაპოვებელი პირობებით - ვგულისხმობთ დასახლებული ადგილების სიახლოეს და გზებს - კომერციული თვალსაზრისით დღიდ ინტერესს იმსახურებენ.

ცარცულის ზემოთ მომდევნო პალეოგენურ წარმონაქმნებში ჩვენ მიერ დეტალური კრილები იქნა შედგენილი სოფ. ჩაჩუბეთის სამხრეთით და რკონის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთით, სოფლების ფიცესის, საყვარეს, წითელწყაროს და ლულის ფარგლებში და, აგრეთვე, აღმოსავლეთით, გოსტიბესა და ცხავერის მონაცემზე. უნდა აღინიშნოს, რომ ყველგან აქ ეოცენი სინკლინურ განლაგებაშია. ანალოგიური წარმონაქმნების არსებობას აჩვენებს დ. პაპავა [4] საკლევი რაიონის სამხრეთ-დასავლეთით, სოფ. მღებრიანისა და საჭას ზოლში.

ამ კრილებში შუა ეოცენის ქვედა ნაწილი, ე.წ. ქვედა შრეებრივიდ წოდებული, აგებულია საშუალო და შედარებით სქელშრეებრივი ტუფოქვიშაქვების, თხელშრეებრივი ტუფოარგილიტებისა და ტუფომერგელების მორიგობით, რომელთა საერთო სიმძლავრე (კველაზე სრულ ჭრილში - საყვარე-ლულის გზაზე) დაახლოებით 200 მეტრია. რაც შეეხება ქვიშაქვებში შემავალ მასალას, იგი, არსებითად, გრავიაკურია, რომელთა ცემენტი, იქნება ეს კონტაქტური თუ ბაზალური, ანალცი-ჰეილანდიტით, ზოგჯერ კი ქლორიტით და კალციტით არის წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ ნამდვილი ფერფლის ტუფები, შუა ეოცენის ამ ნაწილში, იშვიათია, სამაგიეროდ გავრცელებულ ფერფლის მასალას შეიცავენ ტუფოარგილიტები და ტუფომერგელები. ისე, რომ შუა ეოცენის ეს ნაწილი ცეოლითშემცველია, თუმცა ცეოლითები რაოდენობით არც თუ დიდია.

რაც შეეხება შუა ეოცენის ზედა - ე.წ. სქელშრეებრივი ტუფოარგექჩიების - წყებას, ის რაიონის ფარგლებში თითქმის არსად არის სრულად წარმოდგენილი (გადარეცხილია ან ტექტონიკურად იფარება სხვა ნალექებით), მაგრამ ყველაზე სრულ ჭრილში მაინც რკონი- ჩაჩუბეთის გზის გასწვრივ აღინიშნება, სადაც წყების სიმძლავრე 700 მეტრს აღწევს. აქაც შუა ეოცენის აგებულებაში გაბატონებული ადგილი უჭირავს სქელშრეებრივ და მსხვილმარცვლოვან ტუფოგრაუვაკებს და მათთან მორიგეობაში მყოფ თხელშრეებრივ მერგელებს, ტუფომერგელებს და



არგილიტებს (სილიციტებს), რომლებშიც განშრევებული არიან მოლურჯო ფერფლის ტუფების თხელი (5-10 სმ) შრეები და ნაცრისფერი ფერფლის ტუფები. საკუთრივ ტუფოგრაუფაკები, ტუფომერგელები და ტუფოარგილიტები ისეთივე ხასიათის არიან, როგორც ეს ქვედა შრეებრივში იყო. ტუფოგრაუფაკებში ყურადღებას იქცევს პლაგიოკლაზიანი პორფიტების ნატეხთა სიუხვე, რომელთა შემაცემენტებელი მასალა აქვთ ქლორიტული მასები და ანალციმ-ჰეილანდიტია. ვიტრო-კრისტალოკლასტურ ტუფებში ჩვეულებრივ ჰეილანდიტ-კლინოპტილოლიტი მონაწილეობს. ჩაც შეეხება ფერფლის ფეხებს, უკანასკნელნი მძლავრი დასტების სახით, ჩვენ მიერ, რკონი-ჩაჩუბეთის გზის გასწვრივ იქნენ ერთ უბანზე გამოვლენილი (შუა ეოცენის ზედა ნაწილში), იქ სადაც მდ. შავწყალა უერთდება მდ. თებაძეს. აქ მოთეთრო ნაცრისფერი ფერფლის ტუფების 4 და 12 მ-იანი დასტებია, რომლებიც მკაფიოდ ჩანს შუა ეოცენის მუქ მოყავისფროდ შეფერილ ქანებს შორის. ფერფლის ტუფების ამგები კლასტური მინებრივი მასა შეტწილად ჰეილანდიტ-კლინოპტილოლიტად არის გარდავმნილი. ამ ცეოლითების რაოდენობა კი ქანის 70-90%-ს შეადგენს. მათი ქიმიური შედეგენილობა ზემოთ მოტანილ ტაბულაშია ნაჩვენები. ამასთან გვინდა აღვნიშნოთ, რომ მდ. თებაძის ხეობის შუა და ზედა ნაწილში ესენი არიან ახლად მიკვდეული ცეოლითშემცველი ქანები, რომელთაც ჩვენ რკონის გამოსავლები შევარქვით და მარაგის გამოთვლის მიზნით რეკომენდაციას ვიძლევით მათ დაძიებაზე.

როგორც ზემოთ მოტანილი ფაქტობრივი მასალის ანალიზიდან ჩანს, თებაძის აუზის ზედაცარცული და შუალეოცენური წარმონაქმნები ცეოლითშემცველობის თვალსაზრისით დიდ ინტერესს იმსახურებენ. თუმცა ის კია, რომ ჩაჩუბეთისა და რკონის სამხრეთით, ჩრდილო-დასავლეთით და აღმოსავლეთით რაიონებში გვრცელებულ ეოცენის ვულკანოგენ-დანალექ წარმონაქმნებში ცეოლითშემცველი ტუფები არც თუ ხშირია, მაგრამ ჩაც არის, მათში ცეოლითით გაფრება მაღალია. ჩაც შეეხება კიდევ უფრო სამხრეთით გვრცელებულ ვულკანოგენ-დანალექ წარმონაქმნებს, რომლებიც სოფლების მღებრიანისა და საჯას რაიონებს მოიცავნ, დღეისათვის მათ შესახებ საკმარის მასალა არ მოგვეპოვება, ამიტომ მათ ცეოლითშემცველობაზე რაიმე დასკვნის გამოტანაზე ჭერებრობით თავს ვიკავებთ, თუმცა ის კია, რომ ცეოლითური ნედლეული ბევრიც რომ იყოს, მისი ექსპლუატაცია, მთავარი მაგისტრალური გზიდან დაშორების გამო, ძვირადღირებული იქნება.

ი. გვახიშვილის სახელმძღვანელოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიტერატურა


1. Г.В.Цицишвили, Т.Г.Андроникашвили. Природные цеолиты и возмож-жности их использования в народном хозяйстве. Тбилиси, 1978.
2. Г.В.Цицишвили, Т.Г.Андроникашвили, М.А.Кардава. Природные цео-литы в земледелие. Тбилиси 1993.
3. П.Д.Гамкрелидзе. Геологическое строение Аджаро-Триалетской складчатой системы. Тбилиси, 1949.
4. Д.Ю.Папава. Геологическая карта восточной части Триалетского хребта. Тбилиси, 1965.
5. Р.Л.Шубладзе, З.М.Гордезиани. В кн. Проблемы геологии и металлогенеза Кавказа. Тбилиси, 1976.
6. Г.Ш.Надареишвили. Меловой вулканизм Аджаро-Триалетии. Тбилиси, 1981.
7. И.Р.Ахвледiani, Н.В. Котов. Сообщ. АН ГР. ССР, 126, 3, 1987.

ქ.ყანჩაველი

ახალი გვარები საქართველოს წყალმცენარეებისათვის

წარმოადგინა წვერ-კორესპონდენტმა გ.ნაბუცრიშვილმა 16.09.1996.

მდინარე საკენის (დას. საქართველო) სათავეების ჭაობების (2500 მ), ლაგოდეხის რაიონის მაღალი მთის ტბებისა (3000 მ) და დაბლობის ჭაობის წყალმცენარეების შესწავლისას გამოვლინდა წყალმცენარეთა 6 ახალი გვარი საქართველოსათვის - *Bumilleria* Borsi - *Xanthophyta* - ა და *Chaetosphaeridium* Klebahn, *Koliella* Hind., *Pseudocharacium* Korsch., *Roya* W. et G.S. West, *Uronema* Lagerh. *Chlorophyta*- განყოფილებიდან. სტატიაში მოგვყის აღნიშნული გვარების მოკლე დაგნოზები და სურათები. *Bumilleria spirotaenia* Pasch. (სურ. a). უმცირედები ცილინდრულია, ტიხეებთან ოდნავ შევიწროებული, 19 x 6 მკმ. გარსში ჩართულია H-ის მაგვარი გამსხვილებები. ქრომატოფორი ერთია, ლენტისებური. იშვიათი სახეობაა.



სურ. a - *Bumilleria spirotaenia* Pasch., b - *Pseudocharacium obtusum* (A.Braun) Perty-Hesse, c - *Chaetosphaeridium pringsheimii* Kleb., d - *Koliella closterioides* (Kuff.) Hind., e - *Uronema confervikola* Lagerh., f - *U.gigas* Vischer, g - *U.intermedium* Bourr., h - *Roya obtusa* (Breb.) W. et G.S. West var. *montana* W. et G.S. West [2].

მდ. საკენის სათავის ფშავში და ლაგოდეხის ჭაობში. ლიტერატურის მიხედვით ცნობილია მდინარის ნაპირებიდან მწვანე ნაფენების და ლაბისებრი გროვების სახით [2].

Pseudocharacium obtusum (A.Braun) Perty-Hesse (Ішр.б) უჯრედები ბოკლე-კვერცხისებურია, 24,5 X 11 მეტ, ბაზალური ნაწილი შევიწროებულია. გავრცელებულია მდ. საკენის სათავეების და ლაგოდების ჭაობებში ლიტერატურის მიხედვით, ბინადრობენ ტბორებში, მდინარეებში, ჭაობებში, ეფემერულ წყალსატევებში, წყლის და წყალმცენარეებზე [4].

Chaetosphaeridium pringsheimii Kleb. (Ішр.с). უჯრედებში სფერული ან ნახევარსფერულია, ერთი ლორწოვანი შოლტით, ღიამეტრი 10-11 მეტ-ია.

გვხვდება ლაგოდების ალპურ ტბაში. მითითებულია მდგარი და მიმდინარე მტკნარი წყლებისათვის, ხშირია ჭაობებში [1].

Koliella Closterioides (Kuff) Hind. (Ішр.д). უჯრედები ცენტრალურ ნაწილში ცილინდრულია, ბოლოებში თანდათანობით შევიწროებული და მოხრილი ერთ მხარეს, 15-18 X 2,5 მეტ.

გვხვდება ლაგოდების ნაკრძალში ხავსებს შორის იშვიათი სახეობა, ლიტერატურის მიხედვით, ცნობილია ხავსებს შორის [1].

Uronema confervicola Lagerh. (Ішр.1,е). ძაფები სწორი, ზოგჯერ ოდნავ მოხრილია, უჯრედები ცილინდრული, 24-27 X 8-10 მეტ. ბაზალური უჯრედი კონუსისებრია, მიმაგრებული სუბსტრატთან დერმოიდით.

გვხვდება ლაგოდების რაიონის ჭაობებში წყალმცენარეებს შორის. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ბინადრობს მაკროფიტებსა და ძაფოვან წყალმცენარეებზე [1].

U.gigas Vischer (Ішр.ქ). ძაფები არათანაბარი სიგანისაა, უჯრედები ცილინდრულია, 21-27X 9-12 მეტ, ზედა უჯრედები წაწვეტებულია, კონუსისებური, იქვე იშვიათი სახეობაა, ცნობილია მდგარი და მიმდინარე წყლებისათვის [1].

U.intermedium Bourr. (Ішр.გ). ძაფები სწორია, ზედა ნაწილში ოდნავ მოხრილი, უჯრედები ცილინდრული, 8-10 X 5,5 მეტ. ზედა უჯრედი წაწვეტებულია, ბაზალური, შევიწროებული.

გვხვდება ლაგოდების ნაკრძალის ალპურ ტბაში, იშვიათი სახეობაა, ცნობილია მტკნარი მდგარი წყლებისათვის [1].

Roya obtusa (Breb.) W.et G.S.West var. montana W.et G.S.West (Ішр.հ). უჯრედები ოდნავ მოხრილია, ბოლოები მობლაგვო-ოვალური, 35 x 5,5 მეტ, ბოლოებში 5,5 მეტ-დე, ქრომატოფორი 4 პირენოიდით.

გვხვდება მდ. საკენის სათავეების ჭაობში. ლიტერატურაში მითითებულია სხვადასხვა წყალსატევებისათვის [3].

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ნ. კეციოველის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტი

ლიტერატურა

1. Визначник прісноводних водоростей Української РСР. Київ, 1979.
2. Определитель пресноводных водорослей, вып. 5. М.-Л., 1962.
3. Флора споровых растений СССР, т. II, М.-Л., 1952.
4. П.М. Царенко. Краткий определитель хлорококковых водорослей Украинской ССР, Киев. 1990.

მცნიარეთა ციტიოლოგია

მ.კიკვიძე, ნ.ლვამიჩივა, ნ.ჭირუყაშვილი, შ.ჭანიშვილი

**რიბოფლავინის, გიბერელინის და 2,4-ს გავლენა ვაზში
აზოტოვან ცვლაზე**

წარმოადგინა აქადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ.ნუცუბიძემ 24.10.1996

ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გავლენის შესწავლას მცენარის ზრდა-განვითარებასა და მეტაბოლიტური პროცესების აქტივობაზე.

ამა თუ იმ ვიზუალინის ფიზიოლოგიური როლის დადგენისათვის მცენარეში ჰამოგიტამინოზის იწვევენ. ასე მაგალითად, გიბერელინის მოქმედებით შეინიშნება რიბოფლავინის რაოდენობის დაკლება ანუ B_2 ჰამოგიტამინოზი. რიბოფლავინი წარმოადგენს ფლავინური ფერმენტების (მათ შორის ნიტრატრედუქტაზას) კოფაქტორს, რომელსაც აპოფერმენტებისათვის კონკურენციას უწევს გაბერელინი [1]. ჰამოგიტამინოზსაღწვევი აგრეთვე 2,4-ს გამოყენებით. ის მცენარეში რიბოფლავინის შემცველობის საგრძნობ დაკლებას იწვევს [2].

მონაცემები გიბერელინის გავლენის შესახებ აზოტის მეტაბოლიზმზე არაერთვაროვანია. ეფექტი დამოკიდებულია გიბერელინის კონცენტრაციაზე, მცენარის ასეზე და მის ფიზიოლოგიურ მდგრამარეობაზე. გიბერელინის ზემოქმედებით იცვლება აზოტის ცალკეული ფორმების შეფარდება. ამასთან, ყველაზე უფრო დამახასიათებელია ცილოვანი აზოტის შემცველობის დაჭვებითება. ალინიშნება აგრეთვე სამარაგო აზოტოვანი ნივთიერებების მობილიზაციის გაძლიერება, აზოტოვანი ნივთიერებების განაწილება ცვლილება მცენარის ორგანოებში [3].

გიბერელინი დამთრგუნველად მოქმედებს ნიტრატრედუქტაზაზე. მისი გავლენით ქსოვილებში ამონიაკის რაოდენობა იცვლება, ამინომჟავების დეზამინირების პროცესი მცირდება, რაც აზოტის დეფიციტს ქმნის ქსოვილებში. ცალებში რიბოფლავინის შეყვანა ხსნის გიბერელინით გამოწვეულ ეფექტს [1,3,4,5,6].

ჩვენი გამოკვლევების მიზანი იყო შეგვესწავლა გიბერელინის, 2,4-ს და რიბოფლავინის ზემოქმედება ვაზში აზოტოვანი ცვლის მაჩვენებლებზე: საერთო, ცილოვანი, არაცილოვან აზოტზე და ფერმენტ ნიტრატრედუქტაზას აქტივობაზე.

ცალის ობიექტად შერჩეული იყო ვაზის ჭიში გორული მწვანე, საცდელ მცნარეებზე ვიმოქმედეთ 0,01%-იანი გიბერელინით, 0,002%-იანი 2,4-დ და 0,02%-იანი რიბოფლავინით ცალ-ცალკე და მათი კომბინაციებით.

შესურება ჩავატარეთ ყვავილობის დამთავრებისთვის მარცვლის გამონასკვნის ფაზაში. აზოტის ფორმები და ნიტრატრედუქტაზას აქტივობა განვსაზღვრეთ ერთი კვირის შემდეგ შესურებიდან.



აზოტის ფორმები განცადებული არის [7] შემდეგი ცირკულარის და ა.რიბტერის [8] მოდიფიცირებული კელდალის მეთოდით, ნესლერის რეაქტივის გამოყენებით, ნიტრატრედუქტაზა - ე.მულდერის მეთოდით [8].

ცხრილი

რიბოფლავინის, გიბერელინის და 2,4 დ-ს გავლენა
აზოტოვანი ცვლის მაჩვენებლებზე

ცდის ვარიანტი	აზოტის ფორმები % მშრალ წონაზე			ნიტრატრედუქტაზას აქტივობა
	საერთო	ცილოვანი	არა ცილოვანი	
საკონტროლო	2.90	2.83	0.07	7.8
რიბოფლავინი	3.90	3.80	0.10	13.0
გიბერელინი	2.86	2.72	0.16	5.6
გიბერელინი + რიბოფლავინი	3.32	3.18	0.14	6.5
2,4 დ	2.82	2.74	0.08	5.2
2,4 დ + რიბოფლავინი	3.15	3.01	0.14	10.4

როგორც ცხრილიდან ჩანს, რიბოფლავინმა გამოიწვია აზოტის სამივე ფორმის რაოდენობის მომატება, გიბერელინმა კი შეამცირა საერთო და ცილოვანი აზოტი, ოდნავ მოიმატა აზოტის არაცილოვანმა ფორმამ. ცდებში 2,4-ს გამოყენებამ ასევე შეამცირა საერთო და ცილოვანი ფორმები, არაცილოვანი ფორმა კი მცირედ განსხვავდება საკონტროლოსაგან.

რიბოფლავინის გამოყენებამ კომპინაციაში გიბერელინთან და 2,4-სთან გაზარდა აზოტის ფორმების შემცველობა. მისმა რაოდენობამ გადააჭირბა როგორც საცდელ (გიბერელინი, 2,4), ასევე საკონტროლო ვარიანტებს.

აზოტოვანი ცვლის ძირითადი მაჩვენებლის - ნიტრატრედუქტაზას აქტივობის განსაზღვრით მივიღეთ შედეგი შედეგები: გიბერელინისა და 2,4-ს გავლენით ფერმენტის აქტივობა საგრძნობლად დაკვეთითა, რიბოფლავინის ზემოქმედებით ნიტრატრედუქტაზას აქტივობა გაძლიერდა თითქმის 2-ჯერ საკონტროლოსთან შედარებით. რიბოფლავინმა გაზარდა ფერმენტის აქტივობა კომპინაციაში 2,4-სთანაც. რიბოფლავინის მოქმედებით ნიტრატრედუქტაზას აქტივობის გადიდება ჩვენ აღრინდელ გამოკვლევებშიც მივიღეთ. ფერმენტის აქტივობა პირდაპირ კორელაციურ დამოკიდებულებაში იყო რიბოფლავინის, განსაკუთრებით კი, მისი დინულეობით ფორმის რაოდენობასთან [4].

ამგვარად, ეგზოგენური გიბერელინის და 2,4-ს ზემოქმედების შედეგად გორული მშვინეულებების მცირდება აზოტოვანი ცვლის მაჩვენებლები (აზოტის ფორმები, ნიტრატრედუქტაზას აქტივობა).



გიბერელინის და 2,4დ-ს მოქმედებით გამოწვეული დარღვევები გორულს შეცვლის
ფოთლების აზოტოვან ცვლაში ჩეგულირდება რიბოფლავინის ზემოქმედებით, რაც
აღასტურებს აპოფერმენტისათვის გიბერელინის კონკურენციას რიბოფლავინთან.

საქართველოს შეცნიერებათა აკადემია
ნ.კეცხოველის სახ.ბოტანიკის ინსტიტუტი

ლიტერატურა


1. Э.Р.Авакян, Е.П. Алешин. Сельскохозяйственная биология, 3, 1988.
2. Е.П.Алешин. Вопросы методики изучения онтогенеза риса. Краснодар, 1980.
3. Н.Э.Гвамичава, Т.А.Кезели, М.В.Киквидзе. Известия АН ГССР. Серия биологическая, 14, 6, 1988.
4. М.В.Киквидзе, Н.Э.Гвамичава, Ш.Ш.Чанишвили, Сообщ.АН ГССР, 121, 3, 1986.
5. Т.Л.Любошинский. Большой практикум по физиологии растений. М., 1978.
6. Г.С.Муромцев, В.Н.Агнистикова. Гиббереллины. М., 1984.
7. П.О.Соловьева, А.Т.Рихтер. В кн.: Научные труды селекционно-генетического института, 4. 1959.
8. E.C. Mulder, R.Baxma, W.L. Van veen. Plant and Soil, X, 4, 1959.

ი. შაისაძე

სორგოს ჯიშთაშორისი ჰიბრიდიზაცია

წარმოადგინა აყადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ. ჭოხაძემ 16.09.1996


სორგო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარცვლოვანი კულტურაა. უხსოვარი დროიდან იგი ძირითად სასურსათო პურეულს წარმოადგენდა: ჩინეთ-მანჯურიის, კორეის, ცენტრალური აზიისა და ინდოეთის უმეტეს ნაწილში, განსაკუთრებით კი აფრიკის თითქმის მთელ კონტინენტზე. სორგოს მარცვალი საუცხოო კონცენტრირებული საკედია აგრეთვე ყველა სახის შინაური პირუტყვისა და ფრინველისათვის. ცნობილია, რომ სორგოს ზოგიერთი ჯიში გამოიჩინა დეროში



სურ. 1

შაქრის საქმიოდ დიდი რაოდენობის დაგროვების უნარით, ამდენად სორგოს კულტურა ფართოდ გამოიყენება საბადავო მრეწველობაშიც. საყურადღებოა ისიც, რომ სორგო თივისა და მწვანე მასის მოსავლიანობით სჭობნის ყველა ცნობილ საკედ ბალახს, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან კულტურასაც როგორიცაა სიმინდი. მწვანე მასისაგან მზადდება მაღალი კვებითი ღირებულების სილოსი [1-4].

4]. მიუხედავად ასეთი სასარგებლო თვისებებისა, სორგო საქართველოში ჯერ-ჯერობით ნაკლებად გავრცელებული კულტურაა. ძირითადად მოჰყავთ საცოცხე ჯიშები. ამ კულტურის დანერგვა კი საქართველოში, განსაკუთრებით იმ ჩავითენებში, სადაც ძლიერი გვალვიანობის გამო სხვა კულტურები ნაკლებ მოსავალს იძლევიან, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს, როგორც სასურსათო, ისე მეცხოველეობის საკედი ბაზის გაუმჯობესების საქმეში. ამ მიზნით ნ. ი. გავილოვის სახ. მემცნებარეობის ინსტიტუტიდან ჩვენი თხოვნით მიღებული სორგოს საშაქრე და სამარცვლე ჯიშები საცდელად დაითვა, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში. ჩატარდა ფენოლოგიური დაკვირვებები, რომლებმაც გვიჩვენა, რომ კარგი მოვლის პირობებში სორგოს საცდელი ჯიშები დაახლოებით 2 მეტრამდე იზრდება, ახასიათებს ბარტყობა, დიდი ზომის (40-60) სმ. საგველები, მსხვილმარცვლიანობა, მარცვლის დიდი მასა (1000 გ. იწონის დაახლოებით 20-30 გრ.), ნახევრადეკილიანობა, რის გამოც მარცვალი ადვილად იცემება და სხვა. როგორც ცნობილია, სორგოს ისევე როგორც სხვა მცენარეების კვებით ღირებულებას მათი ბიოქიმიური მაჩვენებლები განსაზღვრავენ. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ცილის რაოდენობრივი და თვისობრივი შედგენილობა.

F₁

სურ. 2

ლიტერატურული მონაცემებით [5,6] სპორების მარცვალი შეიცავს II-13,5% ცილას. ჩვენმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს პირობებში გამოცდილ სორგოს ინტროდუცირებული ჭიშების მარცვალში ცილი II,4-14,2%-ს აღწევს. ცილის ცალკეული ფრაქციების განსაზღვრისას აღმოჩნდა ალბუმინები 46,3-62,9%-ი, ხოლო პროლამინები 28,0-37,7%. საანალიზოდ აღებული მასალები, გლობულინებისა და გლუტელინების მაღალი შემცველობითაც გამოიჩინებიან [7]. ჩვენ მიერ ჩატარებული ფენოლოგიური დაკირცხვებებისა და ბიოქიმიური გამოკვლევების საფუძველზე, შევარჩიეთ სორგოს სელექციური თვალსაზრისით საინტერესო ჭიშები და მათ შორის ჩავატარეთ შეჯვარებები. დავადგინეთ შეჯვარებისა და მიღებულ ჰიბრიდულ თესლთა აღმოცენების უნარიანობა და ჰიბრიდული თაობის F₁;F₂;F₃; მცენარეთა განვითარებისა და ფერტილობის

თვისისებურებანი. სორგოს სელექციაში მთავარ ამოცანად ვსახვთ: საგველას პროდუქტიულობის ამაღლებას, მარცვლის ხარისხის გაუმჯობესებას, ლეროში შაქრის შემცველობის გადიდებას. ჰიბრიდიზაციული სამუშაოების ჩატარებას წინ უძლოდა დაკვირვებები ყვავილობის ბიოლოგიაზე. ყვავილობა ძირითადად დილის საათებში იწყება საგველას ზედა ნაწილიდან და თანდათანობით ფუძისაკენ ვრცელდება. ყვავილობის ხანგრძლივობის ზუსტი დროის განსაზღვრა, როგორც ერთეული ყვავილების, ასევე მთლიანად საგველისა ყოვლად შეუძლებელია, ეს პროცესი დამოკიდებულია არა მარტო მცენარის ჭიშურ ბუნებაზე, არამედ ეკვილოგიურ ფაქტორებზეც. ღრუბლიან გრილ ამინდში ყვავილობა გახანგრძლივებულია, ხოლო მზიან ცხელ ამინდში, შედარებით სწრაფად მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, სორგოს ლია ყვავილობა ახასიათებს, მასიური ყვავილობის პერიოდში, სამტკრე პარკის უშრავლესობა იხსნება და გამოიყოფა ზტკრის მარცვლის „ღრუბელი“. ვინაიდან სორგო ჭვარედინიზტკერია ანგემოფილური მცენარეა, სრულიად შესაძლებელია დანგები, რომელიც ზოგჯერ ყვავილიდნ სამტკრის გახსნამდე გარეთ გამოიყოფიან ჭვარედინად დამტკვერონ. ჩვენი დაკვირვებებით სორგოს მტკერი ძალიან სწრაფად კარგავს სიცოცხლის უნარიანობას. ამდენად, დამტკვრამდე რამდენიმე საათით აღდე შეგროვილი მტკრის მარცვლის გამოყენება იშვიათად იძლევა სასურველ შედეგს. ჩვენს ცდებში ჰიბრიდიზაციას ვატარებდით სხვადასხვა ხერხით: 1) დედად შერჩეული მცენარის ყვავილებს ვაკასტრირებდით (ვაკლიდით მტკრიანებს მომწიფებამდე) და ვუკეთებდით იზოლირებას, ასმდენიმე ორი-სამი ღლის შემდეგ, იმსდაც მიხედვით თუ ბუტკ რამდენად იყო მომზადებული მტკრის მარცვლის მისაღებად, ვახდენდით დამტკერვას მამად შერჩეული მცენარის მტკერით და ვაკეთებდით ყვავილების იზოლაციას მარცვლის მომწიფებამდე. 2) მეორე შემთხვევაში ყვავილებს კასტრაციისთანვე ვმტკერავდით მამად შერჩეული მცენარის მტკერით. პირველ

შემთხვევაში ჰიბრიდული მარცვლის გამოსავლიანობა უფრო მაღალია მეორეულობაზე შედარებით. პარალელურად კასტრირებულ ყვავილებს ვტოვებდით იზოლაციის

გარეშე თავისუფალ დამტვე-რვაზე. უკანასკნელ შემთხვევაში მარცვლის გამოსავლიანობა გაიღებით დაბალი აღმოჩნდა. ჰიბრიდიზაციის ვატარებლით სამარცვლე და შაქრის სორგოს სელექციური თვალსაზრისით საინტერესო ჯიშებს შორის. მიზანი: ჰიბრიდიზაციის გზით შეგვექმნა საწყისი სასელექციო მასალა, სორგოს ახალი ჰერსპექტიული ფორმების მისაღებად. ჩვენ მიერ სადლეისოდ შესრულებულია 50-ზე მეტი შეგვარება. ამჯერად ვიხილავთ ორ ჰიბრიდულ კომბინაციას:

I. ♀ სამარცვლე სორგოს ჭიში “გაოლიან კარიჩნევი” ♂ საშაქრე სორგოს ჭიში “სტავროპოლესკოვ სახარნოვ 36”

ცხრილი


სორგოს ჭიშთაშორისი შეგვარების წარმატების ხარისხი (%) -ში) და ჰიბრიდულ მარცვლთა აღმოცენების უნარი

შეგვარების დასახელება	დამტვერილ ყვავილთა რაოდენობა	მიღებულ მარცვალთა რაოდენობა	შეგვარების წარმატება %	აღმოცენებულ მარცვალთა რაოდენობა	გადარჩენილ მცნარეთა რაოდენობა
♀ “გაოლიან კარიჩნევი”					
I. x	83	23	28	5	2
♂ “სტავროპოლესკოვ სახარნოვ 36”					
♀ “სტავროპოლესკოვ სახარნოვ 36”					
2. x	62	14	22	5	1
♂ “ეფრემოვსკოვ 2”					

როგორც ცხრილიდან ჩანს, აღნიშნული ჰიბრიდული კომბინაციის წარმატებითი შეგვარება 28%-ს შეადგენს, ასევე დაბალია ჰიბრიდულ თესლთა აღმოცენებისა და ჰიბრიდულ მცნარეთა გადარჩენის უნარიანობა. ჰიბრიდულ მცნარეთა უზრავლესობა დაიღუპა აღერების ფაზაში, საგველას გამოტანამდე, რაც ჰიბრიდული ნერიოზის მოვლენით უნდა აიხსნას. ნავთა ს F1 თაობის მცნარეთა განვითარება კი, მიუხედავად იმისა, რომ შესავარებელ წყვილში გაოლიანი იყო დედის როლში, მიმღინარეობდა მამა მცნარის (შაქრის სორგოს) განვითარების ტიპის შიხედვით. გაოლიანთან შედარებით ჰიბრიდულ მცნარეებს ჰქონდათ მაღალი წვრილი ღერო (140-160) სმ., ფარჩხატი (გადაშლილი) ყვავილედი სურ.1. სიგრძით 18 სმ., თავთუნის კილი მკვრივი, ტყავისებური ბრჭყვიალა, მჭიდროდ მიკრული მარცვალზე, მოთეთორა-მოშითალო ფერის, შებუსული. დასახელებული შეგვარების F2 თაობის ჰიბრიდებში შედარებით მაღალია ჰიბრიდული მარცვლის აღმოცენებისა და ჰიბრიდულ მცნარეთა გადარჩენის უნარი. ამასთანავე, ადგილი ჰქონდა დათიშვას. ჰიბრიდთა ერთი გგუფი ჰაბიტუსით უფრო დედა მცნარეს გაოლიანს ემსგავსება (სურ.1 F2(1)), ჰიბრიდულ მცნარეთა სიმაღლე ცვალებადობს 100-120 სმ ფარგლებში,



დამახასიათებელია ჩაწოლისადმი გამძლე მსხვილი ღერო. ყვავილედი შეუძლია მსხვილი მცენარეების სიგრძით 15-20 სმ. თავთუნის კილი მოწითალო-მოყავისფრო, მჭიდროდ არ ეკვრის მარცვალს, მარცვალი შედარებით დიდი ზომის. ჰიბრიდთა მეორე ჯგუფი (სურ. I F₂₍₂₎), ხასიათდება მამა მცენარის ნიშან-თვისებათა უპირატესი გამოვლენით. ჰიბრიდული მცენარეებისათვის დამახასიათებელია მაღალი (150-180 სმ) ღერო, დიდი ზომის (25-30 სმ) საგველები, ფორმით ფაჩხატი, თავთუნის კილები მოწითალო-მოყავისფრო, ახასიათებს ბარტყობა. ჰიბრიდთა მესამე ჯგუფი შუალედურია (სურ. I F₂₍₃₎). ორივე მშობლის ნიშვნები ჭარბობს მეტ-ნაკლებად. საგველა ძლიერ ფარჩხატი სიგრძით 28 სმ-მდე. თავთუნის კილები მოთეთრო ფერის, მეტ-ნაკლებად შებუსული. მჭიდროდ არ ეკვრის მარცვალს. ჰიბრიდთა მესამე თაობაშიც (სურ. 2) აღვილი ჰქონდა დათიშვას, მაგრამ აქ უკვე შესაძლებლობა მოვალე გამოვლენისა სელექციური თვალსაზრისით საინტერესო ფორმები. ჰიბრიდული მცენარეთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელია მაღალი (150-180 სმ) ჩაწოლისადმი გამძლე მსხვილი ღერო, მეტ-ნაკლებად შეუძლია ფორმის ყვავილედი, საგველა სიგრძით (25-30 სმ), ახასიათებს ბარტყობა. თავთუნის კილები მოწითალო-მოყავისფრო ფერის, ბრჭყვიალა, შებუსული. კილები ძალიან მჭიდროდ არ ეკვრის მარცვალს, რის გამოც მარცვალი აღვილად ემორჩილება გაცეხვას.



სურ.4

გადაჭრის შემდეგ ჰიბრიდული მცენარეები კვლავ აგრძელებენ ვეგეტაციას, იძლევიან ახალ ამონაყარს. საინტერესო ფორმებია მიღებული აგრეთვე, მეორე ჰიბრიდულ კომბინა-ციაში. 2. ♀ შაქრის სორგო “სტავროპოლსკოე სახარნოე 36” × ♂ სამარცვლე სორგო -“ეფრემოვსკოე 2”. აღნიშნული ჰიბრიდული კომბინაციის წარმატებითი შეჯვარება დაბალია 22% (ცხრ.).

დაბალია აგრეთვე, აღმოცენებულ ჰიბრიდულ მარცვალთა და გადარჩენილ მცენარეთა რაოდენობა. აღვილი ჰქონდა ჰიბრიდულ ნეკროზის. ამ შეჯვარების პირველი თაობის ჰიბრიდი ჰეტეროზისულია. გამოირჩევა ვეგეტატიური ორგანოების მდლაცვი განვითარებით. ახასიათებს მაღალი ღერო, სიმაღლით სამ მეტრამდე, დიდი ზომის საგველა, სიგრძით 30 სმ-მდე, ყვავილედი ფაჩხატი, თავთუნის კილები შავი ფერის ბრჭყვიალა, შებუსული, მჭიდროდ არ ეკვრის ყვავილის კილს და შემდგომ მარცვალს (სურ.3). მეორე ჰიბრიდულ თაობაში აღვილი აქვს დათიშვას, ამავე დროს ჰიბრიდული მცენარეებისათვის დამახასიათებელია მაღალი სიცოცხლის უნარიანობა, გამოირჩევიან აღმოცენებისა და გადარჩენის მაღალი უნარით. ჰიბრიდთა ერთი ჯგუფი (სურ.3 F₂₍₁₎) ხასიათდება დედა მცენარის ნიშან-თვისებათა უპირატესი გამოვლენით. ღერო მაღალი (140-160 სმ), საგველა სიგრძით 25 სმ-მდე, მეტ-ნაკლებად შეუძლია ფორმის კილები შავი, ან მოყავისფრო-შავი, ბრჭყვიალა, შებუსული. ჰიბრიდულ მცენარეთა მეორე ჯგუფი (სურ.3 F₂₍₂₎) მამა მცენარისადმი

ჩენს მიღრექილებას, საშუალო სიმაღლის (80-120 სმ), საგველა 20 სმ-მდე სიგრძის, თავთუნის კილი მოთეთრო-მოწითალო ფერის, მჭიდროდ არ ეკვრის მარცვალს, ლიდა არის 1/3-მდე. ჰიბრიდთა მესამე ჯგუფი (სურ.3 F₂) შეჯვარებაში მონაწილე მცენარეთა ნიშნების მეტნაკლები გამოვლენით ხასიათდება. ახასიათებს წვრილი ლერო, სიმაღლით (120-140 სმ) საგველა 18-20 სმ, თავთუნის კილი მოწითალო-მოშავო ფერის, ბრჭყვალი, შებუსული მჭიდროდ არ ეკვრის მარცვალს. მესამე თაობაში ადგილი ჰქმნდა ფორმათაწარმოქმნის ფართო პროცესს (სურ.4 F₃₍₁₋₇₎) გამოითხა ისეთი ფორმები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა ფორმის ყვავილედი, მცენარე სიმაღლით 120-160 სმ-ის, საგველა სიგრძით 15-25 სმ. გვხვდება როგორც მეტ-ნაკლებად ფარჩხატი, ასევე მეტ-ნაკლებად შეკუმშული ფორმის. თავთუნის კილები ზოგიერთ ფორმებში მჭიდროდ არ ეკვრის მარცვალს 1/3-მდეა ლია. ზოგიერთ ფორმებში კი მჭიდროდ ეკვრის. ფერით გვხვდება შეკილიანი ფორმები, აგრეთვე მოწითალო-მოყავისფრო. ჰიბრიდულ მცენარეთა უმრავლესობა ლია ყვავილობისადმი იჩენებ მიღრექილებას. ამასთანავე მათი ყვავილობა გახანგრძლივებულია. ახასიათებთ კარგი ბარტყობა. საგველას გადაჭრის შემდეგ ჰიბრიდულ მცენარეთა უმრავლესობა აგრძელებს ვეგეტაციას-იძლევა ახალ მონაცარს. მიუხედავად ნიშანთა მრავალფეროვნებისა, გამოითხულ ფორმებში გამოიჩინა სელექციური თვალსაზრისით საინტერესო ფორმები, რომლებზედაც წარმოებს დაკვირვებები.

ჰიბრიდობენური კვლევის შედეგებში გვიჩვენა, რომ სამარცვლე და საშაქრე სორგოს წარმატებითი შეჯვარება პროცენტულად დაბალია. ასევე დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება ჰიბრიდულ თესლთა ოღონცენების უნარიანობა. ოღონცენებული ჰიბრიდების უმრავლესობა ვერ აღწევენ გენერაციის ფაზამდე. შემდგომ F₂;F₃ ჰიბრიდულ თაობებში ჰიბრიდული მცენარეებისათვის დამახასიათებელია მაღალი სიცოცხლის უნარიანობა, აღმოცენებისა და გაღარჩენის სიღარის უნარი. F₂ და F₃ თაობებში მიმდინარეობს დათრშვა, გამოითხა, შეჯვარებაში მონაწილე მშობლების მსგავსი ბიოტიპები, აგრეთვე შუალედური გარდამავალი ფორმებიც.

ამრიგად, მოცემულ F₂ და F₃ თაობებში გამოიჩინა სელექციისათვის ვარგისი საწყისი მასალა, რომლებზედაც გრძელდება დაკვირვებები.

საქართველოს მცენიერებათა აკადემია
ნ-კუცხოველის სახ.ბოტანიკის ინსტიტუტი

ლიტერატურა

- П.М.Жуковский. Культурные растения и их сородичи. Л., 1964, 210.
- К.Н.Керефов. Биологические основы растениеводства. М., 1982, 161-163.
- Р.С.Таранова, Г.М.Часовитина. Сорго - ценная кормовая культура. Алматы, 1976, 3-5.
- П.М.Шорин. Сахарное сорго. М., 1976, 3-5.
- Б.Н.Малиновский. В кн.: Сб.статей. Ростовского университета, 1984, 79-80.
- Сорго-ценная кормовая культура. М., 1959, 3-4.
- ი.მაისაია. თ.ზარდიაშვილი - კვალი, 8, 1991, 21-25.

გ.ჭუმბურიძე, ქ.ბარამიძე, ლ.მამალაძე


ამფიონის ალკალოიდების აცეტილნაწარმების ეფელრინის
ეფელრონის და მათი გარდაქმნის პროდუქტების ანალიზი
ინფრაწითელი და მას-სპექტრომეტრული მეთოდებით

წარმოადგინა აკადემიის მ.შ.ალიშვილმა 30.12.1996

ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე ნარკოტიკულ ნივთიერებათა განსაზღვრის მეთოდების დამუშავებისა და ბიოტრანსფორმაციის შესწავლისათვის მრავალი კლევაა ჩატარებული, მაგრამ ამ ნივთიერებათა ასორტიმენტის სწრაფი ზრდისა და ცვლის გამო მოწოდებული მეთოდები და მათზე დამყარებული ქიმიური ექსპერტიზა არასრულყოფილია და შემდგომ განახლებას და სრულყოფას მოითხოვს.

საქართველოში უკანასკნელ წლებში ბშირად გვხვდება ნარკომანთა მიერ ამფიონის ალკალოიდების აცეტილნაწარმების და ეფელრინის დაუანგვის პროდუქტები - ეფელრონის მოხმარება. ლიტერატურა მათი ბიოტრანსფორმაციის პროდუქტების განსაზღვრის შესახებ საქმიანდ მცირეა [1, 3].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა ამფიონის ალკალოიდების აცეტილნაწარმების, ეფელრონის და მათი ბიოტრანსფორმაციის პროდუქტების განსაზღვრისათვის ისეთი ზუსტი და ინფორმაციული მეთოდების დამუშავება, როგორიცაა ინფრაწითელი და მას-სპექტრომეტრია.



სურ. 1. აცეტილკოდეინის მას-სპექტრი ლიტერონული დარტყმის პირობებში.

ჰელიუმი, რომლის წნევის სისტემაში შესასვლელთან ვცვლილით 1-2,5ბარ ინტერვალში. სეტები ექვემდებარებოდა პროგრამირებულ გაცხელებას 130-290°C ინტერვალში 0,3-10,0°C წთ სიჩქრით. ინექტორისა და ინტერფენსის ტემპერატურას ვინარჩუნებდით 190-290°C და 250-300°C შესაბამისად.


ქიმიური იონიზაციის დროს აირ-ეგზენტიდ ვიყენებდით მეთანს, რომლის წნევას იონის წყაროში ვინარჩუნებდით 10^{-3} - 10^{-4} მმ ვწვდებ (სურ. 1, 2, 3, 4).

დიაცეტილმორფინის, აცეტილმორფინის, მორფინის, ნორმორფინის, აცეტილკოდეინის, კოდეინის და ნორკოდეინის მას-სპექტრების ხასიათდება

სანალიზო ნივთიერებათა იდენტიფიკაციასა და სტრუქტურის დადგენას ვახდენდით იონურ წყაროში ნივთიერებათა პირდაპირი შეყვანით. ნიმუშები ცხელდებოდა 40-238°C ინტერვალში; წყაროს ტემპერატურას ვცვლით 160-240°C ფარგლებში; სტაციონალურ ფაზად ვიყენებდით SE-30,0%-ს ინერტონ სუპერზე (0, 160 - 200 მმ) და OV - 17,3%-ს ინერტონ სუპერზე (0,125-0,160 მმ) სეტის სიგრძე იყო 2 მ, დიამეტრი 2 და 4 მმ; აირ-მატარებლად გამოიყენეთ

ჰელიუმი, რომლის წნევის სისტემაში შესასვლელთან ვცვლილით 1-2,5ბარ ინტერვალში. სეტები ექვემდებარებოდა პროგრამირებულ გაცხელებას 130-290°C ინტერვალში 0,3-10,0°C წთ სიჩქრით. ინექტორისა და ინტერფენსის ტემპერატურას ვინარჩუნებდით 190-290°C და 250-300°C შესაბამისად.

მოლეკულურ იონთა მაღალი ინტენსივობით, რაც განპირობებული დარტყმის შიმართ. ინიციაციურ მოლეკულების მდგრადობით ელექტრონული დარტყმის შიმართ. ალინიშება აგრეთვე (M-1)⁺(M+1) იონები, რომლებიც დამახასიათებელია ყველა აზოტშებული ნერთისათვის. საშუალო და დაბალ მასათა არეში მსგავსი ფრაგმენტული პიკების არსებობა მიუთითებს ამ ნივთიერებათა ანალოგიურობაზე, რაც გამოწვეულია მათი სტრუქტურული მსგავსებით.



სურ.2. ეფედრინის მას-სპექტრში ელექტრონული დარტყმის პირობებში.

დაბალ მასათა არეში იონები m/z 41, 43, 44, 70 წარმოიქმნება ეთერული და ამიდური ფრაგმენტაციის შედეგად აცეტილურ და ამონიუმის იონებზე მუხტის ალტერნატიული ფიქსირების დროს შესაბამის ბმათა გახლების შედეგად.

მორფინანის ნაწარმთა სპექტრებისაგან განსხვავებით ეფედრინისა და მისი ნაწარმების მას-სპექტრები ხასიათდება მცირე ხაზოვნებით. ეფედრონის ფრაგმენტაციის ძირითადი მიმართულებაა აზოტის მიმართ β გახლების ამონიუმ იონის $N^+H(CH_3)=CHCH_3$ წარმოქმნით, ეფედრონისაგან განსხვავებით ეფედრონის სპექტრში ინტენსიურობის მიხედვით ძირითადია არა ამონიუმ იონი, არამედ $[C_6H_5CO]^+$ და $[C_6H_5]^+$ იონები. ეს პროცესი უფრო მნიშვნელოვანი ხდება ნორეფერონისათვის. ამ შემთხვევაში ხდება α გახლებისა კარბონილის გაუფის მიმართ და ფენილკარბონილის ნაწილაკზე მუხტის სტაბილიზაცია.

დეზამინირებული ეფედრონის მას-სპექტრი M^+ მკვეთრ პიკს და იმ იონთა პიკებს, რომლებიც პასუხობენ კეტო გაუფის მიმართ ა გახლების და შემდგომ $CO-s$ გამოტყორცას:



ამდენად, ამფიონის ალკალიდების აცეტილნაწარმების, ეფედრონის და მათი გარდაქმნის პროცესების განსაზღვრისათვის დამუშავებული მას-სპექტრომეტრიული მეთოდები. მას-სპექტრების შესწავლის საფუძველზე პირველადაა მოწოდებული ეფედრონის და დიაცეტილმორფინის მას-ფრაგმენტაციის სერები.


ჩვენ მიერ დამუშავებულია აგრეთვე ეფედრონის და ადამიანის ორგანიზმში მისი გარდაქმნის პროცესების განსაზღვრის ინფრაწითელი სპექტროსკოპული მეთოდი.

ეფედრონის სტანდარტული ნმუშის 2% ხსნარის 5მლ-ის ერთგრადი ინიციაციის შემდეგ, ადამიანის შარდიდან სითბის-სითბით ეჭსტრაქციის მეთოდით გამოყოფილ იქნა ბიოტრანსფორმაციის 3 პროცესტი (I, II დაIII). თხელფენვანი

მორფინის ნაწარმთა ნიმუშების მას-სპექტრებში პიკების დიდი რაოდენობა მიღება მოლეკულურ იონთა ეთერული და ამიდური ფრაგმენტაციის შედეგად. დიაცეტილმორფინის m/z 369 ფრაგმენტაციის ძირითადი მიმართულება არის ეთერული გაუფის მოხლებია.

სავარაუდოა, რომ იონი m/z 81, რომელიც მორფინანის ნაწარმთა სპექტრებში ფიგურირებს, არის მორფინანის ბირთვის ღრმა ფრაგმენტაციის შედეგი და შეიძლება გამოისახოს მდგრადი ოქსონიუმის იონის სტრუქტურით.


ქრომატოგრაფიული მეთოდით დაყოფის შემდეგ ვიღებდით მათ ინფრაწითელ სპექტრებს, ვითვალისწინებდით სხვა ფიზიკურ-ქიმიურ პარამეტრებს და ვადგენდით სტრუქტურებს.



სურ.3. ნორეფერონის მას-სპექტრი ელე-ქტრონული დარტყმის პირობებში.

ვადარებდით სტანდარტული ეფედრინის სპექტრს.

ეფედრინის ნაწარმთა ყველა სპექტრში, ისევე როგორც სტანდარტული ეფედრინის სპექტრში, აღნინიშნება ბენზოლის ბირთვის ნახშირბაღის ატომების ვალენტური რევენბისათვის დამახასიათებელი შთანთქმა 1580-1490 სმ⁻¹ უბანში. საკმაოდ მნიშვნელოვანი შთანთქმა შეინიშნება 1700-1690 სმ⁻¹ უბანშიც, რაც დამახასიათებელია კარბონილის გრუფის მონაწილეობით მიღებული ჩრევებისათვის.



სურ.4. დეზამინირებული ნორეფერონის მას-სპექტრი ელექტრონული დარტყმის პირობებში.

ინფრაწითელ სპექტრებს ვიღებდით სპექტროფორომეტრზე (20) ვაზელინის ზეთში და KBr-ის ტაბლეტებში. ნაპრალის პროგრამა - 4, რეგისტრაციის მაქსიმალური სიჩქარე - 160 სმ⁻¹, ჩაწერის დრო - 4, მგრძნობელობა - 9 (ცხრილი).

ვალევის შედეგებში გვიჩვენა, რომ შთანთქმის სიხშირების ძირითადი რაოდენობა მოდის ვალენტურ ჩრევებზე. ეს ფაქტი ჩვენ გამოვიყენოთ როგორც ცალკეული ფუნქციური გრუფების, ასევე მთლიანად ნივთიერებათა იდენტიფიკაციისათვის. მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის დროს ეფედრინის და მისი გარდაქმნის პროდუქტების სპექტრებს.

ეფედრინის ნაწარმთა ყველა სპექტრში, ისევე როგორც სტანდარტული ეფედრინის სპექტრში, აღნინიშნება ბენზოლის ბირთვის ნახშირბაღის ატომების ვალენტური რევენბისათვის დამახასიათებელი შთანთქმა 1580-1490 სმ⁻¹ უბანში. საკმაოდ მნიშვნელოვანი შთანთქმა შეინიშნება 1700-1690 სმ⁻¹ უბანშიც, რაც დამახასიათებელია კარბონილის გრუფის მონაწილეობით მიღებული ჩრევებისათვის.

ადამიანის ორგანიზმიდან გამოყოფილ (I) და (II) ნივთიერებათა სპექტრებში იღინიშნება 3380-2770 სმ⁻¹ შთანთქმის ზოლები. ამგვარი შთანთქმა დამახასიათებელია ამნებისათვის, ამასთან (II) ნივთიერების შთანთქმის ზოლები დამახასიათებელია პირველადი ამინებისათვის. (I) ნივთიერების სპექტრში წარმოქმნილი ზონები 2770 სმ⁻¹, რომელიც იდენტურია ეფედრინის სპექტრში არსებული შთანთქმისა, მიუთითებს (I) ნივთიერებაში N-CH₃ ბმის არსებობაზე, რომელიც არ არის (II) ნივთიერებაში. (II) და (III) ნივთიერებათა სპექტრებში აზოტის ატომის მონაწილეობით მიღებული ჩრევებისათვის დამახასიათებელი შთანთქმა საერთოდ არ გვხვდება. ამ ნივთიერებათა სპექტრები (II)

და (III) შედარებით მარტივია და გააჩნია, როგორც საერთო ნიშნები, პარევე განმასხვავებელიც, რაც გამოიხატება (III) ნივთიერების სპექტრში კარბოქსილის გეუფისათვის დამახასიათებელი შთანთქმის ზოლების არსებობაში.

ეფედრინის ნაწარმთა ინფრაწითელი სპექტრების დამახასიათებელი შთანთქმის უბნები

რხევის ტიპი	სიხშირის დიაპაზონის ინტენსივობა	სიხშირის დიაპაზონი V, სმ ⁻¹			
		ეფედრინი	ეფედრონი (I)	ნორეფედრონი (II)	დეზამინირებული ნორეფედრონი (III)
$\nu_{\text{C}-\text{O}-\text{Ar}}$	საშუალო	1240	—	—	—
$\nu_{\text{C}=\text{C}}$	საშუალო	1490	1500	1495	1495
		1570	1540	1510	1530
$\nu_{\text{C}=\text{O}}$	ძლიერი	—	1690	1700	1680
$\nu_{\text{N}-\text{CH}_3}$	ძლიერი	2760	2770	—	—
$\nu_{\text{O-H}}$	საშუალო	3325	—	—	—
$\nu_{\text{N}-\text{H}}$	საშუალო	3200	3210	—	—
$\nu_{\text{S-N}-\text{H}}$	ძლიერი	—	—	3380	—
$\nu_{\text{aS-N}-\text{H}}$	საშუალო	—	—	3250	—

ν -ვალენტური რხევა, ν -სიმეტრიული ვალენტური რხევა, ν_{as} -ასიმეტრიული ვალენტური რხევა.

მიღებული შედეგების ანალიზის და სხვა ფიზიკურ-ქიმიური მეთოდებით მიღებული შედეგების შეჯერებით, ნივთიერება (I) იდენტიფიცირდა, როგორც ეფედრინი, ნივთიერება (II) ნორეფედრონი და ნივთიერება (III) - დეზამინირებული ნორეფედრონი.

ამდენად, დამუშავებულია ეფედრინის და მისი ბიოტრანსფორმაციის პროცესების განსაზღვრის ინფრაწითელი სპექტროსკოპული მეთოდი.

დამუშავებული მეთოდი გრძნობიარება, სპეციფიური და წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ნარკოლოგიური გქსპერტიზის დროს ეფედრონის და მისი ბიოტრანსფორმაციის პროცესების განსაზღვრისათვის.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი

ლიტერატურა

- ქბარამიძე. აცეტილმორფინის, აცეტილკოდეინის და ეფედრონის მიღება, სტანდარტიზაცია, მეტაბოლიტების შესწავლა. თბ., 1996.
- К.Н.Барамидзе, Н.З. Кеделашвили и др. В кн.:Мат. II съезда фармацевтов Грузии. Тб., 1987, 219.
- Л.Беллами. Новые данные по ИК спектрам сложных молекул. М., 1971, 67-71.

ნ. ქოტრიკაძე, ი. ბოჭორიშვილი, ბ. ლომისაძე, ო. ჭიშკარიანი, მ. ცარციძე, ა. ლევაშოვი

**ფერმენტის კატალიზური აქტივობის შესწავლა
„ამობრუნებულ მიცელებში“ (მოდალური სისტემები)**

წარმოადგინა აკადემიური თ. თხიანშა 8.08.1996

დღეს-დღეობით ცნობილია, რომ ბიოლოგიური მემბრანების სტრუქტურის ერთადერთ ფორმად არ შეიძლება ჩათვალოს მათი ორშრიანი აგენტულება. მათში აღმოჩენილ იქნა არასტრუქტურული წარმონაქმნები - შიდა მემბრანული ნაწილაკები, ანუ შიდა მემბრანული სტრუქტურები, რომელთა ზომები დააბლოებით ათობით ანგსტრემია [1-3]. მოგვიანებით ასეთი ტიპის სტრუქტურები აღმოჩენილ იქნა ლიპიდებისაგან მიღებულ მოდელურ მემბრანებში [1,4]. ბიოლოგიურ მემბრანებში შიდა მემბრანული სტრუქტურები მოთავსებულია ლიპიდურ შრეებს შორის და აგენტულია „ამობრუნებული მიცელების“ მსგავსად. ამ უკანასკნელის ტიპის შიდა მემბრანული ლიპიდური ნაწილაკები წარმოადგენენ მაღალაბილურ სტრუქტურებს და შეიძლება ჩათვალიში ბიოლოგიური მემბრანების ახალ მოდელად.


ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენთვის საინტერესო იყო შევვესწავლა ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებიდან მიღებული “ამობრუნებული მიცელები”, როგორც ბიოლოგიური მემბრანების რეალური მოდელი ფერმენტული რეაქციების ჩასტატურებლად. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტიც, რომ ფერმენტისათვის საჭირო იყო შევვექმნა დაახლოებით ის პირობები და გარემოცვა, რომელიც გაჩნია ფერმენტს *in vivo* ფუნქცირებისათვის.

ამგარად, ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა დაგვეგზინა “ამობრუნებულ მიცელებში” ჩართული ფერმენტის კატალიზური აქტივობა, მისი რეგულირების შესაძლებლობა “ამობრუნებულ მიცელებში” ლიპიდური მატრიცის ცვლილებით და გაგერვებით, როგორ იცვლება ფერმენტის აქტივობა ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებისაგან მიღებულ “ამობრუნებულ მიცელებზე” სხვადასხვა ფოსტო-ლიპიდების მოქმედებით.

ფერმენტული რეაქციების ჩასტატურებლად ვიყენებდით სისტემას, რომელსაც ვიღებდით ზედაპირულად აქტიური ნივთიერების (ზან), წყლისა და ორგანული გამხსნელის საშუალებით. აქვე უნდა აღინიშვნოს, რომ „ამობრუნებულ მიცელებში“ შეიძლება სოლუბილიზებულ იქნეს წყალი და ფერმენტი. ამ უკანასკნელის კატალიზური აქტივობა შენარჩუნებულია სისტემაში ჩართვის შემდეგ *in vitro* პირობებში. გარდა ამისა, “ამობრუნებულ მიცელაში” ჩართული წყალი განაპირობებს მიცელის ზომასა და მის შიდა მიკრო არის თვისებებს.

მუჟა ფუსფატაზას კატალიზური აქტივობის ცვლილების შესწავლამ იეროზოლი - “OT”-გან (სულფოქარვის მუჟის დიოქტილის ეთერის *Na*-ის მარილი) მიღებულ „ამობრუნებულ მიცელებში“ გვიჩვენა, რომ ამ შემთხვევაში არ შეიმჩნევა ფერმენტის კატალიზური აქტივობის ზრდა (სურ. 1.2.). ანალოგიური შედეგებია მიღებული ამ ტიპის მიცელებში სხვა ფერმენტის (პეროქსიდაზას) სოლუბილიზების შემთხვევაშიც [5]. ამიტომ, სავარაუდოა, რომ აღნიშვნული ფაქტი გამოწვეული უნდა იყოს

აეროზოლი - "OT"-ის მაინციბირებელი მოქმედებით. უფრო კონკრეტულად, აეროზოლ "OT" მოლეკულის პოლარულ ნაწილში სულფონგუფის არსებობით, რომელსაც გააჩნია სოლუბილიზებული ფერმენტის აქტიური ცენტრის ბლოკირების უნარი [5].



სურ.1. ზედაპირულად აქტიური ნივთიერების კოეფიციენტის აუცილებელი ნიტროფილფოსფატის ფერმენტული პიდროლიზის მაქსიმალური სიჩქარის (V-გამოსახული სერტაშორისთვის ერთეულებში (ME)-1 წთ-ში 1 მგ ფერმენტის მერქ პიდროლიზებული სუბსტრატის რაოდენობა მატოლებში) დამკიდებულების მრავდი:

1.1-3 ნიტროფილფოსფატის ფერმენტული პიდროლიზისთვის V-მნიშვნელობა წყალსხიარში: pH 4,8;

1.2 აეროზოლი "OT" ოქტანში, $[H_2O]/[ზანი] = 19.8$; pH 3,5;

1.3 ლეციტინი მეთანოლის, ნ-ამილის სპირტის, ოქტანის ნარევში (1:2:37), $[H_2O]/[ზანი] = 11.1$; pH 3,0;

1.4 ბრინჯი-56 ციკლოპენანში, $[H_2O]/[ზანი] = 16.7$; pH 4,8 $C_E = 5.9 \cdot 10^{-3}$ გრ/ლ, $t = 25^\circ\text{C}$.


განაპირობებულია შემდეგი პირობებით: შეძლევი პირობებით: გლიკოპროტეიდით [6] და შეუძლია მემბრანის ზედაპირზე აღსორბცია [7], ე.ი. მეტა ფოსფატაზასთვის დამახასიათებელია პერიფერული მემბრანული ფერმენტის სახით ფუნქცირების უნარი. მეორეს მხრივ, მეტა ფოსფატაზას სუპერაქტივობა შეიძლება განპირობებული იყოს „ამობრუნებულ მიცელაში“ მიეროარის (ლიპიდური მატრიცის), „სიბლანტეტროპული რეგულაციით“. დასაშვებია, რომ ეს უკანასკნელი განაპირობებს კატალიზური აქტივობის მკვეთრ ზრდას მიცელარულ სისტემებში.

ამ ვარაუდის დამტკიცების შინით და ჩვენთვის სასურველი სისტემის შესაბამევად, რომელშიც ფერმენტი გამოამზღვნებდა კატალიზური აქტივობის მაქსიმუმს, შესწავლილ იქნა სხვადასხვა ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებისაგან მიღებული „ამობრუნებული მიცელები“. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მეტა ფოსფატაზას შემთხვევაში ფერმენტული აქტივობის ზრდა შეიმჩნევა როგორც ბუნებრივ (ლუციტინი - სურ.1.3.), ასევე სინთეზურ (ბრინჯი-56 - სურ.1.4) ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებიდან მიღებულ „ამობრუნებულ მიცელებში“. ამვეუნდა აღინიშნოს, რომ მეტა ფოსფატაზას კატალიზური აქტივობა დიდად არის დამკიდებული ზედაპირულად აქტიური ნივთიერების კონცენტრაციაზე (ფერმენტის აქტივობა უკუპროპორციულია ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების კონცენტრაციის) (სურ.1).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიცელალურ სისტემაში ჩართული მეტა ფოსფატაზას კატალიზური აქტივობა (ზან-ის დაბალ კონცენტრაციაზე) წყალსხიარში მყოფი ფერმენტის (სურ.1.1) აქტივობასთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (~300-ჯერ). სავარაუდოა, რომ კატალიზური აქტივობის მნიშვნელოვანი ზრდა (სუპერაქტივობა) მეტა ფოსფატაზას შემთხვევაში ერთის მხრივ, ცნობილია, რომ მეტა ფოსფატაზასთვის გლიკოპროტეიდით [6] და შეუძლია მემბრანის ზედაპირზე აღსორბცია [7], ე.ი. მეტა ფოსფატაზასთვის დამახასიათებელია პერიფერული მემბრანული ფერმენტის სახით ფუნქცირების უნარი. მეორეს მხრივ, მეტა ფოსფატაზას სუპერაქტივობა შეიძლება განპირობებული იყოს „ამობრუნებულ მიცელაში“ მიეროარის (ლიპიდური მატრიცის), „სიბლანტეტროპული რეგულაციით“. დასაშვებია, რომ ეს უკანასკნელი განაპირობებს კატალიზური აქტივობის მკვეთრ ზრდას მიცელარულ სისტემებში.



ზემოთ აღნიშნული საკითხის გარევევის გარდა „ამობრუნებული მიცემული ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებისა და სოლუბილიზებულ ფერმენტს შორის სპეციფიკური ურთიერთქმედების შესწავლის საშუალებასაც იძლევიან, რაც განისაზღვრება ფერმენტის აქტივობის გაზრდით ან შემცირებით. მაგალითისათვის საქმიანისა მოვიყვანოთ მევავა ფოსფატაზას კატალიზური აქტივობის შესწავლა აეროზოლი - „OT“-გან მიღებულ „ამობრუნებულ მიცემებში“ (სურ. 1.2). აღნიშნული კატალიზური აქტივობის დათრგუნვა აეროზოლ - „OT“-გან დამზადებულ „ამობრუნებულ მიცემებში“ სხვა ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებისაგან (ლეციტინი, ბრინჯი-56) განსხვავებით (სურ. 1.3; 1.4) განპირობებულია ზანისა და ფერმენტის სპეციფიკური ურთიერთქმედებით.



სურ. 2. ჰერცესიდაზას კატალიზური აქტივობის ცვლილების დონეები:

2.1. ლეციტინისაგან დამზადებულ „ამობრუნებულ მიცემებში“ ფოსფოლიპიდის დამატებამდებულებით - მეთანოლის, პენტანის, ოქტანის ხარჯში (1:2:20) $[H_2O]/[ზანი] = 15$;

2.2. ლეციტინისაგან დამზადებულ „ამობრუნებულ მიცემებში“ ფოსფოლიპიდის დამატებამდებულებით - მეთანოლის, ლიზოფოსფატიდილინოზინის დამატებისას;

2.3. ლეციტინისაგან დამზადებულ „ამობრუნებულ მიცემებში“ ლიზოფოსფატიდილინოზინის დამატებისას;

2.4. ლეციტინისაგან დამზადებულ „ამობრუნებულ მიცემებში“ კონცენტრაციის დამატებისას;

$$C_{(ლიზ.)} = 0,256M; C_E = 5 \cdot 10^{-10}M;$$

$$C_{(ამობრ.)} = 6,5 \cdot 10^4M; C_{H_2O_2} = 10^{-4}M. t = 25^\circ C.$$

(სურ. 2.3). კარდიოლიპინი ზრდის ფერმენტის აქტივობას დამატებული კარდიოლიპინის 13 $\cdot 10^{-5}M$ კონცენტრაციაზე (სურ. 2.4). ლიპიდის კონცენტრაციის შემდგომი ზრდისას ფერმენტის აქტივობა შედარებით მცირდება და იცვლება კონტროლის ფარგლებში.

ამგვარად, ლეციტინისაგან დამზადებულ „ამობრუნებულ მიცემებში“ სოლუბილიზებული ფერმენტის კატალიზური აქტივობა სხვადასხვა ფოსფოლიპიდების დამატების საწყის ეტაპზე ერთმანეთისაგან განსხვავებული მექანიზმით იცვლება, მათ კონცენტრაციის შემდგომი ზრდა ყველგან იწვევს ფერმენტის აქტივობის შემცირებას. „ამობრუნებული მიცემებშის“ ლიპიდური

კვლევის შემდგომი ეტაპი იყო ფერმენტის კატალიზურ აქტივობაზე ლიპიდური მატრიცის ცვლილების გალენის დადგენა, რაც „სიბლანტეტროპული რეგულაციის“ თეორიის სისწორის დადგენის კიდევ ერთ საშუალებას წარმოადგენს. ექსპერიმენტები ტარდებოდა ლეციტინისაგან დამზადებულ „ამობრუნებულ მიცემებში“ სხვადასხვა ფოსფოლიპიდის (მევავა ფოსფოლიპიდები) მზარდი კონცენტრაციის დამატებისას. აღმოჩნდა, რომ ფოსფატიდილინოზიტის დამატებისას ფერმენტის აქტივობა შემდეგნაირად იცვლება (სურ. 2.2) იგი თავის მაქსიმუმს აღწევს დამატებული ფოსფატიდილინოზიტის 6 $\cdot 10^{-5}M$ კონცენტრაციაზე. ფოსფოლიპიდის კონცენტრაციის შემდგომი გაზრდისას შემიჩნევა ფერმენტის აქტივობის მკვეთრი შემცირება ნორმასთან შედარებით (სურ. 2.1). ლიზოფოსფატიდილქოლინის შემთხვევაში ფერმენტის აქტივობა კონცენტრაციის შედარებით მკვეთრად მცირდება ლიპიდის დამატების მომენტიდან და მისი კონცენტრაციის ზრდა აღარ ცვლის ფერმენტის აქტივობას (სურ. 2.3).

კარდიოლიპინი ზრდის ფერმენტის აქტივობას და მისი მაქსიმუმი მიღწევა დამატებული კარდიოლიპინის 13 $\cdot 10^{-5}M$ კონცენტრაციაზე (სურ. 2.4). ლიპიდის კონცენტრაციის შედარებით მცირდება ლიპიდის დამატების მომენტიდან და მისი კონცენტრაციის ზრდა აღარ ცვლის ფერმენტის აქტივობას

სოლუბილიზებული ფერმენტის კატალიზური აქტივობა სხვადასხვა ფოსფოლიპიდების დამატების საწყის ეტაპზე ერთმანეთისაგან განსხვავებული მექანიზმით იცვლება, მათ კონცენტრაციის შემდგომი ზრდა ყველგან იწვევს ფერმენტის აქტივობის შემცირებას. „ამობრუნებული მიცემებშის“ ლიპიდური

მატრიცის (მიკროარე) ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ვა მოძრავს სოლუბილიზებული ფერმენტის აქტივობაზე. ამასთან, თუ გავიხსენებთ ლიზოფოსფატიდილქოლინისა და კარდიოლიპინის მიერ „ამობრუნებული მიცელების“ წარმოქმნის უნარს [8,9], მაშინ შეიძლება ვივარაუდო, რომ ოლიშენული ლიპიდების კონცენტრაციის ზრდა ხელს უწყობს ახალი, თავისუფალი „ამობრუნებული მიცელების“ წარმოქმნას, რომლებიც ფერმენტჩართულ „ამობრუნებულ მიცელებთან“ დაჯარების შემთხვევაში უნდა იწვევდნენ ფერმენტის ნაწილობრივ ინაქტივაციას [10]. იგვე ახსნა უდევს საფუძვლად ფერმენტი კატალიზური აქტივობის შემცირებასა და ზედაპირულად აქტიური ნივთიერების კონცენტრაციის გაზრდას შორის უკუპროპორცულ დამოკიდებულებას (სურ.1). აქვე უნდა აღინიშნოს ჩვენ მიერ აღრეულ წლებში მიღებული მონაცემები [11], რომლის თანახმად ავთვისებიანი სიმსივნეების (სარძევე ჭირვალი, საშვილოსნოს ტანი) შემთხვევაში ადამიანის სისხლში გაზრდილია ლიზოფოსფატიდილქოლინის, ფოსფატიდილინოზიტისა და კარდიოლიპინის პროცენტული შემცველობა. შესაბამისად, სისხლის ლიპიდებისაგან დამზადებულ ამობრუნებულ მიცელებში ფერმენტის კატალიზური აქტივობა შემცირებულია 2-ჯერ, რაც კარგ კორელაციაში იმყოფება მოდელურ სისტემებზე (ამობრუნებული მიცელები) ჩვენ მიღებულ შედეგებთან.

ივ. გავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიტერატურა

1. A.J.Verkleij, P.M.J.Ver Vergaert. J.Biochem. Biophys. Acta., **515**, 1978, 303-327.
2. P.R.Cullis, B.De Kruijff, M.J.Hope. Canad.J.Biochem., **58**, 1980, 1091-1100.
3. R.Venetie, A.J.Verkleij. Biochim. Biophys. Acta, **645**, 2, 1981, 262-269.
4. B.De Kruijff, A.J.Verkleij, C.J.Van Echteld. Biochim. Biophys. Acta, **555**, 2, 1979, 200-209.
5. Н.Л.Клячко, А.В.Левашов, К.Мартинек. Молекулярная биология, **18**, 4, 1984, 1019-1031.
6. K.G.Welinder, L.B.Smillie. Canad. J.Biochem., **50**, 1, 1972, 63-90.
7. D.S.Johnston, E.Coppard, G.V.Parera, D.Chapman, E.Langmuir. Biochemistry, **23**, 1984, 6912-6919.
8. J.A.Lucy. Nature, **227**, 5260, 1970, 815-817.
9. J.I.Howell, D.Fisher, A.H.Goodal. Biochim. et Biophys. Acta, **332**, 1, 1974, 1-10.
10. Н.Л.Клячко. Автор дисс.канд наук М., 1983.
11. Н.Г.Котрикадзе, О.С.Джишკариани, М.А.Царциձე, Б.А.Ломсадзе. Экспер.онкология, II, 5, 1988, 71-73.

თ. მითამშვილი, დ. უგრეხელიძე (მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) ც. ხოშტარია

ანილინის მეტაბოლიზმი მცენარეებში

წარმოდგენილია 22.07.1996

ბიოსფეროს ორგანული დამნაგვიანებლებიდან არომატულ ამინებს შორის ძირითადია ანილინი. ლიტერატურაში არსებული ექსპერიმენტული მონაცემები მცენარეებში ამ ნაერთის მეტაბოლიზმის შესახებ არ არის საყმარისი ანილინის გარდამშნის გზებისა და დეტოქსიკაციური პროცესების მექანიზმის გასარკვევად.

წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია $1-6^{14}\text{C}$ -ანილინის მეტაბოლიზმი სიმინდში, ლობიოსა და ბარლაში. საკვლევი მცენარეების სტერილურ ერთკვირიან ნაზარდებს ვათავსებდით $1-6^{14}\text{C}$ -მარილმჟავა ანილინის წყალსნარში 72 სთ. განმავლობაში (ხვ. რადიოაქტივობა - $1,85 \cdot 10^7 \text{ ბ/გ}$, კონცენტრაცია - $0,015 \text{ მოლ/ლ}$). ბიომასიდან დაბალმოლეკულური ნაერთების ექსტრაქციას ვაწარმოებდით 80%-იანი მდუღარე ეთანოლით. ექსტრაპირებულ ნივთიერებებს ქაღალდის ქრომატოგრაფიის საშუალებით ვყოფდით სამ ფრაქციად [1]. ქრომატოგრამებზე ვტორადიოგრაფიის შედეგად აღმოჩენილ ნიშანდებულ ნაერთებს ვიკვლევდით თვისებითი ფერადი რეაქციებით: ანილინის ფტალატით, ნინკიფრინით, ბრომფენოლის ლურჯათი, დიაზოტირებული სულფანილის მჟავით და პარა-დიმეთილამინობენზალდეპიდით. უცნობ რადიოაქტივურ ნივთიერებებს ვაპიდროლიზებდით 6N-მარილმჟავით 24 სთ. განმავლობაში. ჰიდროლიზატებს ვწვლილავდით მრავალჯერ დიეთილის ეთერით. ეთერსნარებში და წყალსნარებში არსებულ ნივთიერებებს ვყოფდით და იდენტიფიკაციას ვაწარმოებდით ქაღალდის ქრომატოგრაფიით, რადიოავტოგრაფიით, სპექტროსკოპით, თვისებითი ფერადი რეაქციებით. ბიოპოლიმერების ფრაქციის ვაპიდროლიზებდით 6N-მარილმჟავით 24 სთ. განმავლობაში. ჰიდროლიზატებს ვაანალიზებდით ალწერილის ანალოგიურად.

გამოყოფილ ნაშრომების ვაფიქსირებდით მონოეთანოლამინ-მეთოლუელოზოლვის ნარევით [9:1]. რადიოაქტივობას ვზომავდით LKB-8100-ით. ელექტრონულ სპექტრებს ვიღებდით სპექტროფორომეტრ "Specord uv-vis"-ით ამინომჟავებს ვასზღვრავდით ანალიზატორ AAA-881-ით.

ეგზოგენურ ნაერთთა დეტოქსიკაციის პროცესი მცენარეებში, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია ფესვებიდან მათ შეთვისებაზე და ვეგეტაციურ ორგანოებში გადადგილების უნარზე. წყალსნარიდან ანილინის შეთვისების პროცესი ორი ფაზისაგან შესდგება. დასაწყისში დიფუზიის შედეგად ქსენობიოტიკი სწრაფად ალწევს უჯრედშორის სიცრცეში, ხოლო შემდეგ შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხდება ეგზოგენური ნაერთის დაგროვება უჯრედებში [2]. ანილინის შეთვისების მხრივ სიმინდის, ლობიოს და ბარლის ნაზარდები უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან (ცხრ. 1). შედარებით უკეთესად ანილინის წყალსნარიდან ფესვებით ითვისებს ბარლი. შეთვისებული ანილინის და მისი მეტაბოლიტების ფესვებიდან ფოთლებში გადაადგილების მხრივ კი საკვლევი მცენარეები არსებითად განსხვავდებიან. ანილინის ტრანსპორტი ფესვებიდან



ფოთლებში გაცილებით ინტენსიურია ლობიოში, ვიდრე ბარდასა და განსაკუთრებული სიმინდში. შეთვისებული ანალინის გამური რაოდენობიდან ლობიოს ფესვებიდან ფოთლებში გადაადგილდება რადიოაქტიური ნიშის 68,1%, მაშინ როდესაც ბარდისა და სიმინდის ფოთლებში მხოლოდ 13,5% და 4,0% შესაბამისად.

ცხრილი 1

$1-6^{14}\text{C}$ -ანალინის რადიოაქტიური ნიშის განაწილება მცენარეებში (ხევდრითი რადიოაქტივობა - $1,85 \cdot 10^7$ ბკ/გ, კონცენტრაცია - 0,015 მოლ/ლ, ექსპოზიცია - 72 სთ, ტემპერატურა - $25-27^\circ\text{C}$)

მცენარე	რადიოაქტივობა ბიომასის 1 გ-ზე, ბ.კ.	რადიოაქტივობა, %		
		დაბალმოლექულური ნაერთები	ბიოპოლიმერები	მცენარის 1 გ-ზე
სიმინდი ფესვი ფოთლი	781,7 59,8	66,7 80,1	33,3 19,9	1,60
ლობიო ფესვი ფოთლი	753,7 342,9	77,8 94,7	22,2 5,3	4,30
ბარდი ფესვი ფოთლი	1130,1 108,8	94,7 94,4	5,3 5,6	1,29

ბარდის, სიმინდის და ლობიოს ნაზარდები განსხვავდებიან ანილინის რადიოაქტიური ნიშის განაწილების ხასიათითაც უჩრედის დაბალმოლექულურ და მაღალმოლექულურ ნაერთებში. ბარდის ფოთლებსა და ფესვებში ნიშანდებული ნაერთები ძირითადად დაბალმოლექულურებია (ცხრ.1) და რადიოაქტიური ბიოპოლიმერების რაოდენობა 6% არ აღემატება. სიმინდის ფესვებსა და ფოთლებში ნიშანდებული ბიოპოლიმერების რაოდენობა მნიშვნელოვნად მატულობს და 20-33% აღწევს.

უცნობი ნიშანდებული დაბალმოლექულური ნაერთების მეტავური პილოროლიზატების ანალიზით დადგინდა, რომ წყალხსნარები შეიცავენ არარადიოაქტიურ ამინომეჯვებს, ხოლო ეთერხსნარები ნიშანდებულ ანილინს და ორთო-ამინოფენოლს. ამრიგად, საკვლევ მცენარეებში ანილინის მეტაბოლიზმის ძირითადი პროცესი პროდუქტებია ანილინის და ორთო-ამინოფენოლის კონიუგატები დაბალმოლექულურ პეპტიდებთან. დადგენილია კონიუგაციაში მონაწილე პეპტიდების ამინომეჯვერი შედგენილობა (ცხრ.2). როგორც წესი, კონიუგატების პეპტიდური ნაწილის წარმოქმნაში მონაწილეობს 3-დან 7-მდე ამინომეჯვა. კონიუგატების პეპტიდური ნაწილები განსხვავდებიან ამინომეჯვერი შედგენილობით და თანმიმდევრობით, რაც განაპირობებს მათ განსხვავებულ ქრომატოგრაფიულ ძერადობას. ანალოგიური პეპტიდური კონიუგატებია გამოყოფილი მცენარეებიდან არომატული ლიამინის ბენზიდინის გარდაქმნის გზების გამოკვლევის დროსაც [3].

კონიუგატების შემადგენლობაში ნიშანდებული ორთო-ამინოფენოლის არსებობა გვიჩვენებს, რომ ანილინის გარკვეული ნაწილი მცენარეულ უჩრედში ორთო-პილოროქსილირებას განიცდის. უარყოფითი თვისებითი ფერადი რეაქციები ფენოლურ პილოროქსილზე და ორმატულ ამინოგუფზე ადასტურებს, რომ კონიუგატების წარმოქმნის პროცესში ორივე ეს ფუნქციონალური გვუფი გარდაიქმნება ენდოგენურ პეპტიდებთან ურთიერთქმედების შედეგად. წარმოქმნილი



რაღაც ცდის დამთავრების შემდეგ, ძირითადად მხოლოდ ისინი მოპოვების მცნობარეულ ქსოვილებში. ამავე დროს დადგინდა, რომ საკვები არეც მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს მცნობებიდან გამოყოფილ ინილინის და ორთო-ამინოფენოლის ანალოგიურ კონიუგატებს, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაულოთ, რომ ისინი მართლაც მეტაბოლიზმის საბოლოო პროცესებისა და მათ გარევეულ ნაწილს მცნობები გამოყოფენ ფესვთაშორის სივრცეში უცვლელი სახით. ამასთანავე, კონიუგაცია დაბალმოლექულურ პეპტიდებთან წარმოადგენს დეტოქსიკაციურ პროცესს, რაღაც იბოჭება ნაერთების აქტიური ფუნქციონალური ჩიუფები, რაც მათი ტოქსიკური თვისებების შემცირებას ან სრულ გაუვნებელობას იწვევს.

ცხრილი 2

1-6-¹⁴C-ანილინის პეპტიდური კონიუგატების ამინომეჯური შედგენილობა
(გამხსნელთა სისტემა: ნორმ.-ბუთანოლი - ძმარმეჯვა - წყალი 4:5:1)


მცნობარე	კონიუგატის Rf	ამინომეჯური შედგენილობა
სიმიხდი		
ფენვი	0,82 0,95 0,97	ასპ, გლუ, ალა, მეთ. ასპ, გლუ, ალა, მეთ, სერ, ტრი. ასპ, გლუ, ალა, სერ, მეთ, ტრი, ლეი.
ფოთოლი	0,96 0,98	ასპ, გლუ, სერ, გლი, ტირ, ლეი. ასპ, სერ, გლი, ტირ, ვალ, ლეი.
ლობით		
ფენვი	0,85 0,90 0,97	ასპ, გლუ, სერ, ლეი. ასპ, გლუ, ტრი, ალა, სერ. ასპ, გლუ, ტრი, ალა, სერ.
ფოთოლი	0,75 0,92 0,96	ასპ, გლუ, გლი, ალა, ლეი. ასპ, გლუ, გლი, ალა, ლეი, მეთ. ასპ, გლუ, გლი, ალა, ლეი, მეთ.
ბარდი		
ფენვი	0,84 0,97	ასპ, გლუ, გლი. ასპ, გლუ, გლი, ალა.
ფოთოლი	0,75 0,83 0,93	ასპ, გლუ, სერ, ტრი. ასპ, გლუ, სერ, ტირ, ვალ, ლეი. ასპ, გლუ, სერ, ტირ, ვალ, ლეი

მცნობებში ფართოდა გავრცელებული არომატული ამინოჰიდრუსის ბლოკირება გლიკოზილირების გზით. ჩვენ მიერ შესწავლილ მცნობებში ანილინის კონიუგატები გლუკოზასთან არ აღმოჩნდა, თუმცა ამ პროცესის სრული გამორიცხვა არ იქნება მართებული, რაღაც გლიკოზილები ლაბილური ნაერთებია და ბიომასალის დამუშავების დროს არის მეავიანობის გაზრდას შეუძლია გამოიწვიოს ყველა არსებული გლიკოზილის ჰიდროლიზი.

ანილინის რაღიოაქტიური ნიშნის განსაზღვრული ნაწილი ერთვება ბიოპოლიმერების, ძირითადად ცილების შემადგენლობაში. ბარდაში ბიოპოლიმერების რაღიოაქტიურობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ლობითში და განსაკუთრებით სიმინდში (ცხრ. I). პეპტიდური კონიუგატებისგან განსხვავებით ნიშანდებული პოლიმერების მევური ჰიდროლიზის შემდეგ აღარ ხდება ანილინის ან მისი მეტაბოლიზმის შუალედური პროცესების გამოყოფა თავისუფალი სახით, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაულოთ რომ ბიოპოლიმერებთან ურთიერთქმედებისას არ წარმოიქმნება ჰიდროლიზის უნარის მქონე ამიდური ან რთულეთერული ბმები.

სავარაუდოა, რომ მცენარეებში ორთო და ჰარა-ამინოფენოლებისაგან უანგვიოთი დეზამინირების შედეგად წარმოიქმნებიან ქინონები, რომლებიც ურთიერთქმედებენ ცილების ფუნქციონალურ გაუფებთან და შეუქცევადად უკავშირდებიან მათ.

ანილინის ჰიდროქსიზარმოებულების შემდგომი უანგვიოთი გარდაქმნების შედეგად იხლიჩება ქსენობიოტიკის არომატული ბირთვი და წარმოქმნილი ლიაჭაჭვიანი ნაერთები ერთვებიან უგრედის ნივთიერებათა ნორმალურ ცვლაში, რასაც ადასტურებს მცენარეებში ნიშანდებული ამინომეჯვების და ორგანული მეავების არსებობა. გარკვეული ნაწილი ლიაჭაჭვიანი ნაერთებისა იყონებიან რადიოაქტიურ ნახშირორეანგამდე. ლობიოდან ნიშანდებული ნახშირორეანგი უფრო მეტი გამოიყოფა, ვიდრე სიმინდიდან და ბარდიდან (ცხრ.1), რაც განპირობებული უნდა იყოს ლობიოს ფესვებიდან ფოთლებში ანილინის და მისი მეტაბოლიტების გადასდგილების მაღალი ინტენსიურობით.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აგრარული უნივერსიტეტი

ს.დურმიშიძის სახ. მცენარეთა
ბიოქიმიის ინსტიტუტი

ლიტერატურა

1. Р.Я.Школьник, Н.Г.Доман. Биохимия, 25, 1960, 276.
2. Д.Ш.Угрехелидзе, В.А.Приашвили, Ш.М.Рухадзе. Физиология растений, 33, 1, 1986, 165.
3. Э.П.Ломидзе. Автореф. канд.дис. Тбилиси, 1985.

შ. უგრეხელიძე, ბ. წერეთელი, ლ. ბოჭორიძე

ცინებისა და კარბენდაზიმის გავლენა ალკოჰოლური ღულილის პროცესზე

წარმოადგინა ეკადემიკოსმა თ. ანდრონიკაშვილმა 30.09.1996

ვაზის სოკოვან დაავალებათა წინააღმდეგ ფართოდ გამოიყენება ფუნგიციდები, ცინები და კარბენდაზიმი. ამ პრეპარატებით დამუშავდებისას, მათი ლიპოფილური მოლეკულები ადსორბირდება კუტიკულაზე და იხსნება კუტიკულის ცვილში. ყურძნის დაწურვისას და ალკოჰოლური ღულილის საწყის ეტაპზე აღნიშნული ფუნგიციდები გადადიან ყურძნის წვენში და ფერმენტაციის პროცესშიც მონაწილეობენ [1].

ჩვენ შევისწავლეთ საფუვრის სუფთა კულტურებით (*Saccharomyces vini*, var. კატური 42 და *Saccharomyces oviformis*, var. გვ 50) წარმოებულ ალკოჰოლური ღულილის პროცესზე ფუნგიციდების - ცინებისა და კარბენდაზიმის - გავლენა. ამ მიზნით დაწმენდილ (2000 გ, 10 წუთი), სტერილურ (112°C , 1,5 ატ 40 წუთი) ყურძნის წვენში (ჩეაწითელი) შევიტანეთ საფუვრის სუფთა კულტურა 2%-ის რაოდენობით. ღულილი მიმდინარეობდა $25-27^{\circ}\text{C}$ -ზე. ღულილის დაწყებიდან მესამე დღეს მაღულარი მასის სამ-სამი მილილიტრი მოვათავსეთ ვარბურგის აპარატის ჩესპირომეტრებში, ჩესპირომეტრის ცენტრალურ ჭიქაში შევიტანეთ 20%-ანი კალიუმის ტუტის 0,6 მლ, ხოლო გაერთიანეთ ჭურჭელში 1 მლ ფუნგიციდის ჭეშმარიტი ხსნარი ან მიკროსუსპენზია წყალში, ან სუფთა წყალი (კონტროლი). საინკუბაციო ტემპერატურა 30°C 80 რხევა/წუთი, ინკუბაციის ხანგრძლივობა 4 საათი, ვზომავდით ეანგბადის შთანთქმასა და გამოყოფილი ნახშირორეანგის რადიოაქტიურობას (ოთხი პარალელური ცდის საშუალო შედეგი). ცდებში გამოვიყენეთ ^{14}C (მეთილენში)-ცინები: კუთრი რადიოაქტიურობა 400 მეგაბეკრელი/გ, კონცენტრაცია მაღულარ არეში 2,5 მგ/ლ (ჭეშმარიტი ხსნარი) ან 50 მგ/ლ (მიკროსუსპენზია), და ^{14}C კარბენდაზიმი: კუთრი რადიოაქტიურობა 36 მეგაბეკრელი/გ, კონცენტრაცია მაღულარ არეში 2 მგ/ლ (ჭეშმარიტი ხსნარი) ან 60 მგ/ლ (მიკროსუსპენზია). პარალელური ცდების გართიანებულ სარეაქციო არეში ვსაზღვრავდით ცინებისა და კარბენდაზიმის გარდაქმნის პროცესებს [2]. რადიოაქტიურობის გაზომვა ხდებოდა თხევად სცინტილაციურ მოვლელზე RackBeta II, რეის ჰიდროფილურ სისტემაში [3].

ექსპერიმენტებმა გვიჩვენა (ცხრილი 1), რომ ცინები 2,5 მგ/ლ და კარბენდაზიმი 2 მგ/ლ ოდნავ ასტრიმულირებენ ეანგბადის შთანთქმას, ხოლო მათი მაღალი კონცენტრაციის ეს პროცესი არსებითად ინციპირდება. ფუნგიციდების დაბალი კონცენტრაციის შემთხვევაში, მათი რადიოაქტიური ნახშირბადის დაუანგვა ნახშირორეანგი უმნიშვნელო (არ აღმატება შეტანილი რადიოაქტიურობის 0,8%-ს), ხოლო მათი მაღალი კონცენტრაციის გავლენით, დაუანგვის ეს სუსტი პროცესი თითქმის სრულიად წყდება ($^{14}\text{CO}_2$ -ის რაოდენობა 0,1%-ზე ნაკლებია).

ფუნგიციდების მაღალი კონცენტრაციით გამოწვეული უანგბადის შთანთქმის დანართში, $^{14}\text{CO}_2$ -ის გამოყოფის ინტიბირების მიზეზი, როგორც ჩანს, საფუვრის უჯრედების მიერ ამ ფუნგიციდების დიდი რაოდენობით ადსორბციაა. კერძოდ, ამ შემთხვევაში, ფერმენტაციის არეში შეტანილი ნიშანდებული ნახშირბადის თითქმის 40-50% საფუვრის მიერ ადსორბირდება (ცხრილი 1). ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ როგორც არსებული მონაცემები მიუთითებენ, ცინები 0,5-50 მგ/ლ კონცენტრაციის ინტერვალში ფაქტიურად არავითარ ზეგავლენას არ ახდენს საფუვრის უჯრედების ექსტრაქტის უანგვა-ალფენით უნარზე [4]. ხოლო კარბენდაზიმის დაბალი კონცენტრაციები ამუხრუჭებს მიცელიუმის ზრდის პროცესს, და არა სპორების აღმოცენებას [5]. ამ ფუნგიციდების დაბალი კონცენტრაციების უმნიშვნელო ზეგავლენაზე საფუვრების მიმართ მიუთითებს აგრეთვე ჩვენი ექსპერიმენტების შედეგებიც (ცხრილი 1).

ცხრილი 1

^{14}C -ცინებისა და ^{14}C -კარბენდაზიმის გავლენა ალკოჰოლური დუღილის პროცესში უანგბადის შთანთქმის და რაღიოაქტიური ნახშირბადის განაწილება დუღილის პროდუქტებს შორის

დუღილის არე	შთანთქმული უანგბადი, %	რაღიოაქტიურობა, %		
		საფუვრი	ლვინო	ნახშირ- ორეანგი
<i>S.vini</i> +რქაწითელი (დუღილის არე)	100			
დუღილის არე+ ცინები (2,5 მგ/ლ)	103	9,3	90,0	0,7
დუღილის არე + ცინები (50 მგ/ლ)	67	44,5	55,4	>0,1
დუღილის არე+ კარბენდაზიმი (2 მგ/ლ)	108	8,6	90,9	0,5
დუღილის არე + კარბენდაზიმი (60 მგ/ლ)	71	52,2	47,7	>0,1
<i>S.oviformis</i> +რქაწითელი (დუღილის არე)	100			
დუღილის არე + ცინები (2,5 მგ/ლ)	105	8,9	90,3	0,8
დუღილის არე + ცინები (50 მგ/ლ)	63	41,9	58,0	>0,1
დუღილის არე+ კარბენდაზიმი (2 მგ/ლ)	108	9,2	90,2	0,6
დუღილის არე + კარბენდაზიმი (60 მგ/ლ)	76	46,6	53,3	>0,1



ეპვს გარეშეა, რომ დუღილის არეში შეტანილი ფუნგიციდების მოლექსულფიდი დაუანგვა ნახირშორეანგამდე მიკრობიოლოგიური პროცესია, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ასეთი მჟავიანობის მქონე სტერილურ არეში (pH 3-4) მსგავსი ღრმა დაუანგვა პრაქტიკულად არ ხდება [6]. სუსტ მჟავე არეში ცინები ეთილენ-ბისდითიოვარბაზინის მჟავას წარმოქმნის, რომელიც შემდგომ ეთილენდიამინად და გოგირდნახშირბადად იშლება; ხოლო ხსნარის ჰაერაციის შემთხვევაში აქვე წარმოქმნება ეთილენთიოურამმონოსულფიდი და ეთილენთიურამდისულფიდი [6]. ეს ნაერთები გამოყოფილ და იდენტიფიცირებულ იქნა ჩვენ მიერ ალკოჰოლური დუღილის არედან, სადაც შეტანილი იყო ^{14}C -ცინები (ცხრილი 2).

^{14}C -ცინები და მისი გარდაქმნის პროცენტები (%) დუღილის არეში (%, რადიოაქტიური ნახშირბადის განაწილების მიხედვით)

დუღილის არე	ცინები	ეთილენთიო შარდოვანა	ეთილენთ იურამმონულფიდი	ეთილენთიურა მდისულფიდი	ეთილენდიამინი
რქაწითელი + <i>S.vini</i> + ცინები (2,5 მგ/ლ)	39	16	14	23	8
რქაწითელი + <i>S.oviformis</i> + ცინები (2,5 მგ/ლ)	35	18	11	24	12

ცხრილი 3

^{14}C -კარბენდაზიმი და მისი გარდაქმნის პროცენტი, 2-ამინობენზიმიდაზოლი, დუღილის არეში (%), რადიოაქტიური ნახშირბადის განაწილების მიხედვით).

დუღილის არე	კარბენდაზიმი	2-ამინობენზიმიდაზოლი
რქაწითელი + <i>S.vini</i> + კარბენდაზიმი (2 მგ/ლ)	95	5
რქაწითელი + <i>S.oviformis</i> + კარბენდაზიმი (2 მგ/ლ)	93	7

დუღილის არის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მასში შეტანილი კარბენდაზიმის მცირე ნაწილი ჰიდროლიზდება და 2-ამინობენზიმიდაზოლს წარმოქმნის (ცხრილი 3). მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარაულოთ, რომ ცინებისა და კარბენდაზიმის ნიშანდებული ნახშირბადი საფუძვრების მიერ უპირატესად ამ ფუნგიციდების ჰიდროლიზური და უანგვითი გარდაქმნის პროცენტების სახით შეითვისება, შემდეგ კი მიკრობულ უზრედში ნახშირორეანგამდე იუანგება. ამ პროცესის დაბალი ინტენსივობა იმაზე მიუთითებს, რომ ცინებისა და კარბენდაზიმის

ნარჩენი რაოდენობა, რომელიც ვაზის შექმნავლის შედეგად გადადის ყურძნის წვერში, ასევე გავლენას ვერ ახდენს საფუვრის მიერ წარმოებულ ფერმენტაციის პროცესზე. ეს დასკვნა კიდევ ერთხელ აღასტურებს უკვე არსებულ მონაცემებს [7]. აღნიშნული ფუნგიციდების დაშლა ალკოჰოლური დალილის პროცესში ჰიდროლიზურ და ჟანგვით გარდაქმნებს მოიცავს, რაც უპირველეს ყოვლისა სარეაქციო არის მაჩვენებლებითაა გაპირობებული, და მიკრობიოლოგიური გარდაქმნები ამ შემთხვევაში მხოლოდ უმნიშვნელო როლს ასრულებს.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

ଲେଖକ ପାତା

1. ბ.წერეთელი, შ.უგრეხელიძე. კრებულში: ქიმია და სოფლის მეურნეობის პრობლემები (სამეცნიერო-პრაკტიკული კონფერენციის მასალები). გურჯაანი, 1996, 30-32.
 2. G.Czegledi-Janko, A.J.Hollo. Chromatogr. 31, 1967, 89.
 3. E.Rapkin. Sample preparation for liquid scintillation counting. Part 2. Solvents and scintillatots. Intertechnique, Plaisir-France, 1970, 17-20.
 4. Е.Е.Емновა б Г.В.Меренюк. Микробиология, 55, 4, 1986, 612.
 5. G.P.Clemons, H.D.Sisler. Pestic. Biochem. and Physiol., 1, 1971, 32,
 6. F.L.Mc Ewen, G.R.Stephenson. The use and significance of pesticides in the environment. John Wiley and Sons, New York, Chichester, Brisbane, Toronto, 1979, 80-90.
 7. W.H.Newsome. J.Agric. Food Chem., 24, 1976, 999.


რ.გახოვიძე, ლ.ტაბატაძე, ლ.ბერიაშვილი

ლუკრეაზინის გავლენა მიწავაშლას (*Helianthus tuberosus L.*) ფოთლების ცილის ფრაქციების შემცველობაზე

წარმოადგინა აკადემიური გარემონტი 19.09.1996

მიწავაშლა (*Helianthus tuberosus L.*) ტუბერიანი მცენარეა რომელიც ეკუთვნის რთულყვავილოვანთა ოჯახს. უნიკალური ბიოქიმიური შედეგების გამო, მიწავაშლა იმსახურებს სულ უფრო მეტ ყურადღებას და დიდი ეფექტურობით გამოიყენება საკვები, ტექნიკური, დიეტური და სამკურნალო პროდუქტების ფართო სპექტრის მისაღებად. იგი ერთ-ერთი უნივერსალური კულტურაა, რაღაც მისი ყველა ნაწილი (ტუბერები, ფოთლები, ლეროები) შეიძლება მრავალმხრივ იქნება გამოყენებული [1,2].

წინამდებარე სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ლუკრეაზინის გავლენის შესწავლა მიწავაშლას ფოთლების ცილის თვისებრივ და რაოდენობრივ შემცველობაზე.



სურ.1 მიწავაშლას ფოთლების
 ალტექტურის ფრაქცია
 а) კონტროლი
 б) ლუკრეაზინით დამუშავებული.


მიწავაშლას ტუბერები დათვესვის წინ, 24 საათის განმავლობაში, მოთავსებულ იქნა ლუკრეაზინის 0,1%-იან ხსნარში. საკონტროლო ტუბერები 24 საათის განმავლობაში მოთავსებულ იქნა დისტილირებულ წყალში. მიწავაშლას ფოთლები სანალიზოდ აღებულ იქნა ყვავილობის დამთავრების შემდეგ. საერთო ცილის განსაზღვრისათვის მზადდებოდა აცეტონის პრეპარატი. ცილის რაოდენობის განსაზღვრა ხდებოდა კიელდალის მეთოდით. ცილის ფრაქციების შისაღებად გამოყენებულ იქნა ოსბორნის მეთოდი, რომელიც ეყარება ფრაქციების გამოყოფის შესაბამისი გამსხნელებით [3]. წყალში ხსნადი ალბუმინების ფრაქციის გამოსაყოფად გამოყენებულ იქნა 0,1 M ნატრიუმის პიროფოსფატის ბუფერი (pH-ნეიტრალური). გლობულინების ფრაქციის გამოსაყოფად გამოყენებულ იქნა 0,1M NaCl-ის ხსნარი 0,1 M ნატრიუმის პიროფოსფატის ბუფერში. ცილის ცალკეული ფრაქციის რაოდენობა იზომებოდა ლოცურის მეთოდით [4]. ალბუმინების და გლობულინების ფრაქციების ქრომატოგრაფია ტარდებოდა LKB-ს ფირმის თხვევად, დაბალი წნევის ქრომატოგრაფზე, 1X55 სმ სვეტზე გელფილტრაციით TSK-40 (Fine) გელზე. სვეტზე დატანილი ცილის ნიმუშის ელუცური წარმოებდა დისტილირებული წყლით, 1 მლ/წთ სიჩქარით. პეპტიდების ფრაქციის დეტექტორება წარმოებდა UV-დეტექტორზე -

Uvicord - II, 279 km-^o_g.

შიღებულმა შედეგებმა გვიჩვენა, რომ ლუქრეაზინის გავლენის საერთო ცილის შემცველობა იზრდება 15,5%-დან 16,6%-მდე, გშრალ წონაზე გადაანგარიშებით (კერძოდ).

ცილის ცალკეული ფრაქციის შემცველობა მიწაგაშლას ფოთლებში (მშრალ
წონაზე გადაანგარიშებით (%))

ცილის ფრაქციები	კონტროლი	ლუპრეაზინით დამუშავებული
ალბუმინები	10,7	10,6
გლობულინები	3,5	4,8



სურ.2. მიწავაშლას ფოთლების გლობულინების ფრაქცია

၅) კონტროლი

ბ) ლოკარეაზინით დამზადებული

მიღებული შედეგები შესაძლებლობას იძლევა დავისკვნათ, რომ ლუქრეაზინი ასტრიმულირებს მიწავაშლის ზრდა-განვითარებას, ზრდის ფოთლების საერთო ცილის რაოდენობას, ძირითადად, გლობულინების ხარჯზე.

ივ.ჭავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ଲୋକପାତ୍ରଙ୍କ

- Б.М.Кахана, В.В.Арасимович. Биохимия топинамбура. Кишинев, 1974.
 - Матер. Второй Всесоюзной научно-производственной конференции "Типинамбур и типинсолнечник - проблемы возделывания и использования". Иркутск, 1990.
 - Методы белкового и аминокислотного анализа растений. Ленинград, 1973.
 - O.H.Lowzy, N.J.Rosenbraugh, A.L.Fazz, R.J.Randall. J.Biol. Chem., 193, 1951.


ზ. ქოქრაშვილი, დ. ძიმიგური, პ. ჭელიძე

**ორმხრივი აღრენალექტომიის გავლენა ვირთაგვას
ჰეპატოციტების ბირთვების ფუნქციონალურ აქტიურობაზე**

შარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. თუმანიშვილმა 28.10.1995

ორგანიზმით ნორმალურ ცხოველმყოფელობაში სტეროიდულ ჰორმონებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ, რადგან ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ურჩედების პროლიფერაციის, განვითარების და დიფერენცირების პროცესში. ჰორმონალურ რეგულაციას ექვემდებარება მრავალი ფურმენტის სინთეზი [1]. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჰორმონალური ბალანსის დარღვევით გამოწვევლი გენომის ფუნქციონალური ცვლილებების შესწავლა.

ჩვენი სამუშაოს მიზანი იყო შეგვესწავლა თირკმელზედა გირკვლის ორმხრივი რეზექციით განპირობებული გენომის აქტიურობის ცვლილებების თეთრი უჩიშოვითაგვების ჰეპატოციტებში.




სურ. 1. ^{14}C -უტფ-ის ჩართვის ინტენსიურობა ვირთაგვას ჰეპატოციტების ბირთვებში ნორმასა და ორმხრივი აღრენალექტომიის შემდეგ. ა-კონტროლი, ბ-აღრენალექტომიდან 1 დღე, გ-აღრენალექტომიდან 4 დღე.

ლი ქრომატინის სტრუქტურული ცვლილებების დასადგენად გამოვიყენეთ უმანსკის მიხედვით [4] გამოყოფილი ქრომატინის პრეპარატები.

სტეროიდების ჰორმონალური რეგულაცია ძირითადად შეღავლდება სპეციფიკური რნმ-ის და ცილების სინთეზის ინდუქციაში [5], რის გამოც ჰორმონების რაოდენობის შემცირება უნდა იწვევდეს გენომის ინაქტივითის. ლიტერატურაში დაგროვილი ექსპერიმენტალური მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ზოგიერთი ჰორმონალური ფენექტი ვითარდება ძალიან სწრაფად და შესაძლებელია ამ ჰორმონების რნმ-ის სინთეზზე ზემოქმედებასთან იყოს დაკავშირებული [1, 6, 7]. ჩვენ მიერ ჩატარებული გამოვლენები გარკვეულწილად აღასტურებენ ამ მოსაზრებას. კერძოდ, მიღებული შედეგები გვიჩვენებენ, რომ ორმხრივი აღრენალექტომიის შემდეგ უკვე 24 სთ-ის განმავლრობაში იწყება რნმ-ის სინთეზის ინტენსიურობის დაქვეითება ვირთაგვას


ჰეპატოციტების იზოლირებულ ბირთვებში. მონიშნული წინამორბედის ჩართული ინტენსიურობა 13%-ით იკლებს კონტროლთან შედარებით (სურ.1, ბ). ოპერაციიდან 4 დღის შემდეგ კი ტოტალური რნმ-მასინთეზირებელი აქტიურობის მხოლოდ 25% აჩება (სურ.1, გ).



სურ. 2. ვირთაგვის ჰეპატოციტების ბირთვების ღნმ აზერი შილტვეფლობა ნორმასა და ორმხრივი ადრენალექტომის შემდეგ. ა-კონტროლი, ბ-ადრენალექტომიდან 1 დღე, გ-ადრენალექტომიდან 4 დღე.

მიღებული შედეგების თანახმად, თირკმელ-ზედა ჭირკვლების ამოკვეთის შემდეგ ჰეპატოციტების ბირთვებში ქვეითდება ტრანსკრიპციული აქტიურობა. გვნების ინაქტივაცია შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით, მათ შორის ტრანსკრიპციულ აპარატში მომზდარი ცვლილებებით [8]. ეს სამართლიანია ჩვენს შემთხვევაშიც, რადგან ჰორმონები (პირველ რიგში სტეროიდული ჰორმონები) მოქმედებენ კონკრეტულ სამიზნე გვნებზე სპეციფიკური რეცეპტორული ცილების საშუალებით, რომლებთანაც ჰორმონ-რეცეპტორულ კომპლექსებს წარმოქმნიან [1, 6, 7]. ეს კომპლექსი უკავშირდება გვნების რეგულატორულ უბნებს, მონაწილეობას

იღებს ტრანსკრიპციის პროცესში და იწვევს გვნების ექსპრესიას. თირკმელ-ზედა ჭირკვლების ამოკვეთის დროს ტრანსკრიპციული აქტიურობის თანდათანობითი შემცირება დაკავშირდებული უნდა იყოს ქსოვილისა და სისხლში ჰორმონების რაოდენობის არათანაბარ კლებასთან. ჰორმონ-რეცეპტორული კომპლექსი შედარებით მდგრადია და უფრო გვიან ინაქტივირდება, ვიდრე სისხლში ცირკულირებადი თავისიუფალი ჰორმონები [9].



სურ.3. ვირთაგვის ჰეპატოციტების ქრომატინის ტიტრაცია აქტინომიცინ D-თი, ა-კონტროლი, ბ-ადრენალექტომიდან 1 დღე, გ-ადრენალექტომიდან 4 დღე.

გენმის ფუნქციონალური აქტიურობის ცვლილებებთან დაკავშირდებულია ქრომატინის სტრუქტურული გარდაქმნები. ტრანსკრიპციულად აქტიური ქრომატინის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მისი გაზრდილი მგრძნობელობა ნუკლეუსტების, მათ შორის დნმ-აზა I-ის მიმართ. ასეთი მომატებული მგრძნობელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ გვნების მაკროირებელი უბნებით, იგი გვერდითმდებარე უბნებზედაც ვრცელდება და მრავალი ფაქტორითაა



განპირობებული [10]. ღნმ-აზა I-სადმი მგრძნობელობა შეიძლება განხილული აუქტინული ქრომატინის კონფორმაციული ცვლილებების მახასიათებელი [11]. მე-2 სურათზე ნაჩვენებია ქრომატინის ღნმ-აზა I-თან ინკუბაციის შედეგად მიღებული მჟავაში ხსნადი ფრაქტული რაოდენობა. ადრენალიუმი ტომიდიდან 24 სთის შემდეგ ქრომატინის მგრძნობელობა ღნმ-აზა I-ს მიმართ პრაქტიკულად არ იცვლება, ხოლო ადრენალიუმი ტომიდან 4 დღის შემდეგ 10%-ით მცირდება.

ამ მონაცემებთან კორელაციაშია ქრომატინის აქტინომიციურ D-თი ტიტრაციის შედეგებიც. დაკავშირებული აქტინომიცინის რაოდენობა დამკიდებულია ქრომატინში ღნმ-ის დემასკირებული საიტების რაოდენობაზე. ინტაქტიური ცხოველებიდან გამოყოფილი ქრომატინის (50 მ კგ ღნმ-ზე გადაანგარიშებით) მიერ დაკავშირებული აქტინომიცინის რაოდენობა 40-60 მკლ-ს შეადგენს (სურ.3, ა). ადრენალიუმი ტომირებულ ცხოველებში, ოპერაციიდან ერთი დღის შემდეგ ღნმ-თან დაკავშირებული აქტინომიცინის რაოდენობა კონტროლთან შედარებით ორჯერ მცირდება და 20 მკლ-ს აღწევს (სურ.3, ბ), ოპერაციიდან შე-4 დღეს კი 20 მკლ-მდე კლებულობს (სურ.3, გ).

როგორც შედეგებიდან ჩანს, ადრენალიუმის შემდეგ ტრანსკრიპციული აქტიურობის შემცირებასთან ერთად ქვეითდება ქრომატინის მატრიცული აქტიურობაც, მცირდება თავისუფალი გ-ც წყვილების შემცველი ლოკუსების რაოდენობა, და ქრომატინში ღნმ-აზა I-სადმი მგრძნობიარე უზნების შემცველობა, რაც ღნმ-ფიბრილის კონფიგურაციის ხარისხის გაზრდაზე მიუთითებს.

თირქმელზედა გირკვლის ამოკეთიდან 24 სთ-ის შემდეგ სხვა პარამეტრებთან შედარებით უფრო მკვეთრად კლებულობს თავისუფალი გ-ც წყვილების რაოდენობა. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს გ-ც წყვილებით მდიდარი ბირთვაკული ქრომატინის ინაქტივაციასთან. თუ ვივარაუდებთ, რომ ადრეულ სტადიაზე ხდება რიბოსომული გენების ინაქტივაცია, შეიძლება აისნას როგორც რნმ-ის სინთეზის, ასევე ქრომატინის ღნმ-აზა I-სადმი მგრძნობელობის უმნიშვნელო შემცირება პირველ დღეს. თუმცა ასეთი ჰიპოთეზა უფრო კონკრეტულ დასაბუთებას მოითხოვს.

ი.გვახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ლიტერატურა

1. M.A.Красильников. Биохимия, **58**, 4, 1993, 499-511.
2. M.Derenzini et al. J.Ultrastruc. Res., 367, 1979, 161-179.
3. D.V.Dzidziguri et al. Epith. Cell Biol., 3, 1994, 54-60.
4. S.R.Umanski et al. Bioph. Acta, 383, 1975, 242-254.
5. M.G.Parker. J.Endocrinol., 123, 1989, 1-4.
6. W.Hopfner et al. J.Biol. Chem., 264, 34, 1989, 2643-2647.
7. Е.С. Конопля и др. В. сб. Гормональная регуляция в норме и при патологии, 1989, 33-35.
8. И.Б.Збарский. Организация клеточного ядра. 1988, М. 366 с.
9. К.Вилли, В.Детъе. Биология, М., 1974, 824 с.
10. I.Igo-Kemenez et al. Ann. Rev. Biochem., 51, 1982, 89-121.
11. А.Н.Кукушкин, В.А.Поспелов. Молекулярная биология, 19, 1985, 1592-1602

ნ. ე. ი. ზ. უ. რ. ა. შ. ი. ლ. ი. ვ. კ. ი. რ. თ. ა. ძ. ე.

**^{14}C მეტანებმარმეულის ასიმილაცია საფუვრების მიერ მეორეულ
სპირტულ დუღილში**

წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ნ. უ. ც. ბ. ი. ძ. ე. მ. 26.12.1996

საფუვრების ცხოველმოქმედება მეორეული სპირტული დუღილის ექსტრემალურ პირობებში შეიძლო კავშირშია კეტომეტავების ცვლასთან. ნახშირორეანგის მაღალი წნევა, სპირტის გარემო, საფუვრისათვის უცხო ნაერთები და სხვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ორგანული მეტავების გარდაქმნის მიმართულებებსა და ინტენსივობაზე [1]. ამასთანავე კეტომეტავების ბიოტრანსფორმაციის პროცესებს არსებითი მნიშვნელობა იქვთ უჭრედული მეტაბოლიზმის ჩემცულაციისათვის გადალარ არეში [2].

სამუშაოს მიზანს შეადგენდა ^{14}C მეტანებმარმეულის გარდაქმნის პროცესების შესწოვლა მეორეული სპირტული დუღილის დროს.

გადალარ იგნტად გამოყენებული იყო ღვინის საფუვრების საწარმოო შტამი Sacharamyces vini-39. ^{14}C მეტანებმარმეული სატირაუე ნაზავში შეიტანებოდა 9,2 მგ-ის რაოდენობით 800 მლ ღვინოზე ანგარიშით, რომლის რადიოაქტივობა შეადგენდა 18,5 MBq. მეორეული სპირტული დუღილი მიმდინარეობდა 14°-16° C პირობებში. საფუვრისა და ღვინის კომპონენტების ანალიზი ტარდებოდა ძირითადი დუღილის დამთავრებისთანავე ქიმიური, ქრომატოგრაფიული და ვატორადიოგრაფიული მეთოდების გამოყენებით [1]. იდენტიფიცირებულ ნაერთების რადიოაქტივობა ისაზღვრებოდა სცინტილაციურ სპექტრომეტრზე SL-20.

საფუვრის სხვადასხვა სახეობები და შტამები კეტომეტავების სხვადასხვა რაოდენობას წარმოქმნან და გარდაქმნან [3], რომელზედაც გავლენას ახდენს ტექნოლოგიური რეჟიმის პარამეტრებიც [2]. მეტანებმარმეული, თუმცა ღვინოში არ გროვდება, მაგრამ სხვა კეტომეტავების მსგავსად, მისი მეტაბოლიზმის პროცესების რაოდენობრივ და თვიობრივ განაწილებას არსებითი მნიშვნელობა იქვს მიკრობიოლოგიური და ბიოტექნოლოგიური პროცესების მართვისათვის [4]. ჩვენს პირობებში მიღებული ექსპერიმენტული შედეგები გვიჩვენებს, რომ ღვინის შაბაზინზაციის დროს საფუვრები ითვისებენ მეტანებმარმეულის ნახშირბადოვან ჩინჩქს. მისი კარბომეტილური ნახშირბადი მონაწილეობას იღებს ბიომასის ძირითადი კომპონენტების - ცილებისა და თავისუფალი ამინომეტავების ბიოსინთეზში (ცხრილი 1). ^{14}C მეტანებმარმეულის გარდაქმნის შედეგად საფუვრის ცილებში რადიოაქტივური აღმოჩნდა 10 ამინომეტავა. მათ შორის მაღალი რადიოაქტიურობით გამოიჩინეს ასპარაგინმეტავა და ლიზინი, რომლებიც უშუალოდ მეტანებმარმეულის ოჯახის წარმომადგენლები არიან. ცილისა და თავისუფალი ამინომეტავების განაწილების სურათი რამდენადმე განსხვავებულია, რაც თავისუფალ ამინომეტავათა სხვადასხვა ფონდის ფუნქციონირებაზე მიუთითებს [5]. ამინომეტავათა რაოდენობრივი შედეგენილობა იცვლება საფუვრის განვითარების ფიზიოლოგიური ფაზების

მიხედვით [6] და მაქსიმუმს აღწევს დაბალ ტემპერატურაზე (10°C) სპირტული დუღილის პირობებში.

საფუვრების მიერ ^{14}C მჟაუნძმარმევას ასიმილაციისა და ბიოტრანსფორმაციის შედეგად სინთეზირებულ ნივთიერებათა უპირატესი ნაწილი შამპანიზაციის დროს ლვინიში გადაღის. მათგან ძირითადია ორგანული მჟავები და ამინომჟავები (ცხრილი 2). მეტაბოლურ პროცესთა ჩეგულაციის საფუძველზე მყარდება დინამიური წონასწორობა საფუვრისა და ღვინის კომპონენტებს შორის [7]. ორგანულ მჟავათა რადიოაქტიურობის ნახევარზე მეტი ქარვამჟავასა და ვაშლმჟავაზე მოდის. იდენტიფიცირებულია რადიოაქტიური გლიკების მჟავაც ($12,8$). რადიოაქტიურობის განაწილება ორგანულ მჟავათა შორის გვიჩვენებს, რომ მეორეული სპირტული ღუღლილის დროსაც ოქსალოაცეტატს ცენტრალური ადგილი უკავია კრებსისა და გლიკებისათვის ციკლის მჟავათა ბიოსინთეზში.

ცხრილი 1

^{14}C მჟაუნძმარმევას ნახშირბადების ჩართვა საფუვრის ამინომჟავებში

იდენტიფიცირებულ ამინომჟავათა რადიოაქტივობა % -ით ფრაქციის საერთო აქტივობიდან

ცილის ამინომჟავები	თავისუფალი ამინომჟავები
ასპარაგინმჟავა	იზოლეიცინი
ლიზინი	ლიზინი
ტრეონინი	ასპარაგინმჟავა
გლუტამინმჟავა	ვალინი
იზოლეიცინი	ტრეონინი
ვალინი	გლუტამინმჟავა
მეთიონინი	პროლინი
პროლინი	სერინი
ალანინი	
გლიცინი	

ცხრილი 2

^{14}C მჟაუნძმარმევას ნახშირბადების ჩართვა ღვინის ორგანულ მჟავებსა და ამინომჟავებში

იდენტიფიცირებულ ნაერთების რადიოაქტივობა % -ით ფრაქციის საერთო აქტივობიდან

ორგანული მჟავები	ამინომჟავები
ქარვამჟავა	ვალინი
ვაშლმჟავა	ლეიცინი
გლიკესალმჟავა	იზოლეიცინი
ფუტარმჟავა	ტრიპტოფანი
ლიმინმჟავა	არგინინი
ღვინომჟავა	ტრეონინი
უცნობი	სერინი

I¹⁴C მეურნებარმეფას გარდაქმნის შედეგად ღვინოში იდენტიფიცირებულია 8 ამინომჟავა. მათ რაოდენობრივ განაწილებასა და რადიოაქტივობის განაწილებას შორის კორელაციური დამოკიდებულება არ ვლინდება. მაგრამ აშეარად ჩანს, რომ ღვინის ამინომჟავათა სინთეზში საფუვრების ნორმალური ცხოველმოქმედების შედეგია; დაბალი pH-ის პირობებში, ეთანოლის თანაბისის ავტოლიზი მხოლოდ ძირითადი დუღილის დამთავრების შემდეგ და ისიც ნელა მიმღინარეობს.

მეორეული სპირტული დუღილის პროცესში ოქსალოაცეტატი ნაწილობრივ დეკარბოქსილირებას განიცდის. რაოდენობრივი გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ გამოყოფილი ¹⁴CO₂-ის რადიოატივობა საწყისი აქტივობის 2-4%-ს შეადგენს. კორომჟავების დეკარბოქსილირების პროცესი ძლიერდება ამინირებისა და გადაამინირების რეაქციათა შეზღუდვის დროს [8]. ამავე დროს ღვინიდან გამოყოფილი შექრების ფრაქცია ჩვენს პირობებში რადიოაქტიური არ აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მეორეული სპირტული დუღილის ექსტრემალურ პირობებში ძირითადად ფუნქციონირებს კრების მოდიფიცირებული ციკლი - ჟანგვითი გარდაქმნებით α -კეტოგლუტარატამდე და ოლდგენითი გარდაქმნებით - ოქსალო-ცეტატიდან სუქცინატამდე.

საქართველოს მეცნიერებათა ეკადემია
ს.ლურმიშვილის სახ.მცენარეთა ბიოქიმიის
ინსტიტუტი

ლიტერატურა

1. Э.Г.Киртадзе, Т.М.Курдованидзе. Биохимические особенности вторичного спиртового брожения. Тбилиси, 1992.
2. С.П.Авакянц. Биохимические основы технологии шампанского. М., 1980.
3. А.С.Вечер, И.Ф.Рудоманова. ДАН БССР, т.18, 1974.
4. Е.И.Квасников. Прикладная биохимия и микробиология, 31, 2, 1995.
5. А.М.Безбородов. Биохимические основы микробиологического синтеза. М., 1984.
6. С.Л.Коновалов. Биохимия дрожжей. М., 1980.
7. Л.Н.Моисеева. Прикладная биохимия и микробиология, 31, 1, 1995.
8. K.Yoshizawa, M.Yamada. Agric and Biol. Chem. 26. 8. 1962.

თ. კუპრაშვილი

პათოგენური სოკოების შეღწევის და ლოკალიზების აღგილი
ბოსტნეული კულტურების თესლში

წარმოადგინა აკადემიის წევრ კორესპონდენტმა გ. ნახუცრიშვილმა 2.10.1996

ბოსტნეული კულტურების (პომიდორი, ბადრიგანი, წიწყა, კომბოსტო, სტაფილი, ხახვა) თესლში პათოგენური სოკოების შეღწევის, გავრცელების და ლოკალიზების აღგილი (ჩანასახი, ენდოსპერიტი, ლებნები, კანი) ცვალებადობის იმის მიხედვით, თუ მცენარის განვითარების რომელ ფაზაში ხდება მისი დასენიანება და რა გზით აღწევს სოკო თესლში.

ტრაქეომიკული ჭენობის გამომწვევი სოკოები (*Fusarium oxysporum* (Schlect.) Snyd. et Hans., *Verticillium albo-atrum* Reinke et Berth.) თესლში ხვდებიან. მცენარეში დიფუზური განვითარებისას მიჰყვებიან ჭურჭულბოჭკოვან კონებს და ლოკალიზდებიან ძირითადად თესლის კანში და ლებნებში.

ზოგიერთი სოკო (*Phytophthora parasitica* (Dast.) Waterh. *Perenospora destructor* Berck., *Alternaria*-ს გვარის წარმომადგენლები, *Phomopsis Vexans* (Sacc. et Syd.) Hart.) მცენარის ყვავილობის პერიოდში სამტკრე მილის საშუალებით, მიკროპილეს გზით აღწევს თესლკვირტში და უმეტესად ლოკალიზდებიან ჩანასახსა და ლებნებში.

მოსავლის აღების შემდეგ საღ თესლში სოკო იჭრება კიბიდან.

პათოგენური სოკოების თესლში შეღწევის და მათი ლოკალიზების აღგილის შესახებ ლიტერატურაში მცირე და ერთმანეთისგან განსხვავებული აზრი არსებობს.

ე. ფიშერ დოროტის [1] მიხედვით სოკო *Didymella licopersici* Kleb. პომიდორის თესლში აღწევს პლაცენტის გზით და ლოკალიზდება თესლის კანსა და ლებნებს შორის მიცელიუმის ან პიკნიდიგების სახით.

ლ. რაილოს [2] დ. შტოკის [5], პ.

გამბოგის [6] და სხვათა მონაცემებით სოკო *Fusarium*-ის წარმომადგენლები თესლში აღწევენ მცენარეში დიფუზური განვითარების გზით. იმავე გზით აღწევს ხახვის თესლში სოკო *Perenospora destructor*-ი და ლოკალიზდება ოოსპორების სახით ენდოსპერიტში და ჩანასახში [7]. განსხვავებული აზრი არსებობს [8] სოკო *Phomopsis*-ის გვარის წარმომადგენლების ლოკალიზების შესახებ თესლის სხვადასხვა ქსოვილებში.

გ. პარმანისა და ფ. პტლევეგრის [9] მონაცემებით სოკო *Aspergillus*-ის სხვადასხვა სახეობა პომიდორის, ქერის, გოგრისა და ბარდის თესლში ლოკალიზდებიან ჩანასახში ან გაიღიერიან სახით.

ზოგიერთი სოკო თესლში აღწევს მცენარეთა ყვავილობის პერიოდში სამტკვერე მიღის გავლით, მიკრობილების გზით [10-12].

ნაშრომში გადმოცემულია 1984-1992 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგები ბოსტნეული კულტურების (პომიდორი, ბადრიჯანი, წიწაკა, კომბოსტო, სტაფილო, ხავი) თესლში პათოგენური სოკოების შეღწევის გზების და მათი ლოკალიზაციის აღგილის შესახებ.

ბოსტნეული კულტურების (პომიდორი, ბადრიჯანი, წიწაკა, კომბოსტო, სტაფილო, ხავი) თესლში ტრაქეომიკოზული კენობის გამომწვევი სოკოების შეღწევის გზების დადგენის მიზნით, სტერილურ ნიადაგში შეგვენდა სოკო *F.oxysporum*-ის და *V.albo-atrum* -ის ოცდლიანი კულტურები და თთი დღის შემდეგ მასში ვრგვილი პომიდორის, ბადრიჯნისა და წიწაკის საღ ჩითოლებს. სოკოს განვითარებას მცენარეში ვადგენდით ანატომიური ჭრილობის საშუალებით.

თესლში პათოგენური სოკოების შეღწევის სხვა გზების ძიების მიზნით, მცენარეთა მასობრივი ყვავილობის პერიოდში, ყვავილის ბუტკოზე ნაზი ფუნგის საშუალებით გადაგვენდა სოკოს (*Phytophthora parasitica*, *Perenospora destructor*, *Alternaria brassicace*, *A.solani*, *A.radicina*, *Phomopsis Vexans*) კონიდიუმები [14]. დასენიანებული ყვავილების იზოლაცია ხდებოდა დოლბანდის საშუალებით. ვრიცხავდით დასენიანებული ყვავილებიდან მიღებული ნაყოფების და თითოეულ ნაყოფში განვითარებული თესლის საშუალო რაოდენობას. საკონტროლო გამოყენებული იყო დაუსენიანებული მცენარეების ყვავილებიდან მიღებული თესლი. მოსავლის აღების შემდეგ საღ თესლში შეღწევის გზების დადგენა ხდებოდა დეზინფიცირებული თესლის მოთავსებით შესაბამის სოკოს სპოროვან სუსპენზიაში [15].

თესლში ინფექციის ლოკალიზების აღგილის დადგენა ხდებოდა მ.ნაუმოვის [16] მეთოდით.

სოკო *Fusarium oxysporum*-ით ხელოვნურად დასენიანებულ ნიადაგში გაზრდილ მცენარეებზე ჩატარებული აღრიცხვის შედეგად გამოიჩვა, რომ საცდელი მცენარეების საერთო რაოდენობიდან დაიღუპა პომიდორის 14%, წიწაკის 21% და ბადრიჯნის 18%. გადარჩენილ მცენარეებზე განვითარებული ნაყოფის რაოდენობა შემცირდა: პომიდორზე 10,9%-ით, წიწაკზე 27,6%-ით, ხოლო ბადრიჯნზე 24,0%-ით. პომიდორის თითოეულ ნაყოფში დავადებული თესლის რაოდენობა საშუალოდ 16%-ს აღწევდა, წიწაკის ნაყოფში -21%-ს, ხოლო ბადრიჯნის -17%-ს. დაავადებული თესლიდან კულტურაში (აგარიზებული ლუდის ტებილის საკვებ არეზე) გამოიყო სოკო *F.oxysporum*-ი.

მცენარის განვითარების სხვადასხვა ფაზაში ჩატარებული ანატომიური ჭრილების მიკროსკოპული ანალიზის შედეგად ჭურჭლებში აღინიშნებოდა სოკოს მიცელიუმის ჰიფები.

მსგავსი შედეგებია მიღებული სოკო *Verticillium albo-atrum* - ით ხელოვნურად დასენიანებულ ნიადაგში გაზრდილ მცენარეებზე.

მიღებული შედეგების საფუძველზე ირკვევა, რომ ტრაქეომიკოზული კენობის გამომწვევი სოკოები, *F.oxysporum*-ი და *V.albo-atrum*-ი მიჰყვებიან ჭურჭლებოჭკოვან



კონებს, უქრედის წვენით გადაადგილდებიან და დიფუზური განვითარებული ხვდებიან თესლში.

ხელოვნურად დასენიანებული ყვავილების მქონე მცენარეებზე ჩატარებული აღრიცვის შედეგებიდან გამოირკვა, რომ (ცხრილი 1) სოკო *Phytophthora parasitica*-ს კონიდიუმებით დასენიანებული პომიდორის 30 ყვავილიდან ნაყოფი განვითარა 22%-მა. თითოეულ ნაყოფში დაავადებული თესლის რაოდენობა საშუალოდ 37%-ს აღწევდა.

სოკო *Alternaria solani*-თი დასენიანებული წიწაკის 30 ყვავილიდან ნაყოფი განავითარა 38%-მა. თითოეულ ნაყოფში დაავადებული თესლის რაოდენობა საშუალოდ 28% იყო. სოკო *Phomopsis vexans*-თი ბადრიჯნის ყვავილების დასენიანებისას აღნიშნული მონაცემები შესაბამისად 17% და 29%-ის ტოლი იყო.

მსგავსი შედეგებია მიღებული კომბოსტოს (*Alternaria brassiae*), სტაფილოს (*A.radicina*) და ხახვის (*Petenospora destructor*) შემთხვევაში.

ცხრილი 1

კულტურა და გიში	ცდის ვარიანტი	საცდელი ყვავილების რაოდენობა (ცალი)	განვითარებული ნაყოფების რაოდენობა	
			ცალი	%
პომიდორი “პერემოგა”	Phytophthora parasitica	30	6	22
	საკონტროლო		14	46
ბადრიჯნი “გარდაბნული”	Phomopsis vexans	30	5	17
	საკონტროლო		12	40
წიწაკა “ბულგარული”	Alternaria solani	30	11	38
	საკონტროლო		17	56
კომბოსტო “ბრაუნშვეიგი”	Alternaria brassicae	30	8	28
	საკონტროლო		16	53
სტაფილო “ნანტი”	Alternaria radicina	30	9	32
	საკონტროლო		16	53
ხახვი “სხვილისი”	Petenospora destructor	30	10	35
	საკონტროლო		13	43

დასენიანებული ყვავილებიდან განვითარებულ ნაყოფში ზოგიერთი თესლი ვიზუალურად საღი თესლის მსგავსია. უმეტესობა კი სუსტია და დეფორმირებული ფორმისაა. თესლის მიეროსკოპული ანალიზის შედეგად ეპიდერმისის, ჩანასახისა და ლებნის ქსოვილებში აღნიშნებოდა სოკოს მიცელიუმის ჰიფები (სურ.1.2). დაავადებული თესლიდან სუფთა კულტურებში გამოიყო შესაბამისი სოკოები.

მიღებული შედეგებიდან ირკვევა, რომ თესლის შინაგანი დასენიანება ხდება მცენარეთა ყვავილობისას, ბუტკოზე მოხვედრილი სოკოს კონიდიუმით, რომლებიც მტვრის მილის საშუალებით ჩაიზრდებიან თესლკვირტში.

ექსპერიმენტული ცდებით დადგინდა, რომ მოსავლის აღების შემდეგ საღ ფინანსურირებული შინაგანი ინფექციის აღწევს ჭიბის (თესლის მიმაგრების აღგილი წაყოფთან) გზით.

თესლში შინაგანი ინფექციის გამომწვევი სოკოების ლოკალიზების ადგილის დადგენისას გამოირკვა, რომ (ცხრილი2) ის სოკოები, რომელიც დიფუზურად ვითარდებიან და ჰურპელბოკოკოვანი კონების გზით აღწევენ თესლში, უფრო ხშირად ლოკალიზდებიან თესლის კანში. სოკო F.oxytorm-ის ლოკალიზების შემთხვევა პომიდორის თესლის კანში 7% იყო, წიწაკის -8%, ბადრიჯნის-9%. სოკო V.albo-atrum-ის ლოკალიზების შემთხვევა პომიდორის თესლის კანში 12%-ს აღწევდა, წიწაკის -7%-ს და ბადრიჯნის თესლის კანში-6%-ს. ბადრიჯნის თესლის კანში ხშირ შემთხვევაში ლოკალიზდება, აგრეთვე, სოკო Phomopsis vexans-ი.

ცხრილი 2

შინაგანი ინფექციის გამომწვევი სოკოების ლოკალიზების ადგილი თესლში

კულტურა და გვში	დაავადების გამომწვევი სოკო	სანალიზო თესლის ჩაოდენობა	სოკოს ლოკალიზების ადგილი თესლში %% -ში			
			ჩანასახი	ლებნები (ენდოსპერმი)	კანი	კანს და ლებნების შორის
პომიდორი “პერემოგა”	Phytophthora parasitica	1000	17	10	3	2
	Fusarium oxysporum	1000	8	11	7	5
	Verticillium albo-atrum	1000	5	6	12	6
წიწაკა “ბულგარული”	Alternaria solani	1000	4	7	0	8
	Fusarium oxysporum	1000	10	10	8	7
	Verticillium albo-atrum	1000	6	13	7	5
ბადრიჯნი “გარდაბნული”	Phomopsis vexans	1000	3	8	11	6
	Fusarium oxysporum	1000	8	11	9	7
	Verticillium albo-atrum	1000	3	8	6	9
კომბოსტო “გრაუნტვეიგი”	Alternaria brassicae	1000	8	14	3	5
სტაფილო “ნანტი”	Alternaria radicina	1000	9	13	4	6
ხახვი “სხვილისი”	Perenospora destructor	1000	15	10	2	6

სოკოები, რომლებიც ყვავილობის პერიოდში მტკრის მილის საშუალებით, მიკრობილების გზით აღწევენ თესლში, ლოკალიზდებიან ძირითადათ ლებნებსა და ჩანასახში.

სოკო phytophthora parasitica-ს ლოკალიზების შემთხვევა პამიდორის თესლის ლებნებში 10% იყო, ხოლო ჩანასახში-17%. ხახვის თესლის ენდოპერმში სოკო Perenospora destructor-ი აღინიშნა 10%, ჩანასახში-15%, მაშინ როდესაც თესლის



კანში მისი ლოკალიზების შემთხვევა 2%-ს არ აღემატებოდა. მსგავსი უწლესებები მიღებული სოკო A.solani A.radicina და A.brassicae-ს შემთხვევაში.

გამოირკვა, რომ ერთი სახეობის სოკო სხვადასხვა პატრონშეცენარის თესლში სხვადასხვა ადგილას ლოკალიზდება. სოკო F.oxytorm-ი პომილვრის თესლში ძირითადად ლებნებში (11%) გვხდება, წიწაკის თესლში, ჩანასახში (10%) და ლებნებში (10%), ბადრიჯნის თესლში, კანში (9%) და ლებნებში (11%). სოკო V.albo-atrum-ი პომილვრის თესლში ძირითადად კანში (12%) გვხდება, წიწაკის თესლში - ლებნებში (13%) და ბადრიჯნის თესლში კანსა და ლებნებს შორის (9%). სოკო Perenospora destructor-ის მიცელიუმი და ოოსპორები ლოკალიზებულია ძირითადად ხახვის თესლის ენდოსპერატში (10%) და ჩანასახში (15%).

სოკოს ლოკალიზება თესლში დამოკიდებულია სოკოს სახეობაზე, თესლის თავისებურებაზე და იმაზე, თუ მცენარის განვითარების რომელ ფაზაში ხდება თესლის დასენიანება და რა გზით აღწევს სოკო თესლში.

ტრაქეომიკოზული ჭქნობის გამომწვევი სოკოები F.oxytorm-ი და V.albo-atrum-ი ბოსტეული კულტურების თესლში აღწევენ მცენარეში დიფუზური განვითარებისას ჭურჭელბოჭურევანი კონების გზით.

სოკოები (Phytophthora parasitica, Perenospora destructor, Alternaria brassicaceae, A.solani, A.radicina, Phomopsis vexans), რომელთა კონიდიუმებიც ადვილად ვრცელდებიან ქარის ან მწერების საშუალებით, თესლში ხდებიან ბუტყოს დიხგიდან მტვრის მილის საშუალებით მიკროპილებან.

მოსავლის აღების შემდეგ საღ თესლში სოკო აღწევს ჭიპიდან (თესლის მიმაგრების ადგილი ნაყოფთან).

თესლში სოკოს ლოკალიზება ჩანასახში, ენდოსპერატში, ლებნებში ან თესლის კანში ხდება. სოკო ლოკალიზდება აგრეთვე კანსა და ლებნებს შორის.

თესლში სოკოს ლოკალიზების ადგილი ცვალებადობს იმის მიხედვით, თუ მცენარის განვითარების რომელ ფაზაში ხდება მისი დასენიანება და რა გზით აღწევს სოკო თესლში.

ლიტერატურა

1. E.Fischer Dorothy. Internal infection of tomato seed by Didymella lycopersici Kleb. Nature. 174, N4431, 1954, 656-657.
2. А.И.Райло. Грибы рода фузариум, Гос.изд.с/х литературы. М., 1950, 415
3. Д.А.Шток. Грибная флора семян культурных растений Узбекистана, автореферат докт.дисс., Ереван, 1982,32.
4. P.Gambogi. Seed transmission of Fusarium oxytorm epidemiology and control, Seed Sci. and Techol., 11,N3, 1983,815-827.
5. Н.Л. Жвания. Ложная мучнистая роса (переноспороз) лука и разработка мер борьбы с нею в Грузии, автореферат дисс., Тбилиси, 1985,23.
6. K. Kunwar Indra, Singh Tribhuwan, I.B.Sincpair. Histopathology of mixed infections by Colletotrichum truncatum and Phomopsis spp. or Gercospora sojina in soybean Seeds. "Phytopathology", 75, N4, 1985, 489-492.

7. *I.E.Harman, F.L.Pfleger.* Pathogenicity and infection sites of Aspergillus species in stored seeds. "Phytopathology", 64, N 10, 1974, 1339-1344.
8. თ. კუპრაშვილი, მ. ბერიანიძე. ზოგიერთი ბოსტნეული კულტურების თესლის შინაგანი ინფექცია. მცენარეთა სტრუქტურულ-ფუნქციონალური ორგანიზაცია და მისი ცვლილება გარემოს სხვადასხვა ფაქტორთა ზეგავლენით. ა. კუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, 1983, 70.
9. ნ. ხილაშვილი, თ. კუპრაშვილი. ბოსტნეული კულტურების თესლში ინფექციის შექმნის გზები და მათი ინფიცირების ადგილი, ი. ლომოურის სახ. მიწათმოქმედების ინსტიტუტის ასპირანთთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაյთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1989, 9.
10. *Chikuo Yoshiaki, Sugimoto Toshija.* Histopathology of sugar beet flowers and seed balls infected With Colletotrichum dematium of spinaceae, ჩიხონ აკუბუცუ ბერი გაკაიხო. Ann Phytopathol Soc Jap., 55, N 4, 1989, 404-409.
11. თესლი. ნიმუშების აღების წესები და თესვითი ხარისხის განსაზღვრის მეთოდები, სახელმწიფო სტანდარტი 5055-56, თბილისი, 1959, 210.
12. ვ. კურაი, ვ. კლემენტ, ფ. შაიმოში, ი. ვერეშ, მетоды фитопатологии, М., Колос, 1974, 342.
13. Методы экспериментальной микологии. Из-во "Наука думка", Киев, 1973, 166.
14. Н.А. Наумов. Методы микологических и фитопатологических исследований, Сельхозиздат, Ленинградское отделение, 1937, 270.

დ.კასრაძე

პანკრეასის კუნძულების B უჯრედებში ენერგიის შემქმნელი ულტრასტრუქტურების სტრუმოეტრული თავისებურებანი ნახშირწყლებით ქრონიკული დატვირთვის დროს სხვადასხვა ასაკში

წარმოადგინა წევრ-კორსპონდენტმა თ.დეკანოსიძე 12.12.1996

ინსულინის სეკრეციია გლუკოზის მეტაბოლიზმში ცენტრალურ როლს თამაშობს, ხოლო პანკრეასის კუნძულების B უჯრედების ფუნქციის ცვლილებები იწვევს ისეთ მეტაბოლურ დარღვევებს, როგორიცაა შაქრიანი დიაბეტი და გასუქება [1]. ცნობილია, რომ [2 - 4] უჯრედში არასპეციფიკური და სპეციფიკური პროცესების წარმართვა უპირატესად განსაზღვრულია უჯრედის ენერგეტიკული სტატუსით, ანუ უჯრედის ენერგეტიკულ სადგურებში - მიტოქონდრიობებში მიმღინარე ატუ-ის სინთეზის პროცესის ინტენსივობით. ჩვენი კვლევის მიზანი იყო პანკრეასის კუნძულების B უჯრედების ფუნქციური გადაძაბვისა ამ უჯრედთა ენერგეტიკული პოტენციალის ცვლილებების დადგენა ახალგაზრდა და უფროს ასაკებში, განსაკუთრებით კი ხანგიშესულობისა და მოხუცებულობის დროს, როცა ასე ხშირია შაქრიანი დიაბეტის განვითარება.

სექსპერიმენტულ გამოყიყნეთ მამალი თეორი ვირთავები, შევარჩიეთ ოთხი ასაკი: სიყრმე, სიმწიფე, სიბერის პირველი პერიოდი, სიბერის გვანი პერიოდი. 7 დღის განმავლობაში ცხოველები ვარჩად იღებდნენ გლუკოზას (ცნობილია [1,5], რომ გლუკოზა ინსულინის მთავარი სეკრეტაგოგია). ექსპერიმენტულ მასალას ვიღებდით ნახშირწყლებით დატვირთვის დამთავრებიდან პირველ, მე-5, მე-10 და მე-20 დღეებშე. პანკრეასიდან აღებული მასალა მზადდებოდა ელექტრონული მიკროსკოპისათვის, ელექტრონოგრამებშე სრულდებოდა B უჯრედების მიტოქონდრიობის ულტრასტრუმოეტრის [6]. თვითეული საექსპერიმენტო ვარიანტისათვის ვიკლევდით B უჯრედის 100 მიტოქონდრიას. მიღებულ ციფრულ მონაცემებს ვამუშავებდით სტატისტიკურად სტიუდენტის კრიტერიუმის (t) გამოყინებით.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა უჩვენა (ცხრილი), რომ 7 დღის განმავლობაში ნახშირწყლებით დატვირთვა ცველა ასაკობრივ გვუჯში (სიყრმისა და სიმწიფის ასაკებში, სიბერის პირველსა და გვანა პერიოდებში) იწვევს პანკრეასის კუნძულების B უჯრედების მიტოქონდრიობებში მატრიქსისა და კრისტების მოცულობით წილთა საშუალო მაჩვენებლების მატებას (მატრიქსისათვის აღნიშნული მატება შეადგენს 10,4% -ს, 9,8% -ს, 14,0% -ს, 22,5% -ს, ასაკობრივ გვუფთა შესაბამისად; ხოლო კრისტებისათვის - 22,0% -ს, 18,2% -ს, 29,2% -ს, 38,1% -ს, შესაბამისად). გლუკოზით დატვირთვის შეწვეტილდან მე-5 დღეს B უჯრედების მიტოქონდრიობებში მატრიქსისა და კრისტების მოცულობით წილთა საშუალო მაჩვენებლები ახალგაზრდა ასაკებში სარწმუნოდ არ იცვლება ($t < 2,0$) - კვლავაც მომატებული ჩჩება, ხოლო სიბერის

Указы

Іншага дасласць абавеюць таго, што ўсе, чо з'яўляецца падзяленымі ўніверситетамі

B-Універсітэтамі ёсць міністэрствамі рэспублікі, якія ўтваряюцца ўніверсітэтамі

і ўніверсітэтскімі інстытутамі

Віддзяленіе	Міністэрства	Іншага дасласць	Іншага дасласць	Галоўныя паказчыкі			
				I	V	X	XX
Сінусід	Міністэрства здравства	62,96 ± 2,00	69,50 ± 2,33	68,25 ± 2,33	63,83 ± 2,10	62,79 ± 2,00	
		25,00 ± 0,90	30,50 ± 1,20	29,75 ± 1,20	26,15 ± 0,90	25,10 ± 0,90	
		1,10 ± 0,04	1,10 ± 0,04	1,15 ± 0,05	1,10 ± 0,05	1,10 ± 0,04	
		0,55 ± 0,02	0,55 ± 0,02	0,60 ± 0,02	0,55 ± 0,02	0,50 ± 0,02	
Сінічін	Міністэрства здравства	61,71 ± 2,15	67,77 ± 2,10	66,58 ± 2,10	62,60 ± 2,00	61,57 ± 2,00	
		28,12 ± 1,20	33,23 ± 1,20	32,42 ± 1,20	29,33 ± 1,20	28,24 ± 1,20	
		1,20 ± 0,05	1,20 ± 0,05	1,30 ± 0,06	1,20 ± 0,05	1,15 ± 0,05	
		0,60 ± 0,02	0,60 ± 0,02	0,65 ± 0,03	0,60 ± 0,02	0,60 ± 0,02	
Сіндром	Міністэрства здравства	55,71 ± 1,80	63,51 ± 2,10	52,22 ± 1,90	42,18 ± 0,90	42,07 ± 0,90	
		23,31 ± 1,10	30,11 ± 1,20	23,26 ± 0,70	12,90 ± 0,51	12,82 ± 0,51	
		4,00 ± 0,16	4,00 ± 0,16	6,27 ± 0,20	9,67 ± 0,32	9,78 ± 0,32	
		1,00 ± 0,03	1,00 ± 0,03	2,40 ± 0,06	3,90 ± 0,09	3,94 ± 0,09	
Сіндром	Міністэрства здравства	50,63 ± 1,50	62,04 ± 2,00	49,71 ± 1,70	35,39 ± 0,70	35,23 ± 0,70	
		21,22 ± 0,90	29,30 ± 1,00	21,85 ± 0,61	9,29 ± 0,40	9,16 ± 0,40	
		4,20 ± 0,18	4,20 ± 0,18	7,18 ± 0,20	13,24 ± 0,42	13,59 ± 0,42	
		1,10 ± 0,04	1,10 ± 0,04	2,78 ± 0,06	5,47 ± 0,20	5,51 ± 0,20	



პირველსა და გვიან პერიოდებში კი დასახელებული მაჩვენებლები ექსპერიმენტული წინა ვაღის მომატებულ მაჩვენებლებთან შედარებით მნიშვნელოვნად იყდებს (ზატრიქსისათვის $t=4,0$ და $t=4,7$, ასაკობრივ ჭგუფთა შესაბამისად; ხოლო კრისტებისათვის - $t=4,9$ და $t=6,4$, შესაბამისად). სიბერის პირველსა და გვიან პერიოდებში მნიშვნელოვანია აგრეთვე B უჩრედების მიტოქონდრიებში აგრეგაციულ-დესტრუქციული უნდების (აღს) და მემბრანათაშუა სივრცის მოცულობით წილთა საშუალო მაჩვენებლების ნორმასთან შედარებით მკვეთრი მატება (აღს-სათვის ეს მატება შეადგენს 56,8%-ს და 71,0%-ს, ასაკობრივ ჭგუფთა შესაბამისად; ხოლო მემბრანათაშუა სივრცისათვის - 140,0% -ს და 152,7%-ს, შესაბამისად). გლუკოზით დატვირთვის შეწყვეტილან მე-10 დღეს ახალგაზრდა ასაკებში B უჩრედების მიტოქონდრიებში მატრიქსისა და კრისტების მოცულობით წილთა საშუალო მაჩვენებლები ნორმალიზებულია და ასეთივე რჩება გლუკოზით დატვირთვის დამთავრებილან მე-20 დღეზეც ($t < 2,0$). სიბერის პირველსა და გვიან პერიოდებში კი დასახელებული მაჩვენებლები ნორმასთან შედარებით მნიშვნელოვნად იყდებს ექსპერიმენტის მე-10 დღეს და ასეთივე რჩება ექსპერიმენტის მე-20 დღეზეც. მატრიქსისათვის ონიშნული კლება შეადგენს 24,5%-ს და 30,4%-ს, ასაკობრივ ჭგუფთა შესაბამისად; ხოლო კრისტებისათვის - 45,1%-ს და 56,8%-ს, შესაბამისად. სიბერის პირველსა და გვიან პერიოდებში ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ექსპერიმენტის მე-10 დღეზე იღუ-სა და მემბრანათაშუა სივრცის მოცულობით წილთა საშუალო მაჩვენებლების ნორმასთან შედარებით უკიდურესად მკვეთრი მატება, რაც უცვლელი რჩება ექსპერიმენტის მე-20 დღეზეც. აღს-სათვის ონიშნული მატება შეადგენს 144,5%-ს და 223,6%-ს, ასაკობრივ ჭგუფთა შესაბამისად; ხოლო მემბრანათაშუა სივრცისათვის - 294,0%-ს და 400,9%-ს, შესაბამისად.

მაშასადამე, 7 დღის განმავლობაში გლუკოზით დატვირთვა ყველა ასაკის ცხოველის პანკრეასის კუნძულების B უჩრედებში იწვევს ენერგიის შექმნის პროცესის ინტენსიფიკაციას, რაც უფროსი ასაკების ორგანიზმებში უფრო გამოხატულია, ვიდრე ახალგაზრდა ასაკების ცხოველებში. ნახშირწყლებით დატვირთვის დამთავრებილან გარკვეულ ვადაში ახალგაზრდა ასაკების B უჩრედებში ენერგიის შექმნის პროცესი ნორმალიზებულია, მაშინ როცა ექსპერიმენტის იმავე ვადაში უფროს ასაკებში ატჟ-ის სინთეზის პროცესის აქტივობა ნორმასთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებია, დასახელებულ უჩრედებში და მათი ენერგეტიკული პოტენციალის ნორმალიზაციის ნიშანიც კი არ ვლინდება; პირიქით, - B უჩრედების ნაწილში სახეზეა ენერგიის სრული დეფიციტი.

თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტი

ლიტერატურა

1. M.Prenkti. Eur. J. Endocrinol., 134, 1996, 272-286.
2. M.R.Duchen, P.A.Smith, F.M.Ashcroft. Biochem J., 294, 1993, 35-42.
3. S.L.Howell. Diabetologia. 28, 1984, 319-327.
4. I.Musil, O.Novacova, K.Kunts. Current Biochemistry in Schemes. Moscow, 1984.
5. S.Bonner-Wier. Recent Prog.Horm.Res. 49, 1994, 91-104.
6. E.R.Weibel, G.S.Kistler, W.F.Scherle. J.Cell Biology, 30, 1966, 23-38.



რ.ბერიაშვილი, დ.ქასრაძე

პანკრეასის კუნძულების B-უგრედების
ულტრასტერეომეტრული თავისებურებანი ნახშირწყლებით
ქრონიკული დატვირთვის ღრმის სხვადასხვა ასაკში

წარმოადგინა წევრ-კორესპონდენტმა თ.დეკანოსიძემ 20.11.1996

თანამედროვე გელიცინის პრობლემებს შორის შაქრიან დიაბეტს კვლავ სერიოზული ადგილი უკავია [1]. ითვლება, რომ ხშირად პანკრეასის კუნძულების B-უგრედების ფუნქციური დაძაბვისას ამ უგრედებში საკომპენსაციო მექანიზმების ორასრულფასოვნების შედეგა შაქრიანი დიაბეტს განვითარება [2]. ჩვენი კვლევის მიზანი იყო პანკრეასის კუნძულების B უგრედების ფუნქციური გადაძაბვისას ამ უგრედებში საკომპენსაციო საშუალებათა ულტრასტრუქტურული ეკვივალენტების გამოვლენა განსაკუთრებით ხაშიშესულობისა და მოხუცებულობის ასაკებში.

საექსპერიმენტოდ ვიყენებდით მაბალ თეთრ ვირთაგვებს. შერჩეულ იქნა ოთხი ასაკი; სიყრმე, სიმწიფე, სიბერის პირველი პერიოდი და სიბერის გვიანი ხანა. ვირთაგვები იმყოფებოდნენ ნახშირწყლოვანი დატვირთვის ქვეშ 7 დღის განმავლობაში; ცნობილია, რომ გლუკოზა მთავარი ინსულინ - სეკრეტაგვია B უზრუდებისათვის [3, 4]. ცხოველები იყვლებოდა გლუკოზით დატვირთვის დამთავრებიდან პირველ, მე-5, მე-10 და მე-20 დღეებზე. პანკრეასიდან აღებული მასალა მზადდებოდა ელექტრონული მიკროსკოპისათვის. ულტრასტრუქტურული დამუშავებისას გამჭვირვალე აფსეზე გამოსახული ტესტ-სისტემები [5] ედებოდა ელექტრონოგრამებს. თვითეულ საექსპერიმენტო ვარიანტში ისწავლებოდა 100 B უზრედი. მიღებული ციფრული მონაცემები მუშავდებოდა სტატისტიკურად სტიუდენტის კრიტერიუმის (t) გამოყენებით.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ (ცხრილი) 7 დღის განმავლობაში გლოციალური დატვირთვა ყველა ასაკში - სიყრისის, სიმწიფის ასაკებში, სიბერის პირველ პერიოდსა და გვიანი სიბერის ხანაში - იწვევს პანკრეასულ B უჭრედებში მიტოქონდრიების, გრანულური ენდოპლაზმური რეტიკულუმის (გრ) და გოლგის აპარატის მოცულობით წილთა საშუალო მაჩვენებლების მომატების (მიტოქონდრიებისათვის აღნიშვნული მატება შეაღვენს 28,1%-ს, 27,1%-ს, 40,2%-ს, 50,2%-ს, ასაკობრივ გვუფთი შესაბამისად; გრ-ისათვის - შეაღვენს 29,1%-ს, 26,1%-ს, 36,3%-ს, 53,2%-ს, შესაბამისად; გოლგის აპარატისათვის - 25,5%-ს, 23,9%-ს, 31,1%-ს, 35,4%-ს, შესაბამისად); B უჭრედებში სეკრეტორული გრანულების მოცულობითი წილის საშუალო მაჩვენებელი კი იყლებს 29,1%-ით, 26,1%-ით, 36,3%-ით, 53,2%-ით შესაბამისად.

ნაშშირწყლებით დატვირთვის დამთავრებიდან შე-5 დღეს სიყრმისა და სიმწიფის ასაკებში B უქრედებში მიტოქონდრიტბის, გრა-ისა და გოლგის აპარატის მოცულობით წილთა საშუალო მაჩვენებლები სარწმუნოდ არ იცვლება ($t < 2,0$) - კლავ მომატებული რჩება, ხოლო სიბერის ჰირველ ჰერიოდსა და გვიანი სიბერის

Աթոռություն 1.

სხვადასხვა ასაკის თეთრი ვიზუალურას პანკრეასის კუნძულების B- უგრედებში ორგანულების მოცულობითი წილი (%-ში) ქრონიკული ნახშირწყლოვანი ლატვიურთვის პირობებში

ასაკი	ორგანულები	ინტენსიური ცხოველები	ნაშრობის წყლებით დატვირთვის შეწყვეტის შედეგი			
			I დღე	V დღე	X დღე	XX დღე
სიყრმის ასაკი	მიტოქონდრიცები გერ გოლგ. აპარატი სეკ-გრანულები	2,10±0,08	2,69±0,12	2,59±0,10	2,21±0,09	2,07+0,07
		18,12±0,80	23,40±0,90	22,12±0,90	19,22±0,80	18,00+0,80
		1,53±0,07	1,92±0,08	1,84±0,08	1,64±0,07	1,58+0,07
		48,21±1,30	36,09±1,31	41,27±1,71	47,56±1,50	48,75+1,71
სიმწიფეის ასაკი	მიტოქონდრიცები გერ გოლგ. აპარატი სეკ-გრანულები	4,20±0,19	5,34±0,12	5,28±0,18	4,39±0,10	4,17+0,18
		17,31±0,61	21,83±0,54	20,66±0,54	18,41±0,61	17,25+0,61
		1,17±0,04	1,45±0,05	1,41±0,05	1,23±0,04	1,19+0,04
		30,02±1,41	21,27±0,90	24,92±1,11	29,67±1,31	30,37+1,38
სიბერის I პერიოდი	მიტოქონდრიცები გერ გოლგ. აპარატი სეკ-გრანულები	3,53±0,08	4,95±0,24	3,90±0,10	2,39±0,08	2,36+0,09
		14,61±0,41	19,91±0,61	15,99±0,51	10,62±0,31	10,25+0,31
		1,67±0,07	2,19±0,08	1,85±0,05	1,26±0,05	1,23+0,05
		42,12±1,31	27,91±1,10	32,37±1,38	32,00±1,31	31,47+1,21
გვიანი სიბერის ხანა	მიტოქონდრიცები გერ გოლგ. აპარატი სეკ-გრანულები	3,27±0,14	4,91±0,19	3,77±0,12	1,92±0,09	1,88+0,08
		14,52±0,41	22,25±0,84	15,98±0,51	9,23±0,21	9,00+0,21
		1,27±0,05	1,72±0,07	1,41±0,04	0,88±0,04	0,84+0,04
		44,71±0,71	23,62±1,01	26,75±0,90	26,15±1,10	25,77+0,90

ხანაში კი დასახელებული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აკლებები (მიტოქონდრიობისათვის $t = 4,0$ და $t = 5,1$ ასაკობრივ გვუფთა შესაბამისად; გრძელისათვის $t = 5,0$ და $t = 6,4$ შესაბამისად; გოლგის აპარატისათვის $t = 3,6$ და $t = 3,8$ შესაბამისად), მაგრამ ნორმასთან შედარებით მაინც მეტია ($t > 2,0$). გარდა ამისა, B უგრედებში სეკრეტორული გრანულების მოცულობითი წილის საშუალო მაჩვენებელი ყველა ასაკში იმატებს ($t > 2,0$), მაგრამ ნორმასთან შედარებით კვლავაც ნაკლები რჩება ($t = 3,2$; $t = 2,8$; $t = 5,1$; $t = 15,7$. ასაკობრივ გვუფთა შესაბამისად).

ნახშირწყლებით დატვირთვის შეზყვეტილდა მე-10 დღეს სიყრმისა და სიმწიფის ასაკებში B უგრედებში მიტოქონდრიობის, გრძელის აპარატის, სეკრეტორული გრანულების მოცულობით წილთა საშუალო მაჩვენებლები ნორმალიზებულია ($t < 2,0$) და ასეთივე რჩება ნახშირწყლებით დატვირთვის დამთავრებილან 20 დღის თავზეც. სიბერის პირველ პერიოდსა და ვვინანი სიბერის ხანაში კი მიტოქონდრიობის, გრძელის, გოლგის აპარატის მოცულობით წილთა საშუალო მაჩვენებლები ექსპერიმენტის მე-10 დღეს ნორმასთან შედარებით მნიშვნელოვნად იყლებს და ასეთივე რჩება ექსპერიმენტის მე-20 დღეზეც (აღნიშნული კლება მიტოქონდრიობისათვის შეადგენს 33,1%-ს და 42,5%-ს, ასაკობრივ გვუფთა შესაბამისად; გრძელისათვის შეადგენს 29,8%-ს და 38,2%-ს, შესაბამისად; გოლგის აპარატისათვის - 26,4%-ს და 33,9%-ს, შესაბამისად), სეკრეტორული გრანულების მოცულობით წილთა საშუალო მაჩვენებლები კი არ იცვლება ექსპერიმენტის მე-10 და მე-20 დღეზეც - ისეთივე რჩება, რაც ექსპერიმენტის წინა ვადებში იყო და ნორმასთან შედარებით ნაკლებია 25,3%-ითა და 42,4%-ით, ასაკობრივ გვუფთა შესაბამისად.

მაშესადამე, ქრონიკულ გლიკომიურ დატვირთვაზე ცხოველთა პანკრეასის კუნძულების B უგრედების პასუხი უფროს ასაკებში, განსაკუთრებით ვვინანი სიბერის ხანაში, გაცილებით მკვეთრია, ვიდრე ახალგაზრდა ასაკებში; გარდა ამისა, ფუნქციური გადაძვის შემდეგ ექსპერიმენტის გარკვეულ ვადაში ახალგაზრდა ასაკებში ადგილი აქვს B-უგრედების სტრუქტურულ - ფუნქციურ ნორმალიზაციას, მაშინ როცა იგივე პერიოდში უფროს ასაკებში ნორმალიზაციის ტენდენციაც კი არ შეინიშნება.

თბილისის სახ.სამედიცინო უნივერსიტეტი

ლიტერატურა

1. D.F.Steiner, D.E.James. Diabetologia **35**, 2, 1992, 41-48.
2. S.Bonner-Weir. Recent.Prog.Horm.Res., **49**, 1, 1994, 91-104.
3. S.Tsuchiyama, K.Tanigawa, Y.Kato. Endocrinol.Jpn., **38**, 5, 1991, 551-557.
4. R.C.Ruhe, D.L.Curry, S.Herrmann, R.B.McDonald. J.Physiol., **262**, 4, 1992, 671-676.
5. E.R.Weibel, G.S.Kistler, W.F.Scherle. J.Cell.Biology, **30**, 1, 1966, 23-38.

ნ. ლაფაჩი, ლ. გოგიაშვილი, ი. ფავლენიშვილი

ექსპერიმენტული გრამუარყოფითი სეფსისის იმუნო- მორფოლოგიური ასპექტები

წარმოადგინა აკადემიურმა ნ. ჯავახიშვილმა 30.12.1996

უკანასკნელი წლების მონაცემები ადასტურებენ ახალშობილთა სეფსისის მაღალ ხვედრით წონას ბავშვთა სიყვალილიანობის სტრუქტურაში [1, 2], რაც პირველ რიგში, დაკავშირებულია ორგანიზმის რეაქტიულობის შეცვლასთან, თანდაყოლილი და იატროგენული იმუნოდეფენიციით დაბადებულ ბავშვთა რიცხვის ზრდასთან, პოსტრეანიმაციული და ინტენსიური თერაპიის ფართო გამოყენებასთან და სხვა [3, 4]. ფიზი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი მიკრობული შტამების, განსაკუთრებით, გრამუარყოფითი მიკრობების სელექციას [5]. R.W. Steele-ის მონაცემებით (1994), 28 დღემდე ასაკის ყოველ 1000 ახალშობილზე აღინიშნება სეფსისის 8 შემთხვევა, მათ შორის 35%-მდე გრამუარყოფითი ბაქტერიებით გამოწვეული, ხოლო ლეტალობის მაჩვენებელი 25%-ზე მეტია.

ნაშრომის მიზანია იმუნოკომპეტენტური ორგანოების შესწავლა ექსპერიმენტული გრამუარყოფითი ინფექციის დროს, რომელსაც ვიწვევდით F_1 -გიშის 90 თეორ თაგვში, სხეულის მასით - 19,0-25,0 გ. ცდები ჩატარდა ორ სერიად: 1) Enterobacter aerogenes, 2) Klebsiella pneumoniae, მიკროორგანიზმების კულტურა შეგვავდა ერთჯერადად, ინტრაცერიტონეალტურად 10³ მიკრობული სხეულის რაოდენობით 2 მლ სუსპენზიაში. საკონტროლო გვთის ცხოველებს უკეთდებოდათ 0,2 მლ ფიზიოლოგიური ხსნარი. საცდელი და საკონტროლო გვთის ცხოველები შეისწავლებოდა ერთდროულად, დასნებოვნებილან მე-3 და მე-7 დღეს. პისტოლოგიური და ელექტრონულ-მიკროსკოპული მეთოდებით შესწავლილ იქნა ბეკერდუება ჩირკვლის, ელენისა და ჭორჭლის ლიმფური კვანძების ქსოვილის ნიმუშები.

ექსპერიმენტული გრამუარყოფით სეფსისის დროს, ეტიოლოგიის მიუხედავად, აღინიშნებოდა დიფუზური ჩირქოვან-ნეკროზულ-პროდუქტიული ხასიათის ანთებითი ცვლილებები; მაკროსკოპულად: ორბიტის, კუდისა და მუცელის წინა კედლის ნეკროზი, მრავლობითი აბსცესი მუცელის ღრუს ირგანვებში, თავის ტინში, ფილტვებში, პლევრის ღრუსა და თირკმელზედა ჭირკვალში, აბსცესები უფრო ხშირი იყო, აგრეთვე ნეკროზული კერების ფართობი შედარებით მეტი იყო Klebsiella-თი დასნებოვნების, ვიდრე Enterobacter-ით დასნებოვნების დროს.

Enterobacter-თი დასნებოვნებიდან მე-3 დღეს პისტოლოგიურად ელენთის ფოლიკულებში ლიმფოციტების შემცველობა იყო შემცირებული, ფოლიკულებში იყო მცირე ზომის, არამკეთრი კონტურებით, რეაქტიული ცენტრების გარეშე. წითელი პულპის სინეულოდებში დიდი რაოდენობით გამოვლინდა მაკროფაგები დისტროფიული და ნეკროზული ცვლილებებით, ბირთვის ლიზისითა და ციტოპლაზმის შესივებით. ჭოჭლის ლიმფური კვანძების პარაკორტიკალურ ზონებსა და ელენთის ფოლიკულებში, ცდის დაწყებიდან მე-7 დღეს, მოიმატა ბლასტების შემცველობამ, პლაზმური უჭრედები არ გამოვლინდნენ.


თიმუშაში აღინიშნებოდა რეტიკულური კოპონენტის ჰიპოლაზია, წრენების პერიფერიაზე გამოვლინდა ლიპიდებით მდიდარი უქრედთა გრუფები, რომლებიც დაკირვების მე-7 დღეს უფრო მრავალრიცხვოვანი იყო.

ელექტრონულ-მიკროსკოპული გამზევლევისას, ყურადღებას იცყრობდა ელექტრონთის ფოლიკულებში დისტროფიულად შეცვლილი ლიმფოციტების სიმრავლე, რომელიც მე-7 დღეს იცვლებოდა ერთეული რეტიტული ცენტრების და ბლასტების წარმოქმნით. ალინიშნებოდა აგრეთვე რეტიკულური მოფაგოციტების მომატება წითელ პულპაში, სახელდობრ, პერისინუსონიდურ სივრცეში. ნეიტროფილებით და ეოზინოფილებით ინფილტრაცია უფრო ინტენსიური იყო ლიმფური კვანძების პარაკორტიკალურ ზონაში.

შუქროპტიკური მიკროსკოპით შესწავლისას Klebsiella-ს გაფუფის მიკრობებით დასხებოვნების შემდეგ მე-3 დღეს აღინიშნებოდა მკაფიო სისხლძარღვოვანი რეაქცია, კაპილარებისა და ვენების ენდოთელიოციტების დისტროფია, ორგანოთა სტრუქტრის ულემენტების შეშუპება და ნეკროზი, მონონუკლეური ფაგოციტური ურჩევების ჩატარების მკაფიო დათრგვუნვა.


სეფსისის პათომორფოლოგიური სურათი დასნებოვნებიდან მე-7 დღეს გამოიხატებოდა შესწავლილ ორგანოებში ჰემოკროაგულაციისა და მიკროსისხლძარღვების ცვლილებებით (სისხლის გათხიერება, დისეზინირებული სისხლძარღვშიდა შედედება, სისხლის სეკვესტრაცია). მე-7 დღეს მორჯოლოგიური ცვლილებების პროგრესირება მიუთითებს (პათოგენეზში) პირველადი კერიდან ბაქტერიული ენდოტონქინებით ინტრასიკაციის.

ແຜ່ຕູລຸຮົກ ສົງເສົາວລັບສະ ລົມທູ້ຈີ ກວາບນັດບໍລິສັດ ແລ້ວ ເລັດນັກຕ້າສື ທີ່ ອຳ ອັດນິກີ່ນາ ດົລາສົຖຽບສີ ແລ້ວ ອົມຫຼັນອົບລົມທູ້ຈີ ພົມໄລ ແລ້ວ ປົກປົກເບີໂທ ແລ້ວ ຖະກິດຕູກ ດັ່ງນີ້:



სურ. 1. Klebsiella pneumoniae. დასხვებულების
მე-7 დღე. თაგვის ელექტოს ფოლიკული.
დაცარილება ლიმფოციტებით,
შეშუცება. შეღებვა პერმატოქსილინთა
და კონკინით, 100X.

დღეს დამასისითებელი იყო ელენთის გამოხატული ჰემოსიდეროზი, ფოლიკულების შეშუპება და დაცარიილება (სურ. 1).



სურ. 2. *Klebsiella pneumoniae*. დასნებოვნების
მე-7 დღე. თაგვის შეკრდულანი გირევლის
ქსოვილის შეშუცება, ცხიძოვანი
მეტამორფოზი. შეღებვა ჰემატოქსილინია
და ერთხელი, 160 X.

მეცნიერული გამოვლის პილოტური და ელექტრონულ-მიკროსკოპული შესწავლისას გამოვლინდა “ინერტული თიმუსის” სურათი [6]. ულტრასტრუქტურულ დონეზე სპარბობლენგ თიმოციტებისა და ჩეტიკულ უფრედების დეგრანულირებული ფორმები, მცირე რიბოსომებით და მიტოჰონდრინებით. პასალის

სხეულაკების რიცხვი შემცირებული იყო, ადგილი ჰქონდა ცხიმოვან გადაგვარებას (სურ. 2).

ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მორფოლოგიური ცვლილებების მიხედვით, გრამუარყოფითი ინფექციის დროს ვითარდება ლიმფოიდური სისტემის დეკომპენსაცია, რომელიც Klebsiella-ს გვუფის მიერობებით დასწრებოვნების დროს უფრო ინტენსიურია. ლიმფოიდური ქსოვილის პარალელურად, პათოლოგიური პროცესის ძრეულ სტადიებზე ზიანდება სისხლძარღვთა მიკროცილკულატორული კალაპოტის ენდოთელიოციტები, იგლუბა სისხლის ჩემოლოგიური თვისებები, რაც ინფექციის დროს ორგანოთა დაზიანების ერთ-ერთ წამყვან მექანიზმს წარმოადგენს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
 ა.ნათიშვილის სახ.ექსპერიმენტული მორფოლოგიის
 ინსტიტუტი

თბილისის სამედიცინო ფადემია

ლიტერატურა

1. *I.V.Pavlenishvili, L.E.Gogiashvili*, 19 Inter. Congress of Chemotherapy, July, 1995 Montreal, Canada, Abst. of papers, N 2121.
2. *К.В.Мосидзе*. Автoreф.дис.канд.мед.наук. Тбилиси, 1992.
3. *Т.Е.Ивановская, М.П.Касатонова*. Архив патологии, 1, 1986, 3-10.
4. ლ.გოგიაშვილი, ზ.ცაგარელი. ქუთაისის სამედიცინო უურნალი, 2, 1996, 60-62.
5. *М.Ю.Яковлев, В.Н.Галанкин, А.И.Ипатов и др.* Архив патологии, II, 1988, 84-89.
6. *П.С.Гуревич, В.С.Барсуков*. Архив патологии, 3, 1982, 74-79.

სამ 616-092.1

ესპარიტული მედიცინა

ნ.ოკუჩვა, ვ.ბათუტაშვილი, (საქ.მეცნ.წევრ-კორესპონდენტი), ბ.კორსანტია

იმუნომოდულატორ პლაფერონის ეფექტურობა ფილტვების
დესტრუქციული ტუბერკულოზის კომპლექსურ
მკურნალობაში

წარმოდგენილია 24.02.1997

ინტერფერონის სისტემა თამაშობს მნიშვნელოვან როლს იმ იმუნოპათოლოგიურ პროცესებში, რომლებიც ინფექციური დაავადებების დროს ვითარდება [1-7]. ჩვენ მიერ აღრე ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე დადგენილი იყო ინტერფერონის სინთეზის აქტიურობის მნიშვნელოვანი დაქვეითება. არაეფექტური ეთოოთრობული ქიმიოთერაპიის ერთ-ერთი მიზეზი არის მეორადი იმუნოდეფიციტის განვითარება [2,7]. ამ პროცესში ინტერფერონის სისტემას ეკუთვნის მნიშვნელოვანი როლი.

ჩვენი მიზანი იყო შეგვეთასებინა ინტერფერონის შემცველი პრეპარატის პლაფერონის ეფექტურობა ანტიტუბერკულოზური პრეპარატებით მკურნალობის ფონზე ფილტვების დესტრუქციული ტუბერკულოზით დაავადებულებში.

პლაფერონი ჩართული იყო ფილტვების დესტრუქციული ტუბერკულოზის სხევადასხვა კლინიკური ფორმებით დაავადებულ 134 ავადმყოფის მკურნალობაში. შედეგები შედარებით იყო ამ მონაცემებთან, რომლებიც მიღებული იყო საკონტროლო ჯგუფის 130 ავადმყოფის მკურნალობისას, რომელთაც უტარდებოდა მხოლოდ ტრანსიული ანტიტუბერკულოზური თერაპია. ორივე ჯგუფის შემადგენლობა იყო ერთნაირი ასაკის, სქესისა და კლინიკურ ფორმათა სტრუქტურის მიხედვით. დაავადებულთა ასაკი მერყვეობდა 20-დან 68-წლამდე. ქალი იყო 51 (37,5%), მამაკაცი - 83 (62,5%). პლაფერონის დოზა იყო 3000 (2გლ) ერთ დღე-ღამეში 20 დღის განმავლობაში. ავადმყოფებს კლივლობდით დინამიკაში.

მკურნალობის შედეგების მიხედვით დაავადებულები გაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად: ავადმყოფები მკურნალობის დადგებითი შედეგებით შეადგენენ "A" ჯგუფს, ხოლო ავადმყოფები, რომელთა მკურნალობა არასაკმარისად ეფექტური იყო შეადგენენ "B" ჯგუფს. მკურნალობის შედეგები მოცემულია ცხრილში.




მიღებული მონაცემების ანალიზში გამოავლინა მკურნალობის უფრო მაღალი ეფექტურობა პლაფერონით ნამკურნალებ ავადმყოფებში, იმ მონაცემებთან შედარებით, რომლებიც მიღებული იყო საკონტროლო ჯგუფში პლაფერონით მკურნალობის გარეშე, განსაკუთრებით შთამბეჭდავი შედეგები მიღებული იყო ფილტვების ინფილტრაციული და კეროვანი ტუბერკულოზის დროს. ფილტვების ინფილტრაციული ტუბერკულოზის დროს მკურნალობის ეფექტურობა, განპირობებული პლაფერონით გაიზარდა 68,8%-დან 86,6%-მდე, $P<0,02$. ხოლო ფილტვების კეროვანი ტუბერკულოზის დროს - 80,0%-დან 92,5%-მდე, $P<0,05$. წარმატებული მკურნალობის ყველაზე მეტად სარწმუნო მაჩვენებლები იყო ნახველის

აბაცილირება კულტურალური მეთოდით და ღრუების დახურვა რენტგენოლოგიური მონაცემებით.

ცხრილი

ფილტვების დესტრუქციული ტუბერკულოზით დაავადებულთა მკურნალობის
შედეგები

ფილტვების ტუბერკულოზის კლინიკური ფორმა	პლაფერონი	სვადმყოფთა რაოდენობა	"A" ჯუფი	"B" ჯუფი
ფიბროზულ-კავერნოზული	- +	15 19	- -	15(100%) 19(100%)
დისემინირებული	- +	30 30	11(36,6%) 14(46,6%) P<0,1	19(63,4%) 16(53,4%)
ინფილტრაციული	- +	45 45	31(68,8%) 39(86,6%) P<0,02	14(31,2%) 6(13,4%)
კეროვინი	- +	40 40	32(80,0%) 37(92,5%) P<0,05	8(20,0%) 3(7,5%)



იმუნოგრამა

მაჩვენებლები ფილტვების დესტრუქციული ტუბერკულოზის პლაფერონით მკურნალობის დროს,
ჯუფი "A", შედარება ტრადიციულ მკურნალობასთან.

აღნიშნული იყო, რომ პლაფერონის ჩართვა ანტიტუბერკულოზურ ქმიოთერაპიაში განაპირობებდა იმუნოლოგიური მაჩვენებლების დადებით

Иммуномодуляторы и иммунитет в патологии органов дыхания

доказано. Успехи ведущих ученых в области иммунологии, в том числе в изучении иммунитета и патологии органов дыхания, несомненно, способствуют дальнейшему развитию медицины и повышению качества жизни людей.

— и да — г-института по изучению иммунитета и патологии органов дыхания в СССР и в мире. Их работы, направленные на изучение иммунитета и патологии органов дыхания, имеют важное значение для практической медицины.

Важно отметить, что в последние годы в области иммунитета и патологии органов дыхания были получены значительные результаты. Важнейшим из них является открытие иммунной системы организма, которая способна распознавать и уничтожать патогенные агенты. Это открывает новые перспективы для лечения и профилактики различных заболеваний, включая туберкулез, бронхиальную астму, хроническую обструктивную болезнь легких и другие.

Важно отметить, что в последние годы в области иммунитета и патологии органов дыхания были получены значительные результаты. Важнейшим из них является открытие иммунной системы организма, которая способна распознавать и уничтожать патогенные агенты. Это открывает новые перспективы для лечения и профилактики различных заболеваний, включая туберкулез, бронхиальную астму, хроническую обструктивную болезнь легких и другие.

Следует отметить, что в последние годы в области иммунитета и патологии органов дыхания были получены значительные результаты. Важнейшим из них является открытие иммунной системы организма, которая способна распознавать и уничтожать патогенные агенты. Это открывает новые перспективы для лечения и профилактики различных заболеваний, включая туберкулез, бронхиальную астму, хроническую обструктивную болезнь легких и другие.

Литература

1. М.М. Авербах. Механизмы противотуберкулезного иммунитета и задачи фтизиопульмонологии в настоящее время. М., 1976.
2. В.И. Покровский, М.М. Авербах, В.И. Литвинов, И.В. Рубцов. Приобретенный иммунитет и инфекционный процесс. М., 1979.
3. В.Д. Соловьев, Т.А. Бектемиров. Интерфероны в теории и практике медицины. М., 1981.
4. R.A. Tompson (ed). Recent advances in clinical immunology, 1977.
5. J.Chretien. Eur.Resp. J., 8, 1995, 617.
6. C.Grassi, V.Peona. Eur. Resp. J., 1995. 714.
7. T.R.Harrison (ed). Infections diseases, 3, 1993, 392.

მ. ივერიელი, ნ. აბაშიძე

პირის ღრუს ორგანოების კანდიდოზის ეპიდემიოლოგია

წარმოადგინა წევრ-კორსპონდენტმა თ. დეკანის ინდექ 11.11.1996

კანდიდოზი ფართოდ გავრცელებული სოკოვანი დავადებაა კლინიკური პოლიმორფუიზმით. იგი ანტროპონოზოული მიკოზია, არ იწვევს მდგრადი იმუნიტეტის ჩამოყალიბებას [1-3] და უმეტესწილად მიმდინარეობს ორგანიზმის გამოხატული სენიბილიზაციის ფონზე. კანდიდოზი მეორადი, იატროგენული დაავადებაა [4,5], რომელსაც იწვევს პირობით-პათოგენური საფუარი სოკო *Candida*.

ყველაზე ხშირად *Candida* აზიანებს მრავალშრიან ბრტყელ ეპითელიუმს - პირის ღრუსა და საშოს ლორწოვან გარსს. ეს სპეციფიური ორგანოტროპულობა აისახება ამ ქსოვილების ქიმიური შემადგენლობით - კერძოდ კი, გლიკოგენის მაღალი შემცველობით. *Candida* სოკოს კი ახასიათებს ასეთი ქსოვილებისადმი ტროპიზმი, ანუ გლიკოგენოფილია [2, 6]. სწორედ ამიტომ, კანი ზიანდება შემთხვევათა 0,5%-ში, ხოლო ლორწოვანი გარსი 52,1% -ში [2, 7, 8].

ბუნებაში გავრცელებული *Candida*-ს 130 სახეობიდან ადამიანისათვის პათოგენურად მხოლოდ 10 ითვლება. მათგან პირის ღრუში *Candida albicans*, გვხვდება 63,95-82,3% შემთხვევაში; შედარებით იშვიათად კი - *Candida krusei* - 6,5-10,4%, *Candida tropicalis* - 4,8-6,98%, *Candida guilliermondii* - 1,6-3,49% და *Candida pseudotropicalis* - 4,8-10,2% [1, 2, 7, 9, 10].

ორალური კანდიდოზი ვისცერალური კანდიდოზის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ხშირად გვხვდება სტომატოლოგიურ პრაქტიკაში. ლიტერატურის მონაცემებით ცნობილია, რომ პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანთა პირის ღრუს ლორწოვანი გარსის შესწავლისას 1957 წელს *Candida* ამოეთესა 5,77%-ს, 1964 წელს - 23,66%-ს, 1977 წელს - 33,2%-ს, 1985 წელს - 42,5%-ს [1]. თანამედროვე მონაცემებით კი 1994 წლისათვის ამ რიცხვმა 46,0-52,0%-ს მიაღწია [6, 9].

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრაზე 1995-96 წლებში ლორწოვანი გარსის და პაროდონტის ქსოვილთა ანთებადი დაავადებების მქონე 267 ავადმყოფიდან *Candida* ამოეთესა 172-ს, ე. ი. 64,42%.

კანდიდოზი აუტონიფექციაა: ინვაზიურობა ანუ აგრესიულობა, ე. ი. უნარი გადალახოს ბარიერები და გავრცელდეს ადამიანის ორგანიზმში, *Candida* ფლორას შეუძლია მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში - მაკროორგანიზმის ცალკეულ ორგანოთა ან ორგანოთა სისტემის ფუნქციის მოშლის ფონზე [1, 2]. ამ დროს აქტივიზირებული სოკო განაპირობებს ახალი ნოზოლოგიის ჩამოყალიბებას.

ორალური კანდიდოზის განვითარებისათვის ხელშემწყობი ფაქტორები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: ეს არის ენდოგენური ანუ შინაგანი, "ბუნებრივი",

და ყავშირებული ინდივიდის განვითარების თავისებურებასთან და ეგზოგენურობაზე გარეგანი, „ხელოვნური“ ფაქტორები.

„ბუნებრივ“ ფაქტორთაგან აღსანიშნავია ადამიანის ფიზიოლოგიური მდგრამარეობა: (ორსულობა, ახალშობილობისა და მოხუცებულობის პერიოდი), ნივთიერებათა ცვლის (ნახშირწყლები, ცილები, ცხიმები) ენდოკრინული (შაქრიანი დიაბეტი, ჰიპოთირეოიდიზმი, დისმენორეა, პოლიციდოკრინული სინდრომი), საჭმლის მომნელებელი (დისბაქტერიოზები, აქილია), სისხლის მიმოქცევისა და სისხლმბადი სისტემის ფუნქციის მოშლილობანი, ასევე ონკოლოგიური დაავადებებისა და შიდსის არსებობა [1, 2, 9, 12, 13].

ჩვენ მიერ გამოკვეთილი 172 პაციენტიდან შაქრიანი დიაბეტი აღმოაჩნდა 20,35%-ს. ეს ციფრობრივი მაჩვენებელი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ კანდიდოზის მოისხენებენ, როგორც პარალიაბეტულ დაავადებას [2, 3, 7]. საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციის მოშლილობანი აღმოაჩნდა 15,7%-ს. სისხლის მიმოქცევისა და სისხლმბადი სისტემის დაზიანებები - 10,47%-ს. ონკოლოგირი დაავადებანი - 5,23%-ს.

კანდიდოზის განვითარებისათვის ხელშემწყობ, ე.წ. ეგზოგენურ ფაქტორებს მიეკუთვნება: სამკურნალო პრეპარატების - ანტიბიოტიკების, კორტიკოსტეროიდების, ციტოსტატიკების, ორალური კონტრაცეპტივების, ანტიდიაბეტური პრეპარატების - ხანგრძლივად ან დიდი დოზით გამოყენება; ქიმიური და მექანიკური ტრავმა, მაღალი ტემპერატურა და ტენიანობა pH-ის გადახრა მევიანობისაკენ; როგორც ცნობილია, საფუარი სოკო კარგად მრავლდება 36-დან 37°C ტემპერატურამდე [3, 6, 9] და იმ გარემოში, სადაც pH 6,0-დან 7,0-მდეა [4, 14, 13]. ნორმალურ პირობებში პირის ლრუს pH 6,8-7,2-ია, ტემპერატურა 36-დან 37°C-მდე, ამას ემატება მაღალი ტენიანობა და იქმნება ყოველმხრივ ხელშემწყობი პირობები Candida სოკოს გამრავლებისათვის.

მექნიკური ტრავმისა და მიკროტრამვის შედეგად ირლვევა პირის ლრუს ლორწოვანი გარსის მთლიანობა და იქმნება „შესასვლელი ჭიშკარი“ ადვილად ინფიცირებისა ან საკუთარი საპროფიტო სოკოვანი ფლორის გადასვლისა პათოგენურ მდგომარეობაში. მაგალითისათვის: არასრულფასოვანი ბენები, ცუდად მორგებული ორთოპედიული და ორთოდონტიული კონსტრუქციები, ქვები და ნადებები ხელს უწყობენ ორალური კანდიდოზის განვითარებას [6, 7, 9].

პირის ლრუში მეტალის ორთოპედიული კონსტრუქციების არსებობისას მიმდინარეობს მათი კოროზია და ვითარდება გალვანიზმის მოვლენა. ეს იწვევს ნერწყვის pH-ის გადახრას მევიანობისაკენ, რაც თავის მხრივ თრგუნავს კოკურფლორას. იქმნება ოპტიმალური პირობები სოკოს გამრავლებისათვის [3, 4, 6, 9, 14].

ჩვენ მიერ გამოკვლეულ 78 ავადმყოფს უტარდებოდა ორთოპედიული და ორთოდონტიული მკურნალობა. ყველა მათგანს აღენიშნებოდა, ე.წ. „პროტეზული“ კანდიდოზური სტომატიკის არსებობა. მაგარი სასა სწორედ ის უბანია, სადაც ხდება უშუალო კონტაქტი პროტეზსა და პირის ლრუს ლორწოვან გარს შორის. აქ Candida სოკოს გამრავლებას ხელს უწყობს პროტეზის მიერ გამოწვეული მიკროტრავმა, კონსტრუქციის ქვეშ შექმნლი არასრულფასოვანი პირობები, ასევე თვით სასის ანატომიური თავისებურება - მრავალრიცხვოვანი ნაოჭებისა და მიკრონაოჭების არსებობა. კანდიდოზური პალატინიტი აღენიშნებოდა ჩვენ მიერ გამოკვლეულ ავადმყოფთა 59,7%-ს.



ენის ანატომიური აგებულების თავისებურებით - დყრილები, გეოგრაფიული ენა - აიხსნება ისიც, რომ კანდიდოზური გლოსიტი ორალური კანდიდოზის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ჩვენს შემთხვევაში ავაღმყოფთა 88,2%-ს აღენიშვებოდა კანდიდოზური გლოსიტის არსებობა.

ადამიანის ორგნიზმში კანდიდობური ინფექცია შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ნოზოლოგიური ერთეული ან თან ერთვოდეს და ამძიმებდეს ძირითად დაავალებას [1].

Candida-ს სახეობის საფუარი სოკოს ჩოლი არასოკოვანი ეტიოლოგიის დაავადებების მიმდინარეობაში შეიძლება განხილულ იქნეს ორი კუთხით:

1. ეტიოპათოგენური და 2. ძირითადი დაავადებების დამამდიმებელი. ეს უკანასკნელი იახსნება ფაქტორთა მთელი რიგით: 1. სოკოს მოქმედებით იზრდება მიურობთა ვირულენტობა; 2. ეპითელური საფარის მთლიანობის დარღვევა, რაც ხელს უწყობს პათოგენური ბაქტერიების კოლონიზაციას; 3. მიკრობთა გრძნობელობის დაქვეითება ქიმიოთერაპიული პრეპარატებისადმი (სტაფილოკოკი 500-ჭერ უფრო მდგრადია პენიცილინის მიმართ სოკოსთან თანაარსებობის დროს);
4. მიკროორგანიზმის მიკოზური სენსიბილიზაცია; 5. სპეციფიური და არასპეციფიური დაცვითი მექანიზმების რეაქციების მოშლა [1].

Candida-ს სახეობის სოკოს თანაარსებობა სხვა მიკროორგანიზმებთან განიხილება, როგორც სიმბიოზის ერთ-ერთი ფორმა [3, 8, 11, 15].

ცნობილია, რომ პირის ღრუში *Candida* შეუღლებულია სხვა მიკროორგანიზმებთან: სტაფილოკოკებთან, სტრეპტოკოკებთან, ნაწლავის ჩეირთან და სხვა. სოკოგანი და მიკრობული ფლორის თანარსებობისას ხდება მათი “ჯამური” მოქმედება, რაც აძლიერებს დავალების კლინიკას და ართულებს მკურნალობას. კანდილოზის სურათი კლინიკურად წაშლილია და ვლინდება დამძიმებული ძირითადი დავალება, ამის მაგალითია *Candida* ფლორით დამძიმებული პაროდონტიტი და გინგივიტი.

ჩვენ შემოხვევაში Candida სოკო 64,7%-ში შეუძლებულია Streptococcus pyogenes-თან, 41,2%-ში - Staphylococcus aureus-თან, 23,53%-ში - Streptococcus agalactiae-თან, 17,6%-ში - E.coli-თან, Streptococcus epidemidis-თან 5,9%-ში.

გამოკვლეულ პაროდონტიიან ავადმყოფთა საერთო რაოდენობიდან 55,6%-ს ამოეთესა *Candida*-ს სახეობის საფუარი სოკ. 38,7%-ში *Candida* ფლორა ამძიმებს გინგივიტის 8,2%-ში - აფთოზურ სტომატიტის 5,1%-ში ბრტყელი წითელი ლიქენის კლინიკას.

ყოველივე ზემოთქმული განსაკუთრებულ ამოცანას სახახს ექიმ სტომატოლოგის კლინიკაში მუშაობისათვის; სოკოვანი ფლორის ასეთი ხშირი გავრცელება და მისი დამამდინარებელი გავლენა პირის ღრუს ლორწოვინი გარსის სხვადასხვა დაავადებებზე აუცილებელს ხდის პირის ღრუს მიკროფლორის გამოკვლევის სტომატოლოგიური დაავადებების მკურნალობის პირველივე ეტაპზე, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მოვალეობით ანტიმიკრობული მკურნალობის სწორი დაგეგმვა.

ԸՆԹԱՑՄԱՆ ՀԱՐՈՒՍ

1. *Н.П.Елинов.* Патогенные дрожеподобные организмы. М., 1964.
2. *О.К. Хмельницкий, Р.А.Аровинский, О.Н.Экземпляров.* Кандидоз. Л., 1984.
3. *R.J.Gengo.* JAMA, 122, 1991, 31-38.
4. *П.Н.Кашкин, В.В.Лисин.* Практическое руководство по медицинской микологии. М., 1983.
5. *J.M.Boon.* Mycosis, 32, 1989, 6, 312-315.
6. *P.Д.Барабаш, П.Н.Варава.* Стоматология, 5, 1994, 91-98.
7. *Л.А.Антоньев, Л.А.Бульвахтер, Л.К.Глазкова, И.И.Ильин.* Кандидоз кожи и слизистых оболочек. М., 1985.
8. *P.Chandrosekar, J.Moliniri.* Oral Surg., Oral Med., Oral Pathol., 60, 1985, 532-534.
9. *С.А.Бурова, Е.А.Меккулова.* Стоматология, 2, 1994. 85-87.
10. *A.Wagner.* Mycoses, 3, 6, 1988, 320-323.
11. *Р.Н.Реброва.* Грибы рода *Candida* при заболеваниях негрибковой этиологии. М., 1989.
12. *A.Buchman.* JAMA, 260, 19, 1980, 2926.
13. *P.Fotos.* Oral Surg., Oral Med., Oral Pathol., 74, 1, 1992, 41-49.
14. *В.Л. Быков, С.Е.Хохлов.* Вест.дерматологии и венерологии, 8, 1987, 9-12.
15. *В.Л.Быков, З.О.Караев.* Вест.дерматологии и венерологии, 10, 1987, 9-10.

ი. მენტეშაშვილი

ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანია და მისი დამოკიდებულება
ინდოეთის მთავრებისადმი XVIII ს. დასასრულსა და XIX ს.
დასაწყისში

წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. ჭილაშვილმა 20.01.1997.

ნაშრომში განხილულია კომპანიის და ინდოეთის ცალკეული სამთავროს ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. იგი ასახავს კომპანიის წარმატებას ინდოეთსა და მის ფარგლებს გარეთ არსებულ პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე.

XVIII ს. დასასრული და XIX ს. დასაწყისი ინგლისის კოლონიური პოლიტიკის სფეროში მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა. ოსტ-ინდოეთის კომპანიის გამარჯვებებმა რაგ ინდოელ მთავრებზე ამ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისელთა ბატონობას დაუმორჩილა. ინგლისელთა ეს წარმატება სულაც არ იყო განსაკუთრებული სამხედრო უპირატესობის შედეგი. უფრო მეტიც, კომპანიის სამსახურში მყოფი სამხედრო პირები ერთობ მაღალ შეფასებას აღლევდნენ მათი მთავრი მოწინააღმდეგის, მაისორის სულთნის, თიფლს ჯარებს. მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში ხაზგასმით აღინიშნებოდა სულთნის მუდმივი ცხენოსანი ჯარის მაღალი საბრძოლო თვისებები, მისი არტილერიის არაჩვეულებრივი მობილურობა, რაც მრავალრიცხოვანი გამწევი სპილოსა და ცხენის წყალობით მიღწეოდა. ასევე მაღალი შეფასება ეძლეოდა თიფლს სნაპერებებს. ყოველგვარი შეფერხების გარეშე ხდებოდა ჯარისკაცების და ცხენების სურსათითა და ფურაჟით მომარაგება [1]. ამ უკანასკნელს კი ინდოეთის სამხედრო ოპერაციების დროს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. შეფერხება მომარაგებაში ხშირად წარუმატებელს ხდიდა მთელ სამხედრო კამპანიას. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება იმის ხელაღებით მტკიცება, რომ ინგლისელებს ინდოეთში მეორებარისხოვან მოწინააღმდეგებთან ჰქონდათ საქმე.

კომპანიის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ადგილობრივ სამთავროთა შორის არსებულმა შუღლება და უთანხმოებამ. ქიშპამ, შურმა და სწრაფვამ დაემხოო ერთმანეთი აიძულა ადგილობრივი მთავრები მოკავშირები ეძებნათ ინგლისელებში. 1783 წ. დათარილებულ დეპეშაში, რომელიც წარგზავნა კომპანიის საიდუმლო საქმეთა კომიტეტმა, მოცემულია ინფორმაცია ჰაიდარბადის ნიზამს და თიფლ სულთან შორის არსებულ ურთიერთობაზე. აქვევ შეფასება, რომელიც ეძლევა ინგლისელთა როლს ამ ურთიერთობაში. “ნიზამს - წერია წერილში, ეშინია თიფლსი, რადგანაც ამ უკანასკნელს უფრო ძლიერი ჯარი ჰყავს. სწორედ ამიტომ ნიზამი მთავარ იმედს თავის მოკავშირებზე ამყარებს. მაგრამ აღმოსავლური პოლიტიკის ლაბირინთში ამგვარი მოკავშირების ყოლა ერთობ ძვირადღირებული სიამოვნებაა”. ამიტომაც, ასევნის დეპეშის ავტორი კაპიტანი მაკარტინი, სუსტი ნიზამი სულ მაღალ იქცევა თავისი ძლევამოსილი მოკავშირების, ან გულადი მტრების ლუკმად” [2]. ამგვარი ცვლილებები კი არ აწყობდათ კომპანიის მესვეურთ. ეს

დაარღვევდა ძალთა თანაფარდობას ადგილობრივ სამთავროთა შორის და შეარყევდა ინგლისელთა პოზიციებს ინდოეთში.

ქიშპს ადგილობრივ მთავართა შორის ადგილი ჰქონდა შემდგომ პერიოდშიც. 1790 წ. კომპანიის რეზიდენტი პუნაში მალეტი აცნობებდა კალკუტაში რომ პეშვა, მარათპატა ერთ-ერთი მთავარი შზადყოფნას გამოთქვამდა დახმარებოდა ინგლისელებს თიფუ სულთნის წინააღმდეგ ბრძოლაში [3]. იმ დროისათვის თიფუ ინგლისელთა ყველაზე ძლიერი მოწინააღმდევე იყო ინდოეთის მთავართა შორის. მაგრამ მარათპატა მთავრები ახორციელებდნენ არა პატრიოტულ, არამედ ევონისტურ პოლიტიკას, რითაც ფაქტიურად ხელს უწყობდნენ ინგლისელთა აგრძელის. ამას კიდევ ერთხელ ამტკიცებს კაპიტან თეილორის წერილი კომპანიის საკონტროლო საბჭოს თავმჯდომარის ჰენრი დანდასის სახელზე. წერილი თარიღდება 1796 წ. და მასში ნათქვამია, “მარათპები და ნიზამი ჩვენ იმ შუამავალ ძალად მიგვიჩნევენ, რომლის მეშვეობითაც ისინი ერთიანდებიან უზურპატორის იგულისხმება თიფუ სულთანი ივ.მ.) დასამხობად [4]. ამგვარი უზრიერთშული რასაკვირველია ააქტიურებდა ინგლისელთა ექსპანსიას ინდოეთში.

ინგლისელებს აქტიურობისაკენ უბიძგებდა საერთაშორისო მდგომარეობა. XVIII ს.-XIX ს. მიზნაზე ინდოეთში გაბატონებაზე გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა საფრანგეთსაც. ფრანგების სამხედრო წარმატებები, კერძოდ ბონაპარტეს გამარჯვება მარენგოსთან და ევგიპტეში გენერალ კლებერის ჯარის ყოფნა, ძალზე აშინებდა ოსტ-ინდოეთის კომპანიის გენერალ-გუბერნატორს ლორდ უელსლის, რომელიც ცდილობდა არაფრის დიდებით არ დაეშვა ინგლისელთა პოზიციების შერყევა ინდოეთში და ამის საწინდრად აქტიური პოლიტიკური კურსის გატარებას მიიჩნევდა [5]. ეკვეთულ სახელმწიფოებისაგან თავის დაღწევა არ ეწერა.

ს.ჭანაშიას სახელობის საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმი

ლიტერატურა

The British Library Oriental and India Office Collections:

1. H/436 Miscellaneaus, 136, 144.
2. H/247 Miscellaneaus, 339.
3. H/333 Miscellaneaus, 33-35.
4. H/436 Miscellaneaus, 132.
5. H/481 Miscellaneaus, 255-278.



რ. ქურდაძე

„დრიკავს“, „ავლინებს“ ტიპის ზმნების წარმოებისათვის ქართულ ენაში

წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გვარაშვილ 23.12.1996

„დრიკავს“, „ავლინებს“ თემატური ფუნქციების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა:
ა)-ვ დაერთო მეორე სერიის ი ხმოვნიან თემას [1, გვ. 409; 2, გვ. 188; 3, გვ. 209-210;
4, გვ. 192, გვ. 211; 5, გვ. 117], ბ) პირველ სერიაში ე→ ი მონაცელების საფუძველია
რედუქცია, რომელსაც - ვ, -ებ თემის ნიშნები ახდენენ [6, გვ. 492; 7, გვ. 118-120;
8, გვ. 87; 9, გვ. 16-18; 10, გვ. 18-19].

ჩვენ ამ მოსაზრებათაგან უფრო სარწმუნოდ მიგაიწნდა მეორე [11, გვ. 96]. მაგრამ,
როგორც ირკვევა, მასაც ახლაც გარკვეული უხერხეულობაანი. ჩვენი წერილის მიზანია
განვიხილოთ ის ძირითადი დებულებანი, რომელიც საფუძვლად უდევს როგორც
ერთ, ისე მეორე მოსაზრებას, წარმოვაჩინოთ ის მიზეზები, რომლებიც ხელს გვიშლის
დავეთანხმოთ ან ერთს, ან მეორეს და, რაც მთავარია, გამოვხატოთ ჩვენი
დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

პირველი მოსაზრება აღნიშნული ზმნების ფუნქციებში ი საფეხურის
არსებობისათვის გამორიცხავს ფონეტიკურ და მორფოლოგიკურ ფაქტორებს. ამ
მოსაზრების თანახმად, აწყობში და შესაბამისად პირველი სერიის ფორმებში ი
ხმოვნიანი ფუნდის არსებობა მეორე სერიიდან მომდინარედ ითვლება, ფუნდზე
სუფიქსის დართვა კი საჭირო გახდა აწყობა და ნამყოს ფორმათა გასარჩევად.

ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ასეთი ზმნების
ფუნდები ი ხმოვანი გვაძეს ხმოლოდ ხმოვანი (თუ ხმოვნიანი) სუფიქსის დართვისას.
სუფიქსის ჩამოცილების შემთხვევაში ფუნქციები კვლავ ე ხმოვანი აღდგება.

ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ „დაიჭირავს“ ზმნის ფორმა,
რომელშიც სწორედ ხმოვნიანი სუფიქსის დაკარგვით შეიძლება თავდაპირველი ე
საფეხური აღდგეს. ა. შანიძე აღნიშნავს: „ძელად, XI ს-ში, გვქონდა ზმნა
„დაჭირვა“, რომელსაც შემდეგ მ ჩამოვარდა: „დაჭირვა“... ზმნა ავანი იყო,
მაგრამ იგი ხმოვანმონაცვლებში გადავიდა, თუმცა საბოლოოდ არა: გვხდება
როგორც დავიჭირავ, ისე დავიჭრე“ [1, გვ. 409].

ხმოვნიანი სუფიქსის ჩამოცილების შემდეგ ძირითადი ე საფეხურის აღდგენა
„დავიჭირავ“ ზმნის გარდა, კარგად ჩანს - ებ თემისნიშნიანი ხმოვანმონაცვლე
ზმნების მაგალითზეც.

-ებ-იან ხმოვანმონაცვლე ზმნებში თემის ნიშანთა არსებობა, -ავ-იანებთან
შედარებით, ქრონოლოგიური თვალსაზრისით განსხვავებულია. კერძოდ, აქ თემის
ნიშანი აღრევე გვქონდა. როგორც ცნობილია, ძელად იყო „ავლინებს“ ტიპის
წარმოება. შემდეგ დაიწყო გამარტივება, მომდევნო პერიოდში (XI საუკუნიდან)
ჩნდება პარალელური ფორმები: წარგვლინები | | წარგვლინები და სხვ. [12, გვ. 424-425].

ვფიქრობთ, რომ ერთდროულად პარალელური ფორმების არსებობა
(დაიჭირავს | | დაიჭრს; ავლინებს | | ავლენს) გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ი

საფეხური აწმყოში ხმოვან (თუ ხმოვნიან) სუფიქსს მივაწეროთ. ამას ი.ცერცელის მიხედვით აღნიშნავს: - „ი ხმოვნიანი ფუძე მხოლოდ -ავ სუფიქსიან ფორმებში გვაქვს“ [2,გვ.188]. უსუფიქსოდ ამ ზმნათა ფუძეში ხომ კვლავ ე საფეხური გვაქნებოდა.

ანალოგიის შემთხვევაში, თუ ი საფეხური მართლაც II სერიის გავლენით გავრცელდებოდა, უნდა გვქონოდა *დაიჭირს - დაიჭირა, *ავლინს - ავლინ-ა. ვფიქრობთ, პირველ და მეორე სერიათა შორის დაბირისპირება მანც განხორციელდებოდა (შდრ.: წერს - წერა ტიპის უღლება). ე.ი.დაბირისპირება გვექნებოდა მხოლოდ ძირითადი ნიშნების მიხედვით და არა დამატებითი, აბლაუტის ე და ი საფეხურებითაც (ქვემორიცხვებითაც).

მაშასადამე, აღნიშნულ ზმნათა ფუძეში ი საფეხური ხმოვნიან სუფიქსს მიეწერება. მაგრამ ი.ცერცელი ასახელებს ზმნებს, საღაც ასეთი ცვლილება არ ხდება. კერძოდ, კვებავ, ლესავ, ხედავ, თესავ, ჰედავ... რეკ(ავ), ლეჭ(ავ), კვეტ(ავ), ხვეჭ(ავ)... ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ამ ფუძეებში ი საფეხური არაა მოსალოდნელი, რადგანაც ისინი არ ეკუთვნიან ხმოვანმონაცვლეთა ტიპს. ი.ცერცელის მიერ მოყვანილ ზმნათაგან ხედავ, თესავ, ბედავ, რეკავ, როგორც ფ.ერთელიშვილმა გამოარყია, „დრეკადი ფუძეების ზოგადი სტრუქტურული მოდელის ორ მოთხოვნილებას ვერ აქმაყოფილებენ: ანლაუტში ცალი თანხმოვანი გვაქვს, ხოლო ე-ს მეზობლად სონანტი არ ჩანს“ [13,გვ.102].

დრეკად ფუძეების ზოგადი სტრუქტურული მოდელის მოთხოვნილებას სრულად ვერც „ლესავ“ და „ლეჭავ“ ფორმები აქმაყოფილებენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფუძეებში ე-ს მეზობლად ლ სონანტი გვაქვს, ანლაუტი ცალი თანხმოვნითაა წარმოდგენილი.

რაც შეეხება კვებავ, კვეთავ, ხვეჭავ ფუძეებს, მათთვის სავსებით შართებულად მიგვჩინა შ.აფრიდონიძის ვარაუდი: „თუ ვ მოსდევს წინაენისმიერებს, აბლაუტი ხორციელდება (ცვეთ - ცვით-ე); თუკი ვ მოსდევს უკანაენისმიერებს, ე ხმოვანი შენარჩუნებულია (ხვეჭ - და ხვეჭ - ე)“ [14,გვ.21]. ასევეა კვებავ, კვეთავ.

შეორე მოსაზრების მიხედვით, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, პირველ სერიაში ხმოვანმონაცვლე ზმნებში ე→ ი მონაცვლეობის საფუძვლად რედუქცია ცხადდება, რომელსაც -ავ, -ებ თემის ნიშნები ახდენენ.

ამ მოსაზრების მოშხრებიც ძირითადად ემყარებიან იმ ფაქტს, რომ პირველ სერიაში ე→ ი მონაცვლეობა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხმოვან-მონაცვლე ზმნას ახლავს ხმოვნიანი სუფიქსი. ამდენად, მათი აზრით, პროცესი ფონეტიკურია.

ასეთი მსელობისას მხედველობის გარეშე რჩება ის ფაქტი, რომ ესენი აბლაუტური ზმნებია. ასე, მაგ.:

I სერია

დრეკ-ს

ა-ვლენ-ს

დრეკ-ავ-ს

ა-ვლინ-ებ-ს

დრიკ-ავ-ს

ა-ვლინ-ებ-ს

II სერია

დრიკ-ა

ა-ვლინ-ა

მაშასადამე, ესენი აბლაუტური ზმნების ცალებია და მათი განხილვისას არ უნდა დავიკიშვოთ აბლაუტის ძირითადი დებულებანი, რომელთა მიხედვითაც „მორფოლოგიური ლირებულების შემნე ხმოვანმონაცვლეობა ანუ აბლაუტი



წარმოშობით შეიძლება ფონეტიკური ხასიათისა იყოს, შეპირობებული და ქმნის განვითარების გარევაულ ეტაპზე არსებული ფონეტიკური გარემოცვით. ფონეტიკურ ნიადაგზე აღმოცენებულმა ხმოვანთმონაცვლეობამ შესაძლებელია გარევაული მორფოლოგიური ფუნქციები შეიძინოს და შემინდა მორფოლოგიური ღირებულების ხმოვანთმონაცვლეობად იქცეს მას შემდეგ, რაც მოისპობა ამ მონაცვლეობის გამოწვევი ფონეტიკური მიზეზები. ამგვარი მორფოლოგიური ფუნქციის შემნე მონაცვლეობა ისტორიულად უკვე მოკლებულია ფონეტიკურ მოტივაციას; იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც შედეგი ღონისძელ ფონოლოგიურ მონაცვლეობათა მორფოლოგიზაციისა” [4, გვ.177].

მაშასადამებ, მართალია, „დრიკავს“, „ავლინებს“ ტიპის ზმნები აბლაუტური მიმართების მონაწილეები აღარ არიან, მაგრამ ისინი აბლაუტურ მიმართებაში მყოფ ზმნათა ცალებია და ამდენად ძნელდება მათში მომხდარი ცვლილების ფონეტიკური მოტივაცია.

როგორც ცნობილია, აბლაუტის ი და \emptyset საფეხურები მხოლოდ თემატურ ფუძეებში გვაქვს. „მიუხედვად ამისა, ძნელია აღდგენა იმ კონკრეტული ფონეტიკური გარემოცვისა, რომელიც აპირობებდა *ე/*ი მონაცელეობას, განსხვავებით *ე/ \emptyset მონაცელეობისაგან. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ამ ტიპის მონაცელეობის აღმოცენებაც მახვილთან იყოს დაკავშირებული“ [4,გვ.372]. მაგრამ, როგორც ავტორები მიუთითებენ, გაურკვეველია, რატომ უნდა მოეცა მახვილის გავლენას ზოგჯერ *ე ხმოვნის სინკოპე, სხვა შემთხვევებში კი იმავე *ე ხმოვნის დაკავშირება.

მაშასადამე, სრულხმოვნიანი სუფიქსის არსებობის ღრმასაც კი შესაძლებელია ფურქეში იყოს ი საფეხური ფონეტიკური საფუძვლის გარეშე, ე.ი. ი საფეხური გვევდება თემატურ ფურქებში, მაგრამ არააჭრიორი ფონოლოგიური მოტივაციით.

ზემოთ წარმოდგენილი ორი მოსაზრება „დრიკავს“, „ავლინებს“ ტიპის შესახებ, ბუნებრივია, განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ამ მოსაზრებებს საერთო ც გააჩნიათ. ორივე ემყარება იმას, რომ ხმელეთისა და ცვლელი ზრდის აწყობიში ი საფეხური მხოლოდ თემატურ ფუძეში გვაქვს. განსხვავება სწორედ თემატურ სუფიქსზე მსგელობრივისას იჩინს თავს.

უნდა ვითქმიროთ, რომ ი საფეხური აწყობს და, შესაბამისად, I სერიის ფორმებში მიეწერება ერთგვარ სიმულტანურ მოვლენას, რომელიც ხორციელდება გარკვეული ტიპის ზმნებში სრულ საფეხურზე მყოფი ხმოვანი (თუ ხმოვნიანი) სუფიქსის დართვისას. ერთდროულობა სწორედ იძაში მდგომარეობს, რომ ამ ტიპის ზმნებში ფუქტები ი საფეხური თემატური სუფიქსის გარეშე წარმოუდგენელია, ე.ი. არაა ქტიურ ფონოლოგიურ პირობებში ამჟამავდება ის მექანიზმი, რაც უკვე კნობილია ინაში.

ი.ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

1. ა.შანიძე. თბზულებანი, ტ. III. თბილისი, 1980.
 2. ი.ცერცვაძე. თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I. თბილისი, 1941.
 3. გ.კვერცხჩილაძე. თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I. თბილისი, 1941.

4. თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბილისი, 1965.
5. ბ.ჯორბენაძე. ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში. თბილისი, 1975.
6. ვ.თოფურია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, 6, 1942.
7. ი.ქავთარაძე. ზმნის ძირითადი კატეგორიები ძველ ქართულში. თბილისი, 1954.
8. ა.მარტიროსოვი, გ.იმნაიშვილი. ქართული ენის კახური დიალექტი. თბილისი, 1956.
9. ა.თაყაიშვილი. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV. თბილისი, 1974.
10. ლ.ნოზაძე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 52-ე სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა ოეზისები. თბილისი, 1993.
11. რ.ჭურდაძე. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXIII.თბილისი, 1995, 1996.
12. ბ.სარჯველაძე. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი, 1984.
13. ფ.ერთელიშვილი. ზმნური ფუძეების ფონეტური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში. თბილისი, 1970.
14. შ.აფრიძონიძე. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, XIV. თბილისი, 1987.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება
„მეცნიერება“, 380060, თბილისი დ.გამრეკელის ქ 19, ტელ. 37-22-97.

გადაეცა წარმოებას 1.07.1997. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.07.1997. ფორმატი $70 \times 100^1/_{16}$.
აწყობილია კომპიუტერზე მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმის ინფორმატიკის განყოფილებაში.
ოფსეტური ბეჭდვა. პირობითი ნაბ. თაბ. 9,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 9,5.
ტირაჟი 300. შეკვ. № 284 ფასი სახელმექანულებო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, 1997.